ყოველკვირეული

# ალია

N8/736/ 22-28 თებერვალი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## როგორ იძიებს შურს ბიძინა ივანიშვილი გუბაზ სანიკიძეზე?!



ჩემო გუბაზ, მაგ გასიებულ თავში რომ ასეთი ბინძური აზრები მოგივა და კიდევ ოცნებას დაიწყებ, როგორმე დარჩე ხელისუფლებაში, აი, ეს არის ნაძირლობა!.. თუ დღეს ივანიშვილი ხმას არ იღებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაპატია

10

## ლევან ბერძენიშვილი:

„გოგი თოფაძემ უნდა დატოვოს კოალიცია! სასწრაფოდ გასარკვევია, რა ძალები დგას ამ კაცის უკან!“



12




## თბილისში „მკვლელი ტაქსისტები“ დადიან!!!

სად იყიდება ურეცეპტოდ ფსიქოტროპული წამლები?

29



## „კარგად დაიმახსოვრეთ, მოხდება ის, რაც აქამდე მომხდარა, ფერადი რევოლუციების სახით“

„ბიძინა ივანიშვილი აღარ არის ის ბიძინა, როგორიც იყო 2012 წლის საარჩევნო ეტაპისთვის“

11

## ვინ მფარველობს ირაკლი ოქრუაშვილს?



26



## საქართველოს 1600 სტომატოლოგიური კლინიკიდან 60-70%-ში დარღვევა გამოვლინდა!!!

რომელ სტომატოლოგიურ კლინიკებშია უსაფრთხო მკურნალობა?

16

## 2016 წელს ხელისუფლებაში და მის გარშემო დაახლოებით 50 ადამიანი უნდა მოკვდეს



33

## როგორ ცდილობს „ბაზისბანკი“ თაღლითური გზით კლიენტების ქონების მითვისებას!




9

ვის შეაწმინდა ხელები დავით ნარმანიამ პროკურორის შვილის დაფინანსების სკანდალურ საქმეში?

8

ვინ დაასმინა ელისო ჩაფიძემ ბიძინა ივანიშვილთან?

6

სანდრო ბრეგაძე:
„გადადექით, გელა დუმბაძემ ულტიმატუმი წამიყენა... სადაც ეშინიათ თინა ხიდაშელის, იქ ჩემი ადგილი არ არის“

15

რატომ უშვებენ თანამდებობებიდან პროკურორებს?

28

შემზარავი მკვლელობის უცნაური ვერსიები

27

რატომ „გადაეკიდა“ პატრული ნიკა არაბიძეს?

35

რას უყვება „ალიას“ ტაქსისტი გიორგი ღვინიაშვილი, მეტსახელად „ბულბულა“?

34

## გაუჩინარებულ 25 წლის ახალგაზრდას ოჯახი უშედეგოდ ეძებს

ტყიბულში 31 დეკემბერს გაუჩინარებულ 25 წლის ალექსანდრე ყვავაძეს ოჯახი დღემდე უშედეგოდ ეძებს.

დაკარგული ახალგაზრდის დედის თქმით, მისი შვილი ექიმთან წავიდა, რის შემდეგაც კვალი იკარგება.

– საქართველოს ტერიტორიაზე ვერსად ვერ იპოვეს ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი, კვალი არსად არ ჩანს. კვალი მაინც ხომ უნდა რჩებოდეს, პოლიციამ ვერაფერი იპოვა, – აცხადებს ალექსანდრე ყვავაძის დედა. (ნიუპოსტი)

## „აგვისტოში ომის დროს მომხდარია ქართველთა ეთნიკური წმენდა“ — თეა წულუკიანი



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის ლიდერ ლეონიდ თიბილოვის განცხადებას ეხმაურება, რომელმაც ე.წ. პარლამენტს დაავალა, რუსეთის დუმამ საქართველოს მიერ ოსი ხალხის გენოციდი აღიაროს.

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ „როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ჰააგის გამოძიება წმინდად სამართლებრივი პროცედურაა და მას ვერანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ვერ დაზიანებს“.

როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, მტკიცებულებები მკაფიოდ ადასტურებს იმას, რომ აგვისტოში ომის დროს მომხდარია ქართველთა ეთნიკური წმენდა.

– როგორც ფატუ ბენსუდამ და მისმა ოფისმა მრავალჯერ განაცხადეს, ისინი დაეყრდნობიან მხოლოდ მტკიცებულებებს და ჩვენი გადასახედიდან, ეს მტკიცებულებები მკაფიოდ ადასტურებს იმას, რომ აგვისტოში მომხდარია ომის დროს ქართველთა ეთნიკური წმენდა. აქედან გამომდინარე, ისღა დაგვრჩენია, რომ ამ გამოძიებას ხელი შევუწყოთ, რათა ეს უკვე მტკიცებულებების დონეზე, საერთაშორისო დონეზე დამტკიცდეს და ჩვენმა მსხვერპლებმა, როგორც ბატონმა მოჩოჩოკომ განაცხადა, იხილონ მართლმსაჯულება, რომელმაც უნდა აღადგინოს შეძლებისდაგვარად მათი უფლებები. ბოლომდე კი მათი უფლებები მხოლოდ მაშინ აღდგება, როდესაც ჩვენ ყველა ერთად გავერთიანდებით – აფხაზები, ოსები, ქართველები და ვიცხოვრებთ იმ ერთიან ქვეყანაში, სამშობლოში, რომელსაც საქართველო ჰქვია, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



## როცა გამგეობის მაღალჩინოსნები 4-ნიშნა პრემიებს იღებენ, გმირებს მხოლოდ სიგელით „ასაჩუქრებენ“

რამდენიმე დღის წინ გლდანში, ახმეტელის მეტროსთან, მეეზოვე მიკიჩა შავეშოვს სამანქანო გზაზე ჩამოვარდნილი მაღალი გამავლობის კაბელი თითქმის ერთი საათის განმავლობაში ცოცხით ეჭირა, რითაც მან არაერთი ადამიანის ჯანმრთელობა და შესაძლოა, სიცოცხლეც კი გადაარჩინა. აღნიშნული ამბავი, ფოტოსთან ერთად, სოციალურ ქსელში ელვის სისწრაფით გავრცელდა.

ცოტა ხანში ისიც გახდა ცნობილი, რომ მიკიჩა შავეშოვი გლდანის რაიონის გამგებელმა ბესიკ ქარცივაძემ და დასუფთავების სამსახურის გლდანი-ნაძალადევის განყოფილების უფროსმა დავით ბურჭულაძემ გამგეობაში მიიწვიეს, მადლობა გადაუხადეს და... სიგელი გადასცეს აქტიური სამოქალაქო ჩართულობისა და თანადგომისთვის.

მომხდარს სოციალურ ქსელში დიდი და, პრინციპში, სრულიად სამართლიანი პროტესტი მოჰყვა – როცა გამგეობის მაღალჩინოსნები 4-ნიშნა პრემიებს იღებენ, ჩვენი დროის გმირებს მხოლოდ სიგელით რა ნამუსით „ასაჩუქრებენო“...

მეორე დღეს მიკიჩა შავეშოვი უკვე შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორმა ლევან ჯღარკავამ დაიბარა და მადლობასთან ერთად პრემიის სახით ფულადი ჯილდო გადასცა.

თითქოს საზოგადოების სამართლიანი პროტესტი ამ ფაქტს უნდა დაეცხრო, მაგრამ არ გამოვიდა ეს ამბავი – ხმამაღლა არავის უთქვამს, რა ოდენობის პრემია მიიღო მიკიჩა შავეშოვმა, რომელმაც ჯერ ხომ საკუთარი სიცოცხლე ჩაიგდო საფრთხეში და ამასთან ერთად, უამრავი ადამიანი გადაარჩინა სერიოზულ პრობლემებს.

**„ყოველკვირეულ ალიას“ გლდანის რაიონის გამგებელი ბესიკ ქარცივაძე ესაუბრება:**

**— ბატონო ბესო, მიკიჩა შავეშოვს გლდანის გამგეობამ სიგელი გადასცა, „თბილსერვის ჯგუფმა“ — ფულადი ჯილდო. რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი, ხომ ვერ მეტყვით?**

– დიახ, ერთი თვის ხელფასი, ანუ 660 ლარი.

**— ეს პიროვნება გლდანის მაცხოვრებელია?**

– დიახ. არის მრავალშვილიანი მამა, 10 წელია მუშაობს იმ სამსახურში, სადაც დღესაც მუშაობს. ძალიან კარგად წარმოდგენილი პირია, რადგან ქართულად სუფთად საუბრობს, ბიჭი ქართულ სკოლაში დადის, ბაღში და ა.შ... ჩვენ სადღაც 40 წუთი ვისაუბრეთ ყველა იმ თემაზე, რასაც კაცური, ზნეობრივი, ქალაქური ჰქვია და სწორედ მაშინ გავიგე მისი ცხოვრების წესი.

**— რატომ არ გადაწყვიტა გლდანის გამგეობამ, რომ ეს ადამიანი, სიგელთან ერთად, ფულადი თანხითაც დაეჯილდოებინა?**

– „რატომ არ გადაწყდა“ არა, ასეთი თემა არ ყოფილა. თვითმმართველს თავისი ფუნქცია აქვს, მათ შორის ისეთ ერთეულებს, როგორიც არის გამგეობა. გამგეობაში რომ გარკვეული თანხის მობილიზაცია მოხდეს, თანხების გაცემა საბიუჯეტო თემიდან ხდება და მიზნობრიობა უნდა წარმოსახოს. რადგან ადამიანი, ამ შემთხვევაში ბატონი მიკიჩა, იყო სამსახურში, მას აქვს სახელფასო ვალდებულებები და უზრუნველყოფილია და შესაბამისად, ეს არის მერიის სტრუქტურა, ანუ სსიპ დასუფთავების სამსახური, აქედან გამომდინარე, მე, მხოლოდ როგორც რაიონის ხელმძღვანელმა, მთავრობის წევრმა, ჩემი პირადი პატივისცემა გამოვხატე და ასეთი საზოგადოებრივი თანადგომისთვის გადავეცი, რასაც ჰქვია, სიტყვა თავისი პასუხისმგებლობით და მადლით და დავაჯილდოვე იმ სიგელით, რომელსაც, ჩემი აზრით, ძალიან ზეამაღლებული სახელი ჰქვია: „სამოქალაქო ჩართულობისა და თანადგომისთვის“.

**— გასაგებია, რომ გამგეობას ვალდებულება არ გაქვთ და თანხები მიზნობრივად უნდა იყოს გამოთხოვილი ბიუჯეტიდან, მაგრამ ეს ადამიანი მართლაც გმირია და ხომ არის ხოლმე გამონაკლისები, როდესაც ხდება ასეთი ადამიანების ფულადი ჯილდოთი წახალისება? მით უმეტეს, მრავალშვილიანი ყოფილა და მით უმეტეს, რომ 2015 წლის დეკემბერში, ანუ ერთ თვეში, გლდანის გამგეობაში გაიცა პრემია — 76 920 ლარი, ხოლო დანამატი — 12 ათასი ლარი. კეთილი ნება რომ გამოგეხატათ და საკუთარი პრემიიდან მოგეკლოთ თუნდაც უმნიშვნელო თანხა ამ ადამიანისთვის, ამით რამე დაშავდებოდა? ამხელა პრემიების ფონზე ცოტა უხერხული ხომ არ არის იმის თქმა — არ შეგვეძლო ამ ადამიანისთვის ფულადი ჯილდოს მიცემაო?**

– მე „არ შემეძლო“ არ მითქვამს, ქალბატონო ნინო, სხვა რამე ვთქვი. რა ინფორმაციასაც თქვენ ფლობთ პრემიებთან და დანამატებთან დაკავშირებით, ეს არის კანონით განსაზღვრული.

**— ამ ადამიანს რაღაცნაირად მაინც დაეხმარებით უახლოეს მომავალში?**

– ყოველ შემთხვევისთვის, ძალა-ერთობა – ეს არის ქართველთა საწყისი. მე მეამაყება, რომ ეს ადამიანი, საქართველოს მოქალაქე ასე აზროვნებს და ასეთ ადამიანებზე ვდგავართ ჩვენ. რა იქნება, როგორ იქნება და რამდენად იქნება, ეს არის ჩვენი სიტყვისა და ფასის, ჩვენი ღირსების ერთობა. ამ ერთობით შევხვდი მე ამ ადამიანს და დავთქვით, რომ მომავალშიც შევხვდებით...





## 5400 ლარი უკანონოდ გასცა მერიამ და ნარმანიამ, — რა მოხდა, ქვეყანა ხომ არ დაქცეულაო...



– ეს არის შეცდომა, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა, – ისანი-სამგორის პროკურორის შვილის სწავლის ხარჯის თბილისის მერიიდან 5 400 ლარით დაფინანსების საკითხზე დავით ნარმანია პირველ კომენტარს აკეთებს.

როგორც დედაქალაქის მერი განმარტავს, ის შეცდომაში შესაბამისმა სამსახურებმა შეიყვანეს, რის გამოც თანამდებობიდან „საშუალო რანგის თანამშრომელი განთავისუფლდა“.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოციალურად დაუცველთა მუხლიდან დავეხმარეთ თამარ გერგედავას. ასეთი რამ არ ყოფილა. სხვა სოციალური ღონისძიებებიდან, საიდანაც შეჭირვებული ოჯახების სწავლის საფასური ფინანსდება, იქიდან მოხდა მისთვის თანხის გამოყოფა. თუმცა, ოჯახი არ ყოფილა შეჭირვებული და ამის შესწავლა უნდა მომხდარიყო, – აცხადებს დავით ნარმანია.

დედაქალაქის მერი საკუთარ დანაშაულს ვერ ხედავს და ამბობს, რომ ყველა განცხადებას ის ვერ გადაამოწმებს და ამისთვის მერიაში შესაბამისი სამსახურები არსებობენ.

„საშუალო რანგის თანამშრომელი“ კი, რომელმაც მერს სწავლის დაფინანსების შესახებ განცხადება ხელმოსაწერად გადასცა, „პირველი რადიოს“ ინფორმაციით, თბილისის მერიის განათლების განყოფილების უფროსი ვერიკო ხელისუფალია. თბილისის მერი ამბობს, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს, განცხადების შაბლონური ვარიანტი წარუდგინეს, სწორედ ამიტომ ვერიკო ხელისუფალი სამსახურიდან უკვე განთავისუფლებულია.

თუმცა, ასევე, ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელისუფალი გადადგომის შესახებ განცხადებას ორშაბათს დაწერს. ვერიკო ხელისუფალს მობილური ტელეფონი გამორთული აქვს. განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი თათია ქანთარია კი ამბობს, რომ მომხდართან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს და არ იცის, კვლავ იკავებს თუ არა მისი უშუალო უფროსი ვერიკო ხელისუფალი თანამდებობას.

თბილისის მერიის სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი გვილავა აცხადებს, რომ კულტურის განყოფილების ერთმა თანამშრომელმა, რომელიც უშუალოდ იყო შეხებაში მომხდართან, თანამდებობა უკვე დატოვა. გვილავა სამსახურიდან განთავისუფლებული პირის ვინაობას არ ასახელებს. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერმა შავი ჯიპებისა და ესკორტების პრაქტიკის დასრულება გადაწყვიტა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის წევრებთან ერთად სამეგრელოსა და სვანეთს ეწვია, სადაც რამდენიმე ობიექტი, მათ შორის რუხის სავაჭრო ცენტრი და საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა.

გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის წევრებთან და საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლებთან ერთად სამეგრელო და სვანეთი მიკროავტობუსით მოიარა. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, ამით შავი ჯიპებითა და ესკორტებით სიარულის პრაქტიკა სრულდება. (ipress.ge)

## 5 გარდაცვლილი და 2 მძიმედ დაშავებული — ავტოკატასტროფა კახეთში




ავტოავარია მოხდა კახეთში, სოფელ უჯარმასთან – ერთმანეთს „ფორდის“ მარკის 2 მიკროავტობუსი შეეჯახა.

შემთხვევას 5 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 2 კი მძიმედ დაშავდა.

გარდაცვლილები არიან არასრულწლოვნები – 11 და 13 წლის მოზარდები და ერთიც 19 წლის ახალგაზრდა. (ნიუპოსტი)

## მიდის? არ მიდის? საკითხავი აი, ეს არის!..



– მომავალ პარლამენტში, სავარაუდოდ, აღარ ვიქნები, – ამის შესახებ განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ელისო ჩაფიძემ ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გააკეთა.

ჩაფიძემ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების შესახებ მან კოალიციის ლიდერს, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს უკვე აცნობა. მისი თქმით, ივანიშვილს ინფორმაცია 14 იანვარს საგურამოში გამართულ შეხვედრაზე მიაწოდა. ჩაფიძე ამბობს, რომ, თუ არ შესრულდება მისი მოთხოვნები ტყიბულელების პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, თუ არ მიეცემა ტყიბულს მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი და მეშახტეებს – საგადასახადო შეღავათები, ის არა მარტო პარლამენტს, არამედ პოლიტიკასაც დატოვებს.

– მე არ დავბადებულვარ პარლამენტში, არც აქ სიკვდილს ვაპირებ და არც იმისთვის არ მოვსულვარ პარლამენტში, რომ ჩუმად დავმჯდარიყავი, – განაცხადა ელისო ჩაფიძემ.

მოგვიანებით ელისო ჩაფიძემ სოციალურ ქსელში შემდეგი განცხადება გაავრცელა:

– ბევრი ადამიანი მირეკავს და მწერს. პირველ რიგში, მადლობა ყურადღებისა და თანაგრძნობისთვის. ვისაც გაუხარდა ჩემი განცხადება, მათ გასაგონად ვამბობ, რომ მე შევთავაზე ჩემთან მებრძოლ გოლიათ პოლიტიკოსებს, თუ ჩემ გამო უკეთებთ ამას ტყიბულს, მზად ვარ, წავიდე, ოღონდ მაღალმთიანის სტატუსი მიანიჭეთ-მეთქი. ჯერჯერობით ეს თხოვნა არ შესრულებულა. ამიტომ არც პარლამენტიდან წავალ, არც პოლიტიკიდან და არც პარტიიდან, რომლის წესდება ჩემი ხელმოწერითაა რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში. გავაგრძელებ პოლიტიკურ ბრძოლას. მჯერა გამარჯვების. ერთმა კეთილშობილმა ქალბატონმა მომწერა: ელისო, შენ გვერდით ვართ ხალხი და სიმართლეო.... ასე რომ, „ფსბ“-სა და ცეკას ინტრიგანებს უფრო ადრე არ მოუწიოთ პოლიტიკიდან წასვლა, – წერს ჩაფიძე სოციალურ ქსელში. **(pirveliradio.ge; pia.ge)**

## დიდი წმენდა პროკურატურაში — ათეულობით პროკურორი სამსახურიდან გაათავისუფლეს!

რამდენიმე ათეული მაღალჩინოსანი სამსახურიდან დათხოვილია. ეს გადაწყვეტილება მთავარმა პროკურორმა თანამშრომლებს 18 თებერვალს გამართულ თათბირზე აცნობა. განთავისუფლებულებს შორის არიან ოლქების, ქალაქებისა და რაიონების პროკურორები.

არ არის გამორიცხული, საკადრო ცვლილებები კიდევ უფრო მაღალ ეშელონებსაც შეეხოთ.

გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობების დატოვება შესაძლოა, მთავარი პროკურორის მოადგილეებსაც მოუწიოთ. ჯერ გაურკვეველია თბილისის პროკურორის ბედი, რომელიც ამ ეტაპზე პოსტს ინარჩუნებს. შოთაძის უწყებაში მიმდინარე მასშტაბური საკადრო გადაადგილებების მიუხედავად, უწყებას ოფიციალური განცხადება ამ დრომდე არ გაუკეთებია. **(marshalpress.ge)**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „კანონიერი ქურდები“ და რუსეთ-თურქეთის დაძაბულობა — კრიმინალურ ავტორიტეტებს სტატუსს ართმევენ




ცნობილი გახდა, რომ 10 თებერვალს დაპატიმრებული სერგო ცოცხალიშვილი, რომელიც ქურდულ სამყაროში „ზურა კახეტინეცის“ სახელით არის ცნობილი, ციხეში „კანონიერ ქურდად“ არ აღიარეს.

მას შემდეგ, რაც რუბენ კოსიანი და იკა ბულისკირია იანვრის ბოლოს კოლონიებში გაუშვეს, სანკტ-პეტერბურგში არც ერთი „კანონიერი ქურდი“ აღარ დარჩა. ქალაქში „ზურა კახეტინეცის“ სტუმრობამ ეს სიტუაცია ვერ შეცვალა – მისი „უფლებამოსილებების“ დასადგენად თავისუფლებაზე მყოფ სხვა ქურდებს მიმართეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მის ტიტულს არც ერთი არ აღიარებდა. მათი განცხადებით, ზურა ცნობილია, როგორც ბანდიტი, მაგრამ არა როგორც ქურდი. კერძოდ, რევაზ სესკურიამ (ვეფხო), რომელიც ადრე პეტერბურგში „მოღვაწეობდა“, ის ფაქტიც კი გაიხსენა, როგორ მიატოვა იგი ზურამ და გაიქცა, როდესაც ვეფხო დაჭრილი იყო. ამ ამბავს საბერძნეთიდან „ჩიკორა“ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ზურას ჩადენილი აქვს საქციელები, რომელიც „კანონიერ ქურდს“ არ შეეფერება.

ამ პოლემიკის დროს გაიხსენეს ანალოგიური სიტუაცია, როდესაც უარყვეს ზურას მეგობრის, ლაშა ბარათელის სტატუსი.

ბუნებრივია, ეს გადაწყვეტილება არის იმ ავტორიტეტებზე დარტყმა, რომლებმაც „კახეტინეცი“ თურქეთში „აკურთხეს". კერძოდ, სურგუტსკიზე, როვშანზე, ჭურაძეზე და ა.შ. მათ სცადეს, რაღაც დაეპირისპირებინათ ვეფხოსთვის, მაგრამ „ზურა კახეტინეცს“ პეტერბურგში ამან არ უშველა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ რუსეთის შსს-ში, რომელიც ნახევრად სამხედრო ორგანიზაციაა, გავრცელებულია ნახევრად ოფიციალური განკარგულება, რომ თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო, ყველა, ვინც თურქეთშია, განსაკუთრებით კი „კანონიერი ქურდები“, ჩაითვალონ „სახელმწიფოს მტრად“, ხოლო ე.წ. „ბერძნები“, რადგან ისინი თურქეთში მყოფ ქურდებს მტრობენ – შსს-ს მეგობრებად. შესაბამისად, ზურა „არ არის ჩვენიანი“, შესაბამისად არ არის „კანონიერი ქურდი“.

ამ დაძაბული სიტუაციის შემდეგი მოქმედება „ბუტირკის“ ციხეში უნდა განვითარდეს, სადაც ამ თემაზე პასუხს სერიოგა ასატრიანისგან ელოდებიან. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თოფაძე ივანიშვილის ახლობელია, ჩემი არა...“ — ბერძენიშვილები თოფაძეს КГБ-ს ტექსტებს ახსენებენ



გოგი თოფაძის მიერ „რესპუბლიკელებისა“ და კერძოდ, ძმები ბერძენიშვილების მისამართით გამოთქმულ მოსაზრებებს თავად ლევან და დავით ბერძენიშვილმა უპასუხეს.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, მას გოგი თოფაძის ბედი არ აღელვებს, რადგან „მრეწველების“ ლიდერის მომავალს ვერც პოლიტიკაში და ვერც ბიზნესში ვერ ხედავს:

– არ ვაკადრებ იმას, რაც ეკუთვნის და მისი შეურაცხყოფა ძალიან გამიჭირდება იმიტომ, რომ, რაც უნდა ვთქვა, იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე მას ეკუთვნის. მართალი გითხრათ, მე მისი ბედი არ მაღელვებს იმიტომ, რომ მას საერთოდ ვერ ვხედავ ვერც პოლიტიკაში და ვერც ბიზნესში იმიტომ, რომ მან დაარღვია ადამიანობის ყველა წესი, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

დავით ბერძენიშვილის შეფასებით, თოფაძე **КГБ**-სა და ასლან აბაშიძის ენით მეტყველებს. მისი თქმით, გოგი თოფაძის მოსაზრებების მქონე ადამიანის ადგილი კოალიციაში არ არის:

– ივანიშვილისთვის თოფაძე ახლობელია, ჩემი ახლობელი არ არის და ამიტომ მის ასაკს მე ხაზს ვერ გავუსვამ. ეს არის 90-იან წლებში რუსეთის **КГБ**-სა და ასლან აბაშიძის ერთობლივი ტექსტები. ეს ჩვენ უამრავჯერ მოგვისმენია. მურვან ყრუზე უფრო ვეზიზღებით „რესპუბლიკელები“ ქართველებს, ეს ნამეტანი მოუვიდა თოფაძეს. საქართველო რომ ნატოში არ უნდა იყოს, რომ თინა ხიდაშელი გამყალბებელია და პროკურატურაში უნდა დაიკითხოს, ასეთი მოსაზრებების მქონე თოფაძის ხელმძღვანელობით კოალიციაში ვერავინ ვერ იქნება. პირველ პოზიციაზე არის „ქართული ოცნება“, მეორე პოზიციაზე – „რესპუბლიკელები“. ცალკე გასვლაზე გითხარით 0,99 პროცენტი იყო „მრეწველთა“ შედეგი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, – აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით ზურაბიშვილი: ბიძინამ რომ ხეების გადარგვა დააპირა, ეს რანაირადაა მიშას ბრალი




„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ზურაბიშვილმა ციხისძირის მიწის ნაკვეთების თაღლითურად გასხვისების ფაქტზე აღძრულ საქმესთან დაკავშირებით „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე სკანდალური განცხადება გამოაქვეყნა:

– აი, მომკალით და ბიძინამ რომ ხეების გადარგვა დააპირა, ეს რანაირადაა მიშას ბრალი, არაფრით არ მესმის. ჩემი აზრით, სრულიად წამგებიანი კონტრპიარია ამ ოფშორზე ხმაურის ატეხა, რამდენიმე მიზეზის გამო.

ა) მიშამ ვის რა მიჰყიდა ერთ ლარად თუ სამშაურნახევრად, ეს არანაირად არ ამართლებს ან ამტყუნებს ხეების გადარგვის მიზანშეწონილობას. ანუ ეს თემა იმ თემას არანაირად არ უკავშირდება. იმედია, იმ სისულელეს აღარ იტყვიან, ნაცების ნაყიდ მიწაზე არ უნდოდათ ხეების გამოტარება იმიტომ, რომ ხელისუფლებას არ გაეგო, ეს მიწა რომ ნაცებისააო. მსგავსი „სიბრძნე“ ერთხელ მოვისმინე და იმედია, აღარ გაიმეორებს არავინ.

ბ) ოფშორში რეგისტრირებული ფირმისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემა არაა კანონდარღვევა. ვერანაირ კრიმინალს აქ ხელისუფლება ვერ დაამტკიცებს, რასაც კარგად გამოიყენებს ნაცმოძრაობა. ხოლო მარჩიელობა იმის შესახებ, ეს მიწა მიშამ თავისთვის წაილო, კეზერას გადაულოცა თუ ვიღაც იდუმალ ნაშას უფეშქაშა, დააზარალებს მხოლოდ ხელისუფლებას, მიშა კი ივლის საერთაშორისო კონფერენციებზე და ძაან ბევრს თუ გავაჩმახებთ, შეიძლება უკრაინის პრემიერ-მინისტრადაც დანიშნონ.

გ) ეს ხმაური დააზარალებს ხელისუფლებას იმიტომ, რომ ხეების გადარგვის თემა, რომელმაც ისედაც არაადეკვატურად აქტუალური იყო, კვლავ ინარჩუნებს არაადეკვატურ აქტუალურობას, მაგრამ ამას უკვე ემატება წინა ხელისუფლებისთვის ყველაფრის გადაბრალების მომენტი, რაც ისედაც იყო ჩვენი ხელისუფლების დიდი ნაკლი და საერთაშორისო დონეზე ხომ მთლად ყელში აქვს ყველას ამოსული. ასეა ეს ამბავი თუ გინდათ, თუ არადა რაც გინდათ, ის ჰქენით. მე ჩემი გითხარით და... – წერს ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში. **(marshalpress.ge)**

## დევიდ ქემერონი: ევროკავშირის დრო დასრულდა, დროა, ახალ ეკონომიკურ კავშირზე ვიფიქროთ

– ევროკავშირი დასრულებულია, დროა, ნატოზე დაფუძნებულ ახალ ეკონომიკურ კავშირზე ვიფიქროთ, – ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ ქემერონმა ბრიუსელში გამართული შეხვედრების შემდეგ განაცხადა. აღნიშნულ განცხადებას **euronews.ge** ავრცელებს.

სააგენტოს ინფორმაციით, შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ტუსკმაც და განაცხადა, რომ, თუ საჭირო გახდება, მოლაპარაკებები კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

– ქემერონს ძალიან გაუჭირდება ბრიტანელების დარწმუნება, ივნისში მოსალოდნელ რეფერენდუმზე ევროკავშირში დარჩენას დაუჭირონ მხარი. იმის მიუხედავად, რომ ბრიტანეთი არც ევროზონაშია, არც შენგენში და ყველაზე მეტად არის დაცული ევროკავშირის ნეგატიური ზეგავლენისგან, ბრიტანელების უდიდესი ნაწილი ინგლისში აღმოსავლეთევროპელთა მიგრირებას ეწინააღმდეგება, – აღნიშნულია სააგენტოს ვებგვერდზე. **(marshalpress.ge)**

## გურიის გუბერნატორის სიდედრის დაკრძალვის ხარჯი ოზურგეთის დასუფთავების სამსახურმა დაფარა



გურიის გუბერნატორის, გია სალუქვაძის სიდედრი, ციური ნაცვალაძე, ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა დაკრძალეს.

ამის შესახებ „გურიის მოამბეს“ თვითმხილველებმა აცნობეს.

ინფორმაციას კერძო საუბრებში, ასევე, გვიდასტურებენ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მათზე შესაძლო რეპრესიების დიდი ალბათობის გამო ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებენ. მათი ინფორმაციით, ოზურგეთის დასუფთავების სამსახური უკვე წელიწადია, გურიის გუბერნატორ გია სალუქვაძის საცხოვრებელ სახლში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოხვაურში, სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო, მშენებლობით და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ახორციელებს:

– გაზი კომპანია „სოკარმა“ უფასოდ შემოუყვანა, დაუმონტაჟა და ღობეებიც გაუკეთა, – გვიყვება ერთ-ერთი თანამშრომელი.

– თებერვლის პირველი ნახევარი იყო, როცა სიდედრი გარდაეცვალა. წაიყვანეს დილიდან, ათხრევინეს ჩვენებს საფლავი, მოასვენეს მიცვალებული და ბოლო პატივიც სცეს, თურმე ქელეხის სუფრიდან საჭმელი გაუგზავნეს ე.წ. მესაფლავეებს, – არ მოგერიდოთ, მაინც ბიუჯეტი იხდისო. ღმერთმა აცხონოს, კარგი ქალი იყოო, ამბობენ, მაგრამ ჩვენც მონები ხომ არ ვართ, – გვიყვება ამავე სამსახურის მეორე თანამშრომელი. (გურიის მოამბე)

## რუსეთ-თურქეთის ომის რისკი იზრდება — ობამა თურქ კოლეგას ესაუბრა



თეთრი სახლის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თურქ კოლეგას ტელეფონით ესაუბრა.

ბარაკ ობამამ და რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა სირიის კრიზისი განიხილეს. ამ კონტექსტში ობამამ აღნიშნა, რომ „თურქეთს თავდაცვის კანონიერი უფლება აქვს“.

სირიაში არსებულ ვითარებაზე კომენტარი გააკეთა ფრანსუა ოლანდმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის არაპირდაპირი ომის დაწყების რისკს ხედავს.

მან კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსკოვს, შეწყვიტოს ბაშარ ასადის რეჟიმის მხარდაჭერა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რომის პაპმა და რუსეთის პატრიარქმა ერთნაირსქესიანთა ქორწინებები დაგმეს



რომის პაპმა და რუსეთის პატრიარქმა ერთობლივ 30-პუნქტიან დეკლარაციას მოაწერეს ხელი, რომელშიც მხარეები, მთელ რიგ პრობლემებთან ერთად, ერთნაირსქესიანთა ქორწინების ტრადიციულთან გათანაბრების გამო წუხილს გამოთქვამენ.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და ერთგულ სიყვარულს ეფუძნება.

– თანაცხოვრების სხვა ფორმები დღეს ამგვარ კავშირს უთანაბრდება, რაც ბიბლიური ტრადიციით ნაკურთხი არ არის, – ნათქვამია დეკლარაციაში, რომელიც ორი ეკლესიის წინამძღოლის მიერ გაფორმდა.

რომის პაპი და რუსეთის პატრიარქი წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ საზოგადოების ცნობიერებიდან ამოშლილია ბიბლიური ტრადიცია მამობისა და დედობის, როგორც კაცისა და ქალის ქორწინების გამოხატვის საშუალება.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის ანტიგეი კანონის მთავარი მხარდამჭერია. პატრიარქმა კირილმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ჰომოსექსუალობა ცოდვაა. 2013 წელს მან დასავლეთში ქორწინების თანასწორობა დაგმო და აპოკალიფსის სიმპტომი უწოდა.

პაპმა ფრანცისკემ კი იტალიის სენატში სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ საკითხის განხილვის პარალელურად, „ლგბტ“ ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის იდეა გააკრიტიკა.

– არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, რომ ღმერთს ოჯახის რამე სხვა ტიპის არსებობა სურს, – აღნიშნა პაპმა. (euronews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვიმპელკომი“ (ბილაინი) კორუფციული გარიგებებისთვის 795 აშშ მილიონ დოლარს გადაიხდის

რუსული ტელეკომუნიკაციების კომპანია „ვიმპელკომი“ (ბრენდი „ბილაინი“) უზბეკეთის ბაზარზე შესვლისას განხორციელებული კორუფციული გარიგებებისთვის 795 მილიონ დოლარ ჯარიმას გადაიხდის. კომპანიის გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამის შესახებ „ვიმპელკომი“ უკვე მოელაპარაკა აშშ-ის იუსტიციის სამინისტროსა და ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისიას, ასევე, ნიდერლანდების პროკურატურას. კომპანიის წინააღმდეგ გამოძიებას სწორედ ზემოაღნიშნული უწყებები აწარმოებდნენ. საქმე უზბეკეთის ბაზარზე „ვიმპელკომის“ შესვლისას განხორციელებულ კორუფციულ გარიგებებს ეხება, რომელიც კომპანიამ „სახელმწიფო ჩინოვნიკს“ გადაუხადა.

აშშ-ი იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, „ვიმპელკომმა“ და მისმა შვილობილმა კომპანიამ აღიარეს, რომ ქრთამი გადაიხადეს, რათა 2012-2016 წლებში უზბეკეთის ბაზარზე ოპერირების უფლება მისცემოდათ.

აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისიის განცხადებით, „ვიმპელკომის“ ერთ-ერთი კორუფციული გარიგება პირდაპირ არის უზბეკეთის პრეზიდენტთან დაკავშირებული. კერძოდ კი, პრეზიდენტ ისლამ კარიმოვის ქალიშვილის, გულნარა კარიმოვის კუთვნილ ფირმას რუსულმა კომპანიამ 114 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა. აქედან ნაწილი საქველმოქმედო შემოწირულობის სახით გაფორმდა.

აღსანიშნავია, რომ უზბეკეთის ბაზარზე წვდომის მოსაპოვებლად ქრთამი, ასევე, ორმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ გადაიხადა. აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ცნობით, „ვიმპელკომის“ გარდა, კორუფციულ გარიგებებში **MTC** და **TeliaSonera**-ც მონაწილეობდნენ. ისინი უზბეკეთის ბაზარზე შესვლისთვის თანხებს ჩინოვნიკებს უხდიდნენ.

ჯამში, სამმა კომპანიამ, ქრთამის სახით, 800 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა. თანხას უზბეკეთის თანამდებობის პირები ლატვიის, დიდი ბრიტანეთის, ჰონკონგის, ირლანდიის, ბელგიის, ლუქსემბურგისა და შვეიცარიის საბანკო ანგარიშებიდან იღებდნენ. აღნიშნული ქვეყნების ანგარიშებზე ფული აშშ-ის საფინანსო ინსტიტუტების გავლით ხვდებოდა. სწორედ ამიტომ მოხვდა „ვიმპელკომის“ საქმე აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს იურისდიქციაში.

შეგახსენებთ საქართველოს ეროვნული კომისია „ვიმპელკომის“ (ბილაინი) მიერ ინტერნეტ პროვაიდერ „კავკასუს ონლაინის“ ინტერნეტის საცალო სეგმენტის შეძენის საკითხს განიხილავს. (cp.ge)

## მაშინ ნარმანია რისი მერია? — თაქთაქიშვილი პროკურორის დაფინანსების სკანდალზე



პროკურორის შვილის სწავლის ხარჯის თბილისის მერიიდან 5 400 ლარით დაფინანსებისთვის რიგითი თანამშრომლის დათხოვნას საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა.

აღნიშნულ ფაქტს სოციალურ ქსელში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი ეხმაურება.

– ეს რა უნამუსობაა!!! ვინმეს სჯერა, რომ ასეთ გადაწყვეტილებებს რიგითი თანამშრომლები იღებენ და მერე მერს არასწორ საბუთებს უცურებენ ხელმოსაწერად? ან კიდევ, თუ მართლა ასეა, მაშინ ნარმანია რისი მერია? – წერს თაქთაქიშვილი. (ნიუპოსტი)

# „ვენდი“ ქათმის ხორცის მენიუს ყოველდღიურად ახალი ქართული ქათმის ხორცით მოამზადებს




26 მაისის მოედანზე მდებარე მსოფლიოში ყველაზე დიდ „ვენდის“ ამერიკულ რესტორანში „ვისოლ ჯგუფმა“ „მეტი ქართული პროდუქტის“ ინიციატივის ფარგლებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლის პრეზენტაცია გამართა.

„ვენდის“ ამერიკული რესტორანი ქათმის ხორცის იმპორტს, კომპანია „მარშესთან“ და „ბიუ-ბიუსთან“ ერთად, 100 პროცენტით ქართული ქათმის ხორცით ანაცვლებს და ერთგულ მომხმარებელს ყოველდღიურად ქართული ქათმის ახალი ხორცით დამზადებულ მენიუს შესთავაზებს.

– გვეამაყება, რომ ამიერიდან „ვენდის“ რესტორნებში აღარ გაიყიდება იმპორტირებული ქათმის ხორცი. რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, ამერიკელ და ქართველ პარტნიორებთან – „ბიუ-ბიუსთან“ და „მარშესთან“ ერთად, შევძელით, გვეწარმოებინა უმაღლესი ხარისხის ქართული ხორცისგან, ქართული ქათმისგან დამზადებული პროდუქტები. ეს არის „ნაგეტსები“, „ბურგერები“, „ნაგეტს-ბურგერები“, სხვადასხვა სახის კრეპები. ჩვენთვის, პირველ რიგში, ყველაზე მნიშვნელოვანია ის რომ, „ვენდის“ რესტორნებში მომხმარებელს უსაფრთხო პროდუქცია მიეწოდება. ჩვენ ხელს ვუწყობთ ჯანსაღი პროდუქციის პოპულარიზაციას და, რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, ამით ხელი ეწყობა ქართული ეროვნული წარმოების განვითარებაა, რაც, საბოლოო ჯამში, უნდა გახდეს ამ ქვეყნის მთავარი გარანტი – იყოს წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა. „ვისოლ ჯგუფი“ ამას აუცილებლად გააგრძელებს და ერთი პროდუქტიც კი არ დარჩება არც „ვენდისში“ და არც „დანკინ დონატსში“, რომელიც არ იქნება საქართველოში დამზადებული“, – განაცხადა **„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ.**

**შპს „მარშეს“ გენერალური დირექტორის ეკატერინე ჩხაბერიძის თქმით, ის მოხარულია, რომ „ვენდის“ სარესტორნო ქსელს ყოველდღიურად ქართულ და ხარისხიან პროდუქტს აწვდის:**

– ნამდვილად საამაყოა ჩვენთვის, რომ ამერიკის სარესტორნო მენიუში გვხვდება ქართული პროდუქტი. ორმაგად საამაყოა ჩვენი კომპანიისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ მოგვეცა საშუალება, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ დიდ საქმეში. პროდუქტი ნამდვილად 100 პროცენტით ნატურალურია. ის დამზადებულია ქართულ ნედლეულზე. ყოველდღიურად ვიღებთ „ბიუ-ბიუსგან“ ქათმის ფილეს, რომელიც გადის ორგანულ და ბიოლოგიურ კვლევას და შემდგომ ტექნოლოგიურ პროცესს. „ვენდის“ სარესტორნო ქსელს ყოველდღიურად ვაწვდით ახალ, უსაფრთხო და, რაც მთავარია, გემრიელ პროდუქტს, – განაცხადა „მარშეს“ დირექტორმა.

**კომპანია „ბიუ-ბიუს“ დირექტორი, რევაზ ვაშაკიძე აღნიშნავს, რომ კომპანია სრულად აკმაყოფილებს „ვისოლ ჯგუფის“ მოთხოვნებს:**

– ამჟამად ყოველთვიურად, დაახლოებით, 800 ტონა ხორცს ვაწარმოებთ, თუმცა მარტში 1200-1400 ტონა ხორცის წარმოებას ვაპირებთ. მოთხოვნა მაღალია. ერთ-ერთი კომპანია ვართ, რომელიც ქათმის ხორცის წარმოებით აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტებით. გვაქვს საერთაშორისო ლაბორატორია. „ვენდი“ შემოვიდა წინადადებით, რომ ჩვენი ხორცი გამოეყენებინა რესტორანში. დავთანხმდით და მივაწოდებთ პროდუქციას, – აცხადებს ვაშაკიძე.

**„მეტი ქართული პროდუქტის“ ინიციატივის ფარგლებში, 2015 წლის დეკემბრიდან ამერიკული რესტორნების ქსელმა „ვენდიმ“ და „დანკინ დონატსმა“ იმპორტის უდიდესი წილი ქართული პროდუქტით უკვე ჩაანაცვლა და „სმარტთან“, „მარშესთან“, „პურის სამყაროსთან“, „მილკოსა“ და „ბადაგთან“ თანამშრომლობით, ერთგულ მომხმარებელს ყოველდღიურად ქართული, ნატურალური პროდუქტებით დამზადებულ ახალ, ხარისხიან, უგემრიელეს კერძებს სთავაზობს.**



# სანამ ვინმე „ალიას“ შეგინებას მოინდომებს, ჯერ კარგად დაფიქრდეს — იმის ნახევარი მაინც აქვს გაკეთებული, რაც „ალიას“ გაუკეთებია?!






გინებით საქმე არ კეთდება, ბილწსიტყვაობით ფონს ჯერ არავინ გასულა და ახალგაზრდას, რომელმაც სოციალურ ქსელში „ალიას“ შეურაცხმყოფელი ვიდეო გაავრცელა, სასხვათაშორისოდ ვკითხავთ – ასეთმა გინებამ და ბილსიტყვაობამ ხომ შენ თვითონ გავნო?..

ჰო, ნამდვილად ასეა – ახალგაზრდა ადამიანი ზიხარ და უკანასკნელი სიტყვებით ილანძღები, ნაცვლად იმისა, წიგნი წაიკითხო, საკუთარ თავს რამე შესძინო და ვილაცას რამეში გამოადგე... არა, ამ ვიდეომ ნამდვილად ხაზი გაუსვა შენს შესაძლებლობებს და აშკარად შენ თვითონ გავნო!..

საერთოდაც, ყველა იმ საქმით ფასდება, რაც გაუკეთებია, ხომ გვეთანხმებით? ჰოდა, ჩემო ბატონო, „ალიას“ უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, ძალიან ბევრი მაგარი საქმე, „ალია“ მუდმივად უსამართლობას უპირისპირდებოდა და ახლაც იბრძვის ყველა ჯურის უნამუსოს წინააღმდეგ. ამის შედეგი კი, სამწუხაროდ, ყოველთვის მადლობა არ არის ხოლმე – გამოხტებიან ვილაც-ვილაცები და სხვა რომ ალარაფერი აქვთ დარჩენილი, უაზროდ ბილწსიტყვაობენ.

ასე გააგრძელეთ, იგინეთ და იფურთხეთ, ამით ისევ თავად ზიანდებით, ხაზს უსვამთ იმას, რომ დამარცხებულები ხართ, თუმცა არ იფიქროთ, რომ შევირჩენთ ვილაც ცხვირმოუხოცავი და გაუწონასწორებელი, ჩამოუყალიბებელი და უგუნური ტიპების გამოხტომებს და ჩვენს პატივსა და ღირსებას ვინმეს შევალახვინებთ – ჩვენ მივმართავთ ყველა ადამიანურ საშუალებას, რომ კიდევ ერთხელ დაგამარცხოთ და გაჩვენოთ, რომ ყელამდე წუმპეში ხართ ჩაფლული!!!

სწორედ ასე მოვიქეცით ბილწი ვიდეოს გავრცელების შემდეგ, რომელიც ჯერ „იუთუბით“, შემდეგ კი საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტის“ მეშვეობით გავრცელდა.

„ნიუპოსტში“ აგვიხსნეს, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და ვიდეო მალევე წაშალეს საიტიდან, თუმცა ამის შემდეგ ჩანაწერი „მაივიდეოზეც“ გამოჩნდა...

ბუნებრივია, პირველ რიგში, „ალიამ“ რეაგირება შს სამინისტროს მოსთხოვა, თუმცა უწყებაში აგვიხსნეს, რომ არ არსებობს კანონი, რომლითაც უხამსი ხუმრობის გამო ვინმე პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს.

**აი, რა უთხრეს „ალიას“ შს სამინისტროს პრესსამსახურში:**

– ეს ვიდეო არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და ეს არის წმინდა სამოქალაქო საკითხი. აქ არ არის არც მუქარა და არც სისხლის სამართლის ნიშნები, ეს არის ძალიან საშინელი ხუმრობა. თქვენ შეგიძლიათ, სასამართლოში შეიტანოთ სარჩელი შეურაცხყოფისთვის და შემდეგ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას.

**— „საშინელი ხუმრობა“ ცოტა მსუბუქი ნათქვამია ამ ვიდეოზე.**

– ნამდვილად გეთანხმებით, მაგრამ არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და ამდენად, არის სამოქალაქო დავის საგანი და გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო – იქნება ეს მორალური ზიანის ანაზღაურება თუ რა ფორმითაც მომზადდება სარჩელი.

**— ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა სოციალური ქსელიდან ვიდეოს აღებაც!**

– ვიდეო „იუთუბიზე“ აღარ დევს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ რომ დაგვჭირდა ნახვა, ჩვენმა კიბერებმა, მგონი, იპოვეს „მაივიდეოზე“, „იუთუბიზე“ კი ეძებეს და ვერ ნახეს.

პოლიციამ გამოძიება რომ დაიწყოს კონკრეტულ საქმეზე, ეს კანონით უნდა იყოს გაწერილი, რა მუხლით, კონკრეტულად რა მუხლით უნდა აღიძრას საქმე.

**— ეს ხომ დევნაა და ფსიქოლოგიური ზეწოლა?**

– ეს არ არის დევნა და არ არის არც მუქარა. ეს არის ძალიან ცუდი ხუმრობა, მაგრამ ამაზე სისხლის სამართლის საქმე ვერ აღიძვრება. უნდა არსებობდეს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ამას დაარეგულირებდა, თუმცა, სამწუხაროდ, არ არსებობს.

**— კი, ბატონო, იყო ადრე შემთხვევა, როცა დაგვირეკეს და აფეთქებით დაგვემუქრნენ. მაშინ მთავარმა სამმართველომ ავტომატურად აღძრა საქმე.**

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ – „აგაფეთქებ“, ეს არის პირდაპირი მუქარა, მაგრამ ამ კონკრეტულ ვიდეოში არავინ არავის ემუქრება. აქ უხამსად ხუმრობენ. ხუმრობა კი, როგორი ფორმისაც არ უნდა იყოს ის, სისხლის სამართლის დანაშაული არ არის. ძალიან გვინდა დახმარება, გულწრფელად გეუბნებით, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონი ბოროტი ხუმრობისთვის საქმის აღძვრის საშუალებას არ იძლევა.

**შს სამინისტროს ეს პოზიცია იურისტ ვალერი გელბახიანთანაც გადავამოწმეთ:**

– თუ ფაქტი არის მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხმყოფელი, მაშინ სახელისა და ღირსების დასაცავად სამოქალაქო სარჩელი შედის სასამართლოში, მაგრამ თუ ახლავს მუქარა, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ხდება საქმის აღძვრა.

**— არა, მუქარა ნამდვილად არ არის...**

– ასეთ შემთხვევაში, არც პროკურატურა და არც შინაგან საქმეთა სამინისტრო რეაგირებას არ მოახდენს, ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე სასამართლოს განსახილველია.

**ამ ყველაფერს დეტალურად იმიტომ განვმარტავთ, რომ ყველა დარწმუნდეს — „ალია“ ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ აღარავის გაუჩნდეს მსგავსი გამოხტომის სურვილი!**

**აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ შს სამინისტროს „იუთუბიზე“ არც ისე კარგად მოუძებნია ჩვენი შეურაცხმყოფელი ვიდეო, რადგან ჩანაწერი საიტზე კვლავაც განთავსებულია, არადა წინა კვირას გარკვევით დავწერეთ მისი სათაური!..**

**ჰოდა, „ალიამ“ საკუთარი ძალებით გააგრძელა მუშაობა და უკვე მივმართეთ ოფიციალურად „იუთუბის“ ადმინისტრაციას, რათა ვიდეო დაუყოვნებლივ წაიშალოს.**

**რაც შეეხება ქართულ „მაივიდეოს“, „ალიას“ მიმართვის შემდეგ შეურაცხმყოფელი ვიდეო საიტიდან უკვე აღებულია.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჯონ კერი: რუსეთთან სირიაში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმება მიღწეულია



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან სირიაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება მიღწეულია.

– ჩვენ მივაღწიეთ პრინციპულ თანხმობას ცეცხლის შეწყვეტის პირობებზე სირიაში, – ეს განცხადება კერიმ იორდანიის დედაქალაქში ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა, მას შემდეგ, რაც ის სერგეი ლავროვს ტელეფონით ესაუბრა. აღნიშნულს ადასტურებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროც.

კერი იმედოვნებს, რომ ობამასა და პუტინს შორის საუბრის შემდეგ, რომელიც უახლოეს დღეებში შედგება, შეთანხმება საბოლოოდ გაფორმდება.

„ბიბისის“ ინფორმაციით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დასძინა, რომ სირიის კრიზისის საომარი მოქმედებებით გადაწყვეტა შეუძლებელია. (ნიუპოსტი)

## რასაც გოგი თოფაძე ლაპარაკობს, აბსოლუტურად არასწორია — სოზარ სუბარი



ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი, „მრეწველების“ ლიდერის გოგი თოფაძის მიერ „რესპუბლიკელების“ მისამართით გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება. სუბარი თოფაძის განცხადებებს აკრიტიკებს და მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას არასწორად აფასებს. მიუხედავად დაძაბულობისა მმართველ კოალიციაში „მრეწველებსა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის დაპირისპირებას უარყოფენ მთავრობის წევრები.

– არანაირი დაპირისპირება არ არის, როდესაც ბატონი გოგი თოფაძე ლაპარაკობს საგარეჯოს არჩევნებზე, აბსოლუტურად არასწორია, რასაც ამბობს, იმიტომ რომ ყველა არჩევნები, რაც კი 2012 წლის შემდეგ ჩატარდა, იყო სამაგალითო და ევროპულ დონეზე ჩატარებული. ასე რომ, არასწორია, ბატონი გოგი რასაც ამბობს. თუ რამე აქვს სათქმელი, სჯობს, არა ტელევიზიით, არამედ პირადად ან კოალიციურ რეჟიმში განიხილოს და ასეთი გამოსვლები არ არის სწორი და გამართლებული, – განაცხადა სოზარ სუბარმა. (პირველი რადიო)

## კიევში, თავისუფლების მოედანზე, შეკრებილი ხალხი ხელისუფლების გადადგომას ითხოვს



კიევში, თავისუფლების მოედანზე სახალხო შეკრება დაიწყო, რომელშიც ათასამდე ადამიანი მონაწილეობს. აქციის ორგანიზატორია „რევოლუციური მემარჯვენე ძალები“.

სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე უკრაინელმა პოლიტოლოგმა რომან ლიპინსკიმ „უკრაინელ ხალხთა შეკრების“ საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის შესახებ განაცხადა და შეკრებილთა მოთხოვნები წაიკითხა.

თავისუფლების მოედანზე მისული ადამიანების უმთავრესი მოთხოვნა ხელისუფლების გადადგომა და პროფესიონალიზმისა და პატრიოტიზმის საფუძველზე მინისტრთა ახალი კაბინეტის შექმნაა.

ლიპინსკის მიერ წაკითხულ მოთხოვნათა ჩამონათვალში უკრაინის პრეზიდენტისა და სახელმწიფო რადას ვადამდელი არჩევნებია. ასევე, მოითხოვენ მინსკის შეთანხმებებზე უარის თქმასა და დონბასსა და ყირიმში სამხედრო მდგომარეობის შემოღებას. (news.ge)

## მეჭიაური: პრემიერი შეცდომაში შეიყვანეს და ათქმევინეს, ერთია სწორიო და მეორე — არა



საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი თამაზ მეჭიაური მიიჩნევს, რომ პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გოგი თოფაძის განცხადებების შემდეგ თავდაცვის მინისტრის მხარე იმიტომ დაიჭირა, რომ მას ინფორმაცია არ აქვს.

მან „იმედის“ ეთერში, თანაგუნდელი დავით ზურაბიშვილი გააკრიტიკა.

– პრემიერმა ცალსახად ერთი მხარე დაიკავა. მე ამ შემთხვევაში, ვერ დავეთანხმები ბატონ პრემიერს, მიუხედავად უდიდესი პატივისცემისა. ის დაკავებულია უფრო ეკონომიკური პროფილის საკითხებით. აქამდეც ასე იყო, პარტიულ საქმიანობაში არ იყო ჩარეული საერთოდ. ამიტომ ნაკლებად ინფორმირებულია.

შეურაცხყოფა არც გოგისი შეიძლება, არც თინასი შეიძლება და არც ბიძინასი. სხვათა შორის, ზურაბიშვილი, ჩვენი კოალიციის წევრი, თავის „ფეისბუკ გვერდზე“ ბიძინა ივანიშვილს, ფაქტობრივად, აკრიტიკებს. ერთ ლარად რომ ცხრა ჰექტარი გაყიდა სააკაშვილმა, ეს არაფერიაო, კაცი იძახის და სამი ხე რომ იყიდა ბიძინამ 6400 ლარად... როცა ასეთ განცხადებას გააკეთებს ჩვენი კოალიციის წევრი და ის სხვაზე დაიწყებს წუწუნს მერე, სხვამ რატომ ილაპარაკაო, რომ შეიყვანენ შეცდომაში პრემიერს და ათქმევინებენ, ერთია სწორიო და მეორე არა – იმას ინფორმაცია არ აქვს, – განაცხადა მეჭიაურმა. (news.ge)

# ფატუ ბენსუდა საქართველოსთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გუნდის საქართველოში ბოლო ვიზიტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა განცხადებას ავრცელებს:

– რისთვის იმყოფება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გუნდი ამ კვირას აქ, საქართველოში? პირველ რიგში, შეხვედრებმა საშუალება მოგვცა, აგვეხსნა, როგორ მუშაობს სასამართლო, რა შედის სასამართლოს ე.წ. „ორგანოების“ ფუნქციებში. გარდა ამისა, საშუალება მოგვეცა, განგვემარტა სასამართლო პროცედურების შემდგომი ეტაპები. დაბოლოს, საშუალება მოგვეცა, გვემსჯელა იმის თაობაზე, რას მოითხოვს და რა პროცედურებს მოიცავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა.

კიდევ ერთხელ მინდა ყურადღება გავამახვილო ჩემ მიერ უკვე გაკეთებულ განცხადებაზე: მოცემული გამოძიების არც ერთი ნაწილი არ გასაჯაროვდება. ის არის და დარჩება სრულიად კონფიდენციალური. ეს საჭიროა იმისთვის, რომ გამოძიება და მტკიცებულებათა შეგროვება წარიმართოს მიუკერძოებლად და ასევე, იმისთვის, რომ შევასრულოთ ჩვენი სამართლებრივი და ფიდუციური ვალდებულებები მოწმეების და იმ პირთა მიმართ, რომლებთანაც ურთიერთობა გვექნება გამოძიების მსვლელობაში.

გამოძიება გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც დასჭირდება მტკიცებულებების შეგროვებას და დამოკიდებული იქნება რესურსებზე, უსაფრთხოებასა და თანამშრომლობაზე. როდესაც ამის დრო მოვა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს შუამდგომლობით მივმართავ, რათა მათ გასცენ იმ პირთა დაკავების ან სასამართლოში გამოცხადების ბრძანება, რომლებიც მიჩნეულნი იქნენ სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ პირებად ჩვენი დამოუკიდებელი გამომძიებლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ძალაზე დაყრდნობით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გამოძიებას არ ვიწყებთ კონკრეტული ეჭვმიტანილების გათვალისწინებით. ჩვენ არ გვაქვს ეჭვმიტანილების ან სამიზნეების სია. აბსოლუტურად ნათელი უნდა იყოს, რომ მხოლოდ ჩვენი გამოძიების დასასრულს, მას შემდეგ, რაც შევაგროვებთ და განვიხილავთ ყველა საჭირო მტკიცებულებას, ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული იქნებიან ეჭვმიტანილები, - აღნიშნულია ბენსუდას განცხადებაში. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვინ დაასმინა ელისო ჩაფიძემ

ნინო სამხარაძე
599 71-14-22





„გოგი თოფაძე დამოუკიდებლად განცხადებებს ვერ გააკეთებდა და ასეთი თამამი ვერ იქნებოდა, ეს სცენარი, ალბათ, ბატონმა ივანიშვილმა გაათამაშა, რომ „რესპუბლიკელების“ მადა შეძლებისდაგვარად დაბალანსებულიყო“

„გოგი თოფაძემ თქვა, — მე ვიცოდი, არჩევნები დარღვევით რომ ჩატარდა, ამაზე ხმის ამოღებას არ ვაპირებდი, მაგრამ თინა ხიდაშელმა რომ მახსენა ირონიულად, დამამცირა, ამიტომ ამოვიღე ხმაო. ანუ გოგი თოფაძემ თავად თქვა, რომ ვინმეს ცუდ კონტექსტში რომ არ ვეხსენებინე, ფეხებზე დავიკიდებდი არჩევნების გაყალბებასო“

ფაქტობრივად, მეორე კვირაა, რაც გოგი თოფაძე უკან არ იხევს და პრინციპულად უპირისპირდება „რესპუბლიკურ პარტიაში“ შემავალ კონკრეტულ სუბიექტებს. მისი სამიზნე ძირითადად არის თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, რომელსაც ბრალს სდებს არჩევნების კანონდარღვევით ჩატარებაში, ხიდაშელის თანაპარტიელმა დავით ბერძენიშვილმა გოგი თოფაძე ანტიეროვნულ და ანტიკოალიციურ განცხადებებში დაადანაშაულა. საქმე კი იქამდე მივიდა, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში მანდატურების ჩარევა გახდა საჭირო დაპირისპირებული მხარეების გასაშველებლად. დაპირისპირებას მდუმარედ ადევნებდა თვალ-ყურს გოგი თოფაძე, თუმცა მოგვიანებით, ამ ყველაფრის შემყურე ის გაცილებით აგრესიული და შემტევი გახდა, ამ პროცესის შეჩერება კი მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია, ეს არის ბიძინა ივანიშვილი. პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილის განცხადება არ აღმოჩნდა სასიამოვნო მრეწველებისთვის, როცა კვირიკაშვილი თინა ხიდაშელის დამცველად მოგვევლინა და განაცხადა, რომ თავდაცვის მინისტრზე ასეთი ბრალდებები კოალიციას ჩირქს სცხებს. ჩვენ ვიმყოფებით „გოგის კვირეულში“, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის „მართალი გოგი გახდა“ იმედი, რომ ის აიძულებს „რესპუბლიკელებს“, კოალიცია დატოვონ, რადგანაც გოგი თოფაძის პრეტენზიები „რესპუბლიკელების“ მიმართ საზოგადოების გარკვეული ნაწილის პრეტენზიის იდენტურია, მაგრამ არსებობს გარე ფაქტორები, რის გამოც შესაძლოა, თავად გოგი თოფაძე აღმოჩნდეს კოალიციიდან თამაშგარე მდგომარეობაში. გასული კვირა დინამიკური იყო, თოფაძის განცხადებების ფონზე ჩაიკარგა ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ელისო ჩაფიძის სკანდალური განცხადება, რომელიც მან ბიძინა ივანიშვილის მისამართით გააკეთა სათაურით – „რა დააშავეს ტყიბულელებმა?!“ ელისო ჩაფიძე დეპუტატობიდან ოთხი წლის თავზე, მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ტყიბულში მეშახტეები გაფიცულები არიან, რომ მათთვის საჭიროა საშეღავათო პირობების დაწესება და ამ უპატრონოდ მიგდებულ რეგიონს პატრონი არ ჰყავს. რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ეს მაჟორიტარი დეპუტატისგან მოვისმინეთ. არადა, წესით, საკანონმდებლო ორგანოში მაჟორიტარი უნდა იყოს ხალხის ხმა და მაჟორიტარს მინიმუმ იმხელა გავლენა უნდა ჰქონდეს თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, რომ მას არ დასჭირდეს განწირული ხმით კივილი, – რა დავაშავეთ, ბატონო ბიძინა! ელისო ჩაფიძის ამ ნაბიჯიდან ირკვევა, რომ მისი გავლენა სახელისუფლებო გუნდში არის ნული და იმ მოტივით, რომ თავი გადაირჩინოს და კვლავ პოლიტიკურ ორბიტაზე დარჩეს, პოლიტიკური ბრძოლის ხერხებს ცვლის და საარჩევნო ციკლის დასაწყისში იწყებს ტყიბულელების პრობლემებზე საუბარს. როგორც ჩანს, აქამდე არ ეცალა პოლიტიკური განცხადებებისთვის, ხაჭაპურებს აცხობდა ახლად შექმნილ ოჯახში. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილმა თუკი ვინმეს აუხდინა ოცნება, ეს თავად ქალბატონი ელისო ჩაფიძეა, რომელიც თავის დროზე გვერდით ამოიყენა, საპატარძლოს რეგიონ-რეგიონ დაატარებდა და, საბოლოოდ, გაათხოვა კიდეც. მის ქორწილში საპატიო ადგილი ეჭირა ბიძინა ივანიშვილს. ელისო ჩაფიძე დღეს ივანიშვილს ახსენებს ტყიბულელებისთვის მიცემულ პირობას, რომელიც მან არ შეასრულა, მაგრამ ამ ოთხი წლის მანძილზე თავად ელისოს არც ერთხელ ასე საჯაროდ არ დაუყენებია ის პრობლემები, რაზეც დღეს საუბრობს, არადა, მეშახტეები 2013 წელსაც ისევე აქტიურად შიმშილობდნენ, როგორც დღეს. ამ ქალბატონმა დააანონსა, რომ, თუკი ხელისუფლება მის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებდა, მაშინ ის წავიდოდა პოლიტიკიდან და ჟურნალისტიკას დაუბრუნდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა, რადგან ტკბილია საპარლამენტო მანდატი და ის გავლენები, რაც პარლამენტარს აქვს. დღეს უკვე აცხადებს, – არც პარლამენტიდან წავალ, არც პოლიტიკიდან და არც პარტიიდან. ასე რომ, „ფსბ“-ს და ცეკას ინტრიგანებს უფრო ადრე არ მოუწიოთ პოლიტიკიდან წასვლა, ვიდრე მეო. დაუზუსტებელია ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი გია ვოლსკი ჩაფიძისთვის „ფსბ“-ს ინტრიგანია თუ ცეკასი, მაგრამ ცხადია, რომ ჩაფიძე უპირისპირდება ირაკლი ტრიპოლსკის და გია ვოლსკის და ამბობს, რომ ვოლსკისთან რამდენჯერმე ჰქონდა ამ პრობლემაზე საუბარი: მან კი მითხრა, დაწერე წერილი და განვიხილოთო. მოკლედ, ელისომ ვოლსკისგან „აგდებულად“ ჩათვალა თავი და პირდაპირ ბიძინა ივანიშვილთან დაასმინა. ახლა კი ეთერიდან ამბობს, რომ, სავარაუდოდ, შესაძლოა, აღარ იყოს მომავალ არჩევნებში. მოკლედ, ელისოც ვაჭრობს, როგორც შეუძლია.

**ვიდრე ელისო ჩაფიძე ახმაურდებოდა, პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი ლევან ლორთქიფანიძე სოციალურ ქსელში პერმანენტულად ეხმაურებოდა გაფიცული მეშახტეების პრობლემებს და ის აქტიურად იყო ჩართული ამ საკითხში. მიმდინარე კვირის მნიშვნელოვან თემებზე გთავაზობთ ინტერვიუს ლევან ლორთქიფანიძესთან და რა თქმა უნდა, საუბარს გოგი თოფაძის სკანდალური განცხადებებით და „რესპუბლიკელების“ ჰიპერაქტიურობით დავიწყებთ.**

**— ლევან, რით ხსნით „მრეწველებისა“ და „რესპუბლიკელების“ დაპირისპირებას, რა შედეგს მოიტანს ეს?**

– ამ ყველაფრის მთავარი მიზეზი თქვენთან ინტერვიუში ვიწინასწარმეტყველე და ვთქვი, რომ მიმდინარეობს ურთიერთშანტაჟის პროცესი, „რესპუბლიკელები“ აშანტაჟებენ მთელ კოალიციას, – გავალთ, და თქვენ აღარ იქნებით პროდასავლური ძალა და თქვენი რეპუტაცია მიწასთან გასწორდებაო. დანარჩენები კი „რესპუბლიკელებს“ აშანტაჟებენ, ჩვენს გარეშე სამპროცენტიანი პარტია ხართ, საარჩევნო ბარიერსაც ვერ გადალახავთ და ხელისუფლებას სიზმარშიც ვერ ნახავთო, არც პარლამენტის თავმჯდომარე გეყოლებათ და არც სამი მინისტრი ხელისუფლებაშიო.


 პრინციპში, ორივე მხარე მართალია, „ქართული ოცნება“ „რესპუბლიკელების“ გარეშე მძიმე დღეში ჩავარდება და, თავის მხრივ, „რესპუბლიკელები“ ვერასოდეს მიაღწევენ იმხელა გავლენას, რასაც მათ ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მიაღწიეს. არჩევნების მოახლოებამ ურთიერთშანტაჟი დაამძიმა, მაგრამ ეს ახლა არ დაწყებულა, შანტაჟი დაიწყო მას შემდეგ, რაც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კოალიცია დატოვეს. ახლა კი, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, თავგადაკლული ბრძოლა მიდის საარჩევნო სიაში ადგილების მოსაპოვებლად, „რესპუბლიკელებს“ კი განსაკუთრებული მოთხოვნები აქვთ სიებთან დაკავშირებით. მათ სურთ, უფრო მძლავრად და სერიოზულად იყვნენ წარმოდგენილები.

**— კულუარული ინფორმაციით, შეიძლება ივანიშვილმა „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციის მიღმა დატოვოს, თქვენ გჯერათ შეთქმულების ამ თეორიის?**

– არა მგონია, ივანიშვილმა გადაიფიქროს „რესპუბლიკელების“ კოალიციაში ყოფნა... უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ბატონი გოგი თოფაძე განცხადებებს დამოუკიდებლად ვერ გააკეთებდა და ასეთი თამამი ვერ იქნებოდა. ეს სცენარი, ალბათ, ბატონმა ივანიშვილმა გაათამაშა, რომ „რესპუბლიკელების“ მადა შეძლებისდაგვარად დაბალანსებულიყო. ასეთი მოქმედებები ივანიშვილის მხრიდან კიდევ იქნება, თუმცა ის „რესპუბლიკელებს“ არ გაწირავს, მაგრამ შეეცდება, მათ ადგილი მიუჩინოს და წარმომადგენლობა შეამცირებინოს, ასეთი დიდი მადა რომ აღარ ჰქონდეთ... მაგრამ მე ვფიქრობ, ამ პროცესებმა ძალიან ცუდი ხასიათი მიიღო და იცით, რატომ? „რესპუბლიკელებს“ უპირისპირდება აბსოლუტურად ოდიოზური ფიგურა, არადა, „ქართულ ოცნებას“ აქვს რესურსი, რომ პრემიერ-მინისტრის გუნდი და მის გარშემო შემოკრებილი ადამიანები გახდნენ „რესპუბლიკელების“ დამბალანსებელი კოალიციაში, მაგრამ პრემიერის ირგვლივ შემოკრებილი ხალხი ხმას არ იღებს. სამაგიეროდ, ალაპარაკებენ გოგი თოფაძეს, რომელიც არაადეკვატური და ღიმილისმომგვრელია ძალიან ბევრ განცხადებაში. გოგი თოფაძემ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში თქვა, – მე ვიცოდი არჩევნები დარღვევით რომ ჩატარდა, ამაზე ხმის ამოღებას არ ვაპირებდი, მაგრამ თინა ხიდაშელმა რომ მახსენა ირონიულად, დამამცირა, ამიტომ ამოვიღე ხმაო. ანუ გოგი თოფაძემ თავად თქვა, რომ ვინმეს ცუდ კონტექსტში რომ არ ვეხსენებინე, ფეხებზე დავიკიდებდი არჩევნების გაყალბებას, არც კი დავინტერესდებოდი, იქ რა მოხდა და ჩუმად ვიქნებოდიო. ბუნებრივია, ასეთი ადამიანის მხრიდან ასეთი არგუმენტების წამოსროლას პირადი წყენის საფუძველზე, შედარებით ნაკლები ფასი აქვს. ვისურვებდი

# ბიძინა ივანიშვილთან?



„ხიდაშელი არ არის ისეთი გავლენიანი ფიგურა, რომ მას პრემიერი ემორჩილებოდეს“

„ელისო ჩაფიძეს თოფიანი კაცივით ეშინია დავით ბეჟუაშვილის და არაფერს ამბობს მის წინააღმდეგ, რომელიც არის რეალურად ამ შახტის მეპატრონე და ბოროტების მთავარი მქმნელი“

კოალიციის შიგნით იყოს ჯანსაღი კონკურენცია, პრემიერ-მინისტრის ირგვლივ შემოკრებილ ხალხსა და „რესპუბლიკელებს“ შორის ეს კოალიციისთვისაც კარგი იქნებოდა და „რესპუბლიკელებსაც“ მადა შეუმცირდებოდათ.

**— როგორ ფიქრობთ, თუკი ამ დაპირისპირების ფონზე „რესპუბლიკელები“ გამარჯვებულები გამოვლენ, შემცირების ნაცვლად მადა ხომ არ გაეზრდებათ?**

– თუ „რესპუბლიკელებს“ კოალიციის შიგნით კონკურენციას გაუწევენ გოგი თოფაძისნაირი არასერიოზული პოლიტიკოსები, რა თქმა უნდა, მათი მადა გაორმაგდება და მართლებიც იქნებიან, სხვა ძალები უნდა გააქტიურდნენ, რომ „რესპუბლიკელების“ მადა მოითოკოს, თუ არადა, ხაზგასმით ვამბობ, ლოგიკური იქნება „რესპუბლიკელების“ მხრიდან პრეტენზიები და მოთხოვნები.

**— „რესპუბლიკელების“ „მცოცავი ანექსია“ გაძლიერდა, ნელ-ნელა იპყრობენ ხელისუფლებას, არასასურველ კადრებს კი აძევებენ. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე აცხადებს, თინა ხიდაშელმა პრემიერ-მინისტრს ულტიმატუმი წაუყენა და ჩემი განთავისუფლება მოსთხოვაო. სანდრო ბრეგაძე საკუთარი ნებით გადადგა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პროცესი არ დასრულდება, პოლიტიკური თავების მოჭრის სეზონი გახსნილია...**

– მთავრობაში რომ ვყოფილიყავი, ამ ულტიმატუმს მეც დავაყენებდი, იმიტომ, რომ ბატონი სანდრო ბრეგაძის ლექსიკონი, მისი საუბრის ტონი მთავრობისთვის შესაფერისი არ არის. საჯარო გამოსვლების დროს ქვეყნის მოქალაქეებს ისეთი სიტყვებით მოიხსენიებს (ვინც არ უნდა იყვნენ ისინი – სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები და ა.შ.), ასე საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს არ ელაპარაკებიან. სანდრო ბრეგაძის განცხადებები მთავრობის იმიჯს აზარალებდა, რადგან მთავრობა არის გამაერთიანებელი – „ასეთების“, „ისეთების“, რელიგიური უმცირესობების, ოპოზიციის და ა.შ. ბატონი სანდროს პოზიციები დამაზარალებელი იყო ხელისუფლების იმიჯისთვის, მაგრამ მის განცხადებებში ვხედავ სხვა რაღაცას, რომ ის თავისი იდეების საფუძველზე განსაკუთრებული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას შეეცდება. მე ვფიქრობ, რომ ის შეიძლება შევიდეს ალიანსში ნინო ბურჯანაძის ბლოკთან, „პატრიოტთა ალიანსთან“, ან სხვა კონსერვატორულ ძალებთან და ეს კარგია. კარგია, რომ იდეების საფუძველზე გადაჯგუფება დაიწყო. არ გამოვრიცხავ, შეიქმნას რადიკალური კონსერვატორული ფრთა ბატონი სანდროსა და მისი მსგავსი ადამიანების მონაწილეობით... და კიდევ, იცით, რა არ მომწონს? როცა მხარეები თინა ხიდაშელისგან ქმნიან სასწაულ ფიგურას, თუ სანდრო ბრეგაძეს მოუსმენთ, მთავარი უბედურება და ჩვენი ქვეყნის მტერი არის თინა ხიდაშელი, თუ დავით ბერძენიშვილს მოვუსმენთ, თინა ხიდაშელი თურმე არის სიქსტის მადონა, ჩამოსული საქართველოს მთავრობაში. ეს ასე არ არის, ერთ ადამიანზე ყველაფერ ცუდის და ყველაფერ კარგის მიწერა არ შეიძლება. ხიდაშელი არის ჩვეულებრივი მინისტრი, „რესპუბლიკელები“ კი ცდილობენ გავლენიან ფიგურად წარმოაჩინონ, მაგრამ რატომ ხედავენ ხიდაშელში საფრთხეს სხვა ძალები, ეს არ მესმის. ხიდაშელი არ არის ისეთი გავლენიანი ფიგურა, რომ მას პრემიერი ემორჩილებოდეს, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული. წარმოუდგენელია, რომ თინა ხიდაშელმა მძევლად აიყვანოს კვირიკაშვილი და ულტიმატუმი წაუყენოს ამა თუ იმ საკითხზე.

**— აშკარაა, რომ კოალიციაში ვითარება დრამატული ხდება, ბიძინა ივანიშვილი კი დუმს, საინტერესოა, როდის გამოჩნდება ის კონკრეტული განცხადებით?**

– არა მგონია, კოალიციიდან „რესპუბლიკელები“ თავისი ნებით გავიდნენ, თანაც გაითვალისწინეთ, რომ ამ პარტიაში ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი პოლიტიკოსები არიან, მაგრამ იმას ვუშვებ, რომ შესაძლოა, „მრეწველებმა“ დატოვონ კოალიცია და სხვაგან მონახონ თავისი ადგილი, მაგალითად – „პატრიოტთა ალიანსთან“, ნინო ბურჯანაძესთან. ყველაფერი მაინც ამ დღეებში გადაწყდება, როცა ყოფილი პრემიერი თავის პოზიციას დააფიქსირებს... ივანიშვილი, უპირობოდ, მთავარი ფაქტორია ამ კოალიციაში და როგორც წარსულში კანონიერი ქურდები ალაგებდნენ ქუჩაში ურთიერთობებს, აი, ზუსტად ასე, კანონიერი ქურდივით, დაალაგებს ივანიშვილი თავის კოალიციაში სიტუაციას.

**— რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის, ელისო ჩაფიძის „გამოღვიძებას“ და მეშახტეთა ბედით დაინტერესებას, ხომ არ უკავშირებთ ამას არჩევნების მოახლოებას? ის, რომ ჩაფიძე ვეღარ იქნება დეპუტატი, თავადაც კარგად იცის. რის მიღწევა სურს?**

– რა თქმა უნდა, მისი გააქტიურება უკავშირდება წინასაარჩევნო კამპანიას. თქვენ იცით, მემარცხენე ჯგუფები დავდივართ რეგიონში აქტიურად, სადაც მაღარო, შახტაა, მათ შორის ვიყავით ტყიბულში, საზოგადოების საქმეში ჩახედულ ადამიანს ტყიბულში რომ ჰკითხოთ, ყველამ იცის, რომ არის ძალიან მძიმე კონკურენცია მაჟორიტარის პოსტის დასაკავებლად ტყიბულის რაიონში. ერთი მხრივ, მაჟორიტარად კენჭისყრას აპირებს განათლების მინისტრის მრჩეველი ოთო აბესაძე და მეორე მხრივ, მაჟორიტარობის კანდიდატი არის ელისო ჩაფიძე და მათ შორის გაჩაღებულია უმძიმესი დაპირისპირება. ამას ჩვენ გვიყვებიან ტყიბულელები, არჩევნები მოახლოვდა და ბატონი ოთო აბესაძე აპირებდა ტყიბულელების შესახებ ეთქვა ერთი-ორი სიტყვა და ელისო ჩაფიძემ დაასწრო. ამასთანავე, ძალიან გასაოცარია, რასაც ელისო ჩაფიძე ამბობს და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქალბატონმა ჩაფიძემ არ იცის, როგორ დაიცვას მუშათა უფლებები საკანონმდებლო დონეზე. ის მხოლოდ მთიანი რეგიონის კანონის მიღებას ითხოვს. ცხადია, ეს მნიშვნელოვანია, ეს მუშას 10%-იან შეღავათს აძლევს ხელფასის აღების დროს, მაგრამ ელისო ჩაფიძე არაფერს ამბობს შრომით კოდექსში შესატან ცვლილებებზე და სამმხრივი კომისიის შეკრებაზე, სადაც უნდა შედიოდნენ ბიზნესმენები, პროფკავშირი და ხელისუფლების წარმომადგენლები. ელისო ჩაფიძეს თოფიანი კაცივით ეშინია დავით ბეჟუაშვილის და არაფერს ამბობს მის წინააღმდეგ, რომელიც არის რეალურად ამ შახტის მეპატრონე და ბოროტების მთავარი მქმნელი. შესაბამისად, ადამიანებს ელისო ჩაფიძის გულწრფელობის არ სჯერათ. მან არ იცის, როგორ დაიცვას მუშების ინტერესები და ვერ ბედავს რიგი მოქალაქეების წინააღმდეგ წასვლას, გია ვოლსკისა და გია ჟორჟოლიანის გალანძღვა, მათ წინააღმდეგ სიტყვის თქმა პრობლემას არ წარმოადგენს. ეს მუშები 2013 წელსაც რამდენჯერმე გაიფიცნენ. ამ დროს ელისო ჩაფიძე იყო დეპუტატი და ბეჟუაშვილისა და



ექსპერტი

სხვა მხარეების მომრიგებელი შეხვედრების ორგანიზატორი. რეალური ნაბიჯები ამ მხრივ არ გადადგმულა. ცხადია, ის იბრძვის არჩევნებისთვის და არავის სჯერა მისი განცხადების, რომ ის პოლიტიკიდან წავა, ოღონდ მაღაროელები გადარჩნენ. ზოგადად, კარგია, რომ ხმა ამოიღო და ეს საკითხი დააყენა დღის წესრიგში. ქალბატონი ელისო სარგებლობს იმ არეულობით, რაც შექმნილია კოალიციაში და სურს, ეს სათავისოდ გამოიყენოს და თვითონაც გამოჩნდეს, როგორც ფაქტორი და მოთამაშე. მე ის გამიკვირდა, რაც მან თქვა, ხელისუფლებაში ყოფნის დროს დეპუტატს უჭირს თავისი ამომრჩევლის დაცვაო. ეს არის ალოგიკური განცხადება. სახელისუფლებო ფრაქციის წევრი თუ ხარ და შენ არავინ გისმენს, ე.ი. არაფერს წარმოადგენ, წონა არ გაქვს, აქამდე არაფერი გიკეთებია, პატივს არ გცემენ. სჯობს, ჯერ საკუთარ თავს მიუთითოს ქალბატონმა ჩაფიძემ და მერე სხვებს.

**— პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი არმაზ ახვლედიანი პერმანენტულ შოკურ თერაპიას უწყობს კოალიცია „ქართულ ოცნებას“. აი, რას აცხადებს იგი: „გიორგი კვირიკაშვილმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაათავისუფლოს „ქართული ოცნება“ ბებერი პოლიტიკური ნიანგებისგან...“ ასევე, ის ღიად საუბრობს, რომ „ოცნებაში“ კომუნიზმი მძვინვარებს და დემოკრატიისგან ისინი შორს დგანან. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და რატომ ინარჩუნებს იგი კვლავ პოზიციებს „ქართულ ოცნებაში“, თუკი თვლის, რომ ვადაგასულ პოლიტიკურ ნიანგებთან და ვადაგასულ პოლიტიკოსებთან გვაქვს საქმე. არმაზმაც ახლა გამოიღვიძა?**

– ბატონ არმაზს ძალიან კარგად ვიცნობ, ის არის ძალიან კარგი მოსაუბრე და პოლიტიკაზე მეტად, მის ადგილს რომელიმე რიტორიკის შემსწავლელ სკოლაში ვხედავ, როცა საუბრობს ბებერ ნიანგებზე და მფრინავ სპილოებზე, არ მესმის მანამდე ისინი იქ არ იყვნენ? კოალიციაში მათთან ხომ თანამშრომლობდა? ასე რომ, ნიანგები რომ იყვნენ კოალიციაში, მან გადასარევად იცოდა. როგორც ჩანს, თავად ვერაფერი გააწყო მათ წინააღმდეგ და გაბრაზებულია. ეს გაბრაზებაც ლოგიკურია, რადგან არმაზმა კოალიციაზე გავლენა დაკარგა. აშკარაა, პოლიტიკოსების კრიზისია, რაც შეიძლება გამოიხატოს ვადამდელ არჩევნებში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. მე ვფიქრობ, გამოჩნდებიან ახალი პოლიტიკური ძალები. არ ვვარაუდობ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოხდეს სამოქალაქო ომი, ან დაპირისპირება, რადგან ჩვენ სამოქალაქო ომის კომპლექსი გვაქვს, ასეთ სასწაულს არ ველი, მაგრამ იმას, რომ 2016 წლის შემდეგ შესაძლოა, ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა დადგეს, არ გამოვრიცხავ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ალია

## კუკავა: დღეს ქოცმანდერინგით არის დაკავებული დღევანდელი ხელისუფლება

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ვენეციის კომისიისგან, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, კონკრეტულ რეკომენდაციებს ელოდება.

– ვფიქრობ, იქნება კონკრეტული რეკომენდაცია, რომ ოლქის საზღვრები არ შეესაბამება ევროპულ პრაქტიკას და ჩვენს პრეზენტაციაშიც, რომელსაც ეწოდებოდა ჯერი მანდერინგი, აქცენტი იყო გაკეთებული ამაზე. ანალოგია არის ჯერი მენდერინგის პრაქტიკისგან, რომელიც ასი წლის წინათ, ამერიკაში იყო ერთ-ერთი შტატის სენატორი და რომელმაც შეცვალა საარჩევნო ოლქის საზღვრები, რის შემდეგაც დამკვიდრდა ეს ტერმინი, ჯერი მანდერინგი, რაც ნიშნავს, რომ საარჩევნო ოლქის საზღვრების შეცვლა ისეთნაირად, რომ შენთვის სასარგებლო იყოს შემადგენლობა. დღეს ქოცმანდერინგით არის დაკავებული დღევანდელი ხელისუფლება, – განაცხადა კუკავამ. (news.ge)

## „ზოგიერთი სამინისტრო არსებული გამოწვევების გამო შევქმენით, მაგრამ დავაფიცეთ „ოცნებას“, მათი მოდერნიზაცია არ მოახდინოს?“

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი გარკვეული სამინისტროების გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოსაზრებას ეთანხმება.

– „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლის დროს სხვა გამოწვევები იყო. ჩვენ კონსტიტუციაში ხომ არ ჩავწერეთ, ამდენი სამინისტრო უნდა იყოსო? ვინმემ უთხრა, რომ არ შეამციროთო? იყო გამოწვევები და ამ გამოწვევებს სჭირდებოდა პასუხები. ახლა აღარ არის ეს გამოწვევები – ყველა დროს თავისი გამოწვევა აქვს. რაღაც პერიოდის წინ ამა თუ იმ სამინისტროს შექმნა იყო გამართლებული. თუ სამინისტროს ფუნქციონირებამ თავისი თავი ამოწურა, არ უნდა იყოს „ათადან და ბაბადან“. მუდმივად უნდა უბრუნდებოდეს ხელისუფლება ამ თემას. სამინისტრო იქმნება კონკრეტული მიზნისთვის და როდესაც ეს ამოცანა შესრულებულია, უნდა გაუქმდეს, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა შემცირდეს ადმინისტრაციული ხარჯები.

– მე ვეთანხმები იმას, რომ ადმინისტრაციული ხარჯები შესამცირებელია. 400-500 მილიონი ლარით ადმინისტრაციული ხარჯები ჯერ კიდევ 2015 წლის ბიუჯეტში იყო შესამცირებელი. ბიუჯეტის დამტკიცების დროსაც ვამბობდით, რომ დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარით არის შესაძლებელი ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. მაგალითად, შესაძლებელია, ისეთი უაზრო ხარჯის შემცირება, როგორიც არის პრემიერ-მინისტრთან არსებული ეკონომიკური საბჭოს ხარჯები, რომელიც ბოლოს როდის შეიკრიბა, არავინ იცის, – აღნიშნა მაჭავარიანმა. (bpn.ge)

## რა მუქარა შეუთვალა განერვიულებულმა სააკაშვილმა ლალი მოროშკინას



ორგანიზაცია „ძლიერი ქალი ძლიერი სახელმწიფოს“ დამფუძნებელ ლალი მოროშკინას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიუნხენიდან ჩაერთო „რუსთავი 2“-ს, ძალიან განერვიულებული იყო და ამის მიზეზი არის წიგნი, რომლის გამოცემის ინიციატივითაც მას რუსულმა და უკრაინულმა მხარეებმა მიმართეს. ლალი მოროშკინას თქმით, სააკაშვილის გაღიზიანება იმანაც განაპირობა, რომ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „ენტევე“-ს ეთერში გადაიცა ფილმი მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულების შესახებ.

მოროშკინას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა შუამავლების მეშვეობით მას მუქარა შეუთვალა და ნახსენები იყო ბესიკ ხარძიანის მკვლელობაც. (exclusivenews.ge)

## თამარ კორძაია: გოგი თოფაძეს სურდა, მიეჩქმალა ის ძირითადი თემა, რაზეც „რესპუბლიკელები“ ვსაუბრობთ



– გოგი თოფაძე თავად უარყოფს იმ დეკლარაციას, რომელზეც მას ხელი აქვს მოწერილი და სადაც წერია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მიზანი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაა, ხოლო, როდესაც საუბრობს, რომ საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური ქვეყანა, იგი დარტყმის ქვეშ აყენებს კოალიციის მიერ გაცხადებულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თამარ კორძაიამ დეპუტატ გოგი თოფაძის განცხადებების კომენტირებისას ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში განაცხადა.

– დაპირისპირება არა „რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის, არამედ გოგი თოფაძესა და კოალიციას შორის, გოგი თოფაძესა და საქართველოს მთავრობას შორისაა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, – განაცხადა თამარ კორძაიამ. (news.ge)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი სკანდალი თბილისის მერიაში აგორდა. „ნაცმოძრაობის“ წევრმა ნიკა მელიამ გაასაჯაროვა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, მერიის 2015 წლის სარეზერვო ფონდიდან, ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით, ისნის რაიონის პროკურორის, ლეონიდ გერგედავას შვილს, თამარ გერგედავას, 5400 ლარი გამოეყო. ამ თანხის გადარიცხვას საფუძვლად დაედო თამარ გერგედავას განცხადება, ის საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში სწავლობს და ამ თანხით მერიამ მას საფრანგეთში ცხოვრების ხარჯები დაუფარა. ასევე, გავრცელდა დადასტურებული ინფორმაცია, რომ თამარ გერგედავას ეს თანხა გადაერიცხა, როგორც სოციალურად დაუცველს. ეს იმ ფონზე ხდება, როცა საქართველოში 38 000 სტუდენტს, სწორედ სასწავლო ქირის გადაუხდელობის გამო, სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული. თამარ გერგედავასთვის ამ 5 400 ლარის გადარიცხვის დოკუმენტს, თბილისის ბედშავი და შეცდომით არჩეული მერი, დავით ნარმანია აწერს ხელს.

გაჩნდა კითხვა, რა კავშირი აქვთ ნარმანიასა და პროკურორ გერგედავას იმის გარდა, რომ ორივე წარმოშობით მეგრელია? ირკვევა, რომ თამარ გერგედავა მერიის ყოფილი თანამშრომელია და ნარმანიას უწყებასთან აქედან ჰქონდა შეხება. მას შემდეგ, რაც საქმე გახმაურდა, მერიის შესაბამისი სტრუქტურები გამოცოცხლდნენ. გაავრცელეს განცხადება, მოკვლევა ჩავატარეთ, საქმე შევისწავლეთ და დადგინდა, რომ თამარ გერგედავა სოციალურად დაუცველი არ იყო, დაუმსახურებლად მიიღო ეს თანხა და ამაში დამნაშავე მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კონკრეტული თანამშრომელიაო. მოკლედ, მერი ახლა ცდილობს, ჯოხი მეისრეზე გადატეხოს, მაგრამ იმ დოკუმენტს რა ვუყო, რომელსაც ბეჩავი დავით ნარმანიას ხელმოწერა ამშვენებს და სწორედ ამ ხელმოწერის საფუძველზე გადარიცხა თამარ გერგედავასთვის თანხა – 5 400 ლარი?

ამ აჟიოტაჟის ატეხიდან მეორე დღესვე, ისნის რაიონის პროკურორმა ლეონიდ გერგედავამ, ანუ თამარ გერგედავას მამამ, ბანკიდან სესხი აიღო და მერიას ეს 5 400 ლარი უკან გადაურიცხა. საინტერესოა, თავად ლეონიდ გერგედავას განცხადება ამ ფაქტთან დაკავშირებით და მას სრულად გთავაზობთ.

„ჩემმა შვილმა თამარ გერგედავამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები „სორბონის უნივერსიტეტში“ ინგლისურენოვან ფაკულტეტზე. რადგან აღნიშნულ ფაკულტეტზე სწავლა არ ფინანსდებოდა უნივერსიტეტის მიერ და დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ჩემი ოჯახი კი ვერ შესწვდებოდა საფასურის გადახდას, სასწავლებლად ვერ წავიდა. 2015 წლის ივლისში თამარმა იმავე უნივერსიტეტში ფრანგულენოვან ფაკულტეტზე ჩააბარა, რაც გაცილებით ნაკლებ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ფრანგულენოვანი პროგრამის გამო.

ჩემი შვილი პროფესიით იურისტია და ვიდრე „სორბონის უნივერსიტეტიდან“ პასუხი მოვიდოდა, მან საკუთარი სურვილით, ისე, რომ ოჯახის წევრებისთვის არ უთქვამს, ტესტირება გაიარა თბილისის მერიაში – 60 ქულიდან 58 ქულა მიიღო და იურიდიულ სამსახურში სპეციალისტად დაინიშნა. რამდენიმე თვის შემდეგ, დადებითი პასუხი მოვიდა უნივერსიტეტიდან და დღის წესრიგში მისი საფრანგეთში გამგზავრება დადგა. ჩემმა ოჯახმა გარკვეული თანხის მობილიზება მოახდინა, ხოლო ნაწილის მოძიებაში მისმა სამსახურმა მიიღო მონაწილეობა. თამარმა მე და დედამისს გვითხრა, რომ სამსახური უფინანსებდა საფრანგეთში გამგზავრებისთვის საჭირო თანხის ნაწილს. მე ჩავთვალე, რომ თბილისის მერიას ჰქონდა გარკვეული სახის პროგრამა ან ფონდი, რომელიც თანამშრომლებს განათლების მიღებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში ეხმარებოდა. ამის გამო არ დავინტერესებულვარ, თბილისის მერია რა ფორმითა და რა დოკუმენტაციით მოახდენდა საკუთარი თანამშრომლის დაფინანსებას. რა თქმა უნდა, რომ მცოდნოდა ჩემი შვილის დაფინანსება სოციალურად დაუცველის სტატუსით მოხდებოდა, ამას ნამდვილად არ დავუშვებდი, რადგან მეც და ყველამ, ვინც მიცნობს, ზუსტად ვიცით, რას ნიშნავს სოციალურად დაუცველი ადამიანები და მათი ტკივილი. არაერთხელ მქონია მათთან შეხება და პირადად საკუთარ თავზეც გამომიცდია, რას ნიშნავს გაჭირვებისა და პრობლემების წინაშე მდგარი ადამიანი. დამიჯერეთ, არასდროს დავუშვებდი ასეთ რამეს. ეს ჩემთვის ძალიან სენსიტიური თემაა. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ჩემს ცხოვრებაში ყოფილა უმძიმესი წუთები, ვყოფილვარ რთულ და გამოუვალ მდგომარეობაში, თუმცა დახმარების სათხოვნელად არასდროს არც ერთი უწყებისთვის არ მიმიმართავს – მეგობრების გარდა, არავინ შემიწუხებია. მას შემდეგ, რაც ჩემთვის ტელევიზიის საშუალებით გახდა ცნობილი, რომ ჩემი შვილი სოციალურად დაუცველის სტატუსით დაფინანსდა და ვინაიდან აღნიშნული სტატუსი სიმართლეს არ შეესაბამება, მივიღე გადაწყვეტილება, ბანკიდან გამოვიტანე სესხი და აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე დავაბრუნე“, – განაცხადა პროკურორმა ლეონიდ გერგედავამ. ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ თამარ გერგედავამ ისე მიმართა მერიის კონკრეტულ სამსახურს დახმარებისთვის, რომ ამის შესახებ ოჯახის წევრები არ ჩააყენა საქმის კურსში. რა ვიცი, ლეონიდ გერგედავა ასე ამბობს. მე ის ვიცი, რომ, როცა უცხოეთში სწავლობს შვილი, მისი იქ სწავლა-დაფინანსების საკითხის ყველა დეტალი ოჯახის წევრებთან თანხმდება და წესით, ლეონიდ გერგედავას უნდა სცოდნოდა, რომ მისმა შვილმა დახმარებისთვის მერიას მიმართა და თან მოიტყუა – სოციალურად დაუცველი ვარ და დამეხმარეთო. ახლა ვინმე იტყვის, ლეონიდ გერგედავა რის პროკურორია, საკუთარ ოჯახში რა ხდება, ის ვერ გაურკვევიაო და ადექი და გაამტყუნე.

ისე გამოდის, რომ არც დავით ნარმანიამ იცოდა, ისნის რაიონის პროკურორის შეძლებული ოჯახის შვილს რომ აფინანსებდა სოციალურად დაუცველის სტატუსით და არც ლეონიდ გერგედავამ იცოდა, ნარმანია შვილის პარიზში ცხოვრების ხარჯებს რომ უფინანსებდა. ამას რომელი იდიოტი დაიჯერებს? ეს სხვა არაფერია, თუ არა ცალკე ნარმანიასა და ცალკე ლეონიდ გერგედავას „გაპრავება“.

მერიის იურიდიული სამსახურის ყოფილმა უფროსმა, ამჟამად საკრებულოს წევრმა, ირაკლი აბესაძემ „ალიას“ განუცხადა, რომ თბილისის მერის საქციელი არაკანონიერია. უკეთეს შემთხვევაში, მერს შეეძლო, უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქე დაეფინანსებინა. ირაკლი აბესაძე აცხადებს, რომ ჯოხი მართლა დაბალ ღობეზე ტყდება და მთავარი დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან. თუმცა, ირაკლი აბესაძე არ გამორიცხავს, რომ მთავარი დამნაშავე დავით ნარმანია აღმოჩნდეს.

ამ ამბიდან 2 დღის შემდეგ, როგორც იქნა, დავით ნარმანიამ კომენტარი გააკეთა. ის ირწმუნება, რომ შეცდომაში შესაბამისმა სამსახურებმა შეიყვანეს, რის გამოც თანამდებობიდან „საშუალო რანგის თანამშრომელი განთავისუფლდა“.

„ეს არის შეცდომა, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა“, – თქვა თბილისის მერმა. „გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოციალურად დაუცველთა მუხლიდან დავეხმარეთ ჩვენ თამარ გერგედავას. ასეთი რამ არ ყოფილა. სხვა სოციალური ღონისძიებებიდან, საიდანაც შეჭირვებული ოჯახების სწავლის საფასური ფინანსდება, იქიდან მოხდა მისთვის თანხის გამოყოფა. თუმცა, ოჯახი არ ყოფილა შეჭირვებული და ამის შესწავლა უნდა მომხდარიყო“, – აცხადებს დავით ნარმანია. მისი თქმით, ყველა განცხადებას ის ვერ გადაამოწმებს და ამისთვის მერიაში არსებობენ შესაბამისი სამსახურები. ირაკლი აბესაძეს კი არ სჯერა, რომ დავით ნარმანია სუფთაა ამ საქმეში და საკმაოდ მყარი არგუმენტებიც აქვს: „ერთი მხრივ, ჩვენ ვსაუბრობთ თბილისის მერზე, მეორე მხარეს კი საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი, თბილისის ერთ-ერთი რაიონის პროკურორია. აქ საქმე გვაქვს აშკარა დანაშაულთან, მინიმუმ, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასთან და ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. შესაძლოა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან გვქონდეს საქმე, უფრო დიდ დანაშაულთან. თუმცა, ეს უკვე სამართლდამცავების გადასაწყვეტია. ჩვენ ვსაუბრობთ მერიის სოციალური სამსახურის მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხაზე, ლაპარაკია პარიზში კონკრეტული ადამიანის საცხოვრებელი ქირის გადახდაზე. მოდით, ახლა ჩავატაროთ ექსპერიმენტი და ძალიან ნიჭიერმა ადამიანმა, სტუდენტმა, გინდათ პარიზში, გინდათ ბრიტანეთში, მოსთხოვოს დაფინანსება-სწავლის საფასური მერიის სოციალურ სამსახურს. თუ არ ექვემდებარება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას, იმავე დღეს უარს ეტყვიან. აი, პროკურორ გერგედავას შვილს კი უარი არ უთხრეს, მიუხედავად იმისა, რომ იცრუა და არ იყო სოციალურად დაუცველი. არ მინდა თქვენი მკითხველი შეცდომაში შევიყვანო და ამას განვმარტავ. დავით ნარმანიამ თამარ გერგედავა მერიის სარეზერვო ფონდიდან დააფინანსა, მაგრამ ეს დაფინანსება სოციალურად დაუცველთა კვოტიდან გავიდა, ანუ მერმა სარეზერვო ფონდიდან თანხა გადაიტანა სოციალური მომსახურების სამსახურში და იქიდან დაფინანსდა გერგედავა. რაც დავით ნარმანიამ და პროკურორმა გერგედავამ გააკეთეს, ეს არის უსინდისობა. რა დროს პარიზში საცხოვრებლის ქირის გადახდაა, როცა ხალხი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მშიერი კვდება? მერიაში დიდი რიგია გაჭიმული. რომ მართლა სოციალურად დაუცველებმა ერთჯერადი დახმარება მიიღონ. იცით, რამდენია ამ ერთჯერადი დახმარების მაქსიმუმი? 200 ლარი და ამ თანხას, ცხადია, ყველას არ აძლევენ. ეს არის ელემენტარული პურის ფული, ამ დროს ჩვენ ვლაპარაკობთ, მაღალხელფასიანი, საკმაოდ სოლიდური ქონების მფლობელი პროკურორის შვილის დაფინანსებაზე. ეს სირცხვილია და მეტი არაფერი“. – განუცხადა „ალიას“ ირაკლი აბესაძემ.

მოგვიანებით, „პირველმა რადიომ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ „საშუალო რგოლის“ წარმომადგენელი, ვინც „ნარმანია შეცდომაში შეიყვანა“ ვინმე ვერიკოა, გვარად ხელისუფალი... თუმცა, ეს დეტალები უკვე ამ კვირაში გახდება ცნობილი.

## ვის შეაწმინდა ხელები დავით ნარმანიამ პროკურორის შვილის დაფინანსების სკანდალურ საქმეში?


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება № 3852
8 სექტემბერი 2015 წ.




**„რა კავშირი აქვთ ნარმანიასა და პროკურორ გერგედავას იმის გარდა, რომ ორივე წარმოშობით მეგრელია?“**

### პარიზის სკანდალი

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# როგორ ცდილობს „ბაზისბანკი“ თაღლითური გზით კლიენტების ქონების მითვისებას!

**ადამიანები თავს იკლავენ და 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული საქმე, დამნაშავე ბანკირები კი ამ მუხლით გასამართლებული ჩვენ ჯერ არ გვინახავს**



**ბიძინა ივანიშვილის ცრუ დაპირება ბევრი ადამიანისთვის სიცოცხლის დასასრული აღმოჩნდა! ვინ აგებს ამაზე პასუხს?**

ბაზისბანკი BASISBANK სასარგებლო ბანკი

ბანკებს მოქალაქეები თვითმკვლელობამდე მიჰყავთ, ეს არის ყველაზე შავბნელი სექტანტური ორგანიზაცია, რომლებიც ნადირობენ ქონების დათრევაზე და ადამიანის განადგურებაზე. ერთ-ერთი ასეთი ბანკი გახლავთ „ბაზისბანკი“, რომელიც სამარცხვინო ბანკების ჩამონათვალში ლიდერობს. წამყვანი ბანკები პრივატულ საუბარში არ მალავენ და ამბობენ, რომ „ბაზისბანკთან“ საქმე არ უნდა დაიკავო. ლიდერი ბანკები მეტ-ნაკლებად ცდილობენ კლიენტთან ურთიერთობის ნორმალიზებას, მაგრამ „ბაზისბანკი“ აღმოჩნდა ის შეუვალი კედელი, რომელსაც თავითაც ვერ გაანგრევ. ის, რაც ხდება დღევანდელ ქართულ საბანკო სისტემაში, ალბათ, ყველაზე კვაზი და შავრაზმულია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეროვნული ვალუტის ინფლაცია მოხდა ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში, მაგრამ ყველაფერი გააკეთა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, რომ კრიზისი მყისიერად დასტაბილურებულიყო. ყაზახეთში ნაზარბაევმა ეროვნული ვალუტის კრიზისის დროს ხალხს პრობლემა შეუმსუბუქა და კრედიტები იმ კურსით გადაახდევინა, რაც კურსის დაცემამდე იყო. რა ხდება ამ მხრივ საქართველოში? ხდება ის, რომ ადამიანები თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს და ასე მოხდა სულ ახლახან, როცა 13 ივნისის გმირმა, 30 წლის ირაკლი იმნაძემ ფინანსური პრობლემების გამო თავი მოიკლა. უფრო მანამდე, 2014 წელს ცნობილმა ბიზნესმენმა, ყოფილმა პარლამენტარმა თემურ ჩარკვიანმა, რომელსაც ბანკების ძალიან დიდი დავალიანება ჰქონდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იყო შემთხვევა, როცა ბანკის ოფისის წინ ადამიანმა თავი დაიწვა, რომელიც უძლური იყო, საბანკო დავალიანება გადაეხადა და ბანკმა ის გააკოტრა. მერე რა, რომ ადამიანები თავს იკლავენ და გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს, ამ მუხლით გასამართლებული დამნაშავე ბანკირები ჯერ არ გვინახავს. თუკი წინა ხელისუფლება ადამიანებს პირდაპირი გაგებით სულს ხდიდა, რასაც მატერიალური ტრაგედია ემატებოდა, ბიძინა ივანიშვილის მმართველობის პერიოდში, მისი დაპირების მიუხედავად, სულის ამოხდის პროცესს საბანკო სექტორი განაგრძობს და დღეს ის საბანკო სექტორია, რომელიც ძალოვანი სტრუქტურის ფილიალს წარმოადგენდა სააკაშვილის რეჟიმის დროს და პირდაპირ აწვდიდნენ კონფიდენციალურ ინფორმაციას მოქალაქეების შესახებ, ვისი ბრუნვაც 100 ათას ლარს სცდებოდა. ამის მიხედვით ხდებოდა ადამიანების დაჭერა და გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლება. ამ სქემას, იყო დრო, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ჩვენთან ინტერვიუში შიფრავდა და გულისტკივილით აცხადებდა, რომ საბანკო სექტორი ადეიშვილის, მერაბიშვილისა და სააკაშვილის ხელში ადამიანების გაუბედურებისა და თვითმკვლელობის ინსტრუმენტი იყო. სანამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდოდა, წინასაარჩევნოდ ივანიშვილი აჭარის რეგიონში გრანდიოზულ შეხვედრებს მართავდა და აცხადებდა: „ყველას ექნება საშუალება, იაფი, ხელმისაწვდომი და ხანგრძლივი ფულის აღების 10-დან 20 წლამდე, პროცენტი იქნება მაქსიმუმ — 1, 2 და 3, უმეტესწილად კი იქნება უფასო ფული... ივანიშვილი აჭარლებს ჰპირდებოდა, რომ კრედიტები გაუიაფდებოდათ და ხელისუფლება დაეხმარებოდათ, ეს პროცესი უმტკივნეულო ყოფილიყო. აი, რას აცხადებდა ივანიშვილი 2012 წელს: „საერთო პრობლემები, რაც რეგიონში იკვეთება იპოთეკური კრედიტებია და მიმდინარეობს მუშაობა, მოსახლეობას ეს პრობლემა ნაწილობრივ მაინც შეუმსუბუქდეს. ამ პრობლემას აჭარიდან ვიწყებთ და უახლოეს ერთ კვირაში მოვაგვარებთ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვალთ...“ არადა სწორედ აჭარიდან დაიწყეს ბანკირებმა ხალხის გაუბედურება. ბიძინა ივანიშვილის ცრუდაპირება ბევრი ადამიანისთვის სიცოცხლის დასასრული აღმოჩნდა. ვინ აგებს ამაზე პასუხს? ბანკებმა საბოლოოდ აიშვეს, გათავხედდნენ და ამ გაუკონტროლებელ სფეროში ათასი მაქინაცია დაიწყეს. სწორედ ხალხის გაუბედურების ხარჯზე მილიარდები დააგროვეს და როცა ქვეყანაში ლარის დევალვაცია დაიწყო, ბანკებმა, იმის ნაცვლად, რომ მომხმარებელთან დათმობაზე წასულიყვნენ, უფრო მეტად კაბალურ პირობებში ჩააყენეს ისინი. საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან, რომელიც ყველა მიმართულებით ცდილობს, პოზიტივი შეიტანოს, დღემდე არ მოგვისმენია მისი პოზიცია, თუ რას ფიქრობს საბანკო სექტორზე, რომლებიც რეკეტიორები არიან.

ახლა მინდა ერთი-ერთი ბიზნესმენის ისტორია გიამბოთ, რომელიც ორი კვირის წინ დაგვიკავშირდა და საკუთარი უბედურება მოგვიყვა, რაც მას „ბაზისბანკთან“ გადახდა. ის გახლავთ აჭარიდან, მირიან მახარაძე, გადამზიდავი კომპანია „მირტრანსის“ ხელმძღვანელი. ჯერ იყო და „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორც ყველა, ისიც უმიზეზოდ დააკავა, რადგან მის საბანკო ანგარიშზე ფული ფიქსირდებოდა. მაშინ „დადგენილი თანხის“ — 100 ათასი ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს, ახალი ხელისუფლების პირობებში კი მისმა ტრაგედიამ „ბაზისბანკში“ გადაინაცვლა...

მირიან მახარაძემ ჩვენთან საუბარში გაამხილა, — მივტირი იმ დროს, როცა ერთი რიგითი „ტრაილერის“ მძღოლი ვიყავი, მაშინ რა ბედნიერი ვყოფილვარ, ახლა ვაცნობიერებ. ჩემი ტრაგედია მაშინ დაიწყო, როცა დამოუკიდებელი ბიზნესის კეთება გადავწყვიტე. ბევრი სირთულე გამოვიარე, მაგრამ დღეს უმძიმეს მდგომარეობაში ვარ, ჩემი სიმართლის გამო „ბაზისბანკი“ საკუთარ დასა და მის ოჯახს მაკარგვინებს. შარშან, იანვრის შემდეგ, როდესაც დოლარის კურსმა თამაში დაიწყო, ჩემი ბიზნესი უკან-უკან წავიდა, ტვირთბრუნვამ იკლო. მივედი „ბაზისბანკში“ და ჩემს კრედიტოფიცერს ვთხოვე, სესხის გადანაწილება გაეკეთებინა. რამდენიმე დღის შემდეგ ძლივს მაღირსეს პასუხი, დამატებითი ქონების ჩადება და კაბალური პირობები შემომთავაზეს, ეს მაინც არ გამოდიოდა გრძელვადიანი სესხი.

**— როდის იწყება თქვენი პრობლემები „ბაზისბანკთან“?**

– 2013 წლის მარტში დამიმტკიცეს სესხი, 200 ათასი დოლარი, მანამდე ვიყავი „საქართველოს ბანკის“ კლიენტი, ამ ბანკთან ურთიერთობის პრობლემა არ მქონია, მაგრამ „ბაზისბანკი“ დამპირდა, უკეთეს პირობებს შემოგთავაზებთო. ამ ბანკში ჩავდე ჩემი სახლი აჭარაში, თხილის ბაღი – 4000 კვ.მ., ჩემი ბაზის ტერიტორია – 4150 კვ.მ.; კომპანიის მანქანები, დამატებით მომთხოვეს ჩემი დის სახლის ჩადება. მე ვუთხარი, რომ საკმარისზე მეტ ქონებას ვდებ და საჭირო არ იყო ჩემი დის ბათუმის ბინის ჩადება, მაგრამ „ბაზისბანკმა“ მიპასუხა, რომ, თუ ჩემი დის ბინას არ ჩავდებდი, სესხს არ მომცემდნენ. ვიფიქრე, ერთ თვეში ბინას გამოვიხსნიდი... ერთ თვეში ბანკს ვეუბნებოდი, გაეთავისუფლებინა ჩემი დის, მარინა მახარაძის ბინა. ყოველთვიურად 4650 დოლარს ვიხდიდი უპრობლემოდ, ბანკს ვთხოვე, თუ თქვენ რეალურად ვერ აფასებთ ჩემს ქონებას, მოვიყვან აუდიტს და ის შეაფასებს-მეთქი. მარტო ჩემი ბაზა სალიკვიდაციო ფასში რომ გამეყიდა, 250 ათას დოლარად უპრობლემოდ გავყიდდი. თითქმის ნახევარი მილიონი დოლარის ქონება მიზერულ თანხაში ჩაიდეს. ძლივს მივაღწიე ჩემი დის ბინა დამეხსნა ბანკიდან, გამიკეთეს ახალი ხელშეკრულება და გადახდის ახალი გრაფიკი. ამ ხელშეკრულებაში აღარ ფიქსირდება მარინა მახარაძის ბინა და გამეზარდა გადასახადი 0,5%-ით. ცნობა წამოვიღე ბანკიდან, რომ ჩემი დის ბინა აღარ იყო იპოთეკით დატვირთული და ჩავაბარე პატრონს, რომ საჯარო რეესტრში მისულიყო და ბინა ოფიციალურად გამოეთავისუფლებინა, ეს იყო დაახლოებით 2013 წლის ნოემბერი, მაგრამ მოხდა სამწუხარო ამბავი, ჩემი და ავტოკატასტროფაში მოხვდა და ფურცელი დაიკარგა. მივედი „ბაზისბანკში“ ხელახლა, რომ ამეღო წერილი ბინის იპოთეკიდან განთავისუფლების შესახებ, ძალიან დიდხანს მაწვალეს, პასუხი რომ გაეცათ და ბოლოს მითხრეს, წერილი ბანკში არ იძებნებაო. თუმცა კრედიტოფიცერი, ვინც ეს საბუთი თავდაპირველად მომცა, იმედს ვიტოვებ, სასამართლოში სიმართლეს იტყვის.

**— რა მოტივაციით გითხრეს უარი წერილის ხელახლა გაცემაზე, რომლითაც დასტურდება, რომ თქვენი დის ბინა იპოთეკით დატვირთული აღარ არის?**

– „ბაზისბანკის“ იურისტს, ანი ჭელიძეს ვუთხარი ჩემი პრობლემის შესახებ, მან მიპასუხა, ბანკიდან აღებული წერილი მომიტანეო. წერილი რომ მქონოდა, იუსტიციის სახლში მივიტანდი. როგორ შეიძლება დაიკარგოს, არქივში არ იყოს, ან დოკუმენტს ვადა გასვლოდეს-თქო. მიპასუხა, ეს საკითხი არ მეხებაო.

**მირიან მახარაძე ჩვენთან საუბარში ჰყვება, რომ ბანკს აქვს მცდელობა, ჩაძიროს და მისი ქონება მიითვისოს. ისეთ გაუგონარ პირობებს სთავაზობენ, შეუძლებელია ბანკის მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ფაქტობრივად, ლომბარდის პირობებზე მიდის „ბაზისბანკი“, გაუგონარ ჯარიმებს უწესებს მაშინ, როცა მირიან მახარაძემ შეძლო და 200-ათასდოლარიანი სესხი 145 ათას დოლარამდე შეამცირა. ფორსმაჟორში ეროვნული ვალუტის დევალვაციის ფონზე მან ბანკმა საერთო მძიმე მდგომარეობა არ გაითვალისწინა და არც ერთ მის პირობაზე არ წავიდა, არც სესხი გადაუნაწილა და კლიენტს არ შეთავაზა იმ კურსით გადაეხადა სესხი, რაც სესხის აღების დროს იყო დაფიქსირებული. შესაბამისად, მირიანის ვალი 145 ათასი დოლარიდან 165 ათას დოლარამდე გაიზარდა. ისე კი ძალიან საინტერესოა, დასავლეთისკენ დამდგარი ხელისუფლება რატომ არ ითვალისწინებს იმ საბანკო კანონებს, რაც უცხოეთში არსებობს. რატომ ვერავინ ბედავს, რომ გააკონტროლოს ეს სექტორი. ჩვენ გვახსოვს მოწოდებები ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტისგან, დათმობაზე წასულიყვნენ ბანკები და რამენაირად შეემსუბუქებინათ კლიენტებისთვის პირობები, მაგრამ თითქოს ყველა ბანკმა პირი შეკრა და ზონდერბანკირად იქცა. მირიან მახარაძე საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლას გააგრძელებს, 25 თებერვალს „ბაზისბანკთან“ სასამართლო პროცესია ჩანიშნული. მაგრამ ამ საქმეში ყველაზე დიდი სკანდალი არის ის, რომ ბანკი მალავს მირიან მახარაძის დის ბინის ქონების შესახებ წერილს, რომ ეს ბინა იპოთეკით აღარ არის დატვირთული. ასეთი**

## ბანკები

**რამ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში რომ მოხდეს, უდიდეს დანაშაულად ჩაითვლება და შესაძლოა, ასეთი ბანკირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრას.**

**ჩვენ ვესაუბრეთ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრს მარიკა არევაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ ბანკი ვალდებულია, გასცეს დოკუმენტის ასლი და ნებისმიერი დოკუმენტაცია იმ პირის შესახებ, რომელიც მასთან ინახება, თუკი პირი მოითხოვს.**

– თუ ხელშეკრულებით მოხდა მირიან მახარაძის ქონების ამოთავისუფლება, ეს ხელშეკრულებაში უნდა ეწეროს, რაც შემდგომში გამოადგებათ, რომ საჯარო რეესტრში მოახდინონ რეგისტრაცია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ახალ ხელშეკრულებაში მითითებული არ არის, რომ მირიან მახარაძის დის ბინა არის გაუქმებული და ქონების ჩამონათვალში მისი ბინა აღარ ფიქსირდება, მაშინ გარკვეულ ხარვეზთან გვაქვს ადგილი, თუმცა სიმართლის დამტკიცებას აზრი ნამდვილად აქვს. ვერ გეტყვით კეთილსინდისიერ ურთიერთობაში რატომ უნდა დამალოს ბანკმა ასეთი წერილი, მაგრამ, თავისთავად, საქმე ძალიან საინტერესოა.

**„ბაზისბანკის“ შესახებ ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ მირიან მახარაძე „ბაზისბანკის“ კლიენტებს შორის არც პირველია და არც უკანასკნელი, რომელიც ამ ბანკმა გააუბედურა, იყო შემთხვევები, ამ ბანკთან ურთიერთობისას ადამიანებმა ჯანმრთელობა დაკარგეს და ზოგს გულის სტენტის მანიპულაციებიც კი დასჭირდა... ამ ისტორიებს ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით... ორი კვირის განმავლობაში „ალია“ ცდილობდა, „ბაზისბანკიდან“ მოგვეპოვებინა კონკრეტული ინფორმაცია მირიან მახარაძესთან დაკავშირებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თამარ ხადური როგორც ჩანს, ძალიან დაკავებული ქალბატონია, ამიტომ რთულად მოვიპოვეთ მისგან კომენტარი და გვიპასუხა, რომ მირიან მახარაძის დის ბინის შესახებ დოკუმენტაცია არ იძებნება. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ მასალის გამოქვეყნების შემდეგ „ბაზისბანკი“ გამოფხიზლდება და მიხვდება, რა ხდება მის თავს და მათგან გაცილებით კომპეტენტურ პასუხებს მოვისმენთ, თუმცა მათი დაყენებული პასუხები ერთ ადგილზე დაიწერონ, ეს ჩვენ არაფერში გვარგია, საქმე ის არის, დაზარალებულ კლიენტებს ვინ აუნაზღაურებს დაკარგულ თანხებს, ქონებასა და ჯანმრთელობას...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურის მოთხოვნა ადეიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე არ დაკმაყოფილდა



მოსამართლე არსენ კალატოზიშვილის გადაწყვეტილებით, იბერიის საქმეზე პროკურატურის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

ბრალდების მხარე იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის პატიმრობას მისი მოადგილისთვის კი 20 000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

მოსამართლემ გადაწყვეტილება მტკიცებულებების არარსებობით განმარტა. (ნიუპოსტი)

## 37 ევრო სულაც არ ნიშნავს, რომ დანიშნულების ადგილამდე 37 ევროდ ჩახვალთ




– სანამ გაგიხარდებათ, კარგად გაერკვიეთ ამა თუ იმ ავიაკომპანიის სარეკლამო ბუკლეტში, – ამ კომენტარს კომპანია „ვიზეარის“ ფასებთან დაკავშირებით საფრანგეთში მყოფი ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე აკეთებს:

– „**wizzair**“ მშვენიერი ავიაკომპანიაა იაფფასიან ავიაკომპანიებს შორის, მაგრამ ფასები მაინც გადაამოწმეთ. 37 ევრო სულაც არ ნიშნავს, რომ დანიშნულების ადგილამდე 37 ევროდ ჩახვალთ. ამას ბევრი რამე ემატება, ადგილზე გადასახადი...

დეკემბერში გადმოვფრინდი ამ ავიაკომპანიით სოფიადან ბრიუსელში და საიტზე დაფიქსირებული 60 ევროს ნაცვლად იმდენი დანამატი აღმოჩნდა, რომ ბოლო სერიაში 250 ევრო გადავიხადე. ამიტომ, სანამ გაგიხარდებათ, კარგად გაერკვიეთ ამა თუ იმ ავიაკომპანიის სარეკლამო ბუკლეტში, სინამდვილეში რა მომსახურებას გთავაზობენ და ის ციფრი, რაც რეკლამის ბანერზეა გამოტანილი, სინამდვილეში რისი ფასია...

რეკლამის მსხვერპლი ნუ გახდებით, ჩემო მეგობრებო, და ეს პოსტი არც „ქვეყნის განვითარების მოწინააღმდეგის“ დაწერილია და არც „ქვეყანა რომ შენდება და ამაზე დაბოღმილია“ იმ პოზიციიდან. პირიქით, ძალიან გამიხარდა და ძალიან მესიამოვნა, რაც მეტად განვითარდება ჩემი ქვეყანა, მით უკეთესი. უბრალოდ, მერე არ მოხდეს იმედგაცრუება და ხმამაღალი განცხადებები, დაახლოებით ასეთ სტილში: „ბიჭო, ამ მთავრობამ რა გვიქნა, 37-ევროიან ბილეთებს გვპირდებოდა და სინამდვილეში ასე არ ყოფილა, ძმაო“... – ამბობს ფოფხაძე. (რეპორტიორი)

## პურის საცხობში გარდაცვლილი ქალის ცხედარი იპოვეს




თბილისში, გლდანის მესამე მიკრორაიონში გარდაცვლილი ქალის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა.

შემთხვევა პურის საცხობში მოხდა, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებულები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილზე ფირცხალავასა და ცააძის დნმ-ი არ აღმოჩნდა



ცნობილი ხდება, რომ ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძის დნმ-ის ნიმუშები იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილას ფალიაზე აღმოჩენილ დნმ-ის კვალს არ დაემთხვა.

როგორც მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნათია სუხიაშვილი აცხადებს, გამოძიებამ გენეტიკური ანალიზის შედეგები 17 თებერვალს მიიღო.

იური ვაზაგაშვილი 2015 წლის 20 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში საკუთარი შვილის საფლავზე ააფეთქეს. მის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გია სოსანაშვილია. გია სოსანაშვილს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით აქვს ბრალი წარდგენილი.

ფირცხალავას და ცააძეს ე.წ. მატროსოვის ციხეში დნმ-ს ნიმუშები მიმდინარე წლის 29 იანვარს აუღეს.

როგორც 29 იანვარს ე.წ. მატროსოვის ციხის დატოვების შემდეგ მთავარი პროკურატურის გამომძიებელმა გიორგი ლომთაძემ განაცხადა, გამოძიება მუშაობს იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე მკვლელობის დამკვეთებისა და დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით და დნმ-ის ნიმუშების აღება სწორედ აღნიშნულ გამოძიებას უკავშირდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# როგორ იძიებს შურს ბიძინა ივანიშვილი გუბაზ სანიკიძეზე?!



**გუბაზ სანიკიძე: „არაფერი არ მინდა, არც პრეზიდენტობა, არც არაფერი, მაგის დედაც მოვ...ან, ფული უნდა ვიშოვო, რა... მილიონერი უნდა გავხდე...“**



**პირადად მე, გუბაზ სანიკიძე ლომი მეგონა, ლომი კი არა, კატა ყოფილა... და თუკი ის ფიქრობს, რომ, როცა საჭიროდ ჩათვლის, მაშინ გააჩაღებს ცეცხლს და „ეროვნულ ფორუმს“ რეიტინგს აუწევს, ბატონ გუბაზს ვეტყვი, რომ ამდენი წელი პოლიტიკაში უქმად ყოფილა და პოლიტიკის არაფერი გაეგება**

**ერთადერთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელმაც თავის დამკვიდრება შეძლო და დღეს დომინანტია, ეს არის „რესპუბლიკური პარტია“, დანარჩენები კი, უბრალოდ, ცარიელ ადგილებს ავსებენ, მათ შორის, „ეროვნული ფორუმი“, რომელმაც ამ 4 წლის მანძილზე ღირებული ვერაფერი შექმნა**

**გუბაზ სანიკიძემ, ისევე როგორც ლევან ბერძენიშვილმა, რომლისთვისაც ივანიშვილი სოფლიდან ჩამოთრეულ ფულის ტომარასთან ასოცირდებოდა, თავიდანვე იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე და ვინ იყო იგი, მაგრამ ამ „ფულის ბოზებმა“, რომლებმაც ოღონდ ხელისუფლებაში მოსულიყვნენ და კარგად გამომძღარიყვნენ, ხალხიც ფეხებზე დაიკიდეს და საკუთარი პრინციპებიც**



ნინო სამხარაძე
599 71-14-22

კოალიციაში შემავალი სუბიექტები ფრონტის ხაზს ხსნიან, ერთმანეთის მიმართ ზიზღის ფრქვევას იწყებენ და არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს კოალიცია აფეთქდეს და მარტივ მამრავლებად დაიშალოს. ამის ყველანაირი წინაპირობა არსებობს. წინა ხაზზე წამოწეულია „მრეწველთა პარტია“ და მისი ლიდერი გოგი თოფაძე, არჩევნების მოახლოებასთან ერთად პარტიებს შორის ეგოიზმი თვალშისაცემი ხდება, კოალიციაში შემავალი სუბიექტები იმასაც კი ველარ იტანენ, როცა პოლიტიკურ ამინდს, ავად თუ კარგად, სხვა პარტია ქმნის. მაგალითად, „ეროვნული ფორუმი“ ემიჯნება „მრეწველებისა“ და „რესპუბლიკელების“ დავას და ისინი საჭიროდ არ თვლიან ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებას, ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს, სხვათა დავაში არ ჩავერევითო. ძალიან მალე „ეროვნული ფორუმი“ ყრილობას ჩაატარებს და თუკი ყრილობამდე „ქართული ოცნების“ ლიდერებთან შეთანხმებას ვერ მიაღწევენ კვოტების გაზრდაზე და მინისტრების პოსტებზე, შესაძლოა, მათ დატოვონ „ქართული ოცნება“ და ნინო ბურჯანაძეს გაურიგდნენ. მათთვის ნინო ბურჯანაძე შორსმდგარი პოლიტიკური ფიგურა არ არის. ჯერ კიდევ 2010 წელს „ეროვნულმა ფორუმმა“ ნინო ბურჯანაძეს სოლიდარობა გამოუცხადა, ისინი „სახალხო კრებას“ შეუერთდნენ, რასაც მაშინ ირაკლი მელაშვილის პროტესტი მოჰყვა. ეს გახდა მიზეზი, მელაშვილს „ეროვნული ფორუმი“ დაეტოვებინა, რადგან მელაშვილი მაშინაც მიიჩნევდა, რომ ნინო ბურჯანაძე პრორუსული ძალა იყო და მის ორბიტაზე „ეროვნული ფორუმის“ ადგილი, წესით, არ უნდა ყოფილიყო. მაშინ პოლიტიკური დაახლოების მომხრე იყო გუბაზ სანიკიძე. სხვათა შორის, დღეს არ გამორიცხავენ, რომ კვლავ გუბაზ სანიკიძე გახდეს ნინო ბურჯანაძესთან ალიანსის ინიციატორი. მართალია, ის აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძე მისი შვილის ნათლიაა, საკუთარ სიცოცხლესა და მის ოჯახს ანდობს, თუმცა პოლიტიკა არის პოლიტიკა და არ ვფიქრობთ ამ ეტაპზე მასთან შეერთებასო, მაგრამ, როგორც წესი, პოლიტიკოსები ტყუიან და ყოველთვის ცდილობენ, სიცრუე სიმართლეც შემოგასაღონ, კოალიციაში შემავალმა სუბიექტებმა არ იციან, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბიძინა ივანიშვილი, თუმცა ამ ეკლექტურ კოალიციაში ხვდებიან, რომ იქ ნამდვილად არ მოხვდნენ, სადაც მათი ადგილია, ეს იყო ფორსმაჟორულ ვითარებაში გაკეთებული კოალიცია, რომელიც აუცილებლად რევიზიას გაივლის. ერთადერთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელმაც თავის დამკვიდრება შეძლო და დღეს დომინანტია, ეს არის „რესპუბლიკური პარტია“, დანარჩენები კი, უბრალოდ, ცარიელ ადგილებს ავსებენ, მათ შორის, „ეროვნული ფორუმი“, რომელმაც ამ 4 წლის მანძილზე ღირებული ვერაფერი შექმნა. მეტიც, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროს, ეს ე.წ. „ეროვნული პრინციპების მატარებელი“ პოლიტიკოსები, ისე გაირინდნენ, რომ მათი არსებობა თითქმის ყველას დაავიწყდა. პირადად მე, გუბაზ სანიკიძე ლომი მეგონა, ლომი კი არა, კატა ყოფილა... და თუკი ის ფიქრობს, რომ, როცა საჭიროდ ჩათვლის, მაშინ გააჩაღებს ცეცხლს და „ეროვნულ ფორუმს“ რეიტინგს აუწევს, ბატონ გუბაზს ვეტყვი, რომ ამდენი წელი პოლიტიკაში უქმად ყოფილა და პოლიტიკის არაფერი გაეგება რა. მან კარგად უნდა იცოდეს, რომ წილი პასუხისმგებლობა ამ ხელისუფლების უნიათობის, შეუსრულებელი დაპირებების, გარდაცვლილი სამართლიანობის მოდის როგორც „ქართულ ოცნებაზე“, ასევე ამ კოალიციაში შემავალ ყველა პარტიაზე და

**მას აუცილებლად მოსთხოვენ პასუხს, აუცილებლად ჰკითხავენ, — სად იყავი, გუბაზ, მაშინ, როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებდნენ და შეახსენებენ მის მიერ ხმამაღლა დაანონსებულ ოცნებას:**

„არაფერი არ მინდა, არც პრეზიდენტობა, არც არაფერი, მაგის დედაც მოვ...ან, ფული უნდა ვიშოვო, რა... მილიონერი უნდა გავხდე...“ ამომრჩეველი გუბაზ სანიკიძესა და „ეროვნულ ფორუმს“ რას აპატიებს და რას გაუხსენებს, ეს მათი გადასაწყვეტია, მაგრამ ივანიშვილი რომ არასოდეს დაივიწყებს გუბაზ სანიკიძის მხრიდან მისი შვილის დამცირებას, ეს სანიკიძემ ყველაზე კარგად იცის. სანიკიძემ ბერა ივანიშვილი უწმაწური სიტყვებით მოიხსენია, ბიძინა ივანიშვილს ჩანაწერში აგინებს და ამბობს, რომ თავიდანვე იცოდა, რაც იყო იგი... ეს ის ფარული ჩანაწერია, რომელიც „ნაციონალებმა“ არჩევნების წინ კომპრომატად გამოაქვეყნეს. ე.ი. რა გამოდის, გუბაზ სანიკიძემ, ისევე როგორც ლევან ბერძენიშვილმა, რომლისთვისაც ივანიშვილი სოფლიდან ჩამოთრეულ ფულის ტომარასთან ასოცირდებოდა, თავიდანვე იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე და ვინ იყო იგი, მაგრამ ამ „ფულის ბოზებმა“, რომლებმაც ოღონდ ხელისუფლებაში მოსულიყვნენ და კარგად გამომძღარიყვნენ, ხალხიც ფეხებზე დაიკიდეს და საკუთარი პრინციპები. თუ შენ იცოდი, ვინ იყო ბიძინა ივანიშვილი, რას მირბოდი მის ერთ დაძახილზე, კიკუ ხარ, რომ გაიხადე და ფული აიღე?.. გუბაზ სანიკიძემ კარგად უნდა იცოდეს, რომ სროლა დასწრებაზეა. სანამ ივანიშვილი გესვრის, ჯობია გაასწრო კოალიციიდან, თორემ ყოველთვის წინ დაგხვდებათ თქვენი იდიოტური დასკვნები ბიძინა ივანიშვილის ალბინოს შვილებზე: „შარტავა იძახის, ეგ არის სისხლის აღრევის შედეგიო. ზოოპარკში გინახავს, თეთრი ვეფხვები და ლომები რომ დარბიან?!. სულ ალბინოსები იბადებიან იმიტომ, რომ და-ძმას შორის კონტაქტი არის...“

**ჩემო გუბაზ, მაგ გასიებულ თავში რომ ასეთი ბინძური აზრები მოგივა და კიდევ ოცნებას დაიწყებ, როგორმე დარჩე ხელისუფლებაში, აი, ეს არის ნაძირალობა!.. თუ დღეს ივანიშვილი ხმას არ იღებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაპატია.**

ალბათ, ყველაფერს გააკეთებს, რომ საჭირო მომენტში

### ანალიზი

შური იძიოს. მიუხედავად პრეზიდენტთან დაპირისპირებისა, ივანიშვილმა გოგი თოფაძეს არ აპატია პრეზიდენტის მიმართ წარმოთქმული ფრაზები: „თქვენ ქართველი ერი დაუნს შეადარეთ და არ უნდა გეკადრათ ამ ხალხის პრეზიდენტობაო...“ რითაც ხელისუფლების წარმომადგენელმა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების დისკრიმინაცია მოახდინა და მათ იდეაში წაართვა უფლება, აირჩიონ და ჰყავდეთ პრეზიდენტი. ივანიშვილმა გოგი თოფაძე დატუქსა, ასეთი მკვახე განცხადებების გაკეთება საჭირო არ იყოო... მით უმეტეს, როცა მის შვილებს ეხება საკითხი, აქ ბიძინა ივანიშვილი დაუნდობელი, შეუვალი და შურისმაძიებელი ხდება, ისევე როგორც ნებისმიერი მშობელი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს ივანიშვილს, უფრო მწვავედ იძიოს შური მასზე, ვინც მის შვილებს შეეხება. გუბაზ სანიკიძე კი ძალიან ცუდად და ძალიან უხეშად შეეხო ივანიშვილის ოჯახს.

თუკი „ეროვნული ფორუმი“ ყრილობაზე გადაწყვეტს, გაემიჯნოს კოალიცია „ქართულ ოცნებას“, ვინ დაიჯერებს, რომ ეს გადაწყვეტილება ფორუმელებმა თავად მიიღეს. არც არავინ. ამის დაჯერება სასაცილოც იქნება, წარმოიდგინო, როგორ ბედავს, პირველმა გადადგას ეს ნაბიჯი და უარი თქვას ქერის ორმოზე. ეს მაინც ივანიშვილის გასაკეთებელია.

# „კარგად დაიმახსოვრეთ, მოხდება ის, რაც აქამდე მომხდარა, ფერადი რევოლუციების სახით“

## რომელ პარტიას დაიტოვებს ივანიშვილი კოალიციაში?


ნინო სამხარაძე
599 71-14-22




იურისტი ვალერი გელბახიანი ჩვენთან ინტერვიუში საინტერესო პოლიტიკურ კომბინაციაზე საუბრობს. მიმდინარე მოვლენებს კი ასე აფასებს, რომ „რაც ხდება, ეს არის ბუნებრივი პროცესი, რადგან საარჩევნო წელია, კოალიცია ადგილების მოპოვების მიზნით იბრძვის და იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამოაშკარავების დროც დადგა. ვინაიდან „რესპუბლიკურ პარტიას“ „ქართულ ოცნებაში“ დომინანტის ფუნქცია აქვს, აქედან გამომდინარე, დანარჩენ პარტიებს ფორმალურობის ელფერი დაჰკრავს, არიან კოალიციის წევრები, მაგრამ არა აქვთ პორტფელები, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ასევე მათ არ გააჩნიათ საპარლამენტო თანამდებობები. ისინი ვერ ახდენენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას და თავს დაჩაგრულად გრძნობენ. ხშირ შემთხვევაში თავსაც იწონებენ, პრეტენზია არ გამოგვითქვამს, რომ მინისტრის პორტფელები აგველო ხელშიო. ბევრი ხვდება, რომ კოალიციაში მისი ადგილი აღარ არის და დაიწყეს ძებნა სხვა პარტიებთან მისასვლელი გზების“. ჩვენს კითხვაზე, რომელმა პარტიებმა დაიწყეს ძებნა ალტერნატიული გზების, რომელიც, სავარაუდოდ, სიაში ვერ მოხვდება, ვალერი გელბახიანი აცხადებს:

„კოალიციაში შემავალი სუბიექტების სია ასე გამოიყურება: „რესპუბლიკელები“, „სოციალ-დემოკრატები“, „მრეწველები“, „ეროვნული ფორუმი“, „კონსერვატორები“... ამ უკანასკნელს ფეხქვეშ ცეცხლი რომ დაუნთო, „ქართული ოცნების“ კოალიციიდან არსად წამსვლელი არ არის. ზვიად ძიძიგური ყველაფერს გააკეთებს, როგორმე ადგილი შეინარჩუნოს. კონსერვატორებს ფრაქციის შესაძლებლობა აღარ ექნებათ, რადგან საარჩევნო სია ფართო სპექტრს ვერ იტევს. გარდა ამისა, კვლევები აჩვენებს, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი მაქსიმუმ 30%-ია, რაც ნიშნავს 75-კაციან სიაში 15 ადამიანს. ამ 15 ადგილში ვინმე რომ მოხვდეს პარტიული კვოტით, ეს გამორიცხულია. თუ ზვიად ძიძიგური და „კონსერვატორები“ დარჩებიან, ეს იქნება მისი გამარჯვება, რომ საპარლამენტო პარტიად იქცეს. დანარჩენების – „მრეწველებისა“ და „ეროვნული ფორუმის“ ადგილი, კოალიციაში არ არის. მიუხედავად იმისა, რომ „რესპუბლიკელები“ ძალიან ცდილობენ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად კოალიციაში იყვნენ, ვფიქრობ, არც მათ ექნებათ გარანტირებული ადგილები, რადგან „ოცნება“ დღეს უკვე ბიძინა ივანიშვილი აღარ არის, მას თავის გამწევი ლიდერები ჰყავს და ისინი ფიქრობენ, რომ დიდი პატივი იყო „რესპუბლიკელებისთვის“ მათთან ერთად ყოფნა და საპარლამენტო პარტიიდან, სახელისუფლებო პარტიად გადაკეთდება. „ოცნებაში“ თვლიან, რომ „რესპუბლიკელებს“ განსაკუთრებული წვლილი არ შეუტანიათ სახელმწიფოებრივ პროცესებში და პირიქით, მათ დაბალ რეიტინგს სწორედ „რესპუბლიკელების“ ურეიტინგობას უკავშირებენ...“

„ქრონიკის“ კითხვაზე, საპარლამენტო არჩევნებამდე დაიშლება თუ არა კოალიცია, ვალერი გელბახიანი პასუხობს, რომ კოალიცია უკვე დაშლილია. „ეროვნულ ფორუმის“ მომავალს ვალერი გელბახიანი ნინო ბურჯანაძესთან ხედავს:

„ეროვნულმა ფორუმმა“ ძალიან კარგად იცის, რომ მათი ადგილი იმ კოალიციაში აღარ არის და თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სავარაუდოდ, „ფორუმი“ და ბურჯანაძე მოლაპარაკებას დაიწყებენ. რაც შეეხება მრეწველებს, მათი გააქტიურება და გოგი თოფაძის მწვავე განცხადებები დაკავშირებული იყო ორიენტაციულ იდეოლოგიასთან, რაც არსებობენ „მრეწველები“, უფრო ჩრდილოეთისკენ იყურებიან. გასული 4 წელი იყო „თმენის წელი“, ახლა კი „მრეწველები“ საჭიროდ თვლიან გააქტიურებას. ერთია, რომ ისინი თავის თავს ამ კოალიციაში ვერ ხედავენ, თუკი „რესპუბლიკელები“ დარჩებიან და მეორეა, ეს განცხადება ზუსტად იმიტომ გაკეთდა „მრეწველების“ მხრიდან, რომ თავიანთი ორიენტაციის იდეოლოგიური მიმართულება კიდევ ერთხელ გამოეკვეთა. ამ ორიენტაციის ორბიტაზე მოძებნიან თავიანთ დასაყრდენს, ესეც იმ შემთხვევაში, თუკი ვინმემ მოისურვა მათთან ერთად ყოფნა, თუ არადა, თამაშგარე მდგომარეობაში დარჩებიან...“ კითხვაზე, რა როლს ითამაშებს ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი, გაუწევს თუ არა ანგარიშს თავის მრეწველ მეგობარს გოგი თოფაძეს, რომელიც, ასევე, მისი ბიზნესპარტნიორია, თუ ის დაიკავებს „რესპუბლიკელების“ მხარეს, რომელიც დასავლეთთან საურთიერთობოდ ბოლო ძაფია ამ ხელისუფლებისთვის, ვალერი გელბახიანი საინტერესო განმარტებას აკეთებს:





„ბიძინა ივანიშვილი აღარ არის ის ბიძინა, როგორიც იყო 2012 წლის საარჩევნო ეტაპისთვის“

„ბიძინა ივანიშვილი აღარ არის ის ბიძინა, როგორიც იყო 2012 წლის საარჩევნო ეტაპისთვის, ბუნებრივია, მისი რეიტინგული მდგომარეობა აღარ არის სახარბიელო, მოსახლეობასთან მას აქვს პრობლემები იმ შეუსრულებელი დაპირებების გამო, რაც წინასაარჩევნოდ გასცა. დღეს სხვების გადასარჩენად კი არ არის ბრძოლა, არამედ ივანიშვილმა საკუთარი თავი და პარტია უნდა გადაარჩინოს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელიდან არ გაუშვას მმართველობის ბერკეტი. ამიტომ, დღეს აღარ დგას ურეიტინგო პარტიების გაცოცხლების საკითხი და ივანიშვილი აღარ აპირებს, საჩუქრად დაარიგოს საპარლამენტო მანდატები, ეს უკვე განვლილი ეტაპია. იგი შეეცდება, საკუთარი ინტერესების სახელით იმოქმედოს პოლიტიკურ კონკურენტულ გარემოში...

გოგი თოფაძე და „მრეწველთა პარტია“ ივანიშვილმა შეიძლება გაწიროს და არ გაწირავს „რესპუბლიკურ პარტიას“. მრეწველებს შეუძლიათ, კოალიცია შეკრან „პატრიოტთა ალიანსთან“, ნინო ბურჯანაძესთან, რომელსაც ბარიერის გადალახვის პრობლემა არ აქვს, თუმცა გააჩნია, „მრეწველები“ რა წინადადებებს შესთავაზებენ მათ და რა ფინანსურ დახმარებაზე იქნება საუბარი. პოლიტიკაში ცარიელი არავის არავინ სჭირდება. რაც შეეხება „რესპუბლიკურ პარტიას“, ერთადერთი პოლიტიკური ძალაა „ქართულ ოცნებაში“, რომელიც დასავლეთთან ნდობაშია. ვინაიდან ეს პარტია არსებობს „კოალიციაში“, დასავლეთს ამ კოალიციასთან კითხვის ნიშნები არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იქ პრორუსული ძალებიც არიან წარმოდგენილნი. „რესპუბლიკელებთან“ „განქორწინების“ შემთხვევაში კი ივანიშვილისთვის დასავლეთთან ურთიერთობა მარტივი აღარ იქნება და „ქართული ოცნების“ მიმართ დასავლეთის ნდობა დაიკარგება. „რესპუბლიკური პარტია“ ივანიშვილისთვის ფარის ფუნქციას ასრულებს, თუმცა პოლიტიკაში ყველაფერი ხდება და თუკი მოხდება „განქორწინება“, ჩვენ საქმე გვექნება ღია თამაშთან, და „ქართული ოცნება“ იძულებული ხდება, პირდაპირ გადავიდეს ჩრდილოეთის პოლიტიკური ორიენტაციისკენ, რაც ივანიშვილისთვის პიროვნულად ძალიან ცუდი იქნება. ივანიშვილი რომ მხოლოდ პოლიტიკოსი იყოს და უცხოეთში მილიარდები არ ჰქონდეს დაბანდებული, ცხადია, მისთვის პოლიტიკური გადაწყვეტილება ტრაგედია არ იქნებოდა, მაგრამ ადამიანი, რომელმაც ამხელა ფინანსური რესურსი უცხოეთში დააბანდა, ასეთი გადაწყვეტილება მისი ბიზნესის დაღუპვის ტოლფასი იქნება და მასზე ეკონომიკური სანქციები განხორციელდება. უღირს კი ასეთი ნაბიჯის


ექსპერტი




გადადგმა? ამიტომ, ძალიან გამიკვირდება, ივანიშვილმა „რესპუბლიკელები“ ჩამოიშოროს და დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგას. ასე რომ, ივანიშვილი იძულებული გახდება, დაიტოვოს „რესპუბლიკელები“. მათ საკუთარი თავის ფასი იციან და მათი როლი იმდენად დიდია საგარეო ურთიერთობებში, არ შეიძლება მათთან ივანიშვილი კომპრომისზე არ წავიდეს. სხვა შემთხვევაში, თუკი „რესპუბლიკელებთან“ განქორწინება მოხდება, ისინი არ დაიკარგებიან. პროდასავლური ორიენტაციის პარტია, ირაკლი ალასანიას გუნდის სახით, არის გარეთ, რომლებთანაც „რესპუბლიკელები“ მეგობრობენ და შესაძლებელია, ამ ორი პარტიიდან დასავლეთისგან მხარდაჭერილი კოალიცია ვიხილოთ. სიტუაცია არ არის მარტივი, რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობა სერიოზულად დაიძაბა, ორივე ქვეყანა ომისთვის ემზადება, ასეთ დროს საქართველო რომ რუსეთის ხელში დატოვოს ამერიკამ, გამორიცხულია. ამიტომ დაიწყებს ისეთ ძალებზე აპელირებას დასავლეთი, რომელიც მისთვის მყარი გარანტიების მატარებელია, მყარ გარანტიებს კი ის სამ პოლიტიკურ ძალაში ხედავს „ქართული ოცნების“ მიღმა – „ნაციონალურ მოძრაობაში“, „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებში“... და თუკი ივანიშვილი „რესპუბლიკური პარტიის“ ძალასა და გავლენას დასავლეთში არ გაითვალისწინებს, გეტყვით, რომ ჩვენ გავხდებით ძალიან საინტერესო მოვლენების მომსწრენი და კარგად დაიმახსოვრეთ, რომ დასავლეთი არაფრით არ დატოვებს ქართველი ხალხის ნებაზე მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და მოხდება ის, რაც აქამდე მომხდარა, ფერადი რევოლუციების სახით“.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აუდიტის სამსახური სამინისტროებს ამოწმებს



აუდიტის სამსახური სახელმწიფო უწყებებს ამოწმებს.

აუდიტის სამსახურის პრესსამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, სამინისტროებში ფინანსური აუდიტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რადგან პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში უნდა წარუდგინონ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშს აპრილის ბოლოს წარადგენს.

როგორც ირკვევა, აუდიტის სამსახურმა თბილისის მერიის შემოწმება უკვე დაასრულა. ნარმანიას უწყების შემოწმების ანგარიში მას შემდეგ გამოქვეყნდება, რაც მერიისთვის შემოპასუხების განკუთვნილი დრო ამოიწურება. (ნიუპოსტი)

## 4 წლის ბავშვის დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა — რას აცხადებენ მეზობლები მოძალადე მამაზე



4 წლის ბავშვი, რომელიც მამამ – მალხაზ მ.-მ სასტიკად სცემა, დედით ობოლია.

პატარა დაბადებიდან უდედოდ – მამასთან, ბებიასთან და დეიდასთან იზრდებოდა.

როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის რწმუნებულმა როინ გოგიტიძემ განაცხადა, 4 წლის ბიჭის დედამ 28 წლის რუსუდან ხოზრევანიშვილმა 2012 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან თავი ჩამოიხრჩო. მიზეზი კი მისი ფსიქიკური მდგომარეობა გახდა.

ცეცხლაურის მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ ისინი მეზობლებთან კონტაქტით არ გამოირჩევიან.

როგორც ამბობენ, ოჯახი სოციალურად დაუცველია და პატარას ოჯახი სათანადოდ ვერ უვლიდა.

მეზობლები 4 წლის პატარას მამას, 35 წლის მალხაზ მ.-ს ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანად ახასიათებენ და ამბობენ, რომ შვილის ცემის ფაქტს ადგილი აქამდეც ჰქონია.

– ბავშვი მაგათთან არ დაიტოვება. ვერ უვლიან. ძალიან უჭირთ, ამდენი სული 10 კვადრატულში ცხოვრობს. ბავშვი ხშირად ნახევრად მშიერი ყოფილა. კი ვეხმარებოდით მეზობლები, მაგრამ დიდად კონტაქტურები არ არიან.

ბავშვი ძალიან იყო ნაცემი. მამაც ჯანმრთელი ფსიქიკის არ არის. საუბრისას ეს შესამჩნევია, – აცხადებენ მალიაძეების მეზობლები. (kvira.ge)

## საქართველოს, უკრაინისა და სირიის შემდეგ საფრთხის ქვეშ აზერბაიჯანია — დავითოღლუ რუსეთის გეგმებზე



თურქეთის პრემიერ-მინისტრის აჰმედ დავითოღლუს განცხადებით, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია საქართველოს, უკრაინის, სირიის ტერიტორიული მთლიანობა და ახლა მისი მხრიდან საფრთხის ქვეშ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობაა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, დავითოღლუმ ეს განცხადება კიევში უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრის დროს გააკეთა:

– რუსული პოლიტიკის ახალი კონცეფცია ექსპანსიისა და აგრესიის გაგრძელებაა. სიტუაცია, რომელიც დაიწყო აფხაზეთში, გრძელდება ყირიმში. ამჟამად არის სამი ქვეყანა, რომლის ტერიტორიული მთლიანობაც დაარღვია რუსეთმა – საქართველო, უკრაინა და სირია, საფრთხის ქვეშაა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობაც, სომხეთის ქმედებების გამო, რომელსაც დახმარებას რუსეთი უწევს, – განაცხადა დავითოღლუმ. (ნიუპოსტი)

## „ეს საარჩევნო სისტემა არის ანტიკონსტიტუციური და დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას" — ბოკერია



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საგარეო მდივნის გიგა ბოკერიას შეფასებით, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო სისტემა არაკონსტიტუციურია და ემსახურება იმას, რომ მმართველ პარტიას არჩევნებში გამარჯვება გაუადვილდეს:

– საარჩევნო სისტემაში მთელი კასკადია პრობლემების. თავისავე საარჩევნო დაპირებას არ ასრულებენ და როგორც ყველაფერ დანარჩენშიც, „გადამგდებები" არიან საკუთარი ამომრჩევლის, საზოგადოების. ამასთანავე, ახალი საარჩევნო დაყოფა პირდაპირ არის დაყრდნობილი წინა არჩევნების შედეგებზე, სადაც ოპოზიციას ძლიერი პოზიციები ჰქონდა, ის ადგილებია გამქრალი და ეს ყველაფერი დახაზულია ისე, რომ არჩევნებში გამარჯვება გაუადვილდეს მმართველ პარტიას. ისინი ამ გამარჯვებას მაინც ვერ მოახერხებენ, მაინც ყველა შემთხვევაში დამარცხდებიან, მაგრამ ეს სისტემა არის ანტიკონსტიტუციური იმიტომ, რომ არ ეყრდნობა სამართლიან კრიტერიუმებს და ეს დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას, რადგან ანტიკონსტიტუციური სისტემით შეიძლება, ჩატარდეს არჩევნები ან საერთოდ ვერ ჩატარდეს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ინტერვიუ

# ლევან ბერძენიშვილი: „გოგი თოფაძემ უნდა დატოვოს კოალიცია! სასწრაფოდ გასარკვევია, რა ძალები დგას ამ კაცის უკან!"

## რა ბედი ელის ზურაბ ტყემალაძეს?







**„კოალიციაში ამბობდნენ ხოლმე, რა მოხდა მერე, მოხუცი კაცია და ა.შ. მინდა გითხრათ, რომ მოხუცობა აქ არაფერ შუაშია, გადასარევად აზროვნებს!"**

**„საქართველოს მთავრობა დროულად უნდა გაერკვეს, რადგან პერსონალურ სამიზნედ რომ გიქცევენ ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ და აქტიურ მინისტრს, თინა ხიდაშელს, რა თქმა უნდა, ამას პასუხი სჭირდება"**

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



**მმართველ კოალიციაში დაპირისპირება გადამწყვეტ ფაზაში შედის... კვირის „ნიუსფიდის" ლიდერი გოგი თოფაძე გახლავთ. გარდა იმისა, რომ ბოლო დროს ანტიევროატლანტიკურ გამოსვლებს მოუხშირა, პარლამენტარმა უკვე ღია ეთერით „რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი საგარეჯოს არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და მისი დაკითხვის აუცილებლობაზე ისაუბრა. სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, რაც „რესპუბლიკელმა" დავით ბერძენიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან თოფაძე ანტიეროვნულ და ანტიკოალიციურ ქმედებებში დაადანაშაულა. მოხუც „მრეწველს", ორიოდე თანაკოალიციელის გარდა, არავინ გამოესარჩლა. მეტიც, იგი ღიად დატუქსეს. ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებულმა პარლამენტარმა ჯერ ჟურნალისტებზე მიიტანა იერიში, პოლიციის გამოძახებითაც კი დაემუქრა, შემდეგ კი ერთ-ერთ ტელევიზიაში მისულმა ძმები ბერძენიშვილები მურვან (როგორც თოფაძემ თქვა, მურმან) ყრუსთან გააიგივა და მათ ქართველი ხალხისთვის საძულველი პიროვნებები უწოდა.**

**„ალიასთან" საუბრისას, „რესპუბლიკელთა" ერთ-ერთი ლიდერი და ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ბრძოლა პიროვნული ხასიათის არაა და საქართველოს საგარეო კურსში განსხვავებული ხედვითაა გამოწვეული, ამიტომ „ქართულ ოცნებას" მოუწოდებს, პრორუს თოფაძეს სასწრაფოდ დაატოვებინოს „ოცნების" გუნდი. მიზეზებზე კი, რის გამოც, თოფაძის ყოფნა კოალიციაში დაუშვებელია, ლევან ბერძენიშვილი თავად საუბრობს.**

**— ბატონო ლევან, ბოლო პერიოდში თქვენი პარტიის მისამართით კოალიციის შიგნით თუ გარეთ დიდი ბრძოლაა გაჩაღებული, თოფაძემ ისიც თქვა, მურვან ყრუ არ ეჯავრებოდათ ქართველებს ისე, როგორც ძმები ბერძენიშვილებიო. როგორ ფიქრობთ, რატომ არ უყვართ „რესპუბლიკელები"?**

– მე რასაც ვხედავ, ეს არაა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა, „რესპუბლიკელებს" ბევრი ლანძღვა-გინება გვინახავს და ამაზე აღარ გავაკეთებ კომენტარს, მაგრამ ახლა ფოკუსირება მოახდინეს თინათინ ხიდაშელის წინააღმდეგ, არა იმდენად იმის გამო, რომ „რესპუბლიკელია", არამედ თავდაცვის მინისტრია და ატარებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მკვეთრ ხაზს. უპირველეს ყოვლისა, ეს თავდასხმა განახორციელა ბატონმა გოგი თოფაძემ. ეს თავდასხმა, ასევე, ხორციელდება ქალბატონ ნინო ბურჯანაძის, ბატონ ლევან ვასაძის, ახლა ვიღაც სადღობელაშვილისა და სხვების მხრიდან, რაც არის კარგად ორკესტრირებული, ვიღაცის მიერ მოფიქრებულ-გააზრებული და წყალს ასხამს სულ სხვა ქვეყნის ინტერესების წისქვილზე. ბატონი თოფაძე არ დაკმაყოფილდა იმით, რომ თინათინ ხიდაშელის დაკითხვა მოისურვა და ბრძანა, რომ თურმე ნატო – ეს არის აგრესიული ბლოკი, რომ საქართველო არ უნდა მიისწრაფოდეს ნატო-სკენ, რომ საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური. ეს ყველაფერი მიუთითებს ძალიან ნათელ პრორუსულ, ანტიდასავლურ კურსზე. ეს არ არის „რესპუბლიკელების" მიმართ დარტყმა, ეს არის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ, მმართველი კოალიციის წინააღმდეგ, რომელსაც აღებული აქვს ეს კურსი. მინდა ბატონმა თოფაძემ იცოდეს, დაახლოებით 30 საუკუნეა, მედეას შემდეგ, ჩვენ ვართ დასავლური ცივილიზაციის ნაწილი და თოფაძე ვერ შეცვლის ამას, ვერც ისტორიას, ვერც რუსთაველს, ვერც ბარათაშვილს, ვერც ილია ჭავჭავაძეს... ის არ არის ამ დონის მოღვაწე, რომ საქართველოს ისტორია შეცვალოს. ჩვენ მივისწრაფვით ევროპისკენ, ჩვენ მივისწრაფვით ნატო-სკენ. ნატო-ს აგრესიულ ბლოკად გამოცხადება და კადაფის ბედზე ცრემლების ღვრა – ეს არ არის საქართველოს სახელმწიფო ინტერესებში. ნატო-ს შეურაცხყოფა იმ კოალიციის წევრისგან, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი იმაზე, რომ საქართველო დასავლეთისკენ მიდის, ჩემგან, როგორც ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარისგან, როგორ იქნებოდა მოწონებული? რა უნდა მეთქვა, რას ელოდა, ყოჩაღ, რა კარგად მოიქეცითქო?!

**— ჟურნალისტებსაც კი პოლიციის გამოძახებით დაემუქრა ბატონი თოფაძე, კოალიციის ზოგიერთი წევრი კი მის მუდმივ არაორდინარულ საჯარო განცხადებებს ასაკს აბრალებს...**

– რატომ ჰგონია, რომ პოლიცია, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურაა, ნატო-ს მაგინებელის ინტერესებს დაიცავს და ჟურნალისტებს გაურეკავს იქიდან, მე არ ვიცი... რაც უნდა, ის თქვას, ბატონი გოგი არის ადამიანი, აქვს უფლება, იფიქროს და ისაუბროს, როგორც უნდა. უბრალოდ, მისი ადგილი იმ კოალიციაში არაა, სადაც სხვა რამეა გამოცხადებული, თორემ მასაც აქვს უფლება, რუსეთი უყვარდეს, ნინო ბურჯანაძესაც, სადღობელაშვილსაც (რომელიც ვერ გავიგე, ვინაა)...

**— გოგი თოფაძის კოალიციიდან გაშვების საკითხი მხოლოდ ამ ეტაპზე გახდა აქტუალური? მანამდე არ იცოდით, რომ ეს ადამიანი კოალიციის კურსს არ იზიარებდა? მან თავის დროზე, როცა კოალიციაში გაერთიანდა, ღიად განაცხადა, რომ ანტიდასავლური კურსის მომხრე არ იყო?**

– მან ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელშიც წერია, რომ საქართველო მიისწრაფვის ნატო-სკენ და ევროკავშირისკენ, გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტმა 2013 წელს კენჭი უყარა და მრავალპარტიულად, მათ შორის ოპოზიციის მონაწილეობით, მიიღო საგარეო დოკუმენტი, რომელშიც ითქვა, რომ გვინდა ნატო, ევროკავშირი, ვიზალიბერალიზაცია და სხვა... მაშინაც ბატონი გოგი ამას თითქოს ეთანხმებოდა, მაგრამ ყოველთვის გამოთქვამდა ხოლმე თავის მოსაზრებებს ნატო-ს შესახებ, რომელიც არ ემთხვეოდა კოალიციის ხედვას, თუმცა კოალიციაში ამბობდნენ ხოლმე, რა მოხდა მერე, მოხუცი კაცია და ა.შ. მინდა გითხრათ, რომ მოხუცობა აქ არაფერ შუაშია, ძალიან კარგადაც აზროვნებს და შესანიშნავად აანალიზებს ყველაფერს. მაგალითად, იცის, რომ, ჟურნალისტები როცა არ უნდა, გამოუძახოს პოლიციას. ასე რომ, აქ პრობლემა არ არის მის ასაკში. უბრალოდ, პრობლემაა ის, რომ მისი აზროვნება ასცდა სახელმწიფოს კურსს. მმართველი კოალიციის კურსს.

**— ბევრია ასეთი აცდენილი პარლამენტში? იქნებ ღიად არ საუბრობენ ამაზე? სხვათა შორის, ზურაბ ტყემალაძე თავგამოდებით იცავს მეგობარს და ანტისახელმწიფოებრივს მის გამონათქვამებში ვერაფერს ხედავს. მისი გარიცხვის საკითხიც ხომ არ დადგება დღის წესრიგში?**

– თოფაძისგან განსხვავებით, ტყემალაძეს არასოდეს გაუკეთებია ანტიევროპული განცხადებები, უბრალოდ, მხარს უჭერს, ამბობს, მეგობარიაო და იცავს. ბატონ ზურაბს შესაძლოა, მართლა არ მოუსმენია, მაგრამ მე ჩემი ყურით მოვისმინე, როცა ბატონმა გოგიმ განაცხადა, რომ საქართველო არ უნდა შევიდეს არც ერთ აგრესიულ ბლოკში, ნატო არის ასეთი ბლოკი, იმიტომ რომ ცუდად მოიქცა ირანში, ცუდად მოიქცა ლიბიაში და ა.შ. ეს არ არის ზურაბ ტყემალაძის ტექსტი, ეს არის ბატონი თოფაძის აზრი, ერთი კაცია ასეთი მის ფრაქციაში და მის პარტიაში, დანარჩენებს ასეთი რამ არასოდეს უთქვამთ. რაც შეეხება იმას, რომ ბატონი ზურაბი ამბობს, მეგობარიაო, ეს არ მიკვირს, გადაეფარა თავის მეგობარს. მეგობრობა კარგია მეგობართან, მაგრამ უფრო დიდი სამეგობრო ჰყავს ბატონ ზურას – საქართველო და მისი ინტერესები. აბსოლუტურად პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ის პროევროპულადაა განწყობილი, თანამშრომლობს ჩვენს კომიტეტთან, ის სერიოზულად თანამშრომლობს საქართველო-ევროპარლამენტის ერთობლივი ასოციაციის კომიტეტში, სადაც ქვეკომიტეტის თავმჯდომარეა. ასე რომ, ტყემალაძეზე არაა საუბარი, საუბარი არის თოფაძის პერსონალურ განცხადებებზე, ჯერჯერობით სხვა ვინმეს ასეთი რამ, თუ არ გავიხსენებთ კიდევ ერთ გამოთქმას ერთი პარლამენტარისა, ასეთ დონეზე, არიქა მინისტრები დავიჭიროთ და ნატო არ გვინდაო, ასეთი საუბარი უმრავლესობაში არავისგან არ მსმენია. ამიტომ იყო, რომ გაკიცხა იგი, როგორც უმრავლესობის ლიდერმა, ბატონმა ზვიად კვაჭანტირაძემ, ასევე, უმრავლესობაში ყველაზე დიდი ფრაქციის „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ბატონმა ვოლსკიმ. იმის დახატვა, რომ ეს არის ბერძენიშვილისა და თოფაძის ომი, სისულელეა.

**— თუმცა ბატონმა ვოლსკიმ თოფაძის მიმართ კრიტიკული განცხადება მხოლოდ დავით ბერძენიშვილის იმ განცხადების მერე გააკეთა, რასაც პარლამენტის დარბაზში სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა...**

– ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ იმის დახატვა, რასაც ზოგიერთი ცდილობს, თითქოს ეს ორი ადამიანის ჩხუბია, ასე არაა, საუბარია სახელმწიფო ინტერესებზე და გოგი თოფაძის ინტერესებზე, რომელიც საეჭვოდ ემთხვევა სხვა ქვეყნის ინტერესებს. ის, რომ ევროპაში მაინც არ გვილებენ და რა გვინდა ნატოში და ა.შ... ძალიან ნაცნობი მელოდიაა. გადართეთ რუსეთის არხებზე და რასაც თოფაძე ლაპარაკობს, ამას გაიგონებთ დღეში ასჯერ. სულ ეს საკითხებია, თითქოს ევროპა არის ერთსქესიანთა ცხოვრება, ნატო კი გაერთიანება, რომელიც სტანჯავდა საწყალ კადაფის, რომ ის იყო წმინდანი. იქნებ რომელიმე სხვა ტირანზეც აგვატირონ. სტალინი მიყვარსო, გავიგეთ, ნატო არ მიყვარსო, გავიგეთ, ახლა კიდევ თინა ხიდაშელი მოხსენით, იმიტომ რომ არჩევნები გააყალბაო. ეს არ არის სერიოზული ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ჩანს, სერიოზული ძალები დგას ამის უკან. დროულად უნდა გაირკვეს ეს, საქართველოს მთავრობა უნდა გაერკვეს, რადგან პერსონალურ სამიზნედ რომ გიქცევენ ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ და აქტიურ მინისტრს, რა თქმა უნდა, ამას პასუხი სჭირდება.

**— ვისგან ელოდებით ამ პასუხს?**

– მე პირადად საქართველოს მთავრობიდან, იმიტომ რომ საქართველოს მთავრობას უთხრეს, რომ ერთ-ერთ მთავარ მინისტრად ჰყავს დასაჭერი ადამიანი, რომელიც ქვეყანას ექაჩება ქვეყნისთვის არაკარგ ადგილში, კერძოდ ნატო-ში. ამაზე პასუხი უნდა წამოვიდეს მთავრობიდან, ჩვენ გავეცით პასუხი, როგორც „რესპუბლიკელებმა", სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და არა იქიდან გამომდინარე, თანაპარტიელი რომაა ქალბატონი ხიდაშელი. ნებისმიერ შემთხვევაში აქ გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი კურსი დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ.

**— ისე, „თავისუფალ დემოკრატებსაც" მიაჩნიათ, რომ პროდასავლურობის გამო მოხდა მათ წინააღმდეგ შეთქმულება და მაღალჩინოსნების დაჭერა, რომელთაც ბრალი დღემდე ვერ დაუმტკიცეს, თქვენი პარტიაც ხომ**

**არ გაიზიარებს იგივე ბედს?**

– ეს სხვა შემთხვევა იყო, სასამართლო მიმდინარეობს და ამაზე მე ვერაფერს ვიტყვი. იყო თუ არა ეს პროდასავლური კურსის წინააღმდეგ ბრძოლა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი ერთია, მას შემდეგ ქვეყნის კურსი არ შეცვლილა, ვერც თოფაძის განცხადების შემდეგ შეიცვლება კურსი, ამიტომ ამ მოვლენებს ნუ შევადარებთ.

**— სხვათა შორის, კოალიციაში თქვენი მისამართით პრეტენზია ბოლო დროს სიებთან დაკავშირებითაც მიდის. გარდა თოფაძისა, „რესპუბლიკელების“ გაძლიერება მომავალ პარლამენტში აშკარად არ ახარებს ბევრს და დაუსრულებელი მითქმა-მოთქმაა ამის გარშემო...**

– რაც შეეხება სიის საკითხს, ბატონ თოფაძეს რომ ნამდვილად არ ადარდებს, სიაში 5 იქნება „რესპუბლიკელი“ თუ 10, ეს ვიცი. ის, უბრალოდ, ნატო-ს წინააღმდეგია. ამიტომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ არც სია გვაღელვებს, არც პარტიული ინტერესი, განსხვავებით ძველი შემთხვევისგან, ვინც „თავისუფალ დემოკრატებშია“. აქ სხვა რამეზეა საუბარი, ერთი კაცი ბედავს და თავისი ქვეყნის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს და ჩვენ ახლა პასუხი გავცეთ, რომ ეს იმიტომ ხდება, 5 ადგილით მეტი გვინდა? ეს არ იქნება სწორი. საერთოდ არ მინდა პარლამენტში არც ერთი ადგილი, ოღონდ საქართველო წავიდეს იმ მიმართულებით, რაც აქვს გამოცხადებული. იმიტომ რომ ამ ქვეყანაში რეფერენდუმია ჩატარებული და უმრავლესობამ, დიდმა უმრავლესობამ, 80%-მა თქვა, რომ ნატო უნდა და ვინ ჰკითხავს ვინმე პარლამენტარს ქვეყნის კურსის წინააღმდეგ სიარულს, როგორ შეცვლის იმას, რასაც ქართველმა ხალხმა უპასუხა?!

**— მოახლოებულია არჩევნები, კოალიცია როგორ აპირებს თავის დაზღვევას, რომ მომავალში კიდევ არ ვიხილავთ განსხვავებული კურსის მქონე პიროვნებას სიაში, თოფაძეს ან სხვა ვინმე მსგავსს?**

– არაფერი, თოფაძემ უნდა დატოვოს კოალიცია, ეს იქნება სხვისთვის მაგალითი. ხომ ბრძანა, წავალ პარლამენტიდანო. ერთხელ ცხოვრებაში ერთი სიტყვა ხომ უნდა შეასრულოს, წავიდეს პარლამენტიდან და პრობლემა არ ექნება არც მის პარტიას და არც ფრაქციას. პრობლემა მხოლოდ მასშია. არ ვიცი, რა ძალა აკეთებინებს მსგავს განცხადებებს.



**„ბატონი თოფაძე, ლევან ვასაძე, ნინო ბურჯანაძე, ლადო სადღობელაშვილი ერთ სიმღერას მღერიან, სადმე იკრიბებიან და ვინმე ასწავლით რამეს თუ არა, ჩემი გასარკვევი არაა, სახელმწიფო კურსის წინააღმდეგ საუბარი სახელმწიფოს გასარკვევია“**

**— და ეს განცხადებები ხშირად ემთხვევა მნიშვნელოვან მოვლენებს. როცა ნატო-ს გემები დგანან ბათუმში, შემთხვევითობაა, რომ პარლამენტარი თავდაცვის მინისტრის და ამ ალიანსის წინააღმდეგ ილაშქრებს?**

– ვფიქრობ, რომ ეს არ არის შემთხვევითი. ბატონი თოფაძე, ლევან ვასაძე, ნინო ბურჯანაძე, ლადო სადღობელაშვილი ერთ სიმღერას მღერიან, სადმე იკრიბებიან და ვინმე ასწავლით რამეს თუ არა, ჩემი გასარკვევი არაა, სახელმწიფო კურსის წინააღმდეგ საუბარი სახელმწიფოს გასარკვევია. ამიტომ აუცილებლად მოსაწვევია უსაფრთხოების სამსახურის მესვეურები და დასასმელია ეს კითხვები. ბოლოს და ბოლოს, კაცი თავისი განცხადებებით ქვეყანას ანგრევს და ეს ვილაცას გადაჰყავს კინკლაობის საკითხში, თითქოს ერთმანეთი არ მოსწონთ ბერძენიშვილებსა და თოფაძეს. ამიტომ ამას სჭირდება გარკვევა, საიდან და როგორ, რანაირად ხდება. თინა ხიდაშელზე რომ თქვა, დასაკითხიაო, ჩვენ რომ სხვანაირი ხალხი ვიყოთ, ხომ ვიტყოდით, ვინაა დასაკითხი, მაგრამ მისგან მხოლოდ იმას ვითხოვთ, რომ დატოვოს ჩვენი რიგები, რადგან კოალიციასთან და დასავლურ კურსთან არაფერი ესაქმება. დაანებოს თავი იმ ადგილს, სადაც არ არიან მისი მომხრეები. ყველამ გაკიცხა, ვნახე ერთი-ორი, რომელმაც თქვა, რომ ბერძენიშვილიც არვარგა და არც თოფაძე, თუმცა ეს ის შემთხვევა არაა, როცა ასეთი პრიმიტივის საუბარს ვინმე სერიოზულად მოუსმენს. საუბარია იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე, ფრაქციის, რომელიც ხელოვნურად შეუქმნეს, არ ჰყოფნიდა ხალხი და მიაშველეს, მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ არ ეთანხმება საქართველოს გაცხადებულ საგარეო კურსს, რომელიც ვერ შეცვალა ვერც ერთმა მთავრობამ, შევარდნაძიდან დაწყებული, ნატო-ს ვუკაკუნებთ და ახლა უნდა შეცვალოს ამ კომუნისტურმა გადმონაშთმა? რომელიც მისტირის ეპოქას, როცა კადაფის ძეგლები იდგა ლიბიაში? მე არ ვიცი, რა ატირებს კადაფიზე, რატომ მიაჩნია აგრესიულ ორგანიზაციად ნატო, მაგრამ ფაქტი ესაა. არსებობს ვიდეომასალა, არსაიდან წაშლილი არაა და თუკი ვინმემ ვერ გაიგო, რა თქვა, შეუძლია, ნახოს. რასაც ამბობს, ყველა სიტყვა არის ანტისახელმწიფოებრივი. როცა ნატო-ზე ასე საუბრობდა, მე სხვებთან ერთად ბრიუსელში ვიყავი ნატო-ში და მომიწია თავის მართლება, რომ ეს ერთი კაცია მხოლოდ, რომელიც თავისებურად ფიქრობს. ეს აზიანებს ჩვენს ინტერესებს...

**— თუმცა თოფაძე თავად არ მიდის კოალიციიდან, რას იზამთ?**

– მოუწევს, ასე ვერ დარჩება, ჩვენ აღარ გავჩერდებით და ადვილი იქნება მისთვის ამის გადატანა? ამაზე ხომ უნდა იფიქროს? მან ისეთი რამ თქვა, რომ უკან დახევა აღარ არსებობს. იმაზე ხომ არ არის მართლა, საგარეჯოში რა მოხდა, კაცი სახლიდან და კოალიციიდან გველაპარაკება სწორედ ისე, როგორც გველაპარაკება პუტინი.

## ეკა ბესელია — პირველად არ გვესმის, რომ სააკაშვილი ჩანაწერებს აკეთებდა ყველაზე, ვინც მისთვის მიუღებელი იყო



– პირველად არ გვესმის, რომ სააკაშვილი ჩანაწერებს აკეთებდა ყველაზე, ვინც იყო აქტიური და მისთვის მიუღებელი, – ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ იმ ინფორმაციაზე კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც მთავარმა პროკურატურამ მისი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ბესელიას თქმით, ამ საქმის კონკრეტულ გარემოებებს არ იცნობს, თუმცა საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც არ ექვემდებარება საჯარო გახმაურებას, არსებობს კანონით გათვალისწინებული წესები, რომლებიც ყველამ უნდა დაიცვას.

– 18 000-ზე მეტი ფაილია, რომელზეც ათასობით უკანონო ჩანაწერი არსებობს. დიდი ნაწილი, რაც დარჩენილი იყო, განადგურებულია, მაგრამ თავიდანვე გამოითქვა ვარაუდი, რომ ძალიან ბევრი მასალა ყოფილი თანამშრომლების მხრიდან გატანილია. შესაბამისად, ყველა ეს ქმედება არის დასჯადი. ის, რომ სააკაშვილი ასეთი ტიპის ჩანაწერებს აკეთებდა ყველაზე, ვინც იყო აქტიური და მისთვის მიუღებელი, მე მგონი, პირველად არ გვესმის, – განაცხადა ბესელიამ.

მთავარმა პროკურატურამ ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, – ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძემ განუცხადა.

– პროკურატურაში გამოძიება დაიწყო. რა ეტაპზეა, ამაზე არ მაქვს ინფორმაცია. რეაგირება იქნება უმკაცრესი, რადგან ეს არის ამაზრზენი და ამორალური დანაშაული. ისტორიამაც აჩვენა, რომ ჩვენ ამ დანაშაულის მიმართ ვიქნებით უმკაცრესი, – განაცხადა გიორგი გოგაძემ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მოქალაქე გელა ღურწკაია დააკავა. ღურწკაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 157-ე მუხლებით წაუყენეს, რაც პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება-გავრცელებას გულისხმობს. კერძოდ, ღურწკაია მედიით ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელებას ცდილობდა. (ინტერპრესნიუსი)

# რა შეუთვალა ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილს?

## რომელი მოქმედი პარლამენტარები აღარ იქნებიან საარჩევნო სიაში?



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



წინასაარჩევნოდ ვაჭრობა უფრო სარფიანი გამოდგა და ეშხში შევიდა. როგორც გარედან ჩანს, ამ ვაჭრობას „რესპუბლიკელები“ წარმართავენ, ფასსაც ისინი ადებენ და გამყიდველებიც თავად არიან. თუმცა, როგორც „ალიას“ სანდო წყაროებმა განუცხადეს, არც ასეა საქმე. ბიძინა ივანიშვილი, რომელიც „რესპუბლიკელებს“ დიდი ხანია, მოწყალე თვალით უყურებს, ჭოჭმანს იწყებს... საქმის თავი და თავი ის არის, რომ „რესპუბლიკელები“ მოითხოვენ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისას, კოალიციის სიაში არ იყვნენ ის ადამიანები, ვინც, მათი აზრით, მათ გვერდით ყოფნას არ იმსახურებენ და არცხვენენ. ლაპარაკია არა მხოლოდ გოგი თოფაძეზე, არამედ დავით ლორთქიფანიძეზე, ლუკა კურტანიძეზე, ზაზა პაპუაშვილზე, ნუკრი ქანთარიაზე... როგორც გვიყვებიან, ივანიშვილმა თავდაპირველად დინჯად მოისმინა „რესპუბლიკელთა“ ეს შეთავაზება... სანამ მთავარზე გადავალ, აქვე ვიტყვი, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი წყაროების მოწოდებული ეს ინფორმაციები უტყუარი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ვინაიდან ამ ხალხის მიერ მოწოდებული არაერთი ინფორმაცია დადასტურებულა, ამიტომაც საჭიროდ მივიჩნევთ, მათ მიერ მოწოდებული ეს ინფორმაციებიც, საზოგადოების მაღალი ინტერესების შესაბამისად, გავასაჯაროოთ...

მოკლედ, ბიძინა ივანიშვილმა კარგა ხანს უქნია თავი ულტრალიბერალთა ქართველ მამამთავრებს და რამდენიმე მოქმედ დეპუტატზე განაცხადა კიდეც, რომ ისინი საარჩევნო სიაში, მათი მოთხოვნის შესაბამისად, ვერ მოხვდებოდნენ. მათ შორის სოსო ჯაჭვლიანზე, კურტანიძესა და ნუკრი ქანთარიაზე. ზაზა პაპუაშვილზე კი უთქვამს, მას თავად აღარ სურს დეპუტატობა და ეს საკითხი აღარ განვიხილოთო. რაც შეეხება გოგი თოფაძეს, ის თავად ივანიშვილის თხოვნით, მომავალი პარლამენტის დეპუტატობაზე თავადვე განაცხადებს უარს, ოღონდ ისე, რომ ეს „რესპუბლიკელებს“ არ დაჰბრალდეთ, მათ გამარჯვებაში არ ჩაეთვალოთ და არ თქვან, რომ გოგი თოფაძე მათ „მოტეხეს“ სიიდან. როცა „რესპუბლიკელებს“ მისთვის პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის საარჩევნო სიაში ჩასმაზე კატეგორიული უარი განუცხადებიათ, ივანიშვილს ასე უთქვამს, – საქართველოს ნებისმიერ ოლქში დაგიყენებთ დიმიტრი ხუნდაძეს და მთელ „რესპუბლიკურ პარტიას“ და თუ თქვენმა პარტიამ ამ კაცს არჩევნები მოუგო, საერთოდ არ გაეკარება ეს კაცი პოლიტიკასო.

წყარო აცხადებს, რომ „რესპუბლიკელებს“ აქვთ ინფორმაცია, რომ შესაძლოა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მოხვდეს სანდრო ბრეგაძე, რაზეც ივანიშვილს უთქვამს, ეს ნედლი თემაა, ჯერ ახალი წამოჭრილია და სალაპარაკოდაც არ ღირსო. წყარო აცხადებს, რომ ივანიშვილს „რესპუბლიკელებმა“ კვლავ შეახსენეს თავიანთი ათასგზის ნახმარი კოზირი – „ქართულ ოცნებაში“ ჩვენ დავალაგეთ საგარეო ურთიერთობა და კოალიციის ფლაგმანი საგარეო ურთიერთობებში სწორედ ჩვენი პარტიააო. თუმცა, ეს კოზირი ივანიშვილს შორს დაუჭერია და კატეგორიულად უთქვამს – მსოფლიო პოლიტიკაში ისე იცვლება ვითარება, იმდენად ელვისებური და მოულოდნელი ცვლილება ხდება, შესაძლოა, ეგ თქვენი ფლაგმანობა არათუ რამეში გამოგვადგეს, პირიქით, საერთო საქმე წამიხდინოსო. სხვათა შორის, „ალია“ 2 კვირის წინ წერდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავად წამოიწყო ალასანიას პარტიასთან დიალოგი, თავად არის მოსურნე „თავისუფალი დემოკრატების“ შემორიგებისა. ჩვენ მაშინ, ასევე, ივანიშვილის ახლო გარემოცვასთან დაახლოებულ წყაროებზე დაყრდნობით ვწერდით, რომ მათი შემორიგება ივანიშვილს სწორედ „რესპუბლიკელთა“ მოძალებული ამბიციების გამო სურდა. „თავისუფალი დემოკრატები“ სწორედ იმ საგარეო ფრონტს დაულაგებენ ივანიშვილს, რომლის მოშიშვლებითაც „რესპუბლიკელები“ ემუქრებიან... ამ წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ ამ თემაზე დიალოგი შეწყვიტეს. თუმცა, ბრძოლას კვლავ განაგრძობენ და არაპირდაპირი მეთოდებით სოს-მაშველს უხმეს. წყარო აცხადებს, რომ „რესპუბლიკელებმა“ ამჯერად ივანიშვილს ამერიკის ელჩი, იან კელი, სხვა გავლენიანი ქვეყნების ელჩები და ასევე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების მესვეურნი მიუსიეს. თუმცა, იან კელი, როგორც წყარო აცხადებს, მოვლენების წინ გასწრებას არ აპირებს, მან ჯერ არ იცის, იქნებ ამერიკის ხელისუფლებამ სწორედ ირაკლი ალასანიაზე დადოს ფსონი და არა „რესპუბლიკელებზე“. წყაროს თქმით, ის ირაკლი ალასანიას ამერიკაში ვიზიტის საბოლოო შედეგებს და შესაბამისად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მითითებებს ელოდება. შეიძლება ითქვას, ამ მომენტისთვის, „რესპუბლიკელები“ ჰაერში არიან და არც ბიძინა ივანიშვილისგან აქვთ კონკრეტული, დადებითი პასუხი და არც თავიანთ პატრონებად შეგულებული ამერიკელებისგან.

წყარო იმასაც აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილს პატრიარქმა შეუთვალა, ოღონდ ეროვნულ ძალებს ნუ ამოყრი საარჩევნო სიიდან, საარჩევნოდ გვერდში დაგიდგებითო. და როგორც ადრე „ალია“ იუწყებოდა, კვლავ ძალაში რჩება პატრიარქისა და ბიძინა ივანიშვილის მომავალი დაგეგმილი შეხვედრა, სადაც არამხოლოდ საარჩევნო საკითხები უნდა განიხილონ...

## ე.წ. ღორის გრიპით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა

ე.წ. ღორის გრიპს კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოყვანილი მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც მედიკოსები განმარტავენ, გარდაცვალების მიზეზი **H1N1** ვირუსის დაგვიანებული მკურნალობა გახდა. (პირველი რადიო)

## მკვლელობა ძველი ვალის გამო — რა გახდა დიღომში მომხდარი მკვლელობის მიზეზი?

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღ-




მაშენებლის ხეივანში მომხდარი მკვლელობა ძველი ვალის გამო მოხდა.

უწყების განმარტებით, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს და პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღიც ამოიღეს. მისი თანმხლები პირების ძებნა კი ამ დრომდე მიმდინარეობს.

– საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული დავით ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული, თანმხლებ პირებთან ერთად, მიმდინარე წლის 16 თებერვალს, თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კილომეტრზე მდებარე ერთ-ერთი კომპანიის ოფისში მივიდა და წარსულში არსებული ვალის გამო მეპატრონეებთან, ძმებთან – ზურაბ ბ-სა და გიორგი ბ-თან ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა. კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც დავით ბ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1967 წელს დაბადებულ ზურაბ ბ-ს, ხოლო 1970 წელს დაბადებული გიორგი ბ. ფეხის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ზურაბ ბ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო გიორგი ბ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

სამართალდამცველებმა დავით ბ. მომხდარიდან რამდენიმე წუთში, დიღმის მასივში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო. თანმხლები პირების ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, 117-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით) – აღნიშნულია შს სამინისტროს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

კვირის ფანდური

# რას პასუხობს ირმა ინაშვილი ძმებ ბერძენიშვილებს, გია ვოლსკისა და გიორგი კვირიკაშვილს?



**ირმა ინაშვილი: „გოგი თოფაძის ქმედება არის კაცური, ვაჟკაცურიც და დასაფასებელიც, რაც შეეხება ძმებ „სტუკაჩოვ“ ბერძენიშვილებს, ეს ხომ ცალკე ამბავია...“**





ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება ევროპას „აოცებს“, ქართველებს აოგნებს... ის, რაც ხდება ქართულ პოლიტიკაში, დემოკრატია კი არა, მუტანტების ომია. ჩვენ თვალწინ თამაშდება საოცარი სცენარი, როცა მმართველი კოალიციის სუბიექტი ბრალს სდებს თავდაცვის მინისტრს, თინა ხიდაშელს არჩევნების გაყალბებაში და დღის წესრიგში არ დგება საგარეჯოს შუალედური არჩევნების დელეგიტიმაციის საკითხი. ვიცინოთ თუ ვიტიროთ, ახლა ეს არის საკითხავი. ერთი რამ კი ცხადია, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის შიმშილობას უკვალოდ არ ჩაუვლია და არც მისი მოთხოვნა, მთავარი გამყალბებელი თინა ხიდაშელი გადამდგარიყო თანამდებობიდან, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მეტიც, ირმა ინაშვილის ამ მოთხოვნას ძალიან მომხრეები გამოუჩნდა მთავრობაში – გოგი თოფაძე და დღეს უკვე გადამდგარი სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე. მიუხედავად იმისა, რომ ძმები ბერძენიშვილები თოფაძის წინააღმდეგ დაირაზმნენ და ულტიმატუმი დააყენეს, ან „მრეწველები“ შეელევიან თოფაძეს, ან „კოალიცია“ შეელევა გოგის. აი, ამ „სტუკაჩი“ ძმების რეპლიკები ისე კიდია გოგი თოფაძეს, როგორც ახლა ნატო იკიდებს თურქეთს და ტოვებს რუსების პირისპირ. როგორც ჩანს, ძმებმა ბერძენიშვილებმა „კაგებეს“ ზეწოლას ვერ გაუძლეს. როგორც ამბობენ, ჩაუშვეს მეგობრები, ციხეში ძმები შევიდნენ და იქიდან დები გამოვიდნენ. არ იციან ყაზბეგელი გოგი თოფაძის ჯიუტი ხასიათი, რომლის ძარღვებში გერმანული სისხლი ჩქეფს. რაც უფრო წინააღმდეგობაში მოვლენ გოგი თოფაძესთან ეს „სარანჩები“, მით მეტად გაძლიერდება მათთან ბრძოლაში, რადგან გოგი თოფაძისთვის მუდამი ბრძოლას აქვს. ამიტომაც უთვლის ის თავდაცვის მინისტრს, – ნუ იმართლებ თავს, ათჯერ მეტს მიიღებ, ბევრი მაქვს სათქმელი. თოფაძე დეტალურად აღწერს, როგორ იქცა 25-კაციანი სამხედრო ბაზა 626 ჯარისკაცად. პოლიტიკურად გოგი თოფაძემ შეცდომა დაუშვა იმაში, რომ არჩევნების გაყალბების შემდეგ არ დაიწყო ბრძოლა სამართლიანობისთვის და მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როცა ხიდაშელმა ირონიულად იკითხა, – გოგი თოფაძე კიდევ დეპუტატიაო?!. გამოდის, სანამ თოფაძეს არ შეეხო ხიდაშელი, მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე თოფაძემ ხმა არ ამოიღო. აი, მართლაც საოცარ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მინიონთა ჯგუფი, რომელსაც ჰქვია „რესპუბლიკური პარტია“, გვთავაზობს აბსურდის თეატრს, არც ერთხელ საქართველოს გულისთვის თავი არ გაუწირავთ, არც ერთ ომში არ უბრძოლიათ, ღირებული არაფერი შეუქმნიათ, ყოველთვის იბრძოდნენ ეროვნული ძალების წინააღმდეგ, მათ შორის იყვნენ პრეზიდენტ გამსახურდიას დაუძინებელი მტრები, მათი ქმედებები შეფასდა ანტისახელმწიფოებრივად, ანტიქართულად, ამ პარტიის წამყვანი ლიდერები თანამშრომლობდნენ რუსეთის „კაგებესთან“, ეს ის პარტია იყო, რომელიც ჟვანიას მუხლებში ჩაუვარდა, პარლამენტში რომ გაეყვანა. მათში ყოველგვარი ქართული და ეროვნული პრორუსობასთან ასოცირდება. სწორედ ამ პარტიის ლიდერები იყვნენ, ვინც ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებდნენ, კონკრეტულად კი ლევან ბერძენიშვილი მის გვარს აგდებულად მოიხსენიებდა და ამტკიცებდა, რომ ივანიშვილი კი არა, ივანაშვილი იყო. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მას ბერძენიშვილი პროვინციელ, უინტელექტო პიროვნებად მოიხსენიებდა და რაც მთავარია, 2011 წელს 7 ოქტომბერს, როგორც კი ივანიშვილმა დააანონსა, რომ პოლიტიკაში შემოსვლას გეგმავდა, დავით ზურაბიშვილსა და მის მეგობრებს ჩემოდნები ჩალაგებული ჰქონდათ და გასაქცევად ემზადებოდნენ, ივანიშვილის საქართველოში ჩვენ არ დაგვედგომებაო. თუმცა მოხდა ის, რაც მოხდა და ივანიშვილმა ისინი დომინანტი პარტია გახადა კოალიციაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალა ივანიშვილის წინააღმდეგ პარტიზანულად იბრძვის, ზოგიერთი ღიადაც უპირისპირდება, ამის საილუსტრაციოდ დავით ზურაბიშვილი გამოდგება, რომელმაც ივანიშვილს ყელში ამოადინა ციხისძირში სამი ხის გადარგვა, ღიად ლობირებს სააკაშვილს, მათი რეიტინგი ივანიშვილის თვალში ჯერჯერობით არ ეცემა, თუმცა საინტერესოა, როდემდე გასტანს ნერვების ომი. უბრალოდ, სამარცხვინოა, როცა დავით ბერძენიშვილი გოგი თოფაძეს ადანაშაულებს ანტიეროვნულობაში, თურმე ნუღარ იტყვით და, „რესპუბლიკელების“ ლოგიკით, დემოკრატია სიცრუის მანქანა ყოფილა. „რესპუბლიკური პარტიის“ 30-წლიანი არსებობის მანძილზე რაც კი უთესიათ და ჩაუდენიათ, აუცილებლად ბუმერანგივით დაუბრუნდებათ და მართალია თოფაძე, რომ ამბობს: „მურვან ყრუ ისე არ ეჯავრებათ ქართველებს, როგორც „რესპუბლიკური პარტიაო“. გოგი თოფაძისა და „რესპუბლიკელების“ დაპირისპირება პირდაპირ ასხამს წყალს „პატრიოტთა ალიანსის“ ინტერესებზე, ამიტომ ირმა ინაშვილი გოგი თოფაძეს სოლიდარობას უცხადებს და ამბობს: „გოგი თოფაძის ქმედება არის კაცური, ვაჟკაცურიც და დასაფასებელიც. რაც შეეხება ძმებ „სტუკაჩოვ“ ბერძენიშვილებს, ეს ხომ ცალკე ამბავია...“ ინაშვილი ეხმაურება დავით ბერძენიშვილის განცხადებას, რომელმაც საპარლამენტო სხდომაზე გოგი თოფაძე ანტიკოალიციურ განცხადებებში დაადანაშაულა: „დავით ბერძენიშვილი რომელი პროდასავლური ელემენტია, ხომ არ იცით? არჩევნების გაყალბება როდიდანაა დასავლური ღირებულება, ან ფასეულობა?!. არჩევნების გაყალბება დასავლეთში სისხლის სამართლის დანაშაულად და პოლიტიკოსთა მხრიდან ყოვლად უკანონო და უღირს ქმედებად ითვლება. უკვე სასაცილოა ამ ვექტორებზე საუბარი, გაიგოს ამ პოლიტიკურმა ხვრელმა, რომ სწორედ ჩვენ ვართ ნატორეალისტები, ხოლო ის და მისი მატყუარა ჯგუფი, ნატოაფერისტები არიან. ახლა ვეკითხები ამ პოლიტიკურ ხვრელს, თქვენი თავდაცვის მინისტრის მინისტრობისას რატომ გვტკიცა უარი ნატო-მ გაწევრიანებაზე, შემთხვევით, სწორედ რუსეთის საქმეს ხომ არ ემსახურება ქალბატონი თინიკო, რომელიც, მიშას მსგავსად, მუდმივად რუსეთს აგინებს და სინამდვილეში, რუსეთის საქმეს აკეთებს. სააკაშვილიც ასე „ებრძოდა“ რუსებს და ბოლოს, ქართული მიწების 22% სწორედ მათ უსახსოვრა, უკრაინაშიც რუსული საქმე გააკეთა ყირიმის მოწყვეტით, თავდაცვის მინისტრიც ამტკიცებს, პროამერიკელი ვარ და ვოცნებობ, რუსეთი აღიგავოს პირისაგან მიწისაო, მაგრამ რას ვხედავთ? ასეთი ნიჰილისტურ-პესიმისტური განცხადებები ნატოს სააკაშვილის რეჟიმის დროსაც კი არ გაუკეთებია. გამობრძანდეს თავდაცვის მინისტრი და გააკეთოს ახსნა-განმარტება, რა მოხდა, რა ღალატს ჰქონდა ადგილი, რომ ნატომ ჩვენზე ხელი ჩაიქნია. ამის ერთ-ერთი მიზეზი არჩევნების გაყალბებაც ხომ არ არის, რადგან, მოგეხსენებათ, ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი სტანდარტი სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებაა და არა გაყალბება, რაშიც ხიდაშელმა თავი გამოიჩინა. ახლა, მესამე პოლიტიკური ხვრელი – დავით ბერძენიშვილი გოგი თოფაძეს მოუწოდებს, დატოვოს პარლამენტი, თოფაძე დესტრუქციული ძალააო. ქართველი ხალხის ნდობა და ლეგიტიმაცია რომ არ გაქვთ, ბატონო პოლიტიკურო ხვრელო, თქვენ, თქვენმა პარლამენტის თავმჯდომარემ და არჩევნების გამყალბებელმა მინისტრებმა დატოვეთ თანამდებობები, უფრო ზნეობრივი და ლოგიკური არ იქნება?!. ჩვენ ქართული ინტერესების გამტარებელი მინისტრები გვჭირდება და არა პროამერიკელი, ანდა პრორუსული, ორივე პრო პროა ჩემთვის... ბერძენიშვილი რომ აცხადებს, უკადრებელი ძალიან მწვავე კამათის დროს არ მიკადრებიაო, რაღა უნდა იკადროთ იმაზე მეტი, რაც იკადრეთ და რასაც კადრულობთ. სოხუმი და ცხინვალი საქართველოს ნაწილად არ მიგაჩნიათ, ნატო-ს პერსპექტივა სამუდამოდ დამარხეთ და სხვათა შორის, რუსეთის სასარგებლოდ. სამართლიანობის იდეას შეაფურთხეთ, მუდმივად მხარს უჭერთ ყოველივე ანტიქართულს, ანტიეროვნულს. თქვენ ხართ „ნატოაფერისტები“ და ზოგადად, აფერისტები. პავლიკ მოროზოვს გააოცებს თქვენი წითელი აზროვნება. „სტუკაჩობის“ პერიოდს ამჯერად არ გავიხსენებ, თუნდაც თეორია – თოფაძე ცუდია და „მრეწველთა პარტია“ კარგი, თოფაძეს უნდა გაემიჯნოს მრავალი წლის მეგობარი ტყემალაძე, ესაა წითელი აზროვნება, სხვა კი არაფერი. ისიც კი არ გესმის, რომ კაცი მეგობრის გვერდით უნდა იდგეს მაშინაც კი, როცა მთელი სამყარო ამ მეგობრის წინააღმდეგაა“.

ირმა ინაშვილი ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერს გია ვოლსკის პასუხობს, რომელმაც გოგი თოფაძეს მოუწოდა, შეეწყვიტა განცხადებები და იქვე დასძინა, რომ არჩევნები ჩატარდა კოალიციურად და გაყალბება არ დადასტურებულა, რადგან აბსოლუტურად ობიექტური შედეგი დაიდო. რაც შეეხება ქვეყნის კურსს, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას და ამ საკითხზე პოლიტსაბჭოზე ვიმსჯელებთო. ინაშვილმა გია ვოლსკის შეახსენა: ამ სამი წლის მანძილზე, რაც ხელისუფლებაში აღმოჩნდით, რამდენჯერ და რამდენი განცხადება გააკეთეს „კომუნისტინიმ“, „გამყალბებლოვამ“, ძმებმა „სტუკავოჩებმა“, ან თუნდაც „ზახარინმა“, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თქვენი კოალიციის გაცხარებულ პრინციპებსა თუ პრიორიტეტებს, მაგრამ ხმაც არ ამოგიღიათ. თქვენივე პარტიის ლიდერებს ლანძღავენ, ტალახში სვრიან და კვლავ დუმხართ, რატომ? „რესპუბლიკელები“ რაღაცას იტყვიან და ეს თურმე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა. თქვენს ლიდერებს როცა ლანძღავენ, უბრალოდ, გეშინიათ, რომ დაიცვათ, ხოლო თოფაძემ რომ სიმართლე თქვა, ეს კოალიციის სახელმწიფო განცხადებაც ყოფილა და ანტისახელმწიფოებრივიც. ახლა მე მომისმინეთ, ბატონო გია, თინა „გამყალბებლოვი“ არც სახელმწიფოა და არც საქართველო, არც დავით „კომუნისტინია“ საქართველო (რომელიც 9 აპრილის აქციის შემდეგ შევიდა კომუნისტურ პარტიაში. – ნ.ს.), არც ძმები „სტუკაჩოვები“, ეს ოთხივე სწორედაც რომ წურბელაა, ქართული სახელმწიფოს კისერზე მოკალათებული. საგარეო კურსით სპეკულაცია ახალი არ არის, ჯერ სააკაშვილი სპეკულირებდა და საბოლოო ჯამში, სოხუმი და ცხინვალი გაყიდა. ახლა ეს წურბელები სპეკულირებენ, სინამდვილეში კი ბათუმის, ოზურგეთის, ახალციხის გაყიდვა სურთ. ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკს აღარც ერიდებიან და ღიად აცხადებენ ამას. ვისაც აქამდე თვალი არ აეხილა, ახლა მაინც მოიხსნას მზის სათვალე.

და ყველაზე მთავარი, პრემიერ-მინისტრის პოზიცია, რომელმაც საზოგადოების აზრი ორად გაყო: კვირიკაშვილმა თინა ხიდაშელის პოზიცია დაიკავა და განაცხადა: თავდაცვის მინისტრის მიმართ ბრალდებები ჩირქს სცხებს მთელ მთავრობას, ხოლო გოგი თოფაძის მიმართ გაკეთებული მთელი ბრალდებები პრემიერმა ისე გაატარა, როგორც შარშანდელი თოვლი. ბატონო გიორგი, თქვენ ყველას პრემიერი ხართ, მათ შორის გოგი თოფაძის, გამოდის, რომ ეთანხმდებით ბერძენიშვილების პოზიციებს, რომ თოფაძე ანტიეროვნულ, ანტიკოალიციურ განცხადებებს აკეთებს. ეს ქვეყნის ღალატის ტოლფასი ბრალდებაა. რას ნიშნავს თქვენი დუმილი და ცალმხრივი პოზიცია. ის, რაც შეიძლება ეპატიოს იუპიტერს, არ ეპატიება ხარს?!. როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებით გოგი თოფაძე კმაყოფილი არ არის. ის თვლის, რომ არასწორად მიაწოდეს ინფორმაცია.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი კი ასე პასუხობს პრემიერ-მინისტრის შეფასებას: ვწუხვარ, რომ პრემიერი კვირიკაშვილი სრულიად ცალმხრივი და მიკერძოებული აღმოჩნდა, კატეგორიულად არ ვეთანხმები, თითქოს თავდაცვის მინისტრის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებები ვრცელდება. მეტიც, თუ ვინმემ ჩირქი მოსცხო მთავრობასაც და კოალიცია „ქართული ოცნების“ ღირებულებებსაც, ეს სწორედ ყოვლად გათავხედებული თავდაცვის მინისტრია. თუ ჩვენ ვიქნებით ცალმხრივი, არ ვამხელთ ტყუილსა და დანაშაულს, გავხდებით ამ ტყუილის ნაწილი. ერთ მართალ კაცს დავჩაგრავთ, ვერასოდეს ავაშენებთ თავისუფალ და ბედნიერ ქვეყანას. გულახდილად რომ გითხრათ, ახლა ჩემი სიმართლე აღარც მადარდებს, თქვენც რომ არ აღმოჩნდით ყველა მოქალაქის, მათ შორის თქვენი ოპოზიციის პრემიერი და მხოლოდ თინა ხიდაშელის და „გირჩის“ პრემიერობა იტვირთეთ, ამ ფაქტის გამო უფრო მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ისე ნუ იზამთ, 2016 წლის არჩევნები თავდაცვის მინისტრის მორიგი დირექტორობის ქვეშ ჩაატაროთ, თორემ გპირდებით, ქართველი ერი უსამართლობის, ტყუილისა და ძალადობისგან თავსაც დაიცავს, საკუთარ არჩევანსა და საკუთარ ქვეყანასაც“.

ალია

# სანდრო ბრეგაძე: „გადადექიო, გელა დუმბაძემ ულტიმატუმი წამიყენა... სადაც ეშინიათ თინა ხიდაშელის, იქ ჩემი ადგილი არ არის“

## „რა უნდა მიქნა, თინა, ჯარს გამოუშვებ, მომკლავ თუ დამაპატიმრებ?! მგონი, სულ გარეკე, ქალბატონო!..“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან გადადგა, ვინ იქნება შემდეგი, ვის გაიყოლებს იგი. რატომ ვერ გაუძლო თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელისა და „რესპუბლიკელების“ ულტიმატუმს პრემიერ-მინისტრმა? რა არის ამ ყველაფრის მიზეზი? სანდრო ბრეგაძე განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო პერიოდში და ის კატეგორიულად ითხოვდა საკონსტიტუციო ცვლილებებს, სადაც შავით თეთრზე ჩაიწერებოდა, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, სანდრო ბრეგაძე „ლგბტ“ პირების დაუძინებელ მტრად იქცა. მანამდე კი ის პატრიარქზე განხორციელებულ შეტევებს აპროტესტებდა, რაც გახდა არასამთავრობოების მიზეზი, რომ მათ ბრეგაძის გადადგომა მოითხოვეს. საბოლოოდ თემა მომწიფდა და „რესპუბლიკელებმა“ პრემიერ-მინისტრს ულტიმატუმი წაუყენეს, თუ ბრეგაძე უარს არ იტყვის ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვაზე და თანამდებობაზე დარჩება, კოალიციას დავშლითო. არჩევანი „რესპუბლიკელების“ სასარგებლოდ გაკეთდა. შემდეგი ულტიმატუმის სამიზნე გოგი თოფაძეა და ასევე კატეგორიულად სვამენ „რესპუბლიკელები“ საკითხს, თუკი თოფაძე დარჩება კოალიციაში, „რესპუბლიკელები“ დავშლით კოალიციას და პრობლემებს შეგიქმნითო. საინტერესოა, ამ შემთხვევაში რას მოიმოქმედებს კოალიციის პოლიტსაბჭო. მართალია, ბრეგაძისა და თოფაძის თანამდებობებს შორის დიდი სხვაობაა და ამ შემთხვევაში თოფაძე არჩეული დეპუტატია, მაგრამ ამ ჯადოსნურ ხელისუფლებაში რომ ყველაფერი მოსულა და ისინი რომ კანონებს არ ცნობენ, ეს პრემიერ ღარიბაშვილის გადადგომამაც დაადასტურა. ერთი რამ ცხადია, ლიბერალური ფრთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შედის ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების მატარებელ ძალებთან და არ არის გამორიცხული, კონსერვატორული ძალების კოალიციური გაერთიანება ვიხილოთ. ჩაუდგება თუ არა ამ გაერთიანებას სათავეში ირაკლი ღარიბაშვილი, ამ კითხვაზე არსებობს სხვადასხვა პასუხი და დიდი ნაწილი არ გამორიცხავს, რომ ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდეს და კონსერვატორული ძალების ფლანგზე მოსინჯოს პოლიტიკური ბედი. სანდრო ბრეგაძის გადადგომას მაშინვე გამოეხმაურა „რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილი: „რატომ დაწერა განცხადება, თუ მაგარი ბიჭია?.. მესმის, რომ „აღორძინების“ აქტივისტი ბრეგაძე „რესპუბლიკელებით“ მოხიბლული არც მაშინ ყოფილა და არც ახლა იქნება. მან განცხადება პრემიერ-მინისტრს დაუწერა, რა შუაში ვართ „რესპუბლიკელები“? სანდრო ბრეგაძე ჩვენ არ დაგვინიშნავს და ვერც გავათავისუფლებდით...“ „რესპუბლიკელებზეა“ ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო... თინა ხიდაშელის მიმართ პრეტენზიები გროვდება და გოგი თოფაძის შემდეგ, ახლა უკვე სანდრო ბრეგაძე მოითხოვს მის გადადგომას და მოიხსენიებს როგორც არჩევნების გამყალბებელს. ბრეგაძე აცხადებს, რომ მას კანცელარიიდან შეატყობინეს, ქალბატონი ხიდაშელი ასევე ითხოვს მის გაჩერებას ნებისმიერ ფასად და არ კმაყოფილდება მხოლოდ მისი გადაყენებით, რაზეც სანდრო ბრეგაძე საჯაროდ სვამს კითხვას: „რა უნდა მიქნა, თინა, ჯარს გამოუშვებ, მომკლავ თუ დამაპატიმრებ?! მგონი, სულ გარეკე, ქალბატონო!..“ სანდრო ბრეგაძე „ალიასთან“ ინტერვიუში ღიად აცხადებდა, რომ მის ინიციატივას, არ დაკანონებულიყო ერთსქესიანთა ქორწინება, ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ხელისუფლებაში და აპირებდა პარლამენტის ლუსტრირებას, რომელი ძალა არ დაუჭერდა მხარს საკონსტიტუციო ცვლილებებს. მოწინააღმდეგე ბანაკად ის „რესპუბლიკურ პარტიას“ ასახელებდა. იგი პირობას დებდა, რომ თანამდებობიდან გადადგებოდა, თუკი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევდა. თუმცა სანდრო ბრეგაძის გადადგომა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა დააჩქარა, დღეიდან კი, თინა ხიდაშელს ერთი დაუძინებელი მტერი შეემატა სანდრო ბრეგაძის სახით. რაც უფრო მეტად მოახლოვდება არჩევნები, მით მეტი კომპრომატი დაიდება „რესპუბლიკური პარტიის“ მისამართით, თუმცა მოსაძებნიც არაფერია, რადგან ამ პარტიის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ლაშა ამირეჯიბი კი სოციალურ ქსელში აქვეყნებს ლევან ბერძენიშვილის იმ სკანდალური ჩვენებიდან ამონარიდს: „ჩვენ დავუბრუნდით ჩვენს საზოგადოებას, გვახარებს ჩვენი დიადი ქვეყნის წარმატებები და განსაკუთრებით ყველაფერი კარგი, რაც ჩვენს რესპუბლიკაში კეთდება ბოლო წლებში. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა სუკის თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი სამძებრო განყოფილების გამგეს, პოლკოვნიკ ა. მირიანაშვილსა და გამომძიებელ კაპიტან გ. ცინცაძეს, რომლებმაც მამაშვილური და ჰუმანური დამოკიდებულებით საშუალება მომცეს, ამეხსნა ჩემი სულისთვის ეს მძიმე ტვირთი და მეღიარებინა ჩემი დანაშაული. ველოდები დამსახურებულ სასჯელს და იმედი მაქვს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ რაიმეთი მაინც გამოვადგები ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას, ჩვენს საბჭოთა ხალხს და მის იდეალებს. როგორც იქნა, ჩემი სინდისი სუფთაა...“ მოვა დრო და თინა ხიდაშელსაც აუცილებლად გაუხსენებენ იმ ტრაგიკულ შემთხვევას, როცა, გავრცელებული ინფორმაციით, ის იჯდა საჭესთან, როცა დასავლეთ საქართველოში ავარია მოახდინა და დანაშაული მძღოლს საკუთარ თავზე აღებინა. ამ ავარიას ადამიანის სიცოცხლე შეეწირა... თუმცა მაშინვე ამბობდნენ, რომ უსუფაშვილმა და ხიდაშელმა ყველაფერი გააკეთეს, რომ საქმე ჩაეფარცხათ და დაზარალებული გაეჩუმებინათ.

**სანდრო ბრეგაძე ჩვენთან ინტერვიუში დავით ბერძენიშვილს პასუხობს რეპლიკაზე:**

– ესე იგი, თუ მაგარი ბიჭი ხარ, რატომ გადადექიო?.. მან არ იცის, რა არის „მაგარი“ და „კაიბიჭობა“, ეს გასაკვირი არ არის, 50 წლის ასაკში ადამიანი ძველბიჭობას რომ იწყებს, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს... მინდა მას ვუთხრა, რომ ადამიანები თავიანთი პრინციპების ერთგულები უნდა იყვნენ, მაგრამ მათ ხომ არაერთგზის დაამტკიცეს საკუთარი პრინციპების ღალატი... იყო დრო, როცა თავიანთი დისიდენტური საქციელის გამო „კაგებეს“ გენერალს ბოდიშს უხდიდნენ. ასევე, გავიხსენებდი 2004 წელს, როცა ცხონებულმა ზურაბ ჟვანიამ მათი კრიტიკის გამო საქვეყნოდ განაცხადა, – სანამ „რესპუბლიკური პარტია“ საჯაროდ ბოდიშს არ მოიხდის, საპარლამენტო სიაში არ ჩავსვამთო. კარგად მახსოვს, ტელეკამერების წინ მუხლისჩოქით როგორ მივიდნენ ზურაბ ჟვანიასთან და როგორ უხდიდნენ ბოდიშს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ საპარლამენტო მანდატი ჩაედოთ ჯიბეში. აი, ასეთ პოლიტიკოსებთან გვაქვს საქმე... თუ ვაჟკაცობაზე მელაპარაკება ბერძენიშვილი, ჩემი მაგალითი აიღოს, გადადგას ვაჟკაცური ნაბიჯი, კოალიციას გამოეყონ და დამოუკიდებლად მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. მე გამკვირვებია ამ პარტიის წევრების, ჩვენ პოლიტიკურ მუტანტებთან გვაქვს საქმე... ძალიან სამწუხაროა, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი „რესპუბლიკურ პარტიას“ შიშით უყურებს და წამოგებული არიან მათ შანტაჟს, თუნდაც ჩემი გადაყენების პროცედურა განვითარდა აბსოლუტურად სამარცხვინოდ, მაშინ, როცა საქართველოს თავდაცვის სამარცხვინო მინისტრმა თინა ხიდაშელმა კედელთან მიაყენა პრემიერ-მინისტრი და აიძულა, გადავეყენებინე. თქვენ რა გგონიათ, მოწმენდილ ცაზე მივიღე ეს გადაწყვეტილება?!.

**— კონკრეტულად ვინ დაგირეკათ და ვინ ჩაგაყენათ საქმის კურსში, რომ გადამდგარიყავით?**

– საბოლოოდ ეს ყველაფერი მითხრა მინისტრმა გელა დუმბაძემ, მიღებული იყო გადაწყვეტილება და თუკი თავად არ დაწერ გადადგომის შესახებ განცხადებას, იძულებული ვიქნებით, მოგხსნათ თანამდებობიდანო. იყო ულტიმატუმი ორი კვირის წინაც, რომ შემეწყვიტა ხელმოწერების შეგროვება საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც ერთსქესიანი ადამიანების ქორწინების აკრძალვას გულისხმობდა. პრინციპულად მომთხოვეს, გამეყინა ეს საკითხი, რადგან ამ თემის წამოწევის გამო შესაძლებელი იყო, კოალიცია დაშლილიყო. მე უფრო შორს წავალ და გეტყვით, რომ მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალებმა“ და „რესპუბლიკელებმა“ განაცხადეს უარი ამ ინიციატივის მხარდაჭერაზე. „ეროვნულების“ გენერალური მდივანი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ვახტანგ ხმალაძეს შეხვდა და მან პირადად უთხრა, რომ, თუ „ქართული ოცნება“ ამ ინიციატივას შეიტანდა საქართველოს პარლამენტში, „რესპუბლიკელები“ წინააღმდეგ წავიდოდნენ და მხარს არ დაუჭერდნენ. პირადად განვაცხადე, რომ არ ვაპირებ ჩემს მორალურ-ზნეობრივ პრინციპებზე უარის თქმას და არ დავყვები „რესპუბლიკელების“ შანტაჟს, სადაც ეშინიათ თინა ხიდაშელის, იქ ჩემი ადგილი არ არის.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან მეგობრობთ. პირადად თუ გქონდათ ამ თემაზე საუბარი?**

– არ მისაუბრია ამ საკითხზე, არსებობს პირადი ურთიერთობები, შეიძლება პრემიერმა რაღაც პრინციპების გამო პირად ურთიერთობებს გადააბიჯოს, მაგრამ მე პირად ურთიერთობებს არ ვაბიჯებ.

**— დიასპორის მინისტრმა გელა დუმბაძემ რატომ ვერ შეძლო თქვენი დაცვა, ეტყობა, მან არ იცის, რომ თქვენ შემდეგ მისი ჯერია. დიდი ხანია კახი კალაძეს მასზე თვალი აქვს დადგმული და აუცილებლად მოხსნიან მას თანამდებობიდან. მკითხველს შევახსენებ, რომ გელა დუმბაძემ „გაზპრომთან“ მოლაპარაკება უარყოფითად შეაფასა, კალაძემ კი მას „გაკოტრებული პოლიტიკოსი“ უწოდა...**

– ვერ გაგცემთ ამ კითხვაზე პასუხს. როცა გელა დუმბაძეს დაპირისპირება ჰქონდა კახი კალაძესთან და უჭირდა, მე საკმაოდ ბევრი რამ გავაკეთე, ყველას ვაჟკაცობას ვერ მოსთხოვ. ყველა ადამიანს ბუმერანგივით მოუბრუნდება, რასაც სხვას გაუკეთებს...







ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსთავში სამი მამაკაცი დაჭრეს

ურთიერთშელაპარაკებისას რუსთავში სამი ახალგაზრდა დაჭრეს. შემთხვევა გვიან ღამით მე-7 მიკრორაიონში მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მამაკაცებს შორის ჩხუბი გარკვეულ უთანხმოებას მოჰყვა. ადგილზე საპატრულო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები იყვნენ მობილიზებულები. დაჭრილები რუსთავის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ერთ-ერთი დაზარალებულის თბილისში ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმედ დაზიანებას გულისხმობს. (რუსთავი ინფო)

## „ეს ოთხივე სწორედაც რომ წურბელაა, ქართული სახელმწიფოს კისერზე მოკალათებული“



„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი „ფეისბუკით“ პოსტს აქვეყნებს:

– კვლავ გია ვოლსკის მინდა გამოვეხმაურო: ამ 3 წლის მანძილზე, რაც ხელისუფლებაში აღმოჩნდით, რამდენჯერ და რამდენი განცხადება გააკეთეს კომუნისტინმა, გამყალბებლოვამ, ძმებმა სტუკაჩოვებმა, ან თუნდაც, ზახარინმა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თქვენი კოალიციის გაცხადებულ პრინციპებსა თუ პრიორიტეტებს? მაგრამ ხმაც არ ამოგიღიათ! თქვენივე პარტიის ლიდერებს ლანძღავენ და ტალახში სვრიან და კვლავ დუმხართ! რატომ?

„რესპუბლიკელები“ რომ რაღაცას იტყვიან, ეს თურმე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა... თქვენს ლიდერებს რომ ლანძღავენ, უბრალოდ, გეშინიათ, რომ დაიცვათ, ხოლო თოფაძემ რომ სიმართლე თქვა, ეს კოალიციის საწინააღმდეგო განცხადებაც ყოფილა და ანტისახელმწიფოებრივიც.

ახლა მე მომისმინეთ, ბატონო გია და კარგად მომისმინეთ: ჯერ ერთი, რომ თინა გამყალბებლოვა არც სახელმწიფოა და არც საქართველო. არც დავით კომუნისტინია საქართველო, არც ძმები სტუკაჩოვები. ეს ოთხივე სწორედაც რომ წურბელაა, ქართული სახელმწიფოს კისერზე მოკალათებული. საგარეო კურსით სპეკულაცია ახალი არ არის.

ჯერ სააკაშვილი სპეკულირებდა და, საბოლოო ჯამში, სოხუმი და ცხინვალი გაყიდა. ახლა ეს წურბელები სპეკულირებენ. სინამდვილეში კი, ბათუმის, ოზურგეთისა და ახალციხის გაყიდვა სურთ. ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობის დაკანონებაზე ლაპარაკს აღარც ერიდებიან – ღიად ლაპარაკობენ! ვისაც აქამდე თვალი არ აეხილა, ახლა მაინც მოიხსნას მზის სათვალე. (marshalpress.ge)

## კვირის მედია-ქრონიკა



კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი: „გაჭირვებულ ხალხს ნამდვილად არ აინტერესებს, ვინ ვისთან, რა პოზაში, რა ვითარებაში ერთობოდა საძინებლებში. ხალხი შიმშილით იხოცება, სამართლიანობის მაძიებელთა რიცხვი იზრდება, არავინ იცის, როგორი დღე გაუთენდება, მომავლის ტოტალური შიში მძვინვარებს, აწმყოშიც სახეირო არაფერია“.



ირმა ინაშვილი, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი: „დავით ბერძენიშვილი რომელი პოლიტიკური ელემენტია, ხომ არ იცით? არჩევნების გაყალბება როდიდანაა დასაცველი ღირებულება, ან ფასეული? გაიგოს ამ პოლიტიკურმა ხვრელმა, რომ სწორედ ჩვენ ვართ ნატრიოტები, ხოლო ის და მისი მატყუარა ჯგუფი ნატროათვეურისტები არიან“.



სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტთა კლუბის ხელმძღვანელი: „ჩვენთან იყო და დღესაც არსებობს ფარისევლური ლობი, რომელიც, რასაკვირველია, არ არის, უპირველეს ყოვლისა, პაციენტის ბედით დაინტერესებული“.



სანდრო ბრეგაძე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე: „მინდა მივმართო იმ დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს, ვინც ჩემთან პირად საუბრებში აცხადებდა, რომ „რესპუბლიკელები“ ღუპავენ ქვეყანას!!!! ხმა ამოიღეთ!!!! „რესპუბლიკელები“ არიან ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ძალა და ყველამ ხმა ამოვიღოთ ამაზე!!!!“

# საქართველოს 1600 სტომატოლოგიური

# რომელ სტომატოლოგიურ კლინიკებშია უსაფრთხო

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



მედიცინა

**რა ვითარებაა სტომატოლოგიურ კლინიკებში საქართველოს მასშტაბით? რისი მოთხოვნის უფლება აქვს პაციენტს სტომატოლოგისთვის? რა სახის საჯარიმო სანქციებია დადგენილი სტომატოლოგიური კლინიკებისა და იქ მომსახურე სამედიცინო მუშაკების მიმართ, თუკი კონკრეტული დარღვევები იქნება გამოვლენილი და რა პროცედურებია გასავლელი მათთვის, ვინც აღნიშნული პროფილის კლინიკის ამუშავებას გეგმავს?**

**აღნიშნული თემის ირგვლივ, „ალიას“ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სალიცენზიო პირობების დაცვის კონტროლის სამმართველოს უფროსი ტარიელ კაშია ესაუბრება:**

**— რაზე შეიძლება მოქალაქემ გაამახვილოს ყურადღება სტომატოლოგიურ დაწესებულებაში?**

– პირველ რიგში, იმ გარემო-ზედაპირებზე, რომელიც იქ არსებობს – მთელი, დაზიანების გარეშე უნდა იყოს როგორც სავარძელი, ასევე ნებისმიერი ჰორიზონტალური ზედაპირი – იატაკი, კედელი... თუ დამტვრეულია და ბზარებია გაჩენილი, შესაბამისად, იქმნება საშიშროება, რომ იქ რაიმე ინფექცია შეიძლება გავრცელდეს და არ მოხდეს მისი ხარისხიანად დაგვა-დასუფთავება, დეზინფექცია. გარდა ამისა, პერიოდულად უნდა ხდებოდეს ამ ზედაპირების დეზინფექცია, განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს სამუშაო ზედაპირებზე, ანუ იმ სავარძელზე, სადაც პაციენტი თავსდება და მის გარშემო ნებისმიერ ზედაპირზე, სადაც სამუშაო ინსტრუმენტები იწყობა, ან იგივე საფურთხებელი, სადაც ნერწყვის გამოყოფა ხდება. ყოველი პაციენტის შემდეგ, უნდა ხდებოდეს მისი გაწმენდა და შემდეგ სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება. ეს შეიძლება უშუალოდ პაციენტის თანდასწრებით არ გაკეთდეს. არ არის სავალდებულო, ექიმმა, სამედიცინო პერსონალმა მის წინ დაიწყოს დალაგება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს აუცილებლად უნდა ჩატარდეს. თუ, ვთქვათ, ერთი პაციენტის გასტუმრებიდან მეორე პაციენტს სტომატოლოგი ძალიან მალე ეძახის, იქ შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ასეთი სადეზინფექციო და დასუფთავებითი სამუშაოები არ ჩატარდა. ასევე, არ უნდა იყოს წინა პაციენტის მომსახურების შემდეგ დარჩენილი სამედიცინო ნარჩენი; არ უნდა იყოს სხვა პაციენტის მომსახურებისას გამოყენებული ინსტრუმენტი. არ უნდა ჩანდეს ხილული დაბინძურების კვალი – სისხლი, ნებისმიერი სითხე, მტვერი და ა.შ. მნიშვნელოვანი საკითხია ხელების ჰიგიენა: ექიმი ვალდებულია, ყოველი პაციენტის მიღებისას დაიბანოს ხელები, სასურველია, ანტისეპტიკური საპნით, შემდეგ დაიმუშაოს ანტისეპტიკით და ჩაიცვას ხელთათმანი. გარდა ამისა, უნდა ეცვას ხალათი, ანუ სპეცტანსაცმელი, ეკეთოს დამცავი სათვალე ან ფარი და აუცილებლად ნიღაბი. ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი თემაა ინსტრუმენტების სტერილიზაცია: უშუალოდ ამ პროცესს პაციენტს არავინ არ დაასწრებს და არც არის სასურველი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პაციენტმა შეიძლება მოითხოვოს ან დააკვირდეს იმას, როგორ ინახებოდა ის ინსტრუმენტი ხმარებამდე, სანამ მას ამ ინსტრუმენტებით გარკვეულ მანიპულაციებს დაუწყებდნენ. ეს გასტერილებული ინსტრუმენტი აუცილებლად უნდა იყოს შეფუთული გარკვეული სახით და გაიხსნას მოხმარების წინ, ან შესაძლებელია, არ იყოს შეფუთული, მაგრამ უშუალოდ კონკრეტული პაციენტისთვის იყოს გასტერილებული მოხმარების წინ. არ შეიძლება, რომ ის რამდენიმე საათი ან დღე იდოს შეუფუთავად.



„თუ, ვთქვათ, ერთი პაციენტის გასტუმრებიდან მეორე პაციენტს სტომატოლოგი ძალიან მალე ეძახის, იქ შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ასეთი სადეზინფექციო და დასუფთავებითი სამუშაოები არ ჩატარდა“

**— ინსტრუმენტების სტერილიზაციას, დაახლოებით, რა პერიოდი სჭირდება?**

– ამ საკითხის დასმა და განხილვა ხდება პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ, ანუ თუკი არსებობს რაიმე ინფორმაცია, ვთქვათ, მოქალაქის განცხადება ან საჩივარი, რომ მას არასათანადოდ და უხარისხოდ გაეწია სამედიცინო დახმარება ამ შემთხვევაში სტომატოლოგიაში, მაშინ სააგენტოში იქმნება კომისია, რომელიც მივლინებული იქნება იმ დაწესებულებაში, ხდება სამედიცინო დოკუმენტაციის მოპოვება, დააქტება და ამის შემდეგ ხდება უკვე ამ სამედიცინო დოკუმენტაციის გადაგზავნა შესაბამისი დარგის სპეციალისტთან რეცენზიისთვის. იმ რეცენზიის საფუძველზე, თუკი იქ იქნება გამოხატული უხარისხოდ ჩატარებული სამედიცინო მკურნალობა, ან დაბალი კვალიფიკაცია, ან რაიმე გარკვეული სამედიცინო შეცდომა, მაშინ რეგულირების სააგენტო იმ კონკრეტული ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხს სვამს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე. ხდება ამ საკითხის მოსმენა, განხილვა და შემდგომ გამოიდის გარკვეული სანქციები, ან პასუხისმგებლობა, რომელიც ითვალისწინებს სამ ზომას, სირთულის მიხედვით: წერილობითი გაფრთხილება, სერტიფიკატის შეჩერება და სერტიფიკატის გაუქმება. თუ ძალიან უხეშ შეცდომას აქვს ადგილი, რის შედეგადაც ადამიანის ჯანმრთელობას დიდი ზიანი მიადგა, ან გამოიწვია სიკვდილი, ასეთ დროს შეიძლება სერტიფიკატის გაუქმების საკითხის დასმა. სხვა შემთხვევაში, თუკი დარღვევა იოლი ფორმით იყო, მოხდება ექიმის წერილობითი გაფრთხილება, ან მისი სერტიფიკატის შეჩერება.

**— კიდევ როდის გეგმავთ საქართველოს მასშტაბით სტომატოლოგიური კლინიკების მონიტორინგის ჩატარებას?**

– როდესაც შარშან სტომატოლოგიურ დაწესებულებებში მონიტორინგი ჩავატარეთ და გამოიკვეთა კონკრეტული სურათი, იმის მიხედვით ჩვენ ახლაც ვახორციელებთ პერმანენტულად კონტროლს. მომავალში მას შეიძლება უფრო მიზანმიმართული სახეც მიეცეს.

## თურქეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს




თურქული მედიის ინფორმაციით, თურქეთში, ქალაქ მალათიას ერთ-ერთ რაიონში საქართველოს მოქალაქე მოკლეს. მოკლულია 39 წლის მირიან ბოგვარაძე, რომლის ცხედარიც მიტოვებულ სახლში იპოვეს. გარდაცვლილს ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული. მედიის ცნობით, ამავე სახლში აღმოჩენილია მოპარული ნივთები. (პირველი რადიო)

## „გრიპის ვირუსის პიკი უკვე გადავლილია, თუმცა ეს არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს"



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ გრიპის ვირუსთან დაკავშირებით სიტუაცია დამშვიდებისკენ მიდის, ვირუსის პიკი გადავლილია, თუმცა მისივე თქმით, ეს დამშვიდების საფუძველს არ იძლევა და თებერვალში გრიპის შემთხვევები კიდევ იქნება.

– გრიპის ვირუსის პიკი იყო მიმდინარე წლის მეოთხე კვირა, როცა 100 000 მოსახლეზე 357 დადასტურებული შემთხვევა გვქონდა. მეხუთე კვირაში დაიწია მაჩვენებელმა და უკვე 100 000 მოსახლეზე 310 შემთხვევა დაფიქსირდა. რაც შეეხება მეექვსე კვირას, უკვე დაფიქსირებულია 284 შემთხვევა. სტაციონარში მიმართვიანობა შემცირებულია, თუმცა ეს არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს. თებერვალში გრიპის შემთხვევები კიდევ იქნება, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, H1N1-ის, ე.წ. ღორის გრიპის ვირუსით გარდაიცვალა 15, ხოლო H3N2-ის ვირუსით – 1 ადამიანი.

– ყველა გავრცელების შემთხვევა იყო ქრონიკული დაავადების ფონზე. ძირითადი მიზეზი იყო დაგვიანებული მიმართვიანობა. შეიძლება ითქვას, რომ პიკი უკვე გადავლილია, თუმცა გრიპის დასაწყის სიმპტომებში აუცილებლად უნდა მიმართოთ ოჯახის ექიმს, ან სამედიცინო დაწესებულებას. ადრეულ ეტაპზე დაწყებული მკურნალობა გამოჯანმრთელების გარანტიაა. ყველა გარდაცვალების შემთხვევა სწორედ დაგვიანებულმა მკურნალობამ განაპირობა, – განმარტა ამირან გამყრელიძემ. (პირველი რადიო)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# ვინ მფარველობს ირაკლი ოქრუაშვილს?






საქართველოს მთავარმა პროკურატურამ „ნაცმოძრაობის" მიერ ტელეკომპანია „იბერიას" კრიმინალური გზით მოტაცების საქმე გახსნა. ეს საქმე პროკურატურის იმ დეპარტამენტმა გახსნა, რომელიც ჩვენში „სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტად" არის ცნობილი და ოფიციალურად, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი ჰქვია. პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ზურაბ ადეიშვილი და მისი მოადგილე, გიორგი ლაცაბიძე. მთავარი პროკურატურის მტკიცებით. ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად დადგინდა, რომ 2004 წლის იანვარში, საქართველოს ახლად არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა გადაწყვიტეს, ხელში ჩაეგდოთ „ომეგა ჯგუფის" კუთვნილი ტელეკომპანია „იბერია ტვ"-ს სამაუწყებლო ლიცენზია, რათა ტელევიზია ხელისუფლების მიერ ყოფილიყო კონტროლირებადი. ამ მიზნით შემუშავდა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის განხორციელებაც საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და მისმა მოადგილემ გიორგი ლაცაბიძემ ითავეს.

გიორგი ლაცაბიძის ხელმძღვანელობით, გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და საგადასახადო რევიზია ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის კუთვნილი „ომეგა ჯგუფის" მიმართ, რომელიც იმჟამად საქართველოში ახორციელებდა ტელემაუწყებლობას „იბერია ტვ"-ს სახით, საგამომცემლო და სამეწარმეო საქმიანობას.

ამასთანავე, „ომეგა ჯგუფის" ყველა ოფისში, მათ შორის ტელეკომპანია „იბერიაშიც" განლაგდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები, დალუქეს კომპანიის ინვენტარი, პროდუქცია და მომუშავე პერსონალი შენობებიდან გამოყარეს, რამაც შედეგად გამოიწვია ტელეკომპანია „იბერიისა" და გაზეთ „ახალი ეპოქის" საქმიანობის შეწყვეტა და წარმოების გაჩერება.

აღნიშნულის შემდგომ, 2004 წლის შემოდგომაზე, გიორგი ლაცაბიძემ გენერალურ პროკურატურაში დაიბარა „ომეგა ჯგუფის" წარმომადგენელი ლევან აღდგომელაშვილი, რომელსაც „ომეგა ჯგუფის" კომპანიების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი პრობლემების მოგვარებისა და კომპანიის ტერიტორიიდან სპეციალური დანიშნულების რაზმის გაყვანის სანაცვლოდ „იბერია ტვ"-ს სამაუწყებლო ლიცენზიის დათმობა კატეგორიულად მოსთხოვა.

ვინაიდან ხსენებული პირობის შესრულება „ომეგა ჯგუფის" ბიზნესის გადარჩენისა და საქმიანობის გაგრძელების ერთადერთი გზა იყო, კომპანიის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, თანხმობა განეცხადებინათ ტელეკომპანიის სამაუწყებლო ლიცენზიის დათმობის უკანონო მოთხოვნაზე და მოგვიანებით ამის შესახებ გიორგი ლაცაბიძეს აცნობეს. ამის პარალელურად, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა თავისთან დაიბარა იმჟამინდელი ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი და აცნობა, რომ ტელეკომპანია „იბერია ტვ" ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდა, რის გამოც ტელეკომპანიას მაუწყებლობა უნდა შესწყვეტოდა, ხოლო მაუწყებლობის ლიცენზია ხელისუფლების კონტროლქვეშ მოქცეულიყო, რა მიზნითაც დიმიტრი ქიტოშვილს უნდა უზრუნველეყო წილების დათმობისა და გადაფორმების იურიდიული პროცედურები და მოეძებნა სანდო პირი, რომელსაც ლიცენზიას გადასცემდნენ.

დიმიტრი ქიტოშვილმა გამოძიებასთან ითანამშრომლა, ამიტომ მის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა. „ალიას" პროკურატურიდან მოაწოდეს ინფორმაცია, რომ სწორედ ქიტოშვილმა მისცა პროკურატურას ადეიშვილისა და ლაცაბიძის წინააღმდეგ ჩვენება, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულებები დადო და შესაბამისად, ეს კაცი თამაშიდან გავიდა, ანუ მასა და პროკურატურას შორის გარიგება მოხდა და ამ მტკიცებულებების საფუძველზე, სს პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრა. მინდა შეგახსენოთ. რომ დიმიტრი ქიტოშვილი ირაკლი ოქრუაშვილის „ხელისბიჭად" არის ცნობილი და ოქრუაშვილის მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილ დანაშაულებში, თითქმის ყველგან ფიგურირებს.

მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა ქართულ მედიაზე შეტევა, მედიის დამორჩილება სწორედ „იბერიით" დაიწყო. „ვარდების რევოლუცია" 3 თვის მომხდარი იყო, ახალ ხელისუფლებას საფუძველი ჯერაც არ ჰქონდა გამყარებული, როცა იმჟამინდელი გენპროკურორის, ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებითა და სანქციით, ფინანსური პოლიციისა და პროკურატურის სპეცრაზმები ერთდროულად შეიჭრნენ ტელეკომპანია „იბერიის" ტერიტორიაზე. იმხანად ტელეკომპანია „იბერიისა" და კომპანია „ომეგას" ოფისი ერთ ტერიტორიაზე იყო განთავსებული. ორივე პარლამენტარ ზაზა ოქუაშვილის საკუთრება იყო. ირაკლი ოქრუაშვილი ირწმუნებოდა, მე „ომეგას", სიგარეტის იმპორტიორ კომპანიას, ვამოწმებო. მისი საწყობები დაილუქა და ამ ტერიტორიაზე შესვლა ყველას აეკრძალა. რატომღაც დემოკრატიის ლოზუნგით მოსული „ნაციონალები" ხელისუფლებაში მოსვლიდან, სულ რაღაც, 3 თვეში დამოუკიდებელი ტელეკომპანიის თანამშრომლებს სამსახურში არ უშვებდნენ, ჟურნალისტები სიუჟეტებს ვერ აკეთებდნენ... მოკლედ, ოქრუაშვილმა თავისას მიაღწია. საინტერესოა, რომ ამ უბედურების მოთავე ირაკლი ოქრუაშვილია, მის წინააღმდეგ კი სს საქმეც არ არის აღძრული, ბრალის წაყენებას რომ თავი დავანებოთ. სამაგიეროდ, პროკურატურამ ბრალი ზურაბ ადეიშვილსა და გიორგი ლაცაბიძეს წაუყენა, სს კოდექსის 333-ე მუხლით, რაც თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს და სასჯელად, მაქსიმუმ, 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს, რაც, ჩემი აზრით, ძალიან ცოტაა. ამ დროს, როცა „იბერია" დაარბიეს და მისი ძალად, უკანონოდ დამორჩილების პროცესი დაიწყო, მოგახსენეთ უკვე, ქვეყნის გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი იყო, მისი გენპროკურორობისას აღიძრა სს საქმე ზაზა ოქუაშვილის წინააღმდეგ, ყველა უბედურება, რაც „იბერიამ" გადაიტანა. სწორედ ოქრუაშვილის დამსახურება იყო, მან გააჩერა ტელეკომპანია და ამ პროცესში ზურაბ ადეიშვილი მხოლოდ 7 თვის შემდეგ ჩაერთო. ირაკლი ოქრუაშვილი 2004 წლის 14 იანვრიდან ივნისამდე იყო მთავარი პროკურორი, ივნისში კი ის ზურაბ ადეიშვილმა შეცვალა. პროკურატურის განცხადებიდან, ძალაუნებურად რჩება შთაბეჭდილება, რომ ის ხელს აფარებს ირაკლი ოქრუაშვილს, „იბერიის" წინააღმდეგ მისი 7-თვიანი ბრძოლა ჩაფარცხა და საქმის გამოძიება იქიდან დაიწყო, როცა ოქრუაშვილმა პოსტი დატოვა და მის ნაცვლად გენპროკურორად ზურაბ ადეიშვილი დაინიშნა. არა, ადეიშვილს ხელს არ ვაფარებ, მან დაასრულა „იბერიის" კანონიერი მფლობელებისგან წართმევა-წაგლეჯის პროცესი და იურიდიულად გააფორმა, ეს ფაქტია, მაგრამ ვინც ეს დაიწყო, იმას რატომ არავინ ახსენებს? ერთადერთი ის გახდა ცნობილი, რომ ირაკლი ოქრუაშვილი პროკურატურამ დაკითხა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მით უმეტეს, ოქრუაშვილი მოწმედ დაიკითხა და არა ბრალდებულად. მე ჩემი მოსაზრება მაქვს და ამ მოსაზრების გამოთქმის ნება კანონიერად გამაჩნია. პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილს ხელს აფარებს, რადგან მან „ნაცმოძრაობისა" და პირადად მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, ბიძინა ივანიშვილს მრავალი კომპრომატი მიაწოდა. შესაბამისად, ოქრუაშვილისთვის ხელის დამფარებელი სწორედ ბიძინა ივანიშვილია.

კარგი, მე შეიძლება რაღაცები მეშლება, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილის როლი „იბერიის" დახურვა-წართმევის საქმეში დღემდე ჩინებულად ახსოვს „იბერიის" იმჟამინდელი საინფორმაციო სამსახურის უფროსს, ლუბა ელიაშვილს. აი, რას აცხადებ ის: „ყველანაირი ბრალდება მოდიოდა მაშინდელი გენერალური პროკურორის, ირაკლი ოქრუაშვილისგან". ელიაშვილი მიიჩნევს, რომ ტელეკომპანიის დახურვის საქმეზე ბრალი უნდა წარედგინოს ოქრუაშვილსაც და ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც.

მოკლედ, მთავარი პროკურატურა ერთ ადგილს ათამაშებს და ცდილობს, ირაკლი ოქრუაშვილი „იბერიის" საქმიდან მშრალად გამოიყვანოს. თუ ეს მოახერხეს და მარტო ზურაბ ადეიშვილი და გიორგი ლაცაბიძე დასაჯეს, ისიც პირობითად, მაშინ სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკი ზედმეტია ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან „იბერიის" პირველი მტერი, მასზე იერიშის პირველი მიმტანი და არხის დამსჯელ-დამხურავი დაუსჯელი რჩება.

„იბერიის" საქმეს რომ თავი დავანებოთ, იმ მოსაზრებას, რომ ბიძინა ივანიშვილი უშუალოდ მფარველობს ირაკლი ოქრუაშვილს, ერთი ფაქტიც მიმყარებს.

2014 წლის 25 აგვისტოს, დაახლოებით ღამის 10 საათზე, ტყვიავის ცენტრალურ ქუჩაზე „მერსედესის" მარკის ავტომანქანას „ირაკლი ოქრუაშვილის ჯიპში მსხდომი პირები სროლით მისდევდნენ. გასროლის ხმა თითქმის 10-ჯერ დაფიქსირდა. „მერსედესს" 3 ტყვია მოხვდა. ჯიპში, ოქრუაშვილის გარდა, მისი დაცვის წევრებიც ისხდნენ. „მერსედესში" კი – სოფელ ტყვიავში მცხოვრები ვასილ და პავლე ქარელები. დაახლოებით, 2,5 კმ მანძილის დევნის შემდეგ, ქარელებმა მანქანა გააჩერეს. ჯიპიდან ჯერ ოქრუაშვილის დაცვის წევრები გადმოხტნენ და იარაღის ტარით ბიძაშვილებს თავში ურტყეს. დაზიანებები ძირს დაგდებულებს ბეჭის არეშიც მიაყენეს.

„ეს დეტალები მე უშუალოდ, პირადად ვასიკოსგან და პავლესგან ვიცი. შევხვდი მათ. მანქანის დევნის ფაქტი ცენტრალურ ქუჩაზე ვინც იყო იმ დროს, ყველამ დაინახა. ბიჭები

### სამართალი

ჩემი თანამებრძოლები იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ. აქტიურად მეხმარებოდნენ და აშკარად ეს არ აპატიათ მათ ოქრუაშვილმა", – ამბობს ტყვიავის თემის წარმომადგენელი გორის საკრებულოში, თემურ გიგუაშვილი. საქმე ის არის, მისი ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილი, დაცვის წევრებთან ერთად, საკუთარ სახლში მიდიოდა. უბანში, სადაც ასევე ცხოვრობენ ვასილ და პავლე ქარელები, მანქანები ერთმანეთს შეხვდნენ. ქარელებმა ოქრუაშვილის ჯიპს გზა არ დაუთმეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩათვალეს ჯიპში მსხდომებმა. ამის შემდეგ კი „დაწინაურებულ" „მერსედესს" გამოედევნენ.

„როდესაც ბიჭებს სცემდნენ, ოქრუაშვილი მანქანიდან გადმოვიდა და დაიძახა: „ეყოფათ!". რა თქმა უნდა, იცნეს, ვინც იყო. მისი ხმაც გაიგეს, „ფუ, თქვენ ტყვიაველობასო", – ესეც მიუძახებია. „მერსედესის" მანქანიდან გასაღები ამოიღეს და გაისროლეს", – ამბობს თემურ გიგუაშვილი. თემურ გიგუაშვილის ამ ნათქვამიდან ისე ჩანს, რომ ოქრუაშვილსა და მისი დაცვის წევრებს ძმები ქარელები სასიკვდილოდ ჰყავდათ გამეტებული და ერთიდან მეორე მანქანას ტყვიებს უშენდნენ. არანაირი გარანტია ოქრუაშვილსა და მისი დაცვის წევრებს არ ჰქონდათ, რომ თუნდაც არადამიზნებით (ესეც საკითხავია, დამიზნებით ისროდნენ თუ ალალბედზე) ნასროლი ტყვია, „რიკოშეტით" რომელიმე ძმას არ მოხვდებოდა და სულს არ გააფრთხობინებდა, ანდა მათი მანქანის ბენზინის ავზს არ მოხვდებოდა და ავტომობილს არ ააფეთქებდა. ამ დროს კი, ერთი ტყვია სწორედ ბენზინის ავზს მოხვდა და გაიჭედა. ბედად, ავზი არ აფეთქდა, თორემ ქარელები მანქანაში გამოიბუგებოდნენ. შეიძლება ითქვას, ქარელები ბეწვზე არიან გადარჩენილნი სიკვდილს. ამ ფაქტზე საქმე აღიძრა, მაგრამ დღემდე არ დასჯილან არც ირაკლი ოქრუაშვილი და არც მისი დაცვის წევრები, საქმეზე გამოძიება კი გრძელდება. მოდი ახლა და ნუ იფიქრებ, რომ ოქრუაშვილს სწორედ ბიძინა ივანიშვილისგან აქვს იმუნიტეტი მინიჭებული და რაც არ უნდა ჩაიდინოს, ფეხებს ვერ მოსჭამენ!

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# შემზარავი მკვლელობის უცნაური ვერსიები

## ვინ ტყუის — პროკურატურა თუ მაგდა პაპიძის დედა და და?

გასული წლის 20 დეკემბერს დილომში მომხდარი შემზარავი დანაშაულის ირგვლივ, საზოგადოების ინტერესი არ ცხრება. ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი მისი და, ლანა პაპიძე, ისევ ამტკიცებენ, რომ მაგდა უდანაშაულოა. ამ ფონზე, პროკურატურამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება. ბრალდების თანახმად, „მაგდა პაპიძემ, თავის არეში მკვრივი ბლაგვი საგნის – უროს ჩარტყმით მოკლა მეუღლე ომარ ქაფიაშვილი და გაგუდა მცირეწლოვანი შვილი, 5 წლის თორნიკე ქაფიაშვილი, რის შემდეგაც შეეცადა დანაშაულის კვალის წაშლას.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა მაგდა პაპიძისა და ომარ ქაფიაშვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს წინ ნახეს მამა-შვილის გვამები. გარდაცვლილებს ტანთ ეცვათ ზამთრის სეზონისთვის შეუფერებლად. კერძოდ: ომარ ქაფიაშვილს ეცვა მხოლოდ სპორტული შარვალი, მაისური და წინდები, ხოლო თორნიკე ქაფიაშვილს მოკლესახელოებიანი მაისური, რეიტუზი და სპორტული შარვალი. ომარ ქაფიაშვილის გვამს ზურგზე აღენიშნებოდა სხეულის იატაკზე გათრევისთვის დამახასიათებელი კვალი. მკვლელობის უშუალო ადგილას, ანუ ქაფიაშვილების საცხოვრებელ ოთახში სისხლის კვალის წაშლის მიზნით გაწმენდილი იყო იატაკი და ავეჯი. სისხლის ლაქების აღმოსაჩენად გამოძიების მიერ გამოყენებული იქნა სპეციალური საშუალებები, რის შედეგადაც იატაკზე, ოთახში არსებულ კარადაზე, მაგიდაზე, ტუმბოზე, საწოლზე, დივანსა და ოთახის კედლეზე აღმოჩნდა ომარ ქაფიაშვილის სისხლის მრავალი კვალი. სისხლის კვალი, ასევე, აღმოჩნდა ამავე ოთახიდან დერეფანში გასასვლელი კარის ჩარჩოზე და დერეფანში ქაფიაშვილის გვამის აღმოჩენის ადგილამდე, რაც მოწმობს იმას, რომ გვამის აღმოჩენის ადგილამდე ომარ ქაფიაშვილის სხეული გადაადგილებულია ოთახიდან და არა დერეფნიდან, როგორც ამას მაგდა პაპიძე უთითებს. ომარ ქაფიაშვილის სისხლი ასევე აღმოჩნდა მისი კუთვნილი ავტომანქანის უკანა მარჯვენა საბურავზე და წინა მარჯვენა კარის კარნიზზე, რაც, თავის მხრივ, მოწმობს, რომ ბრალდებული ეცადა გვამის ავტომანქანაში ჩადებას, თუმცა ვერ შეძლო. სწორედ ამ გამოუვალი მდგომარეობის გამო დაიწყო მაგდა პაპიძემ ყვირილი და თითქოსდა „საშველად" მოუხმო მეზობლებსა და დედამთილს... ნაგვის ურნიდან უროს გარდა, ამოღებული იქნა გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ნივთმტკიცებებიც: ომარ ქაფიაშვილის სისხლით დასვრილი ზეწარი, პირსახოცი, სხვადასხვა საოჯახო ნივთი, ტანსაცმელი, მუყაოს კოლოფები, წიგნები და რვეულები, ანუ ყველა ის ნივთი, რომელიც ოთახში ომარ ქაფიაშვილის მკვლელობის დროს სისხლით დაისვარა. აღნიშნული ნივთები, კვალის წაშლის მიზნით, სანაგვე ურნაში ბრალდებულმა მაგდა პაპიძემ გადაყარა".

როგორც დგინდება, დანაშაულის იარაღი – ურო მაგდა პაპიძემ მაღაზიაში სწორედ დანაშაულის ჩადენის დღეს შეიძინა, რასაც ადასტურებს როგორც მაღაზიის გამყიდველის ჩვენება და ამოცნობის ოქმი, ასევე, ამოღებული ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, როგორ გადაადგილდება მაღაზიიდან გამოსული მაგდა პაპიძე უროთი ხელში შვილთან – 5 წლის თორნიკესთან ერთად.

მეუღლისა და შვილის მკვლელობის ჩადენის შემდეგ, მაგდა პაპიძე შეეცადა კვალის წაშლას, კერძოდ, გაწმინდა იატაკი, ავეჯი, ნაგვის ურნაში გადაყარა სისხლიანი ნივთები და გვერდით მცხოვრები დედამთილის საცხოვრებელ ოთახში არსებულ სარეცხის მანქანაში გარეცხა სისხლით დასვრილი იმ დივანის გადასაფარებელი, რომელზეც თავში უროს ჩარტყმით მოკლა მწოლიარე მეუღლე. აღნიშნული გარემოება დადგენილია დედამთილის დარეჯან (ლილი) მინდიკაურის ჩვენებებით და მასთან სტუმრად მყოფი მოწმეების – ირინა მარქაროვის და ალა მარქაროვის ჩვენებებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ პაპიძემ დედამთილის ოთახიდან რამდენჯერმე გაიტანა „ტოლჩით" წყალი, ხოლო შემდეგ სარეცხის მანქანაში ორჯერ გარეცხა სარეცხი, მათ შორის დივანის გადასაფარებელი, რა დროსაც წყალმა ფერი იცვალა და გახდა მოვარდისფრო-მოწითალო ფერის.

ბრალდებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას წარმოადგენს გამოძიების მიერ დანაშაულის ჩადენის ადგილიდან ამოღებული მაგდა პაპიძის დღიურის ჩანაწერი, რომელიც ხელწერის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შესრულებულია მაგდა პაპიძის მიერ. დღიურში მაგდა პაპიძეს გაკეთებული აქვს შემდეგი სახის ჩანაწერი:

„ურო (ნაჭრით გახვეული); პარკები დიდი გახსნილი, გამზადებული; პროსტინა გამზად, პირსახ. გამზად.; წყალი გავსებული ტოლჩა, ჩაინიკი; ტანსაცმელი გაუმზადო ორივეს. გავიმზ.; ტანსაცმელი. სიდენიებს გადავაფარო შავი დიდი პარკები"...

ის ფაქტი, რომ მაგდა პაპიძემ მეუღლე მათსავე საცხოვრებელ ოთახში მოკლა, ასევე, დადასტურებულია ომარ ქაფიაშვილის დედის ჩვენებითაც, რომელმაც განმარტა, რომ 2015 წლის 19 დეკემბერს, საღამოს, როდესაც შვილის ოთახში შევიდა, ომარ ქაფიაშვილს ეღვიძა და იწვა დივანზე. აღნიშნული ოთახის დათვალიერებისას, მითითებული დივანის ქვედა სათავსიდან და მისი ზედაპირიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით ომარ ქაფიაშვილის სისხლის ლაქები.












**ლანა პაპიძე:**
**„მე მხოლოდ ორი ფაქტი ვიცი მაგდასგან, როდესაც მას ომარი ფიზიკურად შეეხო — როდესაც სვირინგები დაიხატა და მეორე, როდესაც აბორტი გაიკეთა..."**

**ლანა პაპიძე: „მაგდას ქცევებიდან გამომდინარე, გამიჩნდა ეჭვი, რომ მაგდა იყო ოთარ ბერძენიშვილის საყვარელი და ომარს ღალატობდა. ბოლო ორი თვის განმავლობაში მაგდამ მითხრა, რომ ოთარს მოსწონდა და უნდოდა, პატივი ეცა"**

გამოძიებამ გაავრცელა მაგდა პაპიძის დის – ლანა პაპიძის ჩვენებაც, სადაც ის ადასტურებს, რომ მაგდას ჰყავდა მეგობარი მამაკაცი და ბოლო პერიოდში უკიდურესად აგრესიულად იყო განწყობილი მეუღლის – ომარ ქაფიაშვილის მიმართ. მისივე ჩვენებით, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მაგდამ სთხოვა ჩაქუჩი.

მაგდა პაპიძის დედა – ლიანა შამუგია კი ამბობს, რომ მათი სიძე – ომარ ქაფიაშვილი იყო მოსიყვარულე მამა და მეუღლე, მოკრძალებული, მშვიდი, გაწონასწორებული და რელიგიური ადამიანი, ხოლო თავად მაგდა ბოლო პერიოდში ნეგატიურად იყო განწყობილი მეუღლის მიმართ.

არადა, ტელეშოუებში ლანა პაპიძე საპირისპიროს ამბობდა... ის ყვებოდა, რომ მისი და ძალიან მოსიყვარულე და მზრუნველი დედა იყო... პარალელურად, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში კი ამბობს, - მაგდა პატარა თორნიკეს ჩაგრავდა, ძალიან ცუდად ექცეოდა და სცემდა კიდეცო. მის მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში სხვა მნიშვნელოვანი მონაკვეთებიც არის: „2015 წლის დასაწყისში მაგდამ ღამის ცვლაში დაიწყო მუშაობა სახლთან ახლოს, ბენზინგასამართ სადგურ „ლუკოილთან" მდებარე მაღაზიაში. იქ მუშაობის

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### კრიმინალი

შემდეგ მაგდასა და ომარს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ომარი წინააღმდეგი იყო მისი იქ მუშაობის, თუმცა მაგდა მის ნათქვამს არაფრად აგდებდა. ჩემმა დამ მომიყვა, რომ სამსახურში ხშირად აკითხავდა უბნელი ოთარ ბერძენიშვილი, რომელიც სიგარეტსა და შოკოლადებს უტოვებდა. მე შევატყვე მაგდას, რომ აღფრთოვანებით საუბრობდა ოთარ ბერძენიშვილზე, თუმცა მასთან ურთიერთობას მალავდა. მაგდა იყო ძალიან მოკრძალებული ადამიანი, იცვამდა სადად, თუმცა ზაფხულიდან შეიცვალა ჩაცმის სტილი, გახდა ვულგარული, ომარის დაუკითხავად მთელ ბეჭებზე დაიხატა სვირინგები, რის გამოც ომარი ხელით შეეხო. იღებდა ვულგარულ სურათებს და სოციალურ ქსელში ათავსებდა. საკუთარ თავს ყველაზე წინ აყენებდა და არ გვიჯერებდა არც მე, არც დედას და არც ქმარს. აკეთებდა იმას, რაც მას უნდოდა...

...მაგდას ქცევებიდან გამომდინარე, გამიჩნდა ეჭვი, რომ მაგდა იყო ოთარ ბერძენიშვილის საყვარელი და ომარს ღალატობდა. ბოლო ორი თვის განმავლობაში მაგდამ მითხრა, რომ ოთარს მოსწონდა და უნდოდა, პატივი ეცა. მან ასევე მითხრა, რომ ოთარმა და მისმა მეგობრებმა მითხრეს, შენი ქმარი „ს...რია", აქ როგორ გამუშავებსო". ამ პერიოდში მაგდა უკვე ველარ იტანდა ომარს, აბრალებდა, რომ სვამდა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან ომარი ერთი წელია, ნასვამი არ მინახავს. მე მხოლოდ ორი ფაქტი ვიცი მაგდასგან, როდესაც მას ომარი ფიზიკურად შეეხო - როდესაც სვირინგები დაიხატა და მეორე, როდესაც აბორტი გაიკეთა... მაგდა სულ გაღიზიანებული იყო და ომარს უკიოდა, მიუხედავად ამისა, ომარს მაინც უყვარდა ის. რაც მე მას ვიცნობ, მისგან გინება არ გამიგია. მაგდა აღარ მალავდა ჩემთან, რომ თავს უფრო ბედნიერად ოთარ ბერძენიშვილთან გრძნობდა, ვიდრე ომარ ქაფიაშვილთან. ერთხელ მითხრა, რომ ორი თვეა ომართან ცოლქმრულად არ უცხოვრია..." – ეს არის ფრაგმენტი იმ ჩვენებიდან, რომელიც ლანა პაპიძემ გამოძიების მისცა.

პროკურატურის მიერ ზემოაღნიშნული განცხადების გავრცელებას მალევე გამოეხმაურა მაგდა პაპიძის დედა, ლია შამუგია, რომელმაც უწყება სიცრუეში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ადგილი აქვს მიმდინარე საქმის გაყალბებას. იგივე პოზიციაზეა მაგდას და, ლანა პაპიძე და აცხადებს, რომ მაგდას დღიური არასდროს უწარმოებია, გამოძიება კი ჩიხშია შესული და სწორედ ამის გამო აქვეყნებს ასეთი ტიპის განცხადებასო.

საქმეზე გამოძიება ისევ გრძელდება...

## ნანი ბრეგვაძე სააკაშვილზე: „არც ერთი ქართველი არ რჩება საზღვარგარეთ, ყველა უბრუნდება თავის მიწას"



უკრაინულ გამოცემა „GORDON"-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში ქართველი მომღერალი ნანი ბრეგვაძე 80 წლის იუბილეს გეგმებზე საუბრობს. საიუბილეო საღამო 8 მარტს კიევში გაიმართება.

ქართველი შემსრულებელი საიუბილეო საღამოზე ქალიშვილ ეკა მამალაძესთან და შვილიშვილ ნატალია ქუთათელაძესთან ერთად წარდგება. როგორც ცნობილია, საღამოზე იმღერებს ბუბა კიკაბიძეც.

გამოცემასთან ინტერვიუში ნანი ბრეგვაძე პოლიტიკაზეც საუბრობს:

– ვუყურებ ახალ ამბებს და ვიცი, რა ხდება, მაგრამ არ ვერთვები დისკუსიებში. სიბერეში სულიერი სიმშვიდე მინდა. როგორ შეიძლება თქვა: ეს ადამიანები მიყვარს, ეს ადამიანები – არა. მე ყველა მიყვარს. მიყვარს უკრაინელები, რუსები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ყველგან არიან არაჩვეულებრივი ადამიანები. ეძიეთ მათში კარგი და არა ცუდი. ასეთ შემთხვევაში ყველა ბედნიერად იცხოვრებს დედამიწაზე, – ამბობს ნანი ბრეგვაძე.

მომღერალი მიხეილ სააკაშვილის შესახებაც საუბრობს.

ჟურნალისტმა გაიხსენა ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობაზე თქვა უარი და დაინტერესდა იმით, რას ფიქრობს ქალბატონი ნანი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

– ეს საკითხი მე არ მეხება. მე მიყვარს ჩემი სამშობლო. ჩემი მშვენიერი ქვეყანა. რა შეიძლება გიყვარდეს მეტად?! ვერ წარმომიდგენია დავტოვო თბილისი!

ყველას თავისი ცხოვრება აქვს. რადგან მიემგზავრებიან, ალბათ, ასეა საჭირო. ერთი რამ ზუსტად ვიცი: არც ერთი ქართველი სამუდამოდ არ დარჩენილა საქართველოს საზღვრებს გარეთ და ნებისმიერ შემთხვევაში უბრუნდება საკუთარ მიწას, – ამბობს ნანი ბრეგვაძე. (etanews.ge)

**დიახ, ქალბატონო ნანი, უბრუნდებიან ხოლმე და ალბათ, სააკაშვილიც დაბრუნდება - შესაძლოა, ხელბორკილებით, თუმცა „ოცნების" დედლობას რომ ვუყურებთ, არ არის გამორიცხული, შარავანდედდადგმული მოგვევლინოს. ასეა თუ ისე, სააკაშვილი ცოცხალია და აქვს საქართველოში დაბრუნების შანსი, რასაც ვერ ვიტყვით იმ უამრავ ადამიანზე, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობისას სასტიკად ჩახოცეს. აი, ისინი კი ვერასოდეს დაბრუნდებიან სამშობლოში, ვერასოდეს!..**

## ავსტრიაში ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფარზე უარს ეტყვიან



ავსტრიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველო ე.წ. უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანოს, რაც ნიშნავს, რომ ავსტრიაში ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფარზე უარს ეტყვიან.

როგორც სააგენტო „ასოშიეითედ პრესი“ წერს, ოფიციალური განცხადება ამის შესახებ ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მოქალაქეების განცხადებები თავშესაფრის მიღების შესახებ განხილული იქნება მაქსიმუმ 10 დღეში, მაშინ როცა სირიის მოქალაქეებისთვის ეს პროცესი დაახლოებით ერთ თვეს გრძელდება.

ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს გარდა, უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანილია ალჟირი, განა, მაროკო, მონღოლეთი და ტუნისი. (bpn.ge)

## ზურაბ მელიქიშვილი — ლარი წვალობს და ეს ხელისუფლების ბრალია



საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ზურაბ მელიქიშვილმა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ მიმდინარე წლის იანვარში ექსპორტი 22, ხოლო იმპორტი კი 25 პროცენტით შემცირდა.

მისი თქმით, იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიც 100 მილიონით გაირღვა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელია.

– სამწუხაროდ, ეკონომიკური პრობლემები არათუ გვარდება, არამედ ღრმავდება. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ირკვევა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები – ყველაფერი ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედების პარალელურად ხდება და ამავდროულად, ხელისუფლება ამბობს, რომ მათ რუსულ ბაზართან ურთიერთობა „დალაგებული“ აქვთ, – განაცხადა მელიქიშვილმა.

მისივე თქმით, ის, რომ ექსპორტი და ინვესტიციები შემცირებულია, ლარის კურსზე პირდაპირ აისახება, ხოლო იმპორტის შემცირება პირდაპირ სამუშაო ადგილებს ურტყამს.

– ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს და არც ძალუძს, რომ აღნიშნული პრობლემები დაძლიოს. ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მთავრობას, რეალურად გადადგას ის ნაბიჯები, რომელიც ეკონომიკურ მდგომარეობას გამოასწორებს და მოქალაქეებს ამით გამოწვეულ ტვირთს შეუმსუბუქებს, – განაცხადა მელიქიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# რატომ უშვებენ თანამდებობებიდან პროკურორებს?



**პროკურატურაში დიდი საკადრო ცვლილებებია. არაოფიციალური ინფორმაციით, ცვლილება რამდენიმე ათეულ თანამშრომელს შეეხო. ამავე ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, გადაადგილება განხორციელდეს მთავარი პროკურორის მოადგილეებს შორისაც და საკადრო ცვლილებები მოხდეს თბილისის პროკურატურაშიც, მათ შორის საუბარია დედაქალაქის პროკურორის შეცვლის შესაძლებლობაზეც.**

**რას უკავშირდება პროკურატურაში განსახორციელებელი საკადრო ცვლილებები? „ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრება:**

– ის, რომ ქვეყნის მთავარ პროკურატურაში საკადრო ცვლილებები დაიწყო, ნიშნავს იმას, რომ სტრუქტურაში გაიზარდა ადმინისტრირების დონე. როგორც იქნა, ცუდად თუ კარგად, ვიღაცას მოუვიდა თავში აზრად, რომ ის პროკურორები დაეთხოვათ თანამდებობიდან და სახლში გაეშვათ, რომლებიც წლების განმავლობაში უამრავ სიბინძურეში იყვნენ მხილებული. მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი ისევ არჩევნებს უკავშირდება, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

**— არჩევნებს რატომ უკავშირდება?**

– დღეს მაღალ ეშელონებში დიდი არეულობაა. კოალიციაში დიდი დაპირისპირებაა. არაა სახეზე ერთი გუნდი, სახეზე გვაქვს რამდენიმე პარტიის ერთობლიობა. ახალ სიაში ადგილებს ვერ ინაწილებენ და დაერივნენ ერთმანეთს. ამ ადამიანების სამართლებრივი დასჯის ბერკეტი კი მხოლოდ პროკურატურას აქვს. დღეს კი არიან ხელისუფლებაში, მაგრამ ხვალ ხომ არ იქნებიან, ამიტომაც დაეწყოთ შიშები. სწორედ ეს შიშები უკავშირდება მომავალ არჩევნებს. მართალია, ჯერ არ ჩანს, გუნდის შიგნით ვინ არის გასამართლებელი და ვინ არა, მაგრამ ყველა მხარე იბრძვის, რომ პროკურატურა სათავისო პროკურორებით დააკომპლექტოს. ცოტა ხნის წინ გოგი თოფაძემ ღიად დაადანაშაულა თავდაცვის მინისტრი, თინა ხიდაშელი არჩევნების გაყალბებაში. მე რომ არ ვყოფილიყავი ჩართული უშუალოდ საგარეჯოს არჩევნებში, არ მეცოდინებოდა, რა მოხდა ამ არჩევნებში. მეც ვადასტურებ, რომ ტოტალურად გაყალბდა ეს არჩევნები და გაყალბდა თინა ხიდაშელის უშუალო მონაწილეობით. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც დღემდე არ იქნა გამოძიებული. ხელისუფლება რომ შეიცვლება, ალბათ, ხვდებით, რომ „რესპუბლიკელებს“ დასჭირდებათ ძალა, რომელიც მათ ხელს დააფარებს. კოჰაბიტაცია რომ გამოაცხადა თავის დროზე „ქართულმა ოცნებამ“, ეს რეალურად იყო დამნაშავეებთან გარიგება. გარდა მიშასი, ვანოსი და ა.შ. ხომ იცით, რომ ქვეყანა დააქციეს პროკურორებმა, მოსამართლეებმა... ამ ხალხის ხელით ხორციელდებოდა ყველა უბედურება ქვეყანაში და დასჯა პირველ ეტაპზე განთავისუფლებით დაიწყო, ეს უკვე მისასალმებელია. სასამართლოს შევხედოთ, რა ხდება ამ დროს – ეს სისტემა ისევ დარჩა „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენის ქვეშ. პარალელურად, ხელისუფლება გეგმავს, „გააპრავებინოს“ 2016 წლის არჩევნები. ვინც კი ამისთვის არავის მოეთხოვა პასუხი დღემდე. ვიცოდით, რომ 32 ათასი საჩივარი იყო შესული პროკურატურაში, თუმცა, ახლახან გავიგე, რომ 56 ათასი საჩივარია შესული. ამდენი საჩივარი რომაა შესული პროკურატურაში, ვისი ხელით იყო ჩადენილი ეს დანაშაულები? სწორედ პროკურორების ხელით. ვინ გადააყენეს და ვინ – არა, ეს ამ დრომდე არ გახმაურებულა, მაგრამ ამისთვის რომ მათი ხმა ამოიღო სასამართლოში არსებულ პრობლემებზე, ეს არის მამუკა ახვლედიანი. ახლა იმას გეტყვით, რაც საზოგადოებამ არ იცის. მურუსიძე, თავის მხრივ, იყო ადეიშვილის კადრი, კუბლაშვილის პროტეჟე. სასამართლოში არსებულმა ერთმა კლანმა დაამარცხა სისტემაში არსებული მეორე კლანი. მე შემიძლია დავდასტურო კიდევ, რომ იუსტიციის საბჭოში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ცერ-



ცვაძე იყო იუსტიციის საბჭოს მდივანი, გაჰყავდათ ის ხალხი, რომლებიც მათ სჭირდებოდათ საქმისთვის. თუ ამით ვინმე დაინტერესდება, ეს ყველაფერი დოკუმენტურად შეიძლება დადასტურდეს.

**— როგორაა შესაძლებელი ამის დადასტურება?**

– ძალიან ბევრს, რომელთაც ახლა მე არ დავასახელებ, იმ დროს გამოცდები ჩააბარებინეს იმიტომ, რომ პიროვნულად იყვნენ მისაღები. არ არის გამორიცხული, ბატონი მურუსიძეც ასე იყოს გაყვანილი. ტესტების შედეგები, ინახება მთლიანი ვადით. ხანდაზმულობის ვადა არ აქვს. თუ მართლა აინტერესებს ვინმეს, რა ხდება იუსტიციის საბჭოში, რა ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. ჩაატარონ კალიგრაფიული ექსპერტიზა და დამტკიცდება, რომ ძალიან ბევრ მოსამართლეს საერთოდ არ აქვს ჩაბარებული გამოცდები. მარტივია ყველაფერი, ამას სჭირდება პოლიტიკური ნება.



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



## ზოგი „კაპეზეში“ შეათრიეს, ზოგი კიდევ — პარლამენტში!



ამას წინებზე „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილის მეცადინეობით აღზევებულმა, ამჟამად უკვე დამოუკიდებელმა დეპუტატმა, გიორგი გაჩეჩილაძემ „ზემოდან“ განაცხადა, 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის რეჟიმმა არნახული დანაშაული ჩაიდინაო. განა რამე? დღეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე რომ გააჩეროთ, ვისაც „ნაცები“ და მიშა სააკაშვილი არ ევასება, ყველა გეტყვით, რომ თავში „დუბინკებს“ ურტყამდნენ და „კაპეზეში“ მიათრევდნენ. უფრო მეტად ისინი ლაპარაკობენ ასეთ რაღაცებს, რომლებიც მაშინ ან „ნაცების“ მხარეს იყვნენ და ახლა „ოცნებაში“ გადაპორტირდნენ, ან კიდევ სულაც სახლებში ისხდნენ და გარეთ ფეხს არ ჰყოფდნენ. მოკლედ, ახლა ყველა გმირია, ყველა ამავე დროს ჩაგრულია, ყველა ცოტნე დადიანია და ასე შემდეგ. ამას აქვს თავისი გამართლება, ხშირად ამას არა მხოლოდ რიგითი სამსახური, არამედ დეპუტატობაც კი მოაქვს. მოკლედ, როგორც კი გიორგი გაჩეჩილაძემ თქვა, 7 ნოემბერი ტრაგიკული დღე იყოო, მისი მოძრაობის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ფიგურამ, იოსებ ხუციშვილმა ველარ მოითმინა და თავისი გულისტკივილი „გადმოალაგა“:

„ჰო, მე დამიჭირეს, მაგ დროს გაჩეჩილაძე (ფსევდომწვანე კაცი) ოფისში იყო შეყუჟული... მოგვიანებით აქუსთან სტუმრობისას კი იქადნიდა, ყველანი იქ ვიყავით 7 ნოემბერსო. როცა უკან ვიხევდით ტყვიების წვიმაში, სამებას შევაფარეთ თავი და იქიდან დავურეკე, სადა ხარ-მეთქი? ბოლო ხმაზე კიოდა ოფისიდან, სასწრაფოდ მანდაურობას გასცილდი და საერთოდ, რა გინდოდაო? აი, ასე... მერე, რომ დამიჭირეს, ჩემმა მეუღლემ დაურეკა დახმარებისთვის. ხომ ვაფრთხილებდიო? ცივად დაუგდია ყურმილი და გაოგნებული დაუტოვებია ჩემი მეუღლე, რომელსაც 6 თვის შვილი ეჭირა ხელში და ისე რეკავდა. ახლა პარლამენტში ზის, იქაც არაფრის გამკეთებელია, ჩემისთანა ხალხი კი დაუსაქმებელია“!

ჰოოო... აი, ხედავთ, როგორ უცებ დაიხატა ორი კაცის ისტორიული პორტრეტი? ერთი იბრძოდა, ერთი დაიჭირეს, „კაპეზეში“ ათრიეს, „დუბინკა“ ურტყეს, მეორე კიდევ პარლამენტში დააბრძანეს, როგორც ღვაწლმოსილი მებრძოლი. ასეა, იოსებ ბატონო, როგორც ძველებს უთქვამთ, სამი რამ აკლია ქვეყნიერებას: ცას – კიბე, ზღვას – ხიდი, ადამიანს კი – სამართალი... მით უმეტეს, საქართველოში!

# თბილისში „მკვლელი ტაქსისტები" დადიან!!!

## ვინ მფარველობს ხელისუფლებიდან „სააფთიაქო ნარკომანიას"?

## სად იყიდება ურეცეპტოდ ფსიქოტროპული წამლები?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა პარტია „რეფორმატორების" საკანონმდებლო პროექტი ჩააგდო, რომლის მიხედვითაც „რეფორმატორები" ფსიქოტროპული წამლების ურეცეპტოდ, ანუ კანონდარღვევით რეალიზაციაზე, რეალიზატორთა მიმართ სანქციების გამკაცრებას ითხოვდნენ. მკითხველისთვის უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, წარმოგიდგენთ ჩანაწერს „რეფორმატორთა" საკანონმდებლო ინიციატივიდან: „ცვლილებები უნდა შევიდეს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონის 374-ე მუხლის მე-5 პუნქტში და მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მიხედვით პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტის გარეშე რეალიზაცია იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 261-ე მუხლებით" (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება — სსკ-ს 260-ე მუხლი. ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება — 261-ე მუხლი). მოკლედ, ამ პარტიის ლიდერი ირაკლი ღლონტი ითხოვს, რომ ფსიქოტროპული წამლების ურეცეპტოდ გამცემები და ნარკოტიკების რეალიზატორები კანონით ერთნაირად დაისაჯონ, ორივენი ნარკორეალიზატორთა კატეგორიაში გავიდნენ. ცნობილია, რომ „სააფთიაქო ნარკომანები" უფრო სწრაფად ინადგურებენ ჯანმრთელობას, უფრო სწრაფად მოისწრაფებენ სიცოცხლეს, ვიდრე ჩვეულებრივ ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანები, რადგან ფსიქოტროპული წამლებით დამზადებული კუსტარული ნარკოტიკები ჯანმრთელობისთვის გაცილებით მავნებელია, ვიდრე ტრადიციული ნარკოტიკი და ეს დადასტურებულია.

„ალიას" უფრო დეტალურად „რეფორმატორების" ლიდერი,



**ირაკლი ღლონტი** ესაუბრება.

— ირაკლი, ხელისუფლებამ ადრე გაამკაცრა რეგულაციები ურეცეპტოდ ფსიქოტროპული წამლების რეალიზაციასთან დაკავშირებით. თუ ამგვარი ფაქტი დაფიქსირდა, პირველ შემთხვევაში იურიდიული პირი, ანუ აფთიაქი 6 000 ლარით ჯარიმდება, განმეორებით შემთხვევაში — 12 000 ლარით. ეს არ არის საკმარისი სანქციები „სააფთიაქო ნარკომანიის" წინააღმდეგ საბრძოლველად?

– არა, რადგან ამ ჯარიმებს იხდიან აფთიაქები და მერე აგრძელებენ მუშაობას. გარდა ამისა, დაჯარიმებული აფთიაქების რიცხვი არც ისე ბევრია, რადგან მათ ჰყავთ ლობისტები ხელისუფლებაში, როგორც აღმასრულებელში, ასევე პარლამენტში. კანონით კია აკრძალული ურეცეპტოდ ფსიქოტროპული წამლების რეალიზაცია, მაგრამ ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტი, მიცკევიჩის 23 ნომერში მდებარე ფსიქოტროპულ აფთიაქში სრულიად უცნობ ადამიანებს ურეცეპტოდ მოგვყიდეს წამალი და ამის ჩანაწერიც გვაქვს. ამ აფთიაქის მეპატრონეს, ეტყობა, სერიოზული პატრონი ჰყავს, რაკი ამდენს ბედავს. სხვათა შორის, ამ აფთიაქში, კვირაში სამჯერ, მანქანით მიდის ვიღაც ტიპი, „ფოლკსვაგენის" ავტომობილით, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – **SP 309 PS**. ჩვენ გადავამოწმეთ და ეს ავტომობილი შსს-ს ბალანსზე ირიცხება. ვინც ამ ავტომობილით მოძრაობს, ეს პიროვნება შსს-ს თანამშრომელია თუ არა, ახლა ამას ვარკვევთ. ჩვენი ვარაუდით, ამ პიროვნებას აფთიაქიდან კვირაში სამჯერ მიაქვს ფული, ანუ აფთიაქი რეალურად მისია! მე მოგცემთ ამ ავტომობილის ფოტოს. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, ვივარაუდო, რომ „სააფთიაქო ნარკომანიას" ხელისუფლება თავად ლობირებს. კი გაამკაცრა კანონი ურეცეპტოდ ფსიქოტროპული წამლების რეალიზატორთა მიმართ, მაგრამ ამ ჯარიმას, 6000 ლარს და განმეორებით შემთხვევაში 12 000 ლარსაც, უპრობლემოდ იხდიან და აგრძელებენ მუშაობას. ახლა, წარმოიდგინეთ, რამხელა მოგება აქვთ ამ აფთიაქებს, რომ ამხელა ჯარიმებს იხდიან და მაინც აგრძელებენ საქმიანობას. ჩვენი კანონპროექტის მიხედვით, ეს ხალხი ნარკორეალიზატორთა კატეგორიაში უნდა გასულიყო და ფსიქოტროპული წამლის ურეცეპტოდ გაყიდვის პირველსავე შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესით პასუხისგების საკითხი უნდა დამდგარიყო. ჩვენი მოთხოვნა სრულიად სამართლიანო იყო, რადგან ეს ადამიანები წამლის „ბარიგებისგან" არაფრით განსხვავდებიან, არის ფსიქოტროპული წამლები, რომლის დიდი დოზით მიღების შემდეგ ადამიანი ჩვეულებრივ „კაიფშია", ისეთსავე „კაიფში", თითქოს კოკაინი მიიღოს. ასევე, არსებობს თვალში ჩასაწვეთებელი წამალი, „ტროპიკამიდი", მას ურევენ ამ ფსიქოტროპულ წამლებში და შემდეგ, ამ საშინელებას იკეთებენ. აი, ამ „ტროპიკამიდთან" მინარევი ეს ნარკოსაშუალება იწვევს ადამიანის დაბრმავებას. რეალურად, „სააფთიაქო ნარკომანია" არათუ არ განსხვავდება ჩვეულებრივი ნარკომანიისგან, მასზე ბევრად უარესია, რადგან ჩვეულებრივ ნარკოტიკზე უფრო საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. ახლა, როცა ეს ფაქტებით დადასტურებულია, უამრავი ნარკოლოგის კვლევა ამას ადასტურებს, ამ კუსტარული ნარკოტიკის მიღების შედეგად, მომხმარებელთა 90% ხდება არაადეკვატური, აგრესიული, არის სუიციდის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი ფაქტორი, ასევე, ოჯახური ძალადობის ფაქტების დიდი ნაწილი სწორედ ამგვარი ნარკოტიკის მომხმარებლებზე მოდის და ეს ყველაფერი დადასტურებულია. აგრეთვე, იწვევს იმპოტენციას. არასრულწლოვან ნარკომომხმარებელთა უდიდეს ნაწილს ხელი არ მიუწვდება ტრადიციულ ნარკოტიკზე და ისინიც ამ ფსიქოტროპული წამლებით თუ მათი გამოყენებით, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკებით „კაიფობენ". ახლა, ამ ყველაფრის შემდეგ, ბუნებრივია, უნდა გამკაცრდეს სანქციები იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ წამლებს ყიდის ურეცეპტოდ. ხომ ხედავენ, რომ არ შველის ეს ჯარიმები? თანაც, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წევრთა უმეტესობა ექიმია და მათგან ძალიან გამიკვირდა, ამ ყველაფრის შემდეგ რომ არ დაუჭირეს მხარი ჩვენს კანონპროექტს. საინტერესო ის არის, რომ, რაც ჩვენ ვისაუბრეთ, ეს ყველაფერი კომიტეტის სხდომაზეც ვთქვი, ყველაფერში დამთანხმდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც არ მიიღეს კანონპროექტი.

**— მიზეზად რა დაასახელეს?**

– არც არაფერი, უბრალოდ, წინააღმდეგნი წავიდნენ. ძალიან კი გამიკვირდა და მეწყინა, რომ წინააღმდეგი აღმოჩნდა ოპოზიციონერი, „თავისუფალი დემოკრატების" წევრი, დავით ონოფრიშვილი... სულ 30-მდე ისეთი აფთიაქია თბილისში, რომელთაც ფსიქოტროპული წამლების რეალიზაციის უფლება აქვთ და ახლა, სახელმწიფო 30 აფთიაქს რომ ვერ თუ არ გააკონტროლებს, სხვა რა უნდა იფიქრო? როცა სახელმწიფოს შეუძლია და არ იყენებს რეგულაციებს ამ ათასი უბედურების მთესავი აფთიაქების წინააღმდეგ, აბა, სხვა რა აზრი მოგივა თავში? ჩვენ მივალთ ლობისტებამდე, მანამდე არ გავჩერდებით, სანამ „სააფთიაქო ნარკომანიის" მფარველების ვინაობას არ გავარკვევთ და მათ გვარებს არ დავასახელებთ.

**— ჯანდაცვის სამინისტროს პოზიცია როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?**

– სამინისტროსთან გვქონდა კომუნიკაცია. დაგვეთანხმნენ, რომ რეგულაციების გამკაცრება საჭიროა და შეგვპირდნენ, საკანონმდებლო ინიციატივას მოვამზადებთო. 3 თვე გავიდა ამის შემდეგ, და არაფერი გაუკეთებიათ, როცა









„ტაქსის მძღოლთა ერთი კატეგორია, სიფხიზლის შესანარჩუნებლად, ფსიქოტროპულ წამლებს იღებს სისტემატურად"

### [illegible]

ჩვენ 1 კვირაში დავწერეთ ეს პროექტი. ჩემი აზრით, ვიღაცამ ან ვიღაცებმა დაბლოკეს სამინისტროში ეს ინიციატივა. სწორედ ეს ხალხია სამინისტროდან ამ სააფთიაქო ნარკომანიის ლობისტთა შორის რომ არიან...

ერთ მნიშვნელოვან და დიდი ხიფათის შემცველ ამბავსაც გეტყვით. მოგეხსენებათ, ტაქსის მძღოლების უმეტესობა 12 საათსა და მეტ ხანსაც მუშაობენ, ბევრს ღამისთევაც უწევს. ტაქსის მძღოლთა ერთი ნაწილი, ფსიქოტროპულ წამლებს იღებს, რომ მხნედ იყვნენ და ძილი არ მოერიოთ. ამგვარი წამლების სისტემატური მოხმარება კი ადამიანს არაადეკვატურს ხდის, რეაქციას უჩლუნგებს და უნელებს, ზოგს აგრესიულს ხდის... მოკლედ, ტაქსის ის მძღოლები, რომლებიც სისტემატურად მოიხმარენ ამგვარ ფსიქოტროპულ წამლებს, პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ. ამ ტაქსებში ჩვენ ვსხდებით, ან ვმოძრაობთ ავტომობილებით და გზაში გვხვდებიან ამგვარი წამლების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტაქსის მძღოლები. ეს იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად, ამგვარი ტაქსისტებისგან ავტოავარიების მატების რისკი ძალიან რეალურია. მესმის, რომ ისინი ამას საკუთარი ოჯახის გამოკვების, რჩენის გამო აკეთებენ, მაგრამ საკუთარ და სხვის სიცოცხლეს აგდებენ საფრთხეში. ტაქსის მძღოლები ამ ფსიქოტროპულ წამლებს ვორონცოვის მოედანზე მდებარე აფთიაქში ყიდულობენ, უმთავრესად, დილის საათებში, რადგან შემდეგ მთელი დღე მუშაობას აპირებენ და რომ არ ჩაეძინოთ, მხნედ იყვნენ, ამ წამლების ზემოქმედებით გააქვთ თავი.

**„ალიამ" ეს ინფორმაცია ნარკოლოგ გელა ლეჟავასთან გადაამოწმა: „კი, მეც მსმენია, რომ ტაქსის მძღოლთა ერთი კატეგორია, სიფხიზლის შენარჩუნების მიზნით, ფსიქოტროპულ წამლებს იღებს, რაც, ცხადია, ძალიან სახიფათოა. თუ პირველ ხანებში ეს წამლები მძღოლებს სიფხიზლის შენარჩუნებაში ეხმარება, მათი სისტემატური მიღება უკვე უკურეაქციას იწყებს. მაგალითად, ავიღოთ, „კოფეინი". კი, თუ მას დავლევთ, პირველ ხანებში ფხიზლად ვიქნებით, მაგრამ თუ მივეჩვევით, შემდეგ, პირიქით, მოგვთენთავს და მოგვადუნებს. ჯერჯერობით, კონკრეტულად ვერ გეტყვით, ტაქსის მძღოლები რა სახეობის ფსიქოტროპულ წამლებს იღებენ, მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს, რომლებია, მთავარია, ისინი სიფხიზლის შესანარჩუნებლად სვამენ მათ, ამ წამლების სისტემატური მიღების შემდეგ კი, პირიქით, დუნდებიან, რეაქცია დაგვიანებული უხდებათ და საერთოდ, არაადეკვატური რეაქციები გამოუმუშავდებათ. შესაბამისად, ასეთ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი, ცხადია, სახიფათოა"...**

**მოკლედ, საქმე ასეა — თბილისში „მკვლელი ტაქსისტები" დადიან და მათ უნდა ვერიდოთ, მაგრამ როგორ? აი, ამის პასუხი კი ჯერ არ არსებობს.**

## აჰა, როგორც იქნა, უშვებენ პრეზიდენტს საზღვარგარეთ ისე, რომ არაფერს აყვედრიან



მარტის ბოლოს ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე, საქართველოს დელეგაციას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს. როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო ურთიერთობების საკითხებში თენგიზ ფხალაძემ განაცხადა, მთავრობასთან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ სამიტზე საქართველო წარმოდგენილი იყოს პრეზიდენტის სახით.

– ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობასთან კონსულტაციების შედეგად, გადაწყდა, რომ საქართველო წარმოდგენილი იყოს პრეზიდენტის სახით და, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი გაემგზავრება ამ სამიტზე, – განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

მისივე ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილი ორმხრივ შეხვედრებსაც გამართავს.

– ამჟამად მიმდინარეობს პროგრამაზე, ორმხრივი შეხვედრების დაგეგმვასა და დელეგაციის შემადგენლობაზე მუშაობა, რის შესახებაც საზოგადოებას დამატებითი ინფორმაცია მიეწოდება, – აღნიშნა ფხალაძემ.

ცნობისთვის, აშშ-ში ბირთვული უსაფრთხოების სამიტი 31 მარტს არის დაგეგმილი. მასზე აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რამდენიმე თვის წინ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიიწვია. (kvira.ge)

## თბილისში მომხდარ სროლას მსხვერპლი მოჰყვა



სისხლიანი გარჩევა აღმაშენებლის ხეივანში. ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე, სავარაუდოდ, 5-მა პირმა ცეცხლი გახსნა. სროლის შედეგად გარდაცვლილია ერთი ადამიანი, არიან დაჭრილებიც.

წინასწარი ინფორმაციით, დაჭრილი და გარდაცვლილი პირები ძმები არიან. შემთხვევა აღმაშენებლის ხეივანში მე-9 კმ-ზე მოხდა. სამართალდამცავებმა ინციდენტის მონაწილე ერთი პირი უკვე დააკავეს.

მოგვიანებით დაზუსტდა, რომ დაჭრილი და გარდაცვლილი პირები ძმები ზურა და გია ბერიშვილები არიან. ორივე მათგანი 40 წლამდეა. დაჭრილს დაზიანება თავისა და ფეხის არეში აქვს მიღებული.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაჭრილი მამაკაცი ქირურგიის ინსტიტუტში გადაიყვანა. (newposts.ge; kvira.ge)

## 6 ქართველ მოჭიდავეს დოპინგის გამოყენებაში ადანაშაულებენ



საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების 6 წევრი დოპინგის გამოყენებაშია დადანაშაულებული. sportall.ge-ს ინფორმაციით, შემოწმება გრძელდება და არაა გამორიცხული, ეს სია კვლავ გაიზარდოს.

გამოცემა საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს წესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით სპორტსმენთა ვინაობას არ ასახელებს, რადგან ჯერ სპორტსმენებს ანალიზის პასუხები არ ჩაბარებიათ.

აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში ბრალდებულთა შორის უმეტესობა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრია, მაგრამ არიან ბერძნულ-რომაულიდანაც. ერთ-ერთი სპორტსმენისთვის დოპინგის გამოყენების დამტკიცების შემთხვევაში მეორე ჩავარდნა იქნება, რაც მას სამუდამო დისკვალიფიკაციით ემუქრება.

– ბრალდებულთა უმეტესობა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულია, თუმცა არიან პრიზიორებიც, ერთ-ერთ წონაში კი ფინალისტთა წყვილზეა ლაპარაკი. ეს ტესტები იანვარში, საქართველოს წლევანდელ პირველობაზეა აღებული. დამტკიცების შემთხვევაში, მათ ჩამოერთმევათ ამ ტურნირზე მოპოვებული მედლები, შეუჩერდებათ ხელფასი და აეკრძალებათ ტურნირებში გამოსვლა, ნაკრებთან ვარჯიში და შეკრებაზე წასვლაც კი, – ნათქვამია სტატიაში.

აქვე განმარტებულია, რომ სპორტსმენებს მიეცემათ დისკვალიფიკაცია, ოღონდ მის ვადას საერთაშორისო ფედერაცია განსაზღვრავს. (ინტერპრესნიუსი)

## „მე და საზოგადოება“ დაღუპავს ქართველი ბავშვების ცნობიერებას“



– სამწუხაროდ, ბევრი საზოგადო მოღვაწე ემხრობა ამ უმსგავსობის სკოლებში დანერგვას, – აცხადებს აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე. მისივე თქმით, ახალი სასკოლო საგანი „მე და საზოგადოება“ დაღუპავს ქართველი ბავშვების ცნობიერებას.

– სასკოლო პროგრამაში ასეთი საგნების შეტანას არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმები. მსგავსი სახელმძღვანელოები ღუპავს ქართველი ბავშვების ცნობიერებას. უნდათ, ახალგაზრდებსა და ბავშვებს თავიდანვე ჩაუნერგონ სისულელეები. ეს ყველაფერი ისე შეფუთეს, თითქოს საგანგაშო არაფერია, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ თავზარდამცემია. სამწუხაროდ, ბევრი საზოგადო მოღვაწე ემხრობა ამ უმსგავსობის სკოლებში დანერგვას, – ამბობს ჯაველიძე. (რეპორტიორი)

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



სამართალი

# „ადვოკატებს აფურთხებენ, აგინებენ, შეურაცხყოფენ!!!“

## რატომ იმატა ადვოკატების შეურაცხყოფისა და ზეწოლის ფაქტებმა და როგორ აპირებენ ისინი თავის დაცვას?







**ადვოკატები მათზე ბოლო დროს გახშირებული ზეწოლისა და შეურაცხყოფის ფაქტების გამო კანონში ცვლილებების შეტანას და ამით მათი უფლებების დაცვას ითხოვენ. მამუკა ტუსკაძე ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების დროს დააპატიმრეს. თუმცა, მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც დევნის მას პოლიციის მაღალჩინოსანი და შეურაცხყოფას აყენებს.**

ადვოკატი **მამუკა ტუსკაძე:**

– სააკაშვილის მმართველობის დროს 150-მდე ადვოკატი იხდიდა სასჯელს უკანონოდ. გარდა ამისა, 300-ზე მეტ ადვოკატს შეეზღუდა საადვოკატო საქმიანობა, მართალია, ადვოკატების დევნისა და შევიწროების მასშტაბებმა იკლო, მაგრამ უარესიც მოხდა. თუნდაც, გიორგი მდინარაძის შემთხვევაში, ადვოკატი საბურთალოს პოლიციის უფროსმა სცემა და წამებამდეც მიიყვანა. ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ მოვითხოვეთ, რომ 364-ე და 365-ე მუხლში ჩაემატოს, რომ ადვოკატის შეურაცხყოფა იყოს დასჯადი. ისევე როგორც პროკურორის შეურაცხყოფა ისჯება 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან მსუბუქ შემთხვევებში ჯარიმით, ყველა პროცესში პროკურორი და ადვოკატი თანაბარი მხარე უნდა იყოს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩაემატოს მუხლი ადვოკატის უფლებების შესახებ. რადგანაც, თუ პროკურორებს აქვთ უფლებები, ამავე დროს უფლებები უნდა ჰქონდეთ ადვოკატებსაც. გამოძიებისა და დაკითხვის პროცესში, ადვოკატს მონაწილეობისა და მტკიცებულებების წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეს... გარდა ამისა, ხშირია ადვოკატებზე თავდასხმა საადვოკატო საქმიანობის შესრულების დროს. სააკაშვილის დროს, ამის სტატისტიკა არ არსებობდა, თუმცა, დღეს ადვოკატის ცემისა თუ შეურაცხყოფის უამრავი ფაქტია. სააკაშვილის მმართველობის დროს უფრო მეტად ირღვეოდა ადვოკატის უფლებები, მაგრამ რატომ არის ასე დღესაც? სანუგეშო სულაც არ გახლავთ, რომ ადვოკატის შეურაცხყოფისა და ცემის 20-მდე ფაქტია. საერთოდ, რატომ უნდა იყოს ასეთი ფაქტები? პირადად, ჩემს მაგალითსაც გეტყვით. იმის გამო, რომ აქტიურად ვიყავი ჩართული საადვოკატო საქმიანობაში, სააღსრულებომ (უბრალო მიკითხვის გამო), რომელსაც ყოფილი „ზონდერი“ ვალერიან თუხაევი ხელმძღვანელობდა (ის დღესაც მუშაობს და აღსრულების პოლიციის უფროსია), პირადად მე შეურაცხყოფა მომაყენა. ამის გამო, მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი დასაჯეს, ხელფასი არ მისცეს, სულ ეს იყო. ადვოკატის შეურაცხყოფისთვის სხვა არავითარი მექანიზმი არ არსებობს. ადვოკატებისთვის შეურაცხყოფის მიყენება და სულში ჩაფურთხება ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ჩემი შეურაცხყოფის დამადასტურებელი ექსპერტიზაც მაქვს, ხელი დაშავებული მქონდა. ამის გამო რუსთავში სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძლა, მაგრამ ამ დრომდე არავინ არ დაუსჯიათ.

**— პასუხი ვინმეს აგებინეს?**

– არავის. მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლნენ. ამიტომაც მოვითხოვ 364-ე და 365-ე მუხლების მიღებას. თითქოსდა, თავისუფალი ვართ ადვოკატები პროცესის დროს, მაგრამ ამ დროს ჩვენი შეურაცხყოფა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს, შეურაცხმყოფელი პირისთვის მხოლოდ ხელფასის დაქვითვით კი არა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებით უნდა მთავრდებოდეს.

**— რამდენად ხშირად ხდება ადვოკატების შეურაცხყოფა პროცესების დროს?**

– რა თქმა უნდა, ხშირია ადვოკატების შეურაცხყოფა. რაც სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს იშვიათად ხდება, მაგრამ საკმაოდ დიდი მასშტაბებია სამოქალაქო საქმეების განხილვისას. განსაკუთრებით, მაშინ როცა სასამართლო იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს ან მოქალაქეების გამოსახლებისას. მაშინ, როცა ადვოკატები მოქალაქეების ინტერესებს ვიცავთ, სახელმწიფო ორგანოებთან დაპირისპირება გვიწევს. ამ დროს მოხელე შეურაცხყოფას გვაყენებს. ასევეა, საჯარო რეესტრთან ურთიერთობის დროსაც. როდესაც ადვოკატს სახელმწიფო ორგანოებთან დაპირისპირება უხდება, თუნდაც ამა თუ იმ პირის ქონების რეგისტრაციის დროს. შეურაცხყოფას ხშირად ჩინოვნიკი გვაყენებს.

**— კანონი პარლამენტში უკვე შესულია, რას ელოდებით?**

– ამ კანონის ინიციატორი და მხარდამჭერი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილია. ის თავგამოდებით იცავს ადვოკატების უფლებებს. მინდა, რომ ადვოკატები უფრო გააქტიურდნენ და უფრო მეტად დაიცვან საკუთარი უფლებები. ეს ქვეყნისთვისაც კარგია და ყველა იმ პირისთვის, ვისაც უფლებების დაცვა სჭირდება.

**„ალია“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილს ესაუბრა:**

– მართალია, ადვოკატების მასობრივი დევნა აღარ ხდება, ისევე როგორც სააკაშვილის ხელისუფლების დროს. სააკაშვილი მმართველობის ბოლო წლებში მიხვდა, რომ ადვოკატების დევნა-შევიწროება არ იყო სწორი ნაბიჯი, თუმცა, სამართალდამცავ ორგანოებში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დღესაც შეურაცხყოფენ ადვოკატებს. ადვოკატებს აფურთხებენ, აგინებენ, შეურაცხყოფენ და ამის საწინააღმდეგოდ დღემდე არავითარი კანონი არ არსებობს. არ უნდა მოხდეს საადვოკატო საქმიანობისთვის ხელის შეშლა. ადვოკატთა ასოციაცია პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილების მოთხოვნით უკვე შევიდა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია შეგვპირდა, რომ ადვოკატთა ასოციაციის საკანონმდებლო ინიციატივა განხილული იქნება.

**— რას იტყოდით, ორიოდე დღის წინ, კიდევ ერთ ადვოკატზე განხორციელებულ ზეწოლაზე?**

– ადვოკატმა ლავრენტი სუხიშვილმა, მოწმის გამოკითხვის ოქმი წარადგინა სასამართლოში, როგორც მტკიცებულება, ვინაიდან გამოძიებას არ მოეწონა ადვოკატის მიერ მოპოვებული მტკიცებულება, სასწრაფოდ იქნა დაკითხული ადვოკატის მიერ გამოკითხული მოქალაქე, რომელმაც განაცხადა (სავარაუდოდ, ზეწოლის ქვეშ), რომ არ წაუკითხავს, ადვოკატმა რაზე მოაწერინა ხელი. აღნიშნული ფაქტი საადვოკატო საქმიანობაში ხელშეშლას წარმოადგენს. სასამართლო პრაქტიკაში თითქმის ყოველი მეორე ბრალდებული აცხადებს, რომ გამომძიებელმა დაკითხვის ოქმზე იძულებით მოაწერინა ხელი. ძალადობით, მოტყუებით და ა.შ. თუ ასეთი პრაქტიკა დაინერგება, მაშინ ნებისმიერ მოპოვებულ მტკიცებულებაზე უნდა დაიწყოს გამოძიება, გამომძიებელი საქმიდან უნდა იქნეს ჩამოცილებული და ა.შ. საგულისხმოა, რომ ადვოკატ ლავრენტი სუხიშვილის მიერ მოპოვებული გამოკითხვის ოქმი სასამართლომ მიიღო, როგორც მტკიცებულება, და მხოლოდ მოსამართლე გადაწყვეტს, გაიზიაროს თუ არა ადვოკატის წარმოდგენილი მტკიცებულება. რვა თვეა, ადვოკატი ლავრენტი სუხიშვილი პროკურატურისგან, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ნოდარ ტატუნაშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე პოლიციის თანამშრომლების დასჯას უშედეგოდ ითხოვს, რამაც, სავარაუდოდ, გააღიზიანა პოლიცია და ადვოკატის საქმიდან ჩამოცილება გადაწყვიტა. როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, მივმართე, მთავარ პროკურორს და ადვოკატ ლავრენტი სუხიშვილის მიმართ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიების ჩატარება მოვითხოვე, რომელიც, სავარაუდოდ, გამომძიებელ გიორგი ქუქჩიშვილის მიერ თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტების ნიშნებს შეიცავს.

შევახსენებ, იმ სამართალდამცველებს და პროკურორებს, რომლებმაც არ იციან საერთაშორისო სტანდარტები ადვოკატებთან მიმართებაში. გაეროს ძირითადი პრინციპების ადვოკატის როლის შესახებ (1990). მე-16 მუხლის თანახმად: „ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადვოკატებს (ა) შეუძლიათ, შეასრულონ თავიანთი პროფესიული ფუნქციები დაშინების, დაბრკოლების, შევიწროების ან უადგილო ჩარევის გარეშე; (ბ) აქვთ შესაძლებლობა, შეხვდნენ და კონსულტაცია გაუწიონ თავიანთ კლიენტებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც; (გ) არ განიცდიან და არ ემუქრებათ სამართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან სხვა სანქციები აღიარებული პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის შესაბამისად მოქმედებისას.

**— რას გპირდებიან, საკანონმდებლო ორგანო მიიღებს თუ არა კანონს ადვოკატების შესახებ?**

– ჯერ არ ვიცით, როცა ამ კანონს მიიღებენ, ადვოკატების უფლებები დაცული იქნება.

**— თქვენ აცხადებდით, რომ მოწმეების დაკითხვა სასამართლოში უნდა მომხდარიყო და არა პოლიციაში, რა შეიცვალა ამ კუთხით?**

– ყოველთვის ვამბობდი, რომ პირის დაკითხვა სასამართლოზე უნდა მომხდარიყო, 214-ე მუხლში უკვე შეიტანეს ცვლილება, ახლა, მოქალაქეებს მხოლოდ სასამართლოში დაკითხავენ. ეს კანონი 2017 წელს ამოქმედდება ნაწილობრივ. მაგრამ თუ პირის დაკითხვა პროკურატურაში ხდება, მაშინ ადვოკატი არ ესწრება, ამ შემთხვევაში პირი კვლავ დაუცველია.

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# „საბავშვო ბაღის დირექტორებზე ზეწოლა ისევ დაიწყო!“

ხელისუფლება სკოლამდელი აღზრდის სფეროს მასშტაბური რეფორმისთვის ემზადება. პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტის განხილვა უკვე მიმდინარეობს. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი ეკა ბესელიაა, რომლის განმარტებითაც, რეფორმის ძირითადი სიახლე არის ის, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში, აღზრდასთან ერთად, განათლების კომპონენტიც შემოდის.

მისივე განმარტებით, კანონპროექტის მიხედვით, დამტკიცდება ერთიანი მიდგომა — შეთანხმებული სტანდარტი ყველა ბაგა-ბაღისთვის — შემოღებული იქნება სავალდებულო სტანდარტები, მათ შორის კვებასა და ჰიგიენასთან დაკავშირებით; შემოდის აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი; პირველად იქნება შემოღებული ავტორიზების სისტემა როგორც საჯარო, ისე კერძო ბაგა-ბაღებისთვის; შემოდის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდება ჯგუფების ჩამოყალიბების წესი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, ასევე, ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა და სხვა.

დამტკიცების შემდეგ, კანონი ძალაში ორ ეტაპად შევა, მისი ძირითადი ნაწილი ამოქმედდება 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ავტორიზაციის პირობად დაწესებულების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შენობა-ნაგებობების მოწყობას მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად განსაზღვრავს, ამოქმედდება 2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან იმ დაწესებულებების მიმართ, რომლებიც დაფუძნებულია და საქმიანობას ახორციელებს ამ კანონის ძალაში შესვლის დროისთვის.

„ალიას“ ა/ო „საქართველოს სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებების დაცვის ლიგის“ თავმჯდომარე, **მზია ფაილოძე** ესაუბრა:



**„გამოდის, ბავშვი რომ დაიბადება, პირდაპირ, მშობელთან ერთად უნდა მივიდეს საბავშვო ბაღში!“**

**„ბოდიში მომითხოვია, ვინ არის „იუნისეფი“? სად იყო „იუნისეფი“, როდესაც სკოლამდელი აღზრდის სამჭედლო გვქონდა?!“**





**„არ შეიძლება, ბაღი უფასო იყოს! ეს პიარისთვის გააკეთეს, მაგრამ დაავიწყდათ, რომ უფასო კარგი არაფერი არ არის“**

— კანონპროექტის ყველა პუნქტში არის ხარვეზი. ეს კანონპროექტი, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, განხორციელების ეტაპებზე, დიდ სირთულეებს შექმნის. არ მინდა, ისე გამოვიდეს, რომ კანონი, რომელიც დაიწერა, ამოქმედდეს და რეალურად, ის ქმედითი არ იყოს.

**— რა მოსალოდნელ სირთულეებზე საუბრობთ?**

– პირველი – კანონში ჩადებულია, რომ 2020 წლისთვის უნდა გვქონდეს ახალი საბავშვო ბაღები. 2020 წელს, ჩვენ გვექნება ისეთი სახელმწიფო, სადაც აშენებული იქნება ევროსტანდარტების მქონე საბავშვო ბაღები?! ევროსტანდარტებს რომ თავი დავანებოთ, შევხედოთ, რა ეკონომიკური ვითარებაა, გვექნება ჩვენ ის სიტუაცია, რომ კანონით დარეგულირდეს, როგორც თბილისის საბავშვო ბაღების პედაგოგების, ასევე, რაიონებისა და სოფლების საბავშვო ბაღის პედაგოგის ხელფასი? კანონს რომ იღებ, ეს კანონი ხომ ყველასთვის ერთი უნდა იყოს? რამდენად ექნებათ ფინანსური ბერკეტი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს საიმისოდ, როგორიც თბილისს აქვს? თავკომბალასავით ყველაფერი თბილისშია, მაგრამ რაიონებში ძალიან ბევრ საბავშვო ბაღში ისეთი სიტუაციაა, რომ არ არიან დაყოფილი ასაკობრივად. არის მაქსიმუმ ერთი, ან ორი ჯგუფი და ამ ჯგუფებშია შესული ყველა ასაკის ბავშვი. ამ კანონში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ასაკობრივი დაყოფა უნდა მოხდეს. გარდა ამისა, შემოტანილია ასეთი რეგულაცია – 0-დან 2 წლამდე ბავშვის, ანუ, გამოდის, ბავშვი რომ დაიბადება, პირდაპირ, მშობელთან ერთად უნდა მივიდეს საბავშვო ბაღში. ამავე კანონში ნათქვამია, რომ უნდა იყოს შექმნილი სპეციალური სანიტარიულ ჰიგიენური პირობები, ასევე, სათანადოდ უნდა დარეგულირდეს ჯგუფებში ბავშვების განლაგება, ასაკის მიხედვით, ეს ყველაფერი, ზემომოყვანილი ფაქტორებიდან გამომდინარე, გამორიცხულია. ის რეგულაციები, რასაც ეს კანონპროექტი ითვალისწინებს, ძირითადად, გათვალისწინებულია, ფასიან ბაღებთან მიმართებაში, თბილისის საბავშვო ბაღის მასწავლებელს ხელფასი აქვს 400 ლარის ოდენობით. სოფლის ბაღებში კი დაახლოებით 150 ლარი. როგორ წამოგიდგენიათ, არის შესაძლებელი რომ ეს ხელფასები გათანაბრდეს? ალბათ, ხვდებით, რომ – არა. რეალურად ვერც ის კვების სტანდარტები დამკვიდრდება, რასაც კანონი ითვალისწინებს. მე რეფორმების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, მაგრამ რეალობა არის ის, რაზეც ვსაუბრობთ. ერთი რამ მიკვირს, რატომ ხდება ასე ფორსმაჟორში ამ კანონის მიღება? მე ვფიქრობ, ეს არის მიზანმიმართული ნგრევა იმ სისტემის, რაც ჯერ კიდევ შემორჩენილია. ამ სტანდარტებს რომ ნერგავენ, თუ მისი გამტარებელი პედაგოგები არ იქნებიან მომზადებულები, მაშინ რა აზრი აქვს, რისთვის აკეთებენ ამას? თუ ტრენინგებსა და სემინარებზე მიდგება საქმე, ისიც საკითხავია, ვინ უნდა ჩაუტაროს მათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ამ სფეროში არსებულ სპეციალისტებს არ გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. თვით თბილისის ბაღების სააგენტოც ისეთი კადრებითაა დაკომპლექტებული, რომ ელემენტარული რამეები არ იციან, შემთხვევით არიან მოხვედრილები. ძალიან ბევრი, უბრალოდ, „ქართული ოცნების“ მიერაა „ჩანერგილი“. ეს კანონპროექტი ისე შემუშავდა, რომ თბილისის ბაღების არც ერთ დირექტორს, არც ერთ ადგილობრივ ექსპერტს არ მიუღია მონაწილეობა. ყველა, ვინც ამაში მონაწილეობდა, იყო იურისტი.

**— აბა, ვინ იღებდა მის შემუშავებაში მონაწილეობას? როგორც ბესელია გამარტავს, „იუნისეფის“ რეკომენდაციებზე დაყრდნობით იმუშავეს და სხვა უწყებების რეკომენდაციებიც გაითვალისწინეს.**

– ბოდიში მომითხოვია, ვინ არის „იუნისეფი“? მათი კომპეტენცია იმით შემოიფარგლება, რომ შენიშვნებს ბლოკნოტში ჩაიწერენ და მე „იუნისეფმა“ უნდა მასწავლოს რამე? სად იყო „იუნისეფი“, როდესაც სკოლამდელი აღზრდის სამჭედლო გვქონდა?! არსებობდა საერთოდ მაგ დროს? კი, უნდა ვითვალისწინებდე მის რეკომენდაციებს რაღაც ნაწილში, იმიტომ, რომ ევროპული სახელმწიფო ვარ, მაგრამ იმ ევროპაში, სადაც ჩვენ მივდივართ, საბავშვო ბაღები ფასიანია. არ შეიძლება ასე, მინიმალური გადასახადი მაინც უნდა იყოს დაწესებული, რომ ბიუჯეტში რაიმე შევიდეს. კი ბატონო, სოციალურად დაუცველები უნდა განთავისუფლდნენ, მაგრამ ვის მშობელსაც 2 000 ლარი აქვს ხელფასი, იმან რატომ არ უნდა გადაიხადოს, მინიმალური 15-20 ლარი? რატომ უნდა იყოს ყველა ერთ პირობებში? უბრალოდ, პოლიტიკური გათვლაა, პიარისთვის გააკეთეს, მაგრამ დაავიწყდათ, რომ უფასო კარგი არაფერი არ არის.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ კანონპროექტის შემუშავებაში 11 საუწყებო დაწესებულება მონაწილეობდა. ამდენი ძიძის ხელში ბავშვი გაიჭყლიტაო, რომ ამბობენ, ზუსტად ასეა საქმე.

ერთადერთი სკოლამდელი სისტემა იყო შემორჩენილი და ამ სისტემასაც ანგრევს „ქართული ოცნება“. ის, რაც ვერ მოახერხა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ძალიან წარმატებით ახერხებს „ქართული ოცნება“. ახლა წინასაარჩევნო პერიოდი მიმდინარეობს და უდიდესი ზეწოლა ხორციელდება ბაგა-ბაღების დირექტორებზე. დღე არ გავა, რომ ამ საკითხით შეწუხებულებმა არ მომმართონ. ზარები არ ჩერდება, რომ ათავისუფლებენ სამსახურებიდან, სანამ „ქართული ოცნება“ მოვიდოდა ხელისუფლებაში, მაშინ ამბობდნენ, რომ დირექტორის მოადგილის შტატი იყო ზედმეტი და მოსვლისთანავე ამას გააუქმებდნენ, დღეს კი ვხედავთ, რომ ეს შტატი შეინარჩუნეს და უფრო მეტიც, პარტიული ნიშნით გამორჩეულ ადამიანებს ნიშნავენ. ათავისუფლებენ ნაცებს და ნიშნავენ „ქოცებს“. ამ განთავისუფლებული ხალხით ძალიან ბევრ ადამიანს აბოროტებენ, რომელთა უკანაც ოჯახები დგას, ეს ყველაფერი კი, საარჩევნოდ ისევ „ქართულ ოცნებაზე“ აისახება. დღესაც მიმდინარეობს ბაღების დირექტორებზე ზეწოლა და ეუბნებიან, რომ, თუ არ გაათავისუფლებენ მოადგილეებს, მაშინ მათვე შეექმნებათ პრობლემები. აი, ასეთი ხალხი გვყავს მაღალ ეშელონებში. კანონპროექტი ითვალისწინებს მონიტორინგის სხვადასხვა სისტემას, გააჩნია, რა დატვირთვა ექნება ამ მონიტორინგს. კარგია მონიტორინგი, მაგრამ გააჩნია, ის შესწავლის მიზნით შევა თუ სადამსჯელო როლს შეითავსებს, როგორც დღეს ხდება. მართალია, ამ კანონპროექტს რიხინ-რიხინით მიიღებენ, დარწმუნებული ვარ, მაგრამ ჩათვალეთ, რომ სამომავლოდ ის ძალიან ბევრ პრობლემას შექნის, იმიტომ რომ, იქნება უმოქმედო. ამიტომაც მივმართავ ყველა პარლამენტარს, რომელთაც სისტემისთვის კარგი უნდათ, ცოტა ხანი თავი შეიკავონ ამ კანონის მიღებისგან. ვერ ვხვდები, რა აუცილებელია, რომ მაინცდამაინც ამ მოწვევის პარლამენტმა მიიღოს ეს კანონი. ეს კანონპროექტი ქართულ რეალობასთან შეუსაბამოა, თითქმის მთლიანად გადასახედია, ამიტომაც, თუ ცოტა ხნით გაჩერდება, დარწმუნებული ვარ, შემდეგი მოწვევის პარლამენტს ის არც კი გაახსენდება.

## „მოჭიდავეებისთვის უცნობია, საიდან მოხვდა მათ ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი“



ანტიდოპინგური სამსახურის ხელმძღვანელ პავლე კასრაძის თქმით, ვინაიდან სპორტსმენები არ ადასტურებენ აკრძალული პრეპარატების მიღებას, ავსტრიულ ლაბორატორიაში დამატებითი კვლევა ჩატარდება.

– როდესაც ხდება სინჯის აღება, სინჯი იყოფა ორ ნაწილად, „ა“ სინჯად და „ბე“ სინჯად. თუ „ა“ სინჯის შედეგებს არ ეთანხმება მხარე ან საეჭვოს ხდის, ამ შემთხვევაში ტარდება შემოწმება უკვე „ბე“ სინჯის. თუ „ბე“ სინჯში არ აღმოჩნდა რაიმე დარღვევა, „ა“ სინჯიც ანულირდება, ხოლო თუ აღმოჩნდა დარღვევა, შესაბამისად, ხდება „ა“ სინჯში აღმოჩენილი დარღვევის დადასტურება. ვინაიდან სპორტსმენები არ აღიარებენ და მათთვის საეჭვოა შედეგები, ავსტრიულ ლაბორატორიას, სადაც კვლევა ჩატარდა, მივმართავთ წერილით, რომ „ბე“ სინჯის გამოკვლევა მოხდეს, – განაცხადა კასრაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## დიმიტრი მედვედევი — ნატო რუსეთზე ყოველთვის იბუტება, ისე როგორც ეს მოხდა საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ



რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, ნატოს არ მოსწონს, როდესაც მოსკოვი მსოფლიო დღის წესრიგში მონაწილეობს. ამის შესახებ მედვედევმა „ევრონიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

– მაშინ, როდესაც მსოფლიო დღის წესრიგში რაღაც ხდება, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მაშინვე იბუტება და ამბობს: მორჩა, თქვენთან ურთიერთობას ვწყვეტთ, ურთიერთობას ვაჩერებთ. ასე იყო საქართველოში განვითარებული მოვლენების დროს. ახლაც, უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროსაც ასეა. ჩვენ ვამბობთ, კარგი, ეს თქვენი საქმეა, შეწყვიტეთ, – აღნიშნა დიმიტრი მედვედევმა.

მისივე თქმით, რუსეთს სურს აშშ-სა და ევროკავშირთან კარგი ურთიერთობები. ამასთანავე, მედვედევის განცხადებით, მოსკოვი მზადაა, დასავლეთთან კავშირები გააუმჯობესოს. (ინტერპრესნიუსი)

## პრემიერის გადაყენება — იაცენიუკი მიდის?



უკრაინის პრემიერ-მინისტრი და მთავრობა შესაძლოა, რადამ კვირის ბოლომდე გადააყენოს.

როგორც მმართველ კოალიციაში შემავალი იაცენიუკის პარტიის „სახალხო ფრონტის" ფრაქციის წევრი მუსტაფა ნაიემი აცხადებს, რადაში მთავრობის გადასაყენებლად საჭირო ხმები უკვე არსებობს – იაცენიუკის წინააღმდეგ მისი ფრაქციის წევრები გამოდიან.

მისივე თქმით, იაცენიუკის გადაყენებს მხარს უჭერენ პეტრე პოროშენკოს ბლოკის წევრებიც.

ბლოკის ლიდერი იური ლუცენკო ღიად აცხადებს, რომ იაცენიუკს რადაში მხარდაჭერა აღარ აქვს – მან პრემიერ-მინისტრი „დავარდნილ ცხენს" შეადარა. (პირველი რადიო)

## დავით უსუფაშვილი: მოარული ხმები, თითქოს ვინმე დაურეგისტრირებელი ქონების წართმევას აპირებს, სიცრუეა



პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მსჯელობა მალე გაიმართება.

– მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო და ყველას მოგიწოდოთ, რომ მოსახლეობას მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია, იმიტომ, რომ მოარული ხმები, თითქოს ვინმე დაურეგისტრირებელი ქონების წართმევას აპირებს თუ სახელმწიფო მოქალაქეების ინტერესების საწინააღმდეგო რამეს გეგმავს, არის სიცრუე. ვიცი, რომ აგრარულ საკითხთა კომიტეტი მთავრობასთან ერთად აქტიურად მუშაობს, ჩართულები არიან დარგობრივი ეკონომიკისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტები. ჩვენ გვექნება სწორედ სხვა მიმართულებით გადაწყვეტილებები – როგორ დავეხმაროთ მოქალაქეებს, რომ იურიდიულად გაიფორმონ ის მიწის ნაკვეთები, რომლებსაც წლებია და ზოგჯერ ათწლეულებია ფაქტობრივად ფლობენ, მაგრამ, იურიდიული საბუთების გაუმართაობის გამო, სრულფასოვნად ვერ ახერხებენ თავიანთი საკუთრების გამოყენებას, განკარგვას სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა სახის დანიშნულებისთვის. ასე რომ, ამ საკითხებზე პარლამენტში მალე გვექნება მსჯელობა მოქალაქეთა უფლებების განსამტკიცებლად და არა პირიქით, – განაცხადა უსუფაშვილმა. (kvira.ge)

# რას ნიშნავს კვირიკაშვილის ნაქები „განათლების გერმანული მეთოდი" და ვინ „დააბოლა" პრემიერ-მინისტრი?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში გერმანული მოდელის დანერგვა იგეგმება. „ეს მოდელი ძალიან ეფექტურია არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. გერმანულს იმიტომ ვამბობ, რომ ამ ქვეყანამ დაუდო სათავე განათლების სისტემას", — განაცხადა კვირიკაშვილმა.**

**რას გულისხმობს უმაღლესი განათლების გერმანული მოდელი? ამ საკითხს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, გიორგი შერვაშიძე ასე განმარტავს: „ეს მოდელი გულისხმობს იმას, რომ პროფესიულ განათლებას, ადამიანი, იმავე სექტორში დასაქმების პარალელურად იღებს. სახელმწიფო დამსაქმებელს პროფესიულ პროგრამაში ჩართული ადამიანის ხელფასის ნაწილს უნაზღაურებს. ამით პროფესიული მიმართულების სტუდენტის დასაქმებისა და განათლების ხარისხის ამაღლების შანსები გერმანიაში იზრდება".**

**საკითხს სფეროს ექსპერტებში დიდი აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.**

**დენის დავითაშვილი, „პროფესიული განათლების პროფკავშირების" თავმჯდომარე:**

**— ბატონო დენის, არის კი ჩვენთან იმდენი საწარმო, რომ მთლიანად, ჩვენი უმაღლესი სისტემა გადაერთოს ამ მიმართულების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე? რამდენად დგას ამ ეტაპზე ამ ახალი რეფორმის აუცილებლობა?**

– თავისუფალი ადგილები იმაზე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ კადრებს ვამზადებთ. ეს ხდება იმიტომ, რომ დღემდე არ არის შესწავლილი შრომის ბაზარი, რა მიმართულებით გვჭირდება კადრები.

**— განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის მიმართულებით სჭირდებათ კარდები...**

– წლების განმავლობაში, საქართველოში, განათლების სისტემაში ხორციელდება სხვადასხვა სახის რეფორმები. ამჟამად მიმდინარეობს 2013-2020 წლების რეფორმა პროფესიულ განათლებაში, რომლის ავტორებიც გახლავთ მაშინდელი მინისტრი ბატონი მარგველაშვილი, დღევანდელი მინისტრი, თამარ სანიკიძე და მისი პირველი მოადგილე, ქეთევან ნატრიაშვილი. დაიწყეს ამ ყველაფრის განხორციელება, რაზეც უცხოელმა ექსპერტებმა დაადგინეს, რომ რეფორმა მიმდინარეობს წარუმატებლად. მას შემდეგ, რაც სამი თვის წინ ქალბატონი მინისტრი, თავის მოადგილესთან ერთად, იმყოფებოდა გერმანიაში – სხვათა შორის, ძალიან ხშირად დადიან უცხოეთში, მაგრამ ვერ ჩამოიტანეს ისეთი მოდელი, რომ საქართველოსთვის იყოს მისაღები. კერძო ქვეყნის მოდელი ვერც იქნება მისაღები ჩვენი ქვეყნისთვის. ვერც ეს, ე.წ. დუალური სისტემა იქნება მისაღები ჩვენი ქვეყნისთვის.

**— რატომ?**

– გერმანიაში პროფესიული სწავლება მიმდინარეობს სამ წელ-ნახევრის განმავლობაში, ჩვენთან კი მაქსიმუმ წელი, წელიწად-ნახევარი მიმდინარეობს სწავლება. გერმანიაში სასწავლო პროცესის ერთი მესამედი ხორციელდება პროფესიულ კოლეჯებში, ხოლო ორი მესამედი კონკრეტულ დამსაქმებლებთან, კონკრეტულ წარმოებაში. გერმანია არის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, სადაც ეს მოდელი – დუალური, კარგად ხორციელდება. რა იქნებოდა კარგი საქართველოსთვის, ამას სამინისტროს კარგად აუხსნიდნენ სფეროს ადგილობრივი ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებთანაც სამინისტროს არანაირი კონტაქტი არ აქვს.



**,,დღესდღეობით, ქვეყანაში, მძიმე ფინანსური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე ,,ასი ქარხანა კი გუგუნებს", მაგრამ მუშახელი არ სჭირდებათ"**

დუალური სისტემა გულისხმობს იმას, რომ საწარმოები, ნახევარ თანხას სასწავლო პრაქტიკისთვის გამოყოფენ საკუთარი ჯიბიდან, რაც ჯამურად წელიწადში გერმანიაში შეადგენს 40 მილიონ ევროს, ხოლო ამაზე ბევრად მეტს ხარჯავს სახელმწიფო.

**— ჩვენთან თუ არსებობენ საწარმოები, რომლებიც თანხას ჩადებენ ამ მიმართულებით?**

– მე არ მეგულება საწარმოები, რომლებიც ამ მიმართულებით თანხას ჩადებენ და ამიტომაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სანამ პრემიერ-მინისტრს „დააბოლებდა", ჯერ ეს მიმართულება უნდა შეესწავლა. ესენი არ შეხვედრიან არც ერთ დამსაქმებელს, არც ერთ მწარმოებელს არ უთქვამს, რომ ის გაიღებს ხარჯებს საწარმოო პრაქტიკისთვის, სტაჟირებისთვის, სტიპენდიისთვის... ყველაფრის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ დავიწუნეთ ჩვენივე შექმნილი 2013-20 წლების რეფორმა. შედეგად ის თანხები, რაც ამ მიმართულებით ხარჯეს, არის განიავებული და მილიონებზეა აქ საუბარი.

**მარიამ რამინაშვილი, „საგანმანათლებლო ალიანსის" თავმჯდომარე:**

– პრემიერის განცხადება პროფესიულ სასწავლებლებში დუალური განათლების შემოტანასთან დაკავშირებით არახალია და მასზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. თუმცა რაიმე თვალსაჩინო შედეგი განსაკუთრებული პოზიტიური ნიშნებით არ გამოჩენილა... ამ მოდელმა რომ იმუშაოს, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს საწარმოთა კონკრეტული რაოდენობა, სადაც მსურველები, თეორიული განათლების მიღებასთან ერთად, პრაქტიკულ უნარებსაც აითვისებენ, ან სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საფუძვლიანი და რეალური კვლევის ჩატარება სახელმწიფოში მოთხოვნად პროფესიებთან დაკავშირებით, რათა შემდგომ პროფესიაათვისებული ადამიანები ხელმოცარულნი არ დარჩნენ. სახელმწიფომ ამ მიმართულებით უნდა წაახალისოს კერძო პროფესიული სასწავლებლები და ამავდროულად, უზრუნველყოს მსურველების ვაუჩერული დაფინანსება.

დღესდღეობით, ქვეყანაში, მძიმე ფინანსური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე „ასი ქარხანა კი გუგუნებს", მაგრამ მუშახელი არ სჭირდებათ. დუალური განათლების სისტემა და გერმანიის გამოცდილება არ უშველის ამას. ამიტომ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ პრემიერის განცხადება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია, რომელიც არაფერ რეალურ და პოზიტიურ შედეგს არ მოგვცემს.

**გაზეთ „ყოველკვირეული ალიას" 2016 წლის 15-21 თებერვლის №7 (735) ნომერში დაიბეჭდა ჩემთან ინტერვიუ სათაურით — „ახალი საბანკო მაქინაცია, რომელიც ბანკებმა თავიანთ სასარგებლოდ და კლიენტთა საზიანოდ გამოიგონეს". ინტერვიუ შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, რამაც შეიძლება, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა გამოიწვიოს — ამიტომ, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია იმავე**

## 5 განმარტება მათ, ვისაც პრობლემური საბანკო სესხი აქვს

**დღეს განვათავსე ჩემს ოფიციალურ გვერდზე და ასევე, ხარვეზების გამოსწორების თხოვნით მივმართე რედაქციას, რისთვისაც მადლობას ვუხდი შეცდომების გამოსწორებისა და გასწორებული ინფორმაციის დაბეჭდვისთვის.**

**რაც შეეხება ხარვეზებს:**

1. სტატიაში დაწერილია, რომ ხანდაზმული სესხები ექვემდებარება უპირობო ჩამოწერას და ბანკები ვალდებულნი არიან, ჩამოწერონ ხანდაზმული სესხი – აღნიშნული ასე არ არის. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, თუკი სესხი/ვალდებულება ხდება ხანდაზმული, მაშინ მოვალე უფლებამოსილია, უარი თქვას ხანდაზმული ვალდებულების შესრულებაზე და თუკი კრედიტორი (ამ შემთხვევაში ბანკი) მაინც მოითხოვს ხანდაზმული ვალდებულების შესრულებას, მოვალის მხრიდან სასამართლო ეტაპზე უარის გაცხადების შემთხვევაში – კრედიტორს ეს მოთხოვნა არ დაუკმაყოფილდება და შესაბამისად, მოვალეც განთავისუფლდება ხანდაზმული სესხის გადახდის ვალდებულებისგან;

2. სტატიაში საუბარია პრობლემური აქტივების მართვის კომპანიების მიერ დაგზავნილ წერილზე – რეალურად საუბარი მქონდა ამ ტიპის ორგანიზაციების მიერ გაგზავნილ დოკუმენტზე – მათ მიერვე შედგენილ ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებაზე – რომელიც რეალურად სასამართლო გადაწყვეტილება არ არის. ასევე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვაპირებ, მივმართო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თუმცა ეს მიმართვა ჯერ არ გამიკეთებია;



3. სტატიაში მითითებულია, თითქოს პრობლემური აქტივების მართვის კომპანიების მიერ გამოგზავნილ წერილებს ყურადღება არ უნდა მიექცეს და მსესხებელს შეუძლია მოისროლოს ის – არავითარ შემთხვევაში, ყველა წერილი და გაფრთხილება გულდასმით წაიკითხეთ, რომ გაიგოთ და დაგეგმოთ რა ნაბიჯები უნდა გადადგათ, რომ ნაკლები ზიანი მოგადგეთ;

4. იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი აღწერს მოძრავ ქონებას, რომელიც არ ეკუთვნის მსესხებელს – მაშინ ქონების მეპატრონემ უნდა მიმართოს სასამართლოს აღიარებითი სარჩელით და არა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, როგორც ეს სტატიაშია მითითებული;

5. ასევე, ინტერვიუში საუბარი მაქვს მარტივ წარმოებაზე, რომლის შესახებ ინფორმაციაც არასწორად/ხარვეზებით არის წარმოდგენილი. გამარტივებული წარმოება – ეს არის ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა სასამართლო პროცედურების გარეშე. ამ დროს კრედიტორს (ამ შემთხვევაში ბანკს/საკრედიტო დაწესებულებას) შეუძლია, მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და ისე მოითხოვოს მოვალისგან (მსესხებლისგან) ვალდებულების შესრულება. მას შემდგომ, რაც ამ ტიპის განცხადება მიუვა მოვალეს, თუკი მოვალე არ ეთანხმება კრედიტორის მოთხოვნას ან რომელიმე ნაწილს (მაგალითად, მოთხოვნილი თანხის ოდენობას, ჯარიმების ოდენობას და სხვა) – მას შეუძლია, აღსრულების ეროვნული ბიუროდან წერილობითი დოკუმენტის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში იმავე ორგანოში შეიტანოს პროტესტი და დავა ამ ორგანოში შეწყდება. ხოლო თუ კრედიტორი (ბანკი/საკრედიტო დაწესებულება) დავას გააგრძელებს სასამართლოში, მაშინ აუცილებლად უნდა ჩაერთოს პროცესში და მინიმუმ მოითხოვოს მაღალი ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების შემცირება.

*მარიკა არევაძე, „ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის" თანადამფუძნებელი*

ბელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# 2016 წელს ხელისუფლებაში და მის გარშემო დაახლოებით 50 ადამიანი უნდა მოკვდეს





## პარლამენტარები 83 ათას ლარს ტუალეტის ქაღალდში იხდიან, ჟურნალ-გაზეთებში კი — 17 ათას 500 ლარს!

გილოცავთ, ამხანაგებო, საქართველოს პარლამენტმა უკვე შეისყიდა 2016 წლისთვის სამყოფი პირადი ჰიგიენის საშუალებები – ტუალეტის ქაღალდი, თხევადი საპონი და ხელის საპონი. ფასი – 83 ათასი ლარი. ტენდერი დასრულდა 19 თებერვალს. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში. მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიწოდებული საქონლის გადმოტვირთვას და შემსყიდველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე დასაწყობებას. ტუალეტის ქაღალდიც საჭიროა და საპონიც, ეს გასაგებია, მაგრამ, რასაც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, ცოტა უხერხულად მოგეჩვენებათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ყვავილები და თაიგულებიც უკვე წინასწარ აქვთ შესყიდული: შესყიდვის გამოცხადების თარიღი – 20.01.2016. შესყიდვის ღირებულება – 25 ათასი ლარი. შესყიდვის კატეგორია – სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები (ტაშიიი! შესყიდვის კატეგორია სოფლის მეურნეობის პროდუქტებია), ხოლო დამატებითი ინფორმაცია – ყვავილების თაიგულები. აქ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ რაოდენობაც კი წინასწარაა განსაზღვრული: მაგალითად, პარლამენტს 2016 წელს სჭირდება 15 ცალი მისართმევი თაიგული, სიგრძე – 40-45 სმ. დიამეტრი – 60-65 სმ. თაიგულის შემადგენლობა: ქრიზანთემა – 5 ტოტი, ვარდი – 5 ტოტი, ლილია – 1 ტოტი, გიფსოფილა – 1 ტოტი, სეზონური ყვავილები, დეკორატიული მწვანე მასალა. აუცილებლად უნდა ჰქონდეს ატლასის ბაფთა. ასევე, პარლამენტს სჭირდება 50 ცალი მისართმევი თაიგული.

სიგრძე – 20-25 სმ. დიამეტრი – 15-20 სმ. კიდევ 15 ცალი მისართმევი თაიგული, დიამეტრი – 20-30 სმ, სიგრძე – 30-35 სმ. შემადგენლობა იგივეა, უბრალოდ, სხვაობა ზომებსა და ვადებშია, ამ ყველაფრის მიწოდება ხდება საჭიროების მიხედვით. ესე იგი, ჩვენს დეპუტატებს 2016 წლის განმავლობაში სულ სჭირდებათ 80 მისართმევი თაიგული. ეს რაოდენობა დაბადების დღეების მიხედვით არის დადგენილი თუ რაიმე სხვა სახის გაანგარიშებით, ვერ გეტყვით. ეს ჟურნალი იყო, კინო ახლა იწყება: ყველაზე მაზალო ის გახლავთ, რომ ჩვენმა დეპუტატებმა ზუსტად იციან, რამდენი სარიტუალო გვირგვინი იქნება მისატანი მავანთა დაკრძალვაზე ატლასის ლენტით. სიმაღლე – 170-200 სმ. სიგანე – 100-150 სმ. შემადგენლობა: ლილია ორიენტალი – 5 ტოტი, ვარდი – 20 ტოტი, ანთურიუმი – 3 ტოტი, კორდელაინის ფოთოლი – 5 ცალი, გიფსოფილა – 5 ტოტი, სოლიდაგო – 5 ტოტი, ქრიზანთემა – 10 ტოტი, დეკორატიული მწვანე მასალა, სადგამი. სარიტუალო გვირგვინების რაოდენობა – 50 ცალი. უკაცრავად და... ცოტა უხერხული და მარაზმული ხომ არ არის, როცა პარლამენტი 50 სარიტუალო გვირგვინს წინასწარ უკვეთს? მე არ ვიცი, ეს ცოტაა თუ ბევრი, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ (ამას თავადვე აწერენ ხელს) 2016 წელს ხელისუფლებაში და მის გარშემო დაახლოებით 50 ადამიანი უნდა მოკვდეს. არა, ღმერთმა ყველა დაიფაროს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვინაიდან პარლამენტს ამ რაოდენობის გვირგვინი აქვს გამოწერილი, ეს ასეც იქნება. რავი, სულ ჩაგვძახიან, დაგვიჯერეთ, კაი საქმეებს ვაკეთებთო და რაღა ეს არ უნდა დავუჯეროთ? დიახ, მე მჯერა ჩვენი პარლამენტის!

ეს ჯერ კიდევ არ გახლავთ ყველაფერი: მისართმევი თაიგულებისა და სარიტუალო გვირგვინების შემდეგ მოდის ყვავილების 220 ცალი კომპოზიცია, რომელიც უნდა დაიდგას მაგიდაზე. სიმაღლე 20-25 სმ. სიგანე – 20-25 სმ. შემადგენლობა: ქრიზანთემა – 2 ტოტი, ლილია – 2 ტოტი, გლადიოლუსი – 3 ტოტი, გიფსოფილა – 1 ტოტი, დეკორატიული მწვანე მასალა, სადგამი. გამარჯვებულია შპს „პროგრეს გრუპი“.

კეთილი და პატიოსანი... ალბათ, ყველამ კარგად იცით, რომ პარლამენტს ტუალეტის ქაღალდის (83 ათასი ლარი), ყვავილების თაიგულისა და სარიტუალო გვირგვინების (25 ათასი ლარი) გარდა, სჭირდება გაზეთებიც. ახლა, როგორ გგონიათ, რამდენი ცალი და რა თანხის ჟურნალ-გაზეთები გამოიწერეს 2016 წლისთვის ჩვენმა პარლამენტარებმა? ამ საქმისთვის 2016 წელს გამოიყო, სულ რაღაც, 17 ათას 500 ლარი. რაც შეეხება რაოდენობას, ახლავე მოგახსენებთ: მაგალითად, ამხელა პარლამენტს, სადაც თავის მოსამსახურე პერსონალის ჩათვლით, დაახლოებით დასაქმებულია 2 ათას ადამიანზე მეტი, გამოწერილი აქვს 3 ცალი „ალია“ (წლიურად 624 ცალი) და ასევე, 3 „კვირის ქრონიკა“ უკვე „ყოველკვირეული ალია“ (წლიურად 156). „ასავალ-დასავალი“ – 3, „ახალი თაობა“ – 3, „ვერსია“ – 3, „არსენალი“ – 1, „კვირის პალიტრა“ – 3, „ქრონიკა+“ – 1, „რეზონანსი“ – 3, „საქართველოს რესპუბლიკა“ – 1, „სარკე“ – 1, „თბილისელები“ – 1, „ლელო“ – 2, „პრაიმტაიმი“ – 3, „ბანკები და ფინანსები“ – 1, „ლიბერალი“ – 3, „გურია-ნიუსი“ – 1, „ბათუმელები“ – 1, „სამეგრელოს ქრონიკა“ – 1, „რაჭველები“ – 1, „აგრარული საქართველო“ – 1. ესე იგი, ტვინით „გაძეძგილი“ პარლამენტი რომ 83 ათას ლარს ტუალეტის

### ჯანონშდიბლიბი

ქაღალდში გადაყრის და ჟურნალ-გაზეთებისთვის 17 ათას 500 ლარს ძლივს გაიმეტებს, „რაზვი ეტა ნარმალნა“?! არადა, ყაირათიანი პარლამენტი პირიქით მოიქცეოდა – 83 ათას ლარს ჟურნალ-გაზეთებში გადაიხდიდა, ჯერ წაიკითხავდა, შემდეგ კი გაჭირვებისას ტუალეტის ქაღალდადაც გამოიყენებდა. ახლა, მე ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, თუკი რეგიონებში იყენებენ, რა, პარლამენტში უკეთესები სხედან? ნუ, რა ვქნა, ფაქტს თვალი უნდა გავუსწოროთ!

ამას წინებზე რამდენიმე დეპუტატს ვკითხე, სამსახურში პრესა მოგდით-მეთქი? არა, რა პრესაო. აბა, 17 ათასი ლარი რისთვისაა გამოყოფილი, ხომ გამოიწერეს-მეთქი? ჩვენ არაფერი ვიცით, როცა გვჭირდება, ვყიდულობთო. ესე იგი, როცა ამათ გაზეთები სჭირდებათ (როცა მათი ინტერვიუები იბეჭდება, მხოლოდ მაშინ ყიდულობენ), თვითონ ყიდულობენ, მაგრამ როცა ტუალეტის ქაღალდი ან თაიგულები სჭირდებათ, არ ყიდულობენ, ეს თემები გარანტირებულია. რათა? მაშინ ასეთი რაღაცებიც იყიდონ... კი, მესმის, ჯიბით ტუალეტის ქაღალდის ტარება „ტეხავს“, მაგრამ, თუ გული გულობს, მარტო ქადა კი არ იჭმევა ორი ხელით, „შპალერსა“ და „შკურკასაც“ იხმარებს ადამიანი!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო-ირანს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა დაიწყება



საქართველოსა და ირანს შორის, სავარაუდოდ, პირდაპირი ავიამიმოსვლა დაიწყება. როგორც ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში უკვე შესულია ირანული ავიაკომპანიის განაცხადი, რომელიც განხილვის პროცესშია.

– ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს იმ ტურისტული ნაკადის შემოსვლას, რომელიც ჩვენ ძალიან გვჭირდება. არის დარჩენილი რამდენიმე საბუთი, რომელიც ავიაკომპანიას აქვს შემოსატანი და როგორც კი შემოიტანს, ვფიქრობთ, დაბრკოლება არ იქნება და ძალიან მალე გავცემთ ნებართვას, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, ფრენების განრიგი აეროპორტთან ახლა თანხმდება. (პირველი რადიო)

## არადა, ჯერ კიდევ 2013 წელს ამბობდა დარიბაშვილი, რაფალიანცის საქმეზე „სერიოზული და ახალი გარემოებები“ გამოიკვეთაო



– არც ერთი ქვეყანა არ მახსენდება, სადაც დანაშაული 100 პროცენტით გაიხსნება. დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც ყველა ტიპის დანაშაულს გახსნის, – ამის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს ბარბარე რაფალიანცის საქმესთან დაკავშირებით განუცხადა.

– სამწუხაროა, რომ დღემდე ვერ მოხდა ამ დანაშაულის გახსნა, თუმცა, როდესაც ეს დანაშაული მოხდა, თითქმის 2 თვის განმავლობაში, ძალოვანი უწყებები იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში. პირველადი კვალი და მტკიცებულებები გამოძიებას ობიექტურად რომ წარემართა, ვფიქრობ, შედეგი შესაძლოა, აქამდეც დამდგარიყო. ეს ერთ-ერთი ის საქმეა, რომელიც ვერ დასრულდა. ჩვენც ვისურვებთ, რომ ამ საქმეზე ყველა პასუხი იყოს დღეს, მაგრამ არ არის, – აღნიშნა ბესელიამ. (ipress.ge)



# ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# გვეშველება?!



**„თუკი თინა მინისტრმა საგარეჯოში არჩევნები გააყალბა და ამაზე ვიღაცამ ხმა ამოიღო, რა შუაშია ევროპული კურსი? ბერძენიშვილის თქმით, თურმე ზოგიერთი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს ებრძვის და ამით აზიანებს საერთო საქმეს. არც გაატრაკოთ! გია ვოლსკი კიდევ, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, უცებ აჰყვა ბერძენიშვილების მონაჩმახს და გაფუჭებულ „პლასტინკასავით“ იმეორებს, გოგია პაპა ცუდად იქცევაო“**

რაც თავი მახსოვს, პოლიტიკური პარტიები გვპირდებიან, რომ აი, უკვე დამთავრდა, მორჩა, უახლოეს ხანში ახალ „სახეებს“ მოიყვანენ, შემადგენლობას გადაახალისებენ და ახალი „სისხლით“, ანუ ახალი ენერგიით დაგვილაგებენ ცხოვრებას. გადის თვეები, წლები, თითქოს ჩვენც ვიჯერებთ (ვერ ვართ ჩვენს მატორზე და ამიტომ), არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე იმედი ჩაგვესახება, ტაშს ვუკრავთ, მაგრამ გავიხედავთ და ეს პარლამენტი, რომელიც უკვე სოფლის კლუბად იქცა, ისევ ბრმებით, ყრუებითა და, როგორც კახეთში იტყვიან, აჯამებით გადაიტენება ხოლმე. ისე, მოდით, ვთქვათ სიმართლე, სად არიან ახალი „სახეები“? სად არიან ახალი „სისხლები“, როცა 2 მილიონზე მეტი ადამიანი გაქცეულია ამ ქვეყნიდან და სადღაც 2 მილიონი „პატრიოტიღა“ დავრჩით? არა, პრინციპში, ჩვენ პატრიოტები კი არა, მაზოხისტები ვართ – გადის ათეულობით წელი, ვსხედვართ, ვუყურებთ და საკუთარ ცხოვრებას ვეკაიფებით.

არა, ჩვენ მართლა გამოუსწორებელი მაზოხისტები ვართ: ისინი ვითომ ეძებენ, სინამდვილეში თავიანთთვის ჩალიჩობენ. ჩვენ ვიმედოვნებთ. მერე პარლამენტში გამოდიან და ამბობენ, რომ მავანი დასაჭერია. ეს დასაჭერი ისევ მაგათიანია. აი, გოგი თოფაძე იძახის, თინა ხიდაშელი დასაჭერიაო, საგარეჯოს არჩევნები გააყალბაო. ეგ ჩვენც ვიცით, მაგრამ „გენიოსი“ დავით ბერძენიშვილი ამტკიცებს, გოგია პაპა ევროპულ კურსს ებრძვისო... თუ მაგარია, გამოვიდეს და თქვას, რომ არ ებრძვისო. ძალიან გაცვდა და უკვე ყელში ამოვიდა ეს დამპალი „რიჟა“ ბაზარი. თუკი თინა მინისტრმა საგარეჯოში არჩევნები გააყალბა და ამაზე ვილაცამ ხმა ამოიღო, რა შუაშია ევროპული კურსი? ბერძენიშვილის თქმით, თურმე ზოგიერთი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს ებრძვის და ამით აზიანებს საერთო საქმეს. არც გაატრაკოთ! გია ვოლსკი კიდევ, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, უცებ აჰყვა ბერძენიშვილების მონაჩმახს და გაფუჭებულ „პლასტინკასავით“ იმეორებს, გოგია პაპა ცუდად იქცევაო. ყოფილი პარლამენტარი, ნუგზარ კაკიაშვილი ლექსად ხატავს დღევანდელ სიტუაციას:

**„ვინც ვერ მოასწრო**
**ჩაბრძანება**
**მიშიკოს ნავში**
**და დარჩა წყალში,**
**როცა წავიდა**
**მიშიკო სახლში,**
**გაჩნდა ადგილი**
**ახალ ნავში,**
**გაყინულები**
**ამოხტდნენ წყლიდან**
**და მოკალათდნენ**
**„ოცნების ნავში“,**
**ბევრ მათგანს წყლიდან**
**ამოჰყვა სურდო**
**და უქიქინებს**
**ახლაც კი თავში,**
**ქვეყანაც მიტომ**
**გაჩერდა გზაში,**
**უმრავლესობა**
**რომ უსტვენს ქარში,**
**შემოდგომაზე**
**დრო მოვა უკვე,**
**მოვძებნოთ სხვები,**
**ესენი კიდევ**
**წავიდნენ სახლში“.**

ვიიიშ... ესეც იძახის, მოვძებნოთ სხვები, ესენი კიდევ წავიდნენ სახლშიო. სად მოვძებნოთ, ბატონო ნუგზარ, სხვები? ვისაც რამის შნო და მარიფათი ჰქონდა, ყველა წავიდა... ვისაც განსაკუთრებული შნო და მარიფათი აქვს, ან „მარადმწვანე“ დეპუტატია, ან კიდევ სკამზე კვდება, სანამ მიქელა არ ჩამოივლის, არ ადგება. ერთი-ორი წელი თუ გაუცდათ, სადღაც დაიკარგებიან ხოლმე, მერე უცებ გამოქანდებიან მთაწმინდიდან და აცხადებენ, ახალი „სახეები“ ვართო. როგორც პოეტი „პალადინი“ ამბობს, ჩვენ დავიღალეთ, ესენი – არა. პრინციპში, ამათ რა დაღლით?

**„მე დავიღალე სიჭრელით ფერთა,**
**ერთფეროვნების ფონი რომ ადევს.**
**მე დავიღალე ამდენი ძებნით,**
**სად რა ტყუილია, სულ ამის ძებნით.**
**მე დავიღალე სიმართლის ძებნით,**
**თითქოს აქვეა, ჰორიზონტს იქეთ,**
**ადამიანის სულს რომ ანათებს**
**და მის გარეშე ფასი აქვს ნეხვის.**
**მე სუნთქვა მიჭირს, ჰაერი მინდა,**
**თავისუფლება, სიმართლე მინდა.**
**სივრცე დავკარგე, დრო, იმედებიც,**
**და შენ ცხოვრებავ!**
**შენ, მოლოდინის უსასრულობავ,**
**მე დავიღალე ამდენი ძებნით,**
**სად რა ტყუილია, სულ ამის ძებნით“!**

დიახ, სულ ამის ძებნაში ვართ, სულ იმას ვეძებთ, სულ იქ ვეძებთ, სადაც არაფერია და რას ვეძებთ, თვითონაც არ ვიცით. ხან წარსულში ვიქექებით, სადაც ღალატისა და სისხლის მეტი არაფერია, ხან მომავალში ვიძირებით, სადაც მხოლოდ ფუჭი იმედებია და ამას გაცვეთილი „სახეები“ დასავლურ ორიენტაციას ეძახიან. სინამდვილეში არ გვჭირდება არავითარი ორიენტაცია, არც რუსული, არც ევროპული, ჩვენს გზაზე უნდა ვიაროთ... უფრო სწორად, ვიაროთ კი არა, ნორმალურად ვიცხოვროთ. ჩვენ სულ იმ სახედრებსა ვგავართ, წინ ბალახს რომ დაუკიდებენ ხოლმე და მიჩაქჩაქებენ (ავტორი ნათია გიორგაძე):

**„მინდა ევროკავშირში,**
**მინდა თორმეტ ვარსკვლავში,**
**უნდა ვთხოვო ოლიმპიურ ღმერთს**
**და მისტერ ტოპოლანეკს,**
**ჩემი დღეა 9 მაისი**
**და ჩემამდე იყო სხვისი,**
**გავხდი ცისფერსისხლიანი,**
**არც ჟღალი ვარ, არც წითელი,**
**მყავდა ნოე ჟორდანია**
**და მანამდე მთაწმინდელი,**
**კიდევ ჩემი მეფეები,**
**ბრწყინვალენი:**
**თამარები, დავითები,**
**მირიან და არჩილები,**
**ზღვა მქონდა და ზღვასთან**
**კოვზი არ მიმქონდა,**
**არ დაშრეს-თქო,**
**ჩამოსულებს ვაფრთხილებდი,**
**ტარანი არ გაძვირდეს-თქო.**
**წამართვეს და ჩემი სკოლაც**
**დაამთავრეს წარჩინებით.**
**მისტერ მირეკ, მტერმა დახრა**
**ჩემი ოქროს ტაშირები,**
**შენთან უნდა შემოვიდე,**
**ეგებ, მოვკვდე დამშვიდებით“.**

აშკარაა, დღეს ადამიანები უკვე მშვიდად სიკვდილზე ოცნებობენ, მობეზრდათ მტკვარში ხტომა... ზოგი მაღლივი კორპუსიდანაც კი ხტება ხოლმე. ძალიან ძნელია გადმოხტომა, მაინც მტკივნეულია. არაუშავს, არჩევნები ახლოვდება, მოვლენ ახალი „სახეები“ და გვეშველება... მანამ არ აგიდგეთ გვერდები, სანამ ისინი არ მოვლენ, მაგრამ მაინც გქონდეთ იმედი, რომელიც ყოველთვის ბოლოს კვდება.

პროფესია

# რას უყვება „ალიას“ ტაქსისტი გიორგი ღვინიაშვილი, მეტსახელად „ბულბულა“?

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



**„კომუნისტების დროს, 1978 წლიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიყავი, ქალაქის სამმართველოს უფროსი დამყავდა. თან ქორწილებში დავდიოდი, თან იქა ვმუშაობდი. ქალაქის პროკურორებიც დამყავდა... ავთანდილ მარგიანიც დამყავდა ახლახან, მის ოჯახს ვემსახურებოდი მათივე მანქანით, ჯიპით, მაგრამ იმათაც ამოეწურათ სახსრები და დავრჩი ასე“**

**ტაქსის მძღოლობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია, რადგან ლამის ყველა მესამე ადამიანი ამ გზით ცდილობს ოჯახის რჩენას. ამ პროფესიას ბევრი სირთულე ახლავს, დაწყებული იქიდან, რომ შეიძლება მთელი დღე იარო ქალაქში და ორი ლარიც ვერ იშოვო, დამთავრებული იმით, რომ შეიძლება ისეთი კლიენტი ჩაგიჯდეს, მგზავრობის ფული მოგცეს კი არა, იქით წაგართვას. ამას დავუმატოთ მთავრობის მიერ დამუშავების პროცესში მყოფი გეგმა, რომელიც, მათ რომ დავუჯეროთ, მხოლოდ კარგს მოუტანს ტაქსის მძღოლებსაც და ქალაქსაც, მაგრამ რა იმალება მის უკან, კაცმა არ იცის...**

**„პროფესიის“ დღევანდელი რესპონდენტი ათეული წლებია, ტაქსაობს, თუმცა საუბრის დასაწყისშივე მითხრა, რომ ის მთელი ცხოვრება მუსიკოსია, მაგრამ ამ კუთხით დღეს არაფერს აკეთებს... 60 წლის გიორგი ღვინიაშვილი (ჰო, „იმ“ გიორგი ღვინიაშვილის მოსახელე-მოგვარეა), მართალია, ფოტოს გადაღებაზე არ დამთანხმდა, თუმცა თავის საქმიანობასა და ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე გულახდილად მესაუბრა:**

– კი ვტაქსაობ, მაგრამ მე მუსიკოსი ვარ, „ბულბულას“ მეძახიან და აქ ყველა ასე მიცნობს.

**— რატომ? ასეთი კარგი ხმა გაქვთ?**

– ვის როგორ მოეწონება, გააჩნია (იღიმის). ჩემი დღე და მოსწრება სულ „მუზიკანტი“ ვარ, დოლზე ვუკრავ და ვმღერი კიდეც. სულ ქორწილებში დავდიოდი ხოლმე. მერვე კლასიდან დავიწყე ეს ამბავი.

**— რამ გადაგაწყვეტინათ მუსიკოსობა? ოჯახში ხომ არ გყავთ მუსიკოსები?**

– ეს არის ბუნებრივი ამბავი, ადამიანი ჯილდოვდება ამით. მუსიკა არის გამამხნევებელი და სიცოცხლის გამახანგრძლივებელი, ხალხს ამხიარულებ, ცოცხლად მღერი და უკრავ... ქორწილების გარდა, რესტორნებშიც ვუკრავდი ხოლმე.

**— ისე რა პროფესიის ხართ?**

– საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სატრაქტორო, მექანიზატორის ინჟინრობა გორში, ხიდისთავში დავამთავრე. სადღა არის ახლა რამე? მთელი მეურნეობები დაშალეს და რისი მექანიზატორიღა უნდა იყო?

**— და რატომ შეეშვით მუსიკოსობას?**

– კი არ შევეშვი, უბრალოდ, ყველა რესტორანს დღეს თავისი მუსიკოსები ჰყავს, თან კიდე ვის აქვს დღეს ფული, რომ ქორწილი გადაიხადოს? იშვიათად იხდიან ქორწილებს, რასაც ჰქვია. ხოდა, როცა ვერ მიდიხარ ვერსად, შეშვებული ხარ, ასე გამოდის.

**— ამიტომ ტაქსზე მუშაობა გადაწყვიტეთ?**

– კი. „მარშრუტკაზეც“ ვმუშაობდი ადრე, ავტობუსებიც მყავდა... სად აღარ ვიმუშავე, სად აღარ... რაც მთავარია, ხალხს ვეხმარებოდი და ასე მოვდივარ, რა. კომუნისტების დროს, 1978 წლიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიყავი, ქალაქის სამმართველოს უფროსი დამყავდა. თან ქორწილებში დავდიოდი, თან იქა ვმუშაობდი. ქალაქის პროკურორებიც დამყავდა... ავთანდილ მარგიანიც დამყავდა ახლახან, მის ოჯახს ვემსახურებოდი მათივე მანქანით, ჯიპით, მაგრამ იმათაც ამოეწურათ სახსრები და დავრჩი ასე.

**— საერთო ჯამში, ტაქსზე რამდენი ხანია, რაც მუშაობთ?**

– რაც პენსიაში გავედი, მას მერე. მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ... 1985 წლიდან ვარ ტაქსის მძღოლი. ეს მანქანა თავიდან ქირით მყავდა წელიწად-ნახევარი, ამ დროის განმავლობაში 7 500 დოლარი გადავიხადე და შევისყიდე.

**— თქვენს ოჯახზე რას მეტყვით?**

– მყავს გოგო და ბიჭი, შვიდი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. ოჯახში, ჩემ გარდა კიდევ რძალი მუშაობს, ბიჭი – არა.

**— 30 წელია, ტაქსის მძღოლი ხართ, რამდენიმე ხელისუფლება გამოიცვალეთ, თაობებიც შეიცვალა... როგორი იყო ადრე ტაქსის მძღოლად მუშაობა და ახლა როგორია?**

– ადრე ყველაფერი კარგი იყო, აი, კომუნისტების დროს. ყველა მუშაობდა, უმუშევარ ხალხს იჭერდნენ. ბანკიდან ფული არავის გამოჰქონდა, არც იყო ბანკები, ფოსტები იყო. ახლა კიდევ პირიქით, ბანკებს ფულს ვეხვეწებით... ახლა მივხვდი, როგორი იყო ადრინდელი დრო. დღეს ყველანაირად ძალიან ჩამორჩენილები ვართ, მეტი რომ არ შეიძლება, ისე. ხალხი დაიღალა... ამ ცხოვრებას ვეძალავებით, რა, თორემ ხომ გეუბნებით, შაბათ-კვირა არ მიცდებოდა. მე რომ ახლა „მაშინა“ ქირით ავიღე და შევისყიდე, ერთ ქორწილში წავედი, იქ ვუკრავდი და სახლში ახალთახალი, ტაოტიანი მანქანით მოვედი. ის ქორწილი სურამში ჰქონდათ ებრაელებს.

**— ქორწილში მანქანა გაჩუქეს?**

– კი არ მაჩუქეს, 18 800 მანეთი დაგვრჩა თითოს, მუსიკოსებს, აბა?! იქვე, ხაშურშივე ვიყიდე ახალი მანქანა და სახლში ისე მოვედი. აი, ასეთ ქორწილებში დავდიოდი.

**— ტაქსაობით დღეში, საშუალოდ, რამდენს შოულობთ ხოლმე?**

– ქვეყანა ვალები მაქვს ბანკისა, მაგრამ ვეძალავები. დღე და ღამე არ ვიძინებ, სადაც დამეძინება, იქ ვიძინებ. რა ვქნა, აბა, სხვანაირად არ გამოდის. მშიერი ხომ არ დავრჩებით? ტაქსაობა ლატარიაა, ვერ გაიგებ - შეიძლება დღე ისე გავიდეს, იმუშაო და კაპიკი ვერ წაიღო სახლში. მანქანაც ხომ თავისას ლაპარაკობს? „პა-

კრიშკები“, ნაწილები უცვდება და იმას ხომ გაკეთება უნდა? რა უნდა გააკეთო?

**— არ ყოფილა სხვა ვარიანტები, რომ სხვაგან გემუშავათ?**

– არ არის. ახლა სულ ახალგაზრდები უნდათ და რა არის, იცით? ოთხ დღეში რომ „პრავას“ აიღებს ადამიანი, იმას რომ ენდობი, მალადეც, ძმაო, რა. ენდობიან და რა ვიცი... არადა, ისეთ მოძრაობაში ვართ, ეს ახალპრავააღებული ადამიანები, დარღვევა რომც არ მინდოდეს, მაინც მარღვევინებენ. რამდენს, უმეტესად გოგოს, დავეხმარე „მაშინის“ გადაადგილებაში... ერთი გოგო აღმართში ჯიპით იყო გაჩერებული და ტიროდა. მეთქი, რა ხდება... მივედი, ვკითხე, რათა ტირიხარ-თქო და მეშინია, ველარ მივდივარო. აბა, აჰა?! მითხარი, იმის მანქანაზე დასმა შეიძლება, კაცო? მარტო „პრავა“ ხომ არ არის? თუ პრაქტიკა არ მიიღო... თავის დროზე მე ექვსი თვე ვისწავლე სამხედრო ხაზით და რომ დავამთავრე და „პრავა“ ავიღე,




**„ადრე ყველაფერი კარგი იყო, აი, კომუნისტების დროს. ყველა მუშაობდა, უმუშევარ ხალხს იჭერდნენ. ბანკიდან ფული არავის გამოჰქონდა, არც იყო ბანკები, ფოსტები იყო. ახლა კიდევ პირიქით, ბანკებს ფულს ვეხვეწებით...“**

მანქანაზე უნდა მემუშავა მეურნეობაზე, კოლექტივში. ხოდა, სანამ შეგირდად არ ამიყვანეს, სანამ უფროსებს არ უთხრეს ჩემზე, – უკვე კარგად დადის, კარგი მძღოლიაო, მანამდე არ დამსვეს მანქანაზე. ვიღაცა რომ მოძრაობის წესებს დაარღვევს და ამით მეც დარღვევას მაიძულებს, იმის გამო მე ქულები რატომ უნდა დამიწერონ?

**— თქვენ თბილისში ცხოვრობთ, თუ რაიონიდან დადიხართ ხოლმე?**

– მცხეთის რაიონიდან ვარ, აქ ყოველდღიურად ჩამოვდივარ სამუშაოდ. რა ვქნა, აბა, სად წავიდე? გითხარით კიდეც, მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ. შინაგან საქმეთა სამინისტროში რომ ვმუშაობდი მძღოლად, იმ პერიოდში, ერთ-ერთ სამუშაო დღეს, ნერვის ანთება დამემართა და ადგილზე გამაშეშა. რვა თვე-ნახევარი ვიწექი ხან სად, ხან სად, მერე გამიშვეს და მომცეს მეორე ჯგუფის ინვალიდობა. სოციალურის მისაღებად კიდე ქულები დამაკლეს, თითქოს, ეს „მაშინა“ ნაღდი ფულით მაქვს ნაყიდი, აი! რის გამო მაკლებ ქულებს, შვილო, ნაღდი ფული მქონდა და ისე ვიყიდე, თუ რა? წელიწად-ნახევარი დღე და ღამე გარეთ ვეგდე, დღეში 20 ლარს ვაძლევდი „მაშინის“ ქირას და ასე წვალებით შევისყიდე.

**— ყველაზე გამორჩეული ამბავი რა შეგმთხვევიათ ტაქსაობისას? ალბათ, ბევრი შარიანი კლიენტიც გინახავთ.**

### პროფესია

– რამდენიც გინდა. ამხელა ქალაქია, მთელი ღამე ვმუშაობ ხოლმე და ეგ ვარიანტი რომ არ მქონოდა, გამორიცხულია. მაგრამ შარიანები მალე ჩამომიცილებია ხოლმე ტკბილი სიტყვით, არც პატრული დამჭირვებია და არც სხვა არავინ, ჩხუბი და რაღაც არ მქონია, რადგან სულ გარეთ ვარ, ვიცი, ვის როგორ უნდა მოვექცე ხოლმე.

**— დღევანდელ სიტუაციას როგორ შეაფასებთ?**

– არ არის მუშაობა, თუ არ იძალავე. თუ ასე წავიდა, ხალხი ძალიან გიჟივით არის და არ ვიცი, რა მოხდება. ძალიან განერვიულებული და აღგზნებულია ყველა. იცით, რა? ჩვენ თვითონ, ხალხიც არ ვარგივართ, ერთმანეთის დაჭმაზე ვართ, ზიზღით, მტრულად ვუცქერით ერთმანეთს და ქვეყანაში რამე რომ უკეთესობისკენ შეიცვალოს, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. როდესაც ყველა ერთიანი იქნება და კარგად მოიქცევა და ცოტას მოტვინავს, ყველაფერი კარგად წავა. რომელ სახელმწიფოშიც დისციპლინა და კულტურა არ არსებობს, იქ არაფერი კარგი არ მოხდება, ვარიანტი არ არის.

**— ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაში ყველაზე მეტად რა არ მოგწონთ?**

– ხალხი რას იძახის?

**— უმრავლესობას არ მოსწონს არსებული სიტუაცია.**

– ხოდა, სადაც ხალხი, იქაც – მე. როგორ უნდა მომწონდეს? წამლის ფული რომ არ გაქვს და ვერ ყიდულობ, უწამლოდ ადამიანი კვდება.

**— ჯანდაცვის პროგრამაც არ მოგწონთ?**

– არაფერს დადებითს არ ვხედავ. მუხლები მტკივა, სახსრები, მაწუხებს რაღაცები და საავადმყოფოში ვერ წავსულვარ. რითი წავიდე? რომ გავესინჯო, იქ ხომ ფული უნდა? ერთი 1000 ლარი ჯიბეში უნდა გქონდეს და ისიც შეიძლება არ გეყოს, ისეთი აპარატები და გამოკვლევებია. სად წავიდე, როგორ წავიდე? ასე იხოცება ხალხი. აი, რა ხდება. ხალხს წამლის ფული არ აქვს, კაცო, და გავჩუმდე? ამოდენა ბანკებში თავი არ მიჩანს, ძლივს ვართმევ თავს. ესენი კიდე – ხან ის შემოვიღოთო, ხან ტაქსებზე ეს დავაწესოთო... თავის თავს ძლივს ინახავს ტაქსის მძღოლი და რა უნდა დააწესო? მე ტაქსის მძღოლად რა მინდა, კაცო, რომ არ მიჭირდეს? ტაქსები კი არა, პირველ რიგში მეურნეობები, ქარხნები უნდა აღადგინონ და ხალხი დაასაქმონ.

ლაურა აბრამია
591 97-67-09



### ჰობი

**ჩვენი რუბრიკის მორიგი სტუმარი მსახიობი ნიკა არაბიძე ამბობს, რომ ბავშვობაში, როგორც ყველა ბიჭის სტანდარტული ოცნება, მისიც კოსმონავტობა და პოლიციელობა იყო... თუმცა მთავარი ოცნება ჰქონდა — მსახიობობა უნდოდა. განათლებით ინჟინერ-პოლიგრაფისტია, მისი თქმით, წესით, სტამბის დირექტორი უნდა ყოფილიყო დღეს.**

# რატომ „გადაეკიდა“ პატრული ნიკა არაბიძეს?



**„ფორმის შესანარჩუნებლად სპორტულ დარბაზში სიარული გადავწყვიტე. მოკლედ, მივედი, დავიწყე ვარჯიში, მაგრამ რად გინდა, თუ ვინმე მსმელი და მჭამელია ჩემს სამეგობროში, ყველა იქ გავიცანი. იცით, როგორ იყო? — ხო, აი, ვარჯიშს რომ მოვრჩებით იქ წამო, მაგარი ხინკალი და ლუდი ვიცი... ჰოდა, ერთ თვეში დაკლების მაგივრად 6 კილო მოვიმატე“**



– რასაც ამჟამად ვაკეთებ, ეს შეიძლება ჩემს მთავარ ჰობად ჩაითვალოს, ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან ვოხუნჯობდი, ასე ვთქვათ, მერე ინსტიტუტში უფრო „გავშალე ფრთები“, მერე აგერ ხედავთ, რომ პროფესიაში გადაიზარდა ლამის... ჰობი, ასევე, ორნაირი მაქვს, ძალიან მიყვარს ნადირობა და თევზაობა, თუმცა სანადიროდ უფრო იშვიათად დავდივარ და ჩემზე დიდზე არაფერზე ვნადირობ, ანუ მწყერით და იხვით შემოვიფარგლები. რაც შეეხება თევზაობას, ეს არის ერთადერთი პროცესი, რაც არ მღლის, პირიქით, მამშვიდებს და უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**— ე.წ. ყისმათი თუ მოგდევთ ამ საქმეში, ანუ საათობით ტყუილად ხომ არ ზიხართ ანკესით ხელში?**

– არა, ვიჭერ ხოლმე, ყველაზე დიდი თევზი, რამდენადაც მახსოვს, 3-კილოგრამიანი იყო დაახლოებით, ეს ჩემთვის დიდი მიღწევა იყო. ამაზე ერთი ჩემი მეგობრის მონათხრობი უნდა მოგიყვეთ... მოკლედ, სულ ცდილობს, რომ თავისი „წარმატებული“ თევზაობით გაგვაოცოს. ერთხელ ყვება, ვზივარო ნაპირთან და ვხედავ 800-კილოიანი თევზი გაიჩითა ჩემს წინო. – რამდენიო? ჩავეკითხეთ სერიოზული სახეებით, არ შევიმჩნიეთ. – 800-კილოიანი, ბიჯო, და იქით ვეცი, აქეთ ვეციო, იარაღი მე არ მქონდა, რომ ტყვიით მომეკლა და ცული, რომ ჩამერტყაო. ჰოდა, ავდექი და ზურგზე მოვახტიო. ერთი საათი ვიკატავე ამ თევზზე და რომ დავღალე, მერეღა გავუშვიო. ჩვენც ვითომ დავუჯერეთ... მონადირეები რომ იტყუებოდნენ, კი ვიცოდი, მაგრამ მეთევზეებიც მაგრად „უბერავენ“...

**— რომელიმე სპორტული სახეობით თუ ხართ გატაცებული?**

– გატაცებული არა, მაგრამ ერთხელ გადავწყვიტე ფორმის შესანარჩუნებლად სპორტულ დარბაზში სიარული. მოკლედ, მივედი, დავიწყე ვარჯიში, მაგრამ რად გინდა, თუ ვინმე მსმელი და მჭამელია ჩემს სამეგობროში ახლა ყველა იქ გავიცანი, იცით, როგორ იყო? – ხო, აი ვარჯიშს რომ მოვრჩებით იქ წამო, მაგარი ხინკალი და ლუდი ვიცი. ჰოდა, ერთ თვეში დაკლების მაგივრად 6 კილო მოვიმატე.

**— თქვენს საახლობლოში როგორ აღიქვეს ის, რომ თავით გადაეშვით კომიკურ ჟანრში?**

– ყველა მიჩვეული იყო ამას თავიდანვე. მეტსაც გეტყვით, მე მყავს საბიძაშვილო სულ გოგოები, რომლებიც ისე მაგრად ხუმრობენ, ისეთ პაროდიებს აკეთებენ, ერთად როცა ვართ, რომ მე მათთან შედარებით ყველაზე ნაკლებ ხუმრობას ვახერხებ. ვაკვეხებ, რომ იტყვიან. ასე რომ, ეს, ალბათ, გენებში გვაქვს. მამაჩემსაც ძალიან უყვარდა ხუმრობა.

რაც შეეხება ქუთაისურ ამბავს, ქუთაისი, მიმაჩნია, რომ არის იუმორის ეპიცენტრი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი იუმორი აქვს. არ ვიცი, რამდენად სასაცილოა, მაგრამ კრიზისი იყო ერთგვარი, მაშინ როცა ქუთაისში ვსწავლობდი და ამ „კავეენის“ ამბავში იმდენად ვიყავით ჩართულები, რომ... მოკლედ, თბილისში გავხდით წასასვლელი ჩემპიონატზე და ფინანსები არ იყო. რექტორთან შევვარდი და ვუთხარი, რა გასაჭირიც გვადგა. დაფიქრდა და მერე ჯიბიდან ამოიღო ას ოცი ლარი, სულ ეს მაქვს და თუ ეს გადაგარჩენთ, წაიღეთო. სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, დავტაცე ხელი ამ ფულს, გავიქეცი და კარებში დამაწია, – ათლარიანი მაინც დაგეტოვა გზის ფულადო.

**— ჩვეულებრივ, ყოფით სიტუაციაში როგორ იქცევით, როცა ყველა გცნობთ?**

– ნუ, ახლა ცოტა რთულია, მოგეხსენებათ, ყოფითი პრობლემები ყველას გვაქვს და ყოველთვის არ არის განწყობა, ცოტა ხუმრობით ვიტყვი და ძალიან მიჭირს ხალხმრავალ ადგილებში, ლოყა მეცვითება იმდენი გადაკოცნებით, უფრო ქორწილებში, რატომღაც მარტო მთვრალი კაცები მართმევენ ხელს და მკოცნიან, ქალები – არა. ერთ ამბავს მოვყვები, აჭარაში ვარ ქორწილში, ვზივარ ჩემთვის განაბული, წამოვიდა ერთი ახმახი კაცი ბარბაცით, ხელში უშველებელი ყანწი უჭირავს, დამადგა თავზე, წამოვიწიე ასადგომად, უშველებელი ხელი მხარზე დამაჭირა, – არა, იჯექი, შენი სადღეგრძელო უნდა დავლიოო და მთელი ათწუთიანი სადღეგრძელო გამომიცხო, ამ საუბარში ეს ყანწი სამჯერ გადაუვსეს, კი არ დაულევია, გადმოეხრებოდა როლში შეჭრილს და ზედ ტანსაცმელზე დამაცალა ლამის ეს ყანწი სამჯერ. მოკლედ, რომ წამოვდექი, ვცურავდი, ფეხსაცმელებს ჭყაპ-ჭყაპი გაჰქონდა...

**— შოუებში მთავრობაზე უკმაყოფილო პერსონაჟის როლი გაქვთ ხშირად. ისე, რას ფიქრობთ ამ ხელისუფლებაზე?**

– ამაზე ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სიმართლით უნდა გიპასუხოთ. ჩემი აზრით, უნდა ხუმრობდე ნებისმიერ მთავრობაზე, ეს არ ნიშნავს, რომ არაფერი არ მომწონს, უბრალოდ, მოდუნების საშუალებას არ ვაძლევ არც ერთ მთავრობას. უკმაყოფილოს იმიჯიც ამიტომ მაქვს. როცა ხალხი იქნება კარგად, მეც კარგად ვიქნები, მე რომ ვაცინებ ადამიანებს, მათ უნდა ეცინებოდეთ, ეიუმორებოდეთ, ემღერებოდეთ, სულ ეს არის.

**— პატრულთან დაკავშირებული ისტორიებიც გაქვთ მრავლად...**

– აი, განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს მე და საპატრულო პოლიციას. დასავლეთში ხშირად მიწევს გამგზავრება და სულ მეჩქარება. მივქრივარ ერთხელაც აწყვეტილი, გამაჩერა პატრულმა, ავწიე ხელები და გადმოვედი დამნაშავის გამომეტყველებით, დამინახეს თუ არა, ოჰ, არაბიძეო და სახეები გაებადრათ, მეც გავთამამდი, მოიკითხეს მთელი კომედიშოუ, მეც არ დავრჩი ვალში და მთელი საპატრულო პოლიცია მოვიკითხე, ვისაუბრეთ, მოვშინაურდით და წასვლა რომ დავაპირე შემომაპარეს, ბატონო ნიკა, ნელა იარეთ ცოტაო, მოვტრიალდი, გავშალე ხელები, კი მარა მითხარით, რამდენით მოვდიოდი, აბა, რადარი სადა გაქვთ-მეთქი, რადარი არა გვაქვს და არ ვიცით, რამდენით მოდიოდითო. აბა, ეს მანქანა ოფლშია გახვითქული და იმით ეტყობა, რომ ჩქარა მოვდიოდი-მეთქი? აი, ასეთი ტკბილი საუბრები გვაქვს ხოლმე ხშირად...

**— ბოლოს ერთი ანეკდოტიც მოგვიყევით...**

– სვანებსა და მეგრელებზე მიყვარს ანეკდოტები, მეგრელები, სხვათა შორის, სხარტები არიან და ანეკდოტებიც შეესაბამებათ. მე მაინც ქუთაისურს მოვყვები, ძველია, მაგრამ მიყვარს. ჭიჭიკია და ბიჭიკია ყველამ ვიცით და მაინც არ გვბეზრდება. ცნობილი ფრაზაა – ხუთშაბათი თევზის დღეა. მოკლედ, ხაში უნდათ და შევლენ ერთ სასადილოში, არაა ხაში, მეორეში შევლენ, აქაც არაა, ხუთშაბათია და ყველგან თევზია. ჭიჭიკია ეუბნება ბიჭიკიას, წამო, ბიჭო, ბალახვანში ვიცი კაი სასადილოო. ბალახვანში რავა პარასკევი დაგვხვდებაო? უპასუხებს ბიჭიკია.

## 22-28 თებერვლის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** საყვარელი ადამიანები თქვენგან ყურადღებას, ზრუნვასა და საჩუქრებს მოელიან. გაანებივრეთ ისინი, ვინც თქვენთვის ძვირფასია, არ მოაკლოთ სითბო, გამონახეთ დრო, რომ მათთან ერთად სადმე გაისეირნოთ. საჩუქრების, კომპლიმენტებისა და ყურადღების სხვა ნიშნების გარეშე სიყვარული შესაძლოა, ძალიან მალე გადაიქცეს მხოლოდ ერთად ცხოვრებად. მოკლედ, გაქვთ მშვენიერი შანსი, გააძლიეროთ ურთიერთობა და ყველაფერი რაციონალურად აწონ-დაწონეთ.

**სამსახური –** ხელმძღვანელობასთან კამათში არ შეხვიდეთ, შესაძლოა, ნებისმიერი სახის წინააღმდეგობა ძალიან ცუდად დამთავრდეს.

**სასიკეთო დღეები:** 25, 26 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 თებერვალი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** შესანიშნავი პერიოდია ნაცნობობისა და ურთიერთობების დაწყებისთვის. ასევე, ძველ პარტნიორთან დაბრუნების, თუ, რა თქმა უნდა, დაშვებულ შეცდომებს გააცნობიერებთ. პირად ცხოვრებაში ახლა ყველაფერი თქვენს ინიციატივაზეა დამოკიდებული. არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით და საწინააღმდეგო სქესი უყურადღებოდ ნამდვილად არ დაგტოვებთ.

**სამსახური –** ბედი ძალიან საინტერესო სიურპრიზს გიმზადებთ და შეეცადეთ, მომენტი გამოიყენოთ. წარმატებას მოგიტანთ ახალი წამოწყება.

**სასიკეთო დღეები:** 27, 28 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 24 თებერვალი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** შესაძლოა, ურთიერთობები დაგიზარალოთ საიდუმლოებებმა და გაურკვევლობამ. მოერიდეთ ორაზროვნებას, არ მისცეთ არავის საშუალება, მოგატყუოთ. შეეცადეთ, არ იქექოთ წარსულში და ნუ გამოიჩენთ გადაჭარბებულ ინტერესს პარტნიორის პირადი ცხოვრების მიმართ: ის, რასაც გაიგებთ, დიდი ალბათობით, არ მოგეწონებათ.

**სამსახური –** არ ღირს მოვლენების გასწრება, თავს უფლება მიეცით, ცოტა დაისვენოთ. ამ ეტაპზე ლოდინის რეჟიმი საუკეთესო არჩევანია.

**სასიკეთო დღეები:** 22 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 თებერვალი.

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...

## ანომალია





მაია იასეშვილი
599 94-64-58

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, ქალბატონი ეთერ ცქიტიშვილი პროფესიით მუსიკოსი და თეატრმცოდნეა. ხელოვანი ქალბატონი ღვთისმსახური წინაპრებიდან ბავშვობიდანვე ეზიარა ჯანმრთელობის ხელოვნებას და დღემდე წარმატებით აგრძელებს წინაპართაგან არჩეულ სამკურნალო ტრადიციებს.**

**— ქალბატონო ეთერ, სამონასტრო მედიცინა მაშინ იყო საჭირო და მნიშვნელოვანი, როცა არ არსებობდა სამკურნალო მცენარეთა გარდა, სხვა საშუალებები. ახლა უკვე მეოთხე საუკუნის სამკურნალო პრეპარატებმა ბევრი უკურნებელი დაავადების მკურნალობა შეძლეს. რამდენად საჭიროა დღეს სამკურნალო ბალახების შეგროვება და მისი გამოყენება სამკურნალო პრაქტიკაში?**

– მიუხედავად იმისა, რომ ლამის წაგვლეკოს უახლესმა აღმოჩენებმა და მიგნებებმა მედიცინაში, ნებისმიერი დაავადება ძალიან გაახალგაზრდავდა და თანდაყოლილიც გახდა. ახალ-ახალი პათოლოგიები მოამრავლა ე.წ. ტექნიკური პროგრესის ეპოქამ, ცივილიზაციას სიკეთესთან ერთად, უამრავი ნეგატიურიც მოაქვს, რაც ავადმყოფობათა ნაირსახეობითაც იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინა ბევრ ისეთ დაავადებას კურნავს, რაც გასული საუკუნის დასაწყისისთვის უტოპიას წარმოადგენდა, მაინც დიდი უპირატესობა აქვს სამონასტრო მედიცინას თანამედროვე მედიცინასთან შედარებით, თუმცა აქვე დავსძენ, რომ დღეს საქართველოში თითქმის დავიწყებული და უგულებელყოფილია სამონასტრო მედიცინის მიღწევები, თუმცა უწმინდესი დღენიადაგ მოგვიწოდებს, დავუბრუნდეთ ძირძველ, სამონასტრო მედიცინას – ფიტოთერაპიას. ჩემი კურნების სისტემა ქართული არ გახლავთ, ჩემს ბებიას, რომლის წინაპრებიც სამონასტრო მედიცინის ფუძემდებლები იყვნენ, სამკურნალო გამოცდილება მიღებული აქვს რუსეთში, კერძოდ, ციმბირში და ის სამკურნალო მცენარეები, რომლებსაც მე ვიყენებ სამკურნალო პრაქტიკაში, სწორედ ციმბირში მოდის. იქ ჯერ კიდევ ფასეულია სამონასტრო მედიცინის მკურნალობის მეთოდები და ლოცვები, რომელთაც მკურნალობის პროცესში კითხულობენ პაციენტები, ძველი სლავურით არის დაწერილი. ჩემი ბებია, რომელიც პროფესიით ექიმი გახლდათ და საქართველოში გათხოვდა, მშვენივრად ფლობდა ქართულ ენას, მაგრამ სამკურნალო ლოცვებს ქართულად არ თარგმნიდა. როცა ვუთხარი ქართულად ვთარგმნოთ და ისე წავიკითხოთ-მეთქი, უარი მითხრა. კურთხევის გარეშე ლოცვების ტექსტში ჩარევა არ შეიძლებაო და რაკი ასე გადმომეცა მემკვიდრეობით, მეც ასე გადმოგცემო. ღმერთს ყველა ენა კარგად ესმის და იმ ენაზე ელაპარაკე, როგორც ჩემი წინაპრები მკურნალობდნენ ლოცვებზე დაყრდნობითო. ყოველ დაავადებას თავისი ლოცვა აქვს, რაც სამწუხაროდ, ბევრმა ადამიანმა არ იცის და შესაბამისად, არც იყენებს. არც მე და არც ბებია არ ვიყენებთ საქართველოში შეგროვილ სამკურნალო მცენარეებს. შესაძლოა ჩვენი მცენარეები ციმბირულს არ ჩამოუვარდება, მაგრამ არახელსაყრელი ეკოლოგიური გარემო მცენარეებს იმ თვისებებს უკარგავს, რაც უპირველესია მკურნალობისთვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კურნების სისტემა, რაც ჩემი რუსი წინაპრებისგან გადმომეცა, წმინდანად შერაცხულ ადამიანთაგან არის შემუშავებული, რომელიც თაობიდან თაობას ლოცვა-კურთხევით გადაეცემოდა. ასე მოვიდა ჩემამდე ჩემი რუსი ბებიის წინაპრებისგან სლავური ლოცვები და მათ შორის სერაფიმ საროველის კურნების სისტემაც, სწორედ მისი კურთხევით არის მიგნებული სამკურნალო მცენარეები, რომელიც კურნავს უამრავ დაავადებას და რაც ბევრად აღემატება სააფთიაქო პრეპარატებს, მათ შორის მეოთხე თაობის წამლებსაც.

**— ქალბატონო ეთერ, ფიტოთერაპიულ მედიკამენტთა ჩაურევლად მხოლოდ ლოცვით თუ განგიკურნავთ ავადმყოფები?**

– ენერგეტიკულ დაავადებებს, ისევე როგორც კარმულს, არასოდეს შველის მედიკამენტოზური ჩარევა და აურის გაწმენდითა და ლოცვებით განმიკურნავს მძიმე დაავადებები, ამ დროს პაციენტებს ვასმევდი მხოლოდ სისხლის გამწმენდ ნაყენებს, იმიტომ, რომ ადამიანის ფსიქიკა ბოლომდე ვერ იჯერებს, რომ ლოცვა, ანუ სიტყვის მაგია, ყველა პრეპარატზე ძლიერი სამკურნალო საშუალებაა. აბა, გაიხსენეთ, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „ენით დაკოდილი“, ბერი სულხან-საბა კარგად იცნობდა სამონასტრო მედიცინას, შესანიშნავად იცოდა, რა დამანგრეველი ზიანის მიყენება შეუძლია წყევლასა და ავსიტყვაობას. ამიტომაც ათქმევინა იგავ-არაკით დათვს მასპინძელი კაცისთვის: შენი ცულით გატეხილი თავის გამიმთელდა, შენი ცოლის ენით (ანუ სიტყვით) დაკოდილი გული კი – არაო. „პირველთაგან იყო სიტყვა და ეს სიტყვა იყო ღვთისა“, ამიტომ სიტყვაა ყველაფერი – წამალიც და საწამლავიც. ალბათ, გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ, როცა ათწლეულობით ნამკურნალევი უშვილო წყვილები მოსულა ჩემთან და მიმიცია მათთვის ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო მცენარეები, წმიდა ზეთებზე დამზადებული წამლები და საგანგებო ლოცვები, სადაც მემკვიდრეს ითხოვდნენ მომავალი მშობლები, უმოკლეს დროში იგებენ, რომ მათი ლოცვა ღმერთმა შეისმინა და იბადებიან ისეთი ბავშვები, როგორებზეც მათი მშობლები ოცნებობდნენ...

**— ქალბატონო ეთერ, ჯადოს ან საგვარეულო წყევლის განეიტრალება თუ შეგიძლიათ?**

– არსებობს საგანგებო მცენარეები, რითაც ვახდენ დაბინძურებული აურის გაწმენდას. აურის გაწმენდის შედეგად ადამიანის დასუსტებული ბიოველი იწყებს აღდგენას და ძლიერდება. ამ დროს ჯადო და ყველა ნეგატიური პროგრამა, რამაც ადამიანის წიაღში შეაღწია, ნეიტრალდება, მაგრამ ადამიანმა თუ არ შეიმუშავა თავდაცვის მექანიზმი და არ გააძლიერა, თუ არ გაითავისუფლა თავი სხვისი შურისგან, უსიამოვნო ფიქრებისგან, რისხვისგან და ბრაზისგან, ძალიან ადვილად შეძლებენ ავის მოსურნენი, კვლავ გახადონ ესა თუ ის ადამიანი ენერგეტიკული თავდასხმის სამიზნე, ჩემი საქმიანობა შორს არის მჩხიბავ-მკითხაობისგან. სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს ჩემი მონათხრობი და ზემოხსენებული საქმე მკითხავების საქმედ მიაჩნია. მე არ ვარ წინასწარმეტყველი, თუმცა შემიძლია კარმული დიაგნოსტიკა და ადამიანის მდგომარეობის განსაზღვრა, როგორც სულიერი მდგომარეობის, ასევე ჯანმრთელობის. როცა ადამიანის ბიოველი აღდგება და სასიცოცხლო ენერგია სასიკეთოდ იხარჯება, პაციენტებს უგვარდებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ადამიანების ცხოვრების ყველა სფერო ასეთ დროს მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური ენერგიით იტვირთება და მხოლოდ სასიკეთო ცვლილებები ხდება მათ გარშემო და ჩემი პაციენტების ოჯახის წევრებზეც გადადის წარმატება, სიხარული, სიყვარული და სიკეთე. როგორც ვირუსული ეპიდემიაა გადამდები, ასეა სიკეთეც, ამიტომ გირჩევთ, იყოთ მშვიდ, კეთილ და ხალისიან ადამიანთა გარემოცვაში. მოერიდეთ მათთან სიახლოვეს, ვინც გართმევთ სასიცოცხლო ენერგიას, ბედის სამდურავით, წუწუნით, პესიმისტური განწყობილებით და მხოლოდ ცუდზე აქცენტის გაკეთებით.

**— ქალბატონო ეთერ, როგორ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან, ჩვენი ჯანმრთელობის გაუარესება ავადმყოფობის ბრალია თუ ენერგოზემოქმედების?**

– ასეთ დროს კარმული დიაგნოსტიკაა ყველაზე საიმედო მრჩეველი, ენერგოზემოქმედების დროს ადამიანის ფსიქიკა ირყევა, იწყება უსიამოვნო მოჩვენებათა კასკადი, არაფერი არ მოგვწონს, არაფერში გვიმართლებს, რასაც არ უნდა მოვკიდოთ ხელი, არაფერი გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ ნევროზი მძიმე, უცნაური და ვერაგი დაავადებაა, მაინც განსხვავდება ენერგოზემოქმედების სიმპტომებისგან. ნერვულ დაავადებათა დროს, სასოწარკვეთა არ გვეუფლება და ვცდილობთ მდგომარეობის გამოსწორებას, მედიკამენტებით, ფსიქოლოგთან ვიზიტით და სხვადასხვა მეთოდებით. ჯადოთი შეპყრობილებს კი ჰგონიათ, რომ არსად არ არის საშველი, სასოწარკვეთა იპყრობთ და მათთვის სიცოცხლე აზრსა და შინაარსს კარგავს. ადამიანი ხდება აპათიური, უსიცოცხლო, უსურვილო. ენერგოზემოქმედება და ნევროზული აპათია მკვეთრად არის გამიჯნული კლინიკური ნიშნებით, ნერვული დაავადებები გაცილებით მარტივად იკურნება, ვიდრე ხანდაზმული და შორსწასული ენერგოზემოქმედება, თუმცა რწმენა, ლოცვა და წმინდანთაგან შემუშავებული მკურნალობის უნიკალური სისტემა თამამად ერკინება და აბათილებს ენერგოზემოქმედებას.

**„ჩემგან წასული ადამიანები უმოკლეს დროში იგებენ, რომ მათი ლოცვა ღმერთმა შეისმინა და იბადებიან ისეთი ბავშვები, როგორებზეც მათი მშობლები ოცნებობდნენ“**

**„ღმერთს ყველა ენა კარგად ესმის და იმ ენაზე ელაპარაკე, როგორც ჩემი წინაპრები მკურნალობდნენ ლოცვებზე დაყრდნობითო. ყოველ დაავადებას თავისი ლოცვა აქვს, რაც, სამწუხაროდ, ბევრმა ადამიანმა არ იცის და შესაბამისად, არც იყენებს“**




## 22-28 თებერვლის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** შეეცადეთ, ურთიერთობაში რამე სიახლე შეიტანოთ. ბრწყინვალე პერიოდია გრძნობების განახლებისთვის და ძველი ურთიერთობის აღდგენისთვის. ისიც გაითვალისწინეთ, რომ სავსებით შესაძლებელია, მეგობრული ურთიერთობა რაღაც უფრო სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს. და კიდევ ერთი, ამ ეტაპზე მოერიდეთ გეგმების დასახვას და კონკრეტიკას.

**სამსახური –** თუ სამუშაო ადგილის შეცვლაზე ფიქრობთ, საამისო დრო სწორედ ახლა დადგა.

**სასიკეთო დღეები:** 23, 24 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 თებერვალი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში გარკვეული დაძაბულობა ჩნდება. მოგიწევთ ბრძოლა გრძნობებისთვის, მოსალოდნელია კონფლიქტი და გარჩევები. არც ისე კარგი მომენტია რომანტიკისთვის და დასვენებისთვის. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე თქვენმა ურთიერთობამ უნდა ჩააბაროს გამოცდა, რამდენად ძლიერი და პერსპექტიულია. მოემზადეთ ამისთვის და ფერად სათვალეებს ნუ მოირგებთ. გახსოვდეთ, პარტნიორს ბევრს ნუ მოსთხოვთ და რაც მთავარია – მას ულტიმატუმები არ წაუყენოთ.

**სამსახური –** ისეთი დრო დგება, შემოსავლის ზრდაზე ფიქრს, სამწუხაროდ, აზრი არ ექნება.

**სასიკეთო დღეები:** 25, 26 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 24 თებერვალი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** კარგი დროა უცხოელებთან ურთიერთობისთვის. ყველანაირი ლოგიკით, ამ კვირაში ნანატრი სიყვარული უნდა იპოვოთ. გამონახეთ დრო დასვენებისთვის და ახლობელ ადამიანთან განმარტოებისთვის. საუკეთესო ნაბიჯს გადადგამთ, თუ საზღვარგარეთ გაემგზავრებით, რადგან ბევრად მეტი შანსები გაქვთ, ულამაზეს თავგადასავლებში გადაეშვათ. მოკლედ, ამ კვირაში სასიამოვნო ნაცნობობა, დადებითი ემოციები და დასახული გეგმების განხორციელება გელით.

**სამსახური –** მშვენიერი დროა უცხოელ პარტნიორებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 23, 27, 28 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 თებერვალი.

## 22-28 თებერვლის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული –** სექსუალურობის როლი მნიშვნელოვნად გაიზრდება. უფრო მეტიც, შესაძლოა, პირველ პლანზეც კი გადავიდეს. ამასთანავე, მეუღლესთან ან მუდმივ პარტნიორთან ურთიერთობა მაინც დაძაბული დარჩება. მიმდინარე კვირაში სექსუალური აქტიურობა გარანტირებული გაქვთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, სწორედ ეს გახდეს დრამატული კონფლიქტის მიზეზი. შესაბამისად, კარგს იზამთ, თუ რჩეულს არ უღალატებთ და მისი ერთგული დარჩებით.

**სამსახური –** საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილებების მიღება მოგიწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 25, 26 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 თებერვალი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული –** თქვენს გრძნობებს გამოცდა ელის. შეეცადეთ, ისედაც დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო არ დაამძიმოთ. ზოგადად, დაძაბულობას მზრუნველობითა და მოფერებით გაანეიტრალებთ. დიდია ალბათობა, რომ პარტნიორი ვერ გაგიგებთ, მაგრამ თქვენ მაინც მაქსიმუმი უნდა გააკეთოთ.

**სამსახური –** კარგი იქნება, თუ ყველაფერი გარჩევების გარეშე ჩაივლის, თუმცა ეს ნაკლებ სავარაუდოა. თავი ხელში აიყვანეთ და არავის მისცეთ საშუალება, წონასწორობა დაგაკარგვინოთ.

**სასიკეთო დღეები:** 27, 28 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 24 თებერვალი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული –** არც ისე საინტერესო კვირა გელით. ურთიერთობამ შესაძლოა, დაგღალოთ და თავი მოგაბეზროთ. ოჯახსა და სამსახურში მომრავლებული პრობლემები სიყვარულს დაგავიწყებთ და ნებისმიერი რომანტიკული გრძნობა მეორე პლანზე გადაინაცვლებს. ნუ წახვალთ პარტნიორის ნების წინააღმდეგ, ახლა ამის დრო არ არის.

**სამსახური –** ჩვეულებრივი რუტინული სამუშაო გამოგფიტავთ და ჯერჯერობით, საშველი არ ჩანს.

**სასიკეთო დღეები:** 22 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 თებერვალი.



მაია იასეშვილი
599 94-64-58



**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი პროექტ „ნიჭიერის“ ფავორიტი და ხალხის რჩეული ბარბარა სამხარაძეა.**

**— ბარბარე, ერთი წლის წინათ წარმოიდგენდი, რომ მალე პოპულარობის ზენიტში იქნებოდი?**

– ოცნება არის წარმატების მოზიდვისა და გამარჯვების გენერალური რეპეტიცია. ჯერობით ყველაფერი ამიცხადდა. პროექტ „ნიჭიერში“ რომ გადავწყვიტე მონაწილეობა, დედას ვუთხარი, პირველი ოქროს ღილაკი ჩემი იქნება-მეთქი და სიმღერის დროს მქონდა ოქროს ღილაკის მოლოდინი და არ გავწბილდი, სწორედ ისე მოხდა, როგორც წარმომედგინა. სხვა მონაწილეთა პროგნოზებიც გამიმართლდა. ნინო წულაიას ვუთხარი, ჟიური გადაგიყვანს-მეთქი, გაბრიელსა და მარის კი ვუთხარი, მათ „ზედაზენი“ გადაიყვანდა. სწორედ ასე მოხდა.

**— ბარბარე, პროექტში გამოსვლამ და გამარჯვებამ შეცვალა თუ არა შენი ცხოვრება?**

– რასაკვირველია, შეცვალა. ყველამ ნახეთ ჩემი სიხარულის ცრემლები, მაგრამ შინაგანად არ შევცვლილვარ, რადგან ჩემში ყოველთვის იყო და ახლაც არის გამარჯვების რწმენა. იმდენი მაქვს ნაფიქრი და ნაოცნებარი პოპულარობაზე, გამარჯვებაზე, წარმატებების მოზიდვაზე, რომ თითქოს ყველაფერი კანონზომიერად მოხდა და მოულოდნელი არ ყოფილა ის სიხარული, რომელიც ჩემთან ერთად უამრავმა ადამიანმა გაიზიარა. თუმცა იყო გულისტკენაც. სოციალურ ქსელში აკეთებდნენ კომენტარებს, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორი ჩემი ნათესავია და ამიტომ გავხდი ფინალისტი. „ფეისბუკზე“ მწერდნენ, რომ საერთოდ ვერ ვმღერი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საწყენია, მაგრამ ვიცი, რომ ცუდს არ უნდა მივაქციო ყურადღება და კარგით გავიხარო. მართალია, მიხარია ის წარმატება, რაც ჩემს გამარჯვებას მოჰყვა, მაგრამ ისიც ვიცი, თუ დავიჯერე, რომ განსაკუთრებულ სიმაღლეს მივაღწიე, ეს განცდა შემოქმედებით ზრდაში და სრულყოფილებამდე მისვლაში ხელს შემიშლის. ამიტომაც მინდა, რომ ჩემი პროექტ „ნიჭიერის“ ფინალისტობა, გამარჯვების პირველ საფეხურად ჩავთვალო. ყველას ეგონა, ბარბარეს გამარჯვება შეცვლისო, არავითარ შემთხვევაში არ მინდა ამ ფაქტმა რამე შეცვალოს და ისეთივე თავმდაბალ ადამიანად დავრჩები, როგორიც პოპულარობამდე ვიყავი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდ ყურადღებას ვანიჭებ ადამიანთა რჩევებს და მიუხედავად იმისა, რომ მაქვს სწორი თვითშეფასება, მაინც მნიშვნელოვანია ყველას რჩევის გათვალისწინება. ძალიან მიყვარს თავმდაბალი და პოზიტიური ადამიანები, ველოდან და მგულშემატკივრობდნენ.

**— სიზმარს თუ აქცევ ყურადღებას, სიზმარმა თუ მოგცა სტიმული, რომ წინ დიდი გამარჯვება გელოდა?**

– ცხადშიც და სიზმარშიც ვცდილობ, კარგზე ვიფიქრო, მაგრამ სალომეს დაკარგვამდე მივხვდი, რაღაც ცუდი უნდა გამეგო. სიხარულის საფუძველი მქონდა, მაგრამ უნებურად მოვიწყინე, თვალებზე ცრემლი მომადგა და გაღიმება არ მინდოდა, თუმცა არ ვიცოდი, რა-



# რა წინასწარმეტყველებები აუხდა ბარბარე სამხარაძეს?

**„დედას ჩემთვის თეკლას ან ელენეს დარქმევა უნდოდა, მამაჩემს რომ უკითხავს, რა დავარქვათო, იდუმალ ხმას ჩაუძახია ყურში, ბარბარე დაარქვიო“**



თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ყოველთვის მჯეროდა საკუთარი ვოკალური შესაძლებლობების. ჯერ კიდევ 4 წლის წინათ დედას ვეუბნებოდი, – რომ გავიზრდები, სადაც გაივლი, ყველა იტყვის შენზე, ეს ბარბარეს დედააო. მართლაც ასე მოხდა. დედა მუსიკის პედაგოგია, თურმე ჯერ კიდევ მუცლადყოფნის დროს მასმენინებდა გემოვნებიან მუსიკას, სულ მიმღეროდა და მელაპარაკებოდა. ასე რომ, მუსიკის ნიჭი და მუსიკალური გემოვნება დედისგან გადმოცემული გენეტიკური საჩუქარია. მჯერა, რომ მფარველობს ღმერთი და ის წმინდანი, რომლის სახელიც დამარქვეს. დედას ჩემთვის თეკლას ან ელენეს დარქმევა უნდოდა. მამაჩემს რომ უკითხავს, რა დავარქვათო, იდუმალ ხმას ჩაუძახია ყურში, ბარბარე დაარქვიო. ამიტომაც დამარქვეს ბარბარე. ძალიან ოპტიმისტი ვარ, მაქვს წინათგრძნობის ნიჭიც, ხშირად ვგრძნობ, როდის და რა საგანში გამიძახებს მასწავლებელი, რა თხზულებას დაგვაწერინებენ, რა შეფასებას მივიღებ. ღმერთის რწმენა პატარაობიდანვე მომყვება, ორი წლის ვიყავი, პირჯვრის წერით „მამაო ჩვენოს“ რომ ვამბობდი. ჩემი ყველა საქმე ლოცვით იწყება, პატარაობიდანვე საქმის დაწყების წინ ლოცვას ვკითხულობდი. 2012 წელს ჩვენ სოფელში დააარსეს დედათა მონასტერი, იქ მივედი, გავიცანი ღვთისმსახური დედები და გალობაც დავიწყე, ყველგან თან დამყვება ტაძრისა და გალობის მადლი. რაზეც მიოცნებია, ჯერ-

ასეთი მინდა ვიყო აწმყოსა და მომავალშიც. მუსიკის შემდეგ ძალიან მიყვარს ფეხბურთი, შეიძლება ეს არის მიზეზი, რომ ბიჭებთან უფრო გამომდის მეგობრობა, ვიდრე გოგონებთან. რატომღაც გოგონები ფეხბურთზე არ საუბრობენ, თუმცა მეგობარი გოგონებიც მყავს. ჩემზე ძალიან ბევრი ჭორიც გავრცელდა. მაგალითად ის, რომ ნაშვილები ვარ, ეს არ მიკვირს, რადგან წამიკითხავს, რომ პოპულარულ ადამიანებზე ყოველთვის მოსწონთ ჭორების გავრცელება. ამ მხრივ, არც მე ვარ გამონაკლისი, თუმცა ძალიან მეწყინა, რომ ჭორის მოყვარულებმა „მომკლეს“, სასიკვდილოდ გამიმეტეს.

**— რაკი გარდაცვალება ახსენე, მინდა გკითხო, რას ფიქრობ, არსებობს თუ არა სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ?**

– მჯერა, რომ არსებობს სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ და უკვდავი სულები იმ ქვეყნიდან გვხედავენ. ცოტა ხნის წინ მეგობარი გარდამეცვალა, სალომე ერქვა, გაზით გაიგუდა. მისი დაკრძალვის მეორე დღეს ბებიაც გარდამეცვალა. ბებია ავად მყავდა და მის გარდაცვალებას თითქოს შეგუებული ვიყავი. სალომეს გარდაცვალებამ თავზარი დამცა, ძალიან ვიყავით ერთმანეთთან შეჩვეულები და ძნელად გადავიტანე მისი ამქვეყნიდან წასვლა, მაგრამ როცა კონკურსზე ვმღეროდი, სულ იმის შეგრძნება მქონდა, რომ სალომე და ბებიაც მიყურებდნენ, მისმენდნენ, მხედავდნენ ზეციური საქართველოდან და მგულშემატკივრობდნენ... ტომ. ცუდ და კარგ სიახლეს რაღაცნაირად ვხვდები.

**— ჰოროსკოპს თუ კითხულობ და ემთხვევა თუ არა შენი ზოდიაქო შენს ჰოროსკოპს?**

– მე უფრო ღმერთის მინდობილი ვარ. დედაოებთან ურთიერთობამ ცრურწმენებსა და ცრუმოძღვრებებს რაღაცნაირად ამაცილა.

**— ბედისწერის თუ გჯერა?**

– მჯერა, რომ, თუ ღმერთს წყალობა უნდა, შეიძლება რაღაცამ დაგაბრკოლოს, მაგრამ მერე ისე მოხდეს, რაც გიწერია. 9 წლის ვიყავი, „ნიჭიერში“ გამოსასვლელად რომ მოვემზადე, მაგრამ ჩემი საბუთები დაიკარგა და იმედი გამიცრუვდა. ეტყობა, ჯერ არ იყო ჩემი დრო, მაგრამ ის მოხდა, რაც ძალიან მინდოდა. ბედისწერა სიხარულს მპირდებოდა და მოვიდა ეს სიხარულიც.

**— მასწავლებლებისთვის თუ გახდი გამორჩეული მოსწავლე?**

– მასწავლებლები ყოველთვის იყვნენ კეთილგანწყობით ჩემდამი და კარგ მოსწავლედ მთვლიდნენ, მაგრამ ახლა მეუბნებიან, გვეამაყებიო. რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია. არ მინდა ვინმეს იმედი გავუცრუო, მინდა ისეთ ადამიანად დავრჩე, რომ არასოდეს ინანონ ჩემი მხარდაჭერა.

**— როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი?**

– მსახიობობაც მინდა, სემინარიაში ჩაბარებაც, ფსიქოლოგობაც, ადამიანის ხასიათის, ბუნების წაკითხვა შემიძლია და თითქმის არასდროს ვცდები ადამიანთა შეცნობაში, თუმცა ნამდვილად არ ვიცი, საით წამიყვანს ჩემი ცხოვრების გზა. ღმერთის ნებაა, სადაც წამიყვანს, მთავარია, კეთილ გზაზე მატაროს.

## 22-28 თებერვლის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული –** ბრწყინვალე მომენტია ნაცნობობისთვის და რომანტიკული ურთიერთობებისთვის. ყოველმხრივ მოწონდების სიმაღლეზე დგახართ, საკუთარ თავს საუკეთესო მხრიდან წარმოაჩენთ. იყავით ინიციატივიანი და პირად ცხოვრებას მაქსიმალურად გაილამაზებთ. მოუწყვეთ დღესასწაული მას, ვინც გიყვართ.

**სამსახური –** მთელი თქვენი ენერგია კრეატიულობისკენ მიმართეთ.

**სასიკეთო დღეები:** 23, 24 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 თებერვალი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული –** არც ისე მარტივი დრო დგება, რომელსაც ახლავს ემოციების აფეთქება და გაღიზიანების მომატება, მაგრამ ყოველგვარ გაუგებრობას გულახდილი საუბრებით გააცამტვერებთ. ყური დაუგდეთ პარტნიორის მოსაზრებებს. არც ისე კარგი კვირაა ახალი ნაცნობობისთვის, თუმცა გაქვთ შანსი, გააძლიეროთ არსებული ურთიერთობა.

**სამსახური –** ყველაზე კარგი პერიოდია, გააქტიურდეთ უძრავი ქონების მიმართულებით, იქნება ეს სახლის შეძენა-გარემონტება, თუ სამშენებლო ბიზნესში ჩართვა.

**სასიკეთო დღეები:** 22, 25, 26 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 24 თებერვალი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული –** შესანიშნავი დროა რომანტიკული ურთიერთობებისთვის და ნაცნობობისთვის გამოფენებზე, პრეზენტაციებსა თუ კონფერენციებზე. არაფორმალური ურთიერთობა საკმაოდ ლამაზ და დადებით ემოციებს გპირდებათ, თუმცა ეს ყველაფერი ფლირტს არ გასცდება და სერიოზულ გრძნობაში არ გადაიზრდება. მიმოწერა, მესიჯები, სკაიპი, სატელეფონო საუბრები – ეს ყველაფერი ძალიან დიდი დოზებით იქნება, რაც გაგიჩენთ სურვილს, უფრო მეტი მიიღოთ, მაგრამ ნუ აჩქარდებით, შესაბამის დროს დაელოდეთ.

**სამსახური –** არ მისცეთ საშუალება გრძნობებს, სამუშაოს მოგწყვიტოთ, თორემ სერიოზულად დაზარალდებით.

**სასიკეთო დღეები:** 23, 24, 28 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 თებერვალი.



– ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები?

– იმიტომ, რომ კარგად მოგისმინო.

– ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები?

– იმიტომ, რომ კარგად დაგინახო.

– და ასეთი დიდი ცხვირი რატომ გაქვს?

– იმიტომ, რომ სპილოები ვართ, ჩემო პატარა.

*****

„ფეისბუკში“ კოტემ დაწერა:

– სამსახურში სასიარულოდ გორგოლაჭები მინდა შევიძინო, რას მირჩევდით და რას მივაქციო ყურადღება?

პასუხმაც არ დააყოვნა.

– გორგოლაჭები მეც მაქვს, მარა თუ სამსახურში წასვლა-წამოსვლისთვის გინდა, მაშინ გირჩევდი „ოპელ ასტრა“ იყიდე და ძრავს მიაქციე ყურადღება, 1,6 იყოს ჯიგარ „პრასტოი“...

*****



– ჯემალ, შენი ორგანიზმი როგორ რეაგირებს ფუტკრის ნაკბენზე?

– როგორ და უსწრაფესად – დედის გინებით...

*****

ფსიქიატრიულში გაგიჟებული პაციენტი მიიყვანეს: ბენჯამინ ფრანკლინი, ბენჯამინ ფრანკლინი...

– რა დაემართა? ისტორია უყვარდა, ალბათ, და ბევრი წიგნის კითხვით აურია?

– არა, კაცო, რა ისტორია. სახლში რო დაბრუნდა, თავის 4 წლის შვილმა 100 ცალი ბენჯამინ ფრანკლინის პორტრეტი მიუტანა.

– სად ნახა ამდენი სურათი იმ ცინგლიანმაა?

– სად და 100 დოლარიანებიდან ამოუჭრია იმ მამაძაღლს... გარეკა საწყალმა იმ წუთში...

*****



– აბა, კოტე, რომელია ადამიანისთვის სასარგებლო ფრინველი?

– ცივად მოხარშული დედალი და ინდაური საცივში, მასწ.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## შვედეთში დამსაქმებელი თანამშრომლებს ყავის დასალევად შესვენებას აიძულებს



შვედეთში ფიკას ტრადიცია ფართოდაა გავრცელებული. ფიკას მიხედვით, სამუშაო დღის განმავლობაში, სულ მცირე ერთხელ, შვედები თანამშრომლებთან ერთად, ყავის დასალევად იკრიბებიან.

ფიკას ტრადიცია იმდენად პოპულარულია, რომ ბევრი კომპანია ყველაზე მშრომელ თანამშრომლებს აიძულებს, ყავის შესვენებისთვის დრო გამოყონ.

შვედეთში ფიკა სამუშაო დღის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ჩვენთვის ელექტრონული მიმოწერა ან პრინტერის გამოყენება.

„ფიკა ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია. შვედების უმრავლესობა ფიკაზე დღეში რამდენჯერმე დადის, არა მხოლოდ სამუშაო კვირის განმავლობაში, არამედ შაბათ-კვირასაც“, – ამბობს შვედეთის ქალაქ გოტებორგში მდებარე კაფეების ქსელის, Da Matteo-ს მფლობელი მატს იოჰანსონი.

ბევრ შვედურ კომპანიაში ფიკას შესვენება სავალდებულოა და ამ მიზნით, კომპანიები თანამშრომლებს ყავას უფასოდ ურიგებენ.

ბევრი იფიქრებს, რომ ფიკას ტრადიცია შრომის პროდუქტიულობაზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ კვლევები სხვა რამეზე მეტყველებს.



ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, 2014 წელს, შრომის პროდუქტიულობის მხრივ შვედეთი მე-11 ადგილზე გავიდა, მაშინ როცა იაპონიამ და კორეამ, სადაც გრძელი სამუშაო კვირაა, მე-20 და 30-ე ადგილი დაიკავეს.

შვედურ კორპორაცია „იკეაში“ მიიჩნევენ, რომ ყველაზე კრეატიული იდეები და გადაწყვეტილებები სწორედ ფიკას დროს ჩნდება.

ამ მოსაზრებას სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის ოფიციალური წარმომადგენელი ანდრეას ოსტრომი სრულად იზიარებს.

„კორპორაციული ხელმძღვანელობის შვედური სტილი ძალიან გამორჩეულია, რადგან ნაკლებად იერარქიულია. როცა მმართველობის ჰორიზონტალური სტრუქტურა გაქვთ, მნიშვნელოვანია ყველას აზრი მოისმინოთ. ფიკა კი, სწორედ ამას უწყობს ხელს, ანუ არაფორმალურ ურთიერთობას რიგით თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის“, – ამბობს ანდრეას ოსტრომი.

ალბათ, ფიკას დამსახურებაცაა, რომ ყოველწლიურად შვედები მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ერთა შორის მოწინავე პოზიციებს იკავებენ. მაგალითად, შარშან ევროპულმა სტატისტიკურმა სააგენტომ გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმადაც, ევროკავშირში ყველაზე ბედნიერ ერად თავი დანიამ, ფინეთმა და შვედეთმა დაასახელა.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ბორდელების „სექსმუშაკების გამტესტავის“ ვაკანსია გამოცხადდა



„სექსმუშაკების გამტესტავის“ შესახებ ვაკანსია გერმანულმა სოციალურმა ქსელმა გამოაცხადა. ქსელი აქცენტის აღებას სექსინდუსტრიასა და ამ სფეროს განვითარებაზე გეგმავს.

მომავალი თანამშრომლის მოვალეობა იქნება, ბორდელებში მიღებული მომსახურების ხარისხი შეამოწმოს და შეაფასოს. ვაკანსიაზე შესაძლებელია როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიღება. აუცილებელი მოთხოვნებია, კანდიდატს კარგი ჯანმრთელობა, რესპექტაბელური და სასიამოვნო გარეგნობა და მენეჯმენტის ან სასტუმროს ადმინისტრირების კუთხით უმაღლესი განათლება ჰქონდეს.

დამსაქმებლების თქმით, სასურველია, კანდიდატი ფრანგულ ენას ფლობდეს. გარდა ამისა, მათ ბორდელებით სარგებლობის რამდენიმეწლიანი პრაქტიკული გამოცდილება უნდა ჰქონდეთ. გარდა მომსახურების პროცესისა, „გამტესტავმა“ სექსუალური მუშაკების პირადი ჰიგიენაც უნდა შეამოწმოს. შეკრებილი მასალების მიხედვით კი „მაღალხარისხიანი ბორდელების სისტემა“ შეიქმნება.

დღესდღეობით გერმანიაში ბორდელების მომსახურება ლეგალურია. ამ დაწესებულებების და მასში მომუშავე ადამიანების პროფკავშირებიც არსებობს, თუმცა ხარისხის შეფასების სისტემა დღემდე არ არსებობს. კანდიდატების განაცხადებს 31 მარტამდე განიხილავენ, თუმცა კონკურსში გამარჯვებულის ხელფასის შესახებ ინფორმაცია არ საჯაროვდება.

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ვინც გამოცდაზე იაფერისტებს... ციხე ემუქრება



სტუდენტებს რომ ერთმანეთის დახმარებისთვის ციხეში სვამდნენ, მსოფლიოს სტუდენტების ნახევარს მაინც სიკეთისთვის სასჯელის მოხდა მოუწევდა. როგორც ჩანს, ესპანეთის განათლების სამინისტრო დათვურ სამსახურს კატეგორიულად კრძალავს და შესაბამისი აღმკვეთი ზომების გატარებაც სურს.

მსგავსი სიკეთის მსხვერპლი არიან ესპანეთის ქალაქ ალმერიაში მცხოვრები მოზარდები.

როცა ახალგაზრდა გამოცდაზე მივიდა, მეგობრის პირადობა წარადგინა და ხელიც მისი სახელით მოაწერა. ჰოდა, საბუთების გაყალბებაშიც დაადანაშაულეს. დამნაშავეებს, გარდა ერთწლიანი ციხისა, ერთი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად 6 ევროს ღირებულების ჯარიმის გადახდა ემუქრებათ.

ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატის თქმით, სასჯელი დანაშაულთან შეუსაბამოდ მკაცრი და ბარბაროსულია.

„ისინი არავის ზიანს არ აყენებენ. მათი საქციელი ულირსიც რომ ყოფილიყო, ეს არ იქნებოდა საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ ციხეში გაეგზავნათ“, – აღშფოთებას გამოთქვამს ადვოკატი.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ჩინელმა პენსიონერმა ცათამბჯენზე გამოსახული წარწერით მეუღლეს ვალენტინობა მიულოცა



„სიბერემ თქვა, რა დროს სიყვარულია, სიყვარულმა, რა დროს სიბერეაო“. როგორც ჩანს, ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის 84 და 83 წლის პენსიონერები სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობენ. ქმარმა ვალენტინობის დღის აღსანიშნავად მრავალსართულიანი სასტუმრო დაიქირავა, რათა შენობის ზოგიერთი ფანჯრის განათებით ინგლისურად „მე შენ მიყვარხარ“ დაეწერა. იდეის განხორციელებაში სასტუმროს თანამშრომლებიც დაეხმარნენ და წყვილს ნომერი ვარდის ფურცლებითა და გედის ფიგურებით მოურთეს.

84 წლის ციაო დევე შავ საქორწილო პიჯაკსა და შარვალში იყო გამოწყობილი, მისი მეუღლე კი – თეთრ საქორწილო კაბაში. წყვილმა გარდა ვალენტინობის დღისა, ბედნიერი, 67-წლიანი თანაცხოვრებაც აღნიშნა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ოპტიკური ლინზების შესახებ ტროაშიც იცოდნენ



ტროასა და კრეტაზე ჩატარებული გათხრების დროს, ოპტიკური ლინზები აღმოაჩინეს.

ისინი მთის ბროლისგან არის დამზადებული და თეორიულად შეიძლებოდა, მხედველობის კორექციისთვის გამოეყენებინათ. გადმოცემით, რომაელი იმპერატორის, ნერონის ოპტიკური ლინზები ზურმუხტისგან იყო დამზადებული – ის თავის სუსტ მხედველობას ამ ლინზებით არეგულირებდა.

თანამედროვე ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ სათვალე, სულ მცირე, 600 წლისაა. უკვე მე-13 საუკუნის ბოლოთი დათარიღებულ სამედიცინო ტრაქტატებშია მინის ლინზები მხედველობის კორექციისთვის მოხსენიებული.

***postalioni.com***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ალასკაში მგლების ხროვამ ქალი და ახალშობილი გადაარჩინა



აშშ-ის ალასკას შტატში დიდ თოვლში მოხვედრილი 25 წლის მერი კრანიკი და მისი ახალშობილი მგლების ხროვამ გადაარჩინა.

ქალი რვა თვის ორსული იყო, როდესაც მანქანით სახლში ბრუნდებოდა. ძლიერი თოვლის გამო მისი მანქანა გაიჭედა. მერის იმედი ჰქონდა, რომ სხვა მანქანა წაიყვანდა, მაგრამ მოძრაობა ამ მონაკვეთზე პარალიზებული იყო.

25 წლის ქალი იხსენებს, რომ ის მანქანიდან გადმოვიდა და ფეხით დაახლოებით ერთი კილომეტრი გაიარა, რა დროსაც მას მშობიარობა დაეწყო. მერიმ შეამჩნია ადგილი, სადაც ნაკლები თოვლი იყო, იქამდე ძლივს მიაღწია და ტკივილისგან გონება დაკარგა.

„როდესაც აზრზე მოვედი, თავი უზარმაზარი მგლის ზურგზე მედო, სავარაუდოდ, ის ხროვის ბელადი იყო. დანარჩენმა მგლებმა ალყა შემომარტყეს და ქარისგან მიცავდნენ. მე შეშინებაც ვერ მოვასწარი. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ბავშვი გავაჩინე. ერთ-ერთმა მგელმა ჭიპლარი გადაღრღნა და შემდეგ ბავშვი ალოკა. მერე მგლები მეხუტებოდნენ და მათბობდნენ“, – იხსენებს მერი.

ახალგაზრდა დედა ამბობს, რომ მგლებმა ის საკუთარი ხროვის წევრად ჩათვალეს. გარკვეული დროის შემდეგ მერის ნაცნობებმა მისი მიტოვებული ავტომობილი აღმოაჩინეს და მერის ძებნა დაიწყეს. როდესაც მგლების ხროვა შენიშნეს, იფიქრეს, რომ „საშინელება მოხდა“.

მათ სროლა დაიწყეს. მგლები გაიქცნენ და ამ დროს ადგილზე მისულებმა მერი და მისი ახალშობილი აღმოაჩინეს. მერი იხსენებს, რომ მგლები შორს არ გაქცეულან. ისინი ტყიდან უყურებდნენ, როგორ გადაჰყავდათ ის და ბავშვი მანქანაში. მარი კრანიკი ამბობს, რომ ის და პატარა ბილი აუცილებლად მივლენ იმ ადგილზე, რათა მგლებს კიდევ ერთხელ შეხვდნენ.

„დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მოვლენ“, – ამბობს მერი.

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვინ კვებავს დუმას — მთავარი მზარეულის ფოტოებმა რუსული ინტერნეტსივრცე ააფეთქა



რუსულ სოციალურ ქსელებში ირინა ვოვკი ვარსკვლავი რამდენიმე საათში გახდა. ქალი სახელმწიფო დუმის მთავარი მკვებავია – იგი იმ კვების კომბინატს ხელმძღვანელობს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ემსახურება. ვოვკის გარეგნობა მთელი ქვეყნის სასაუბრო თემა მას შემდეგ გახდა, რაც **Единая Россия**-ს დეპუტატმა ალექსანდრე ხინშტეინმა მისი ფოტო „ტვიტერის“ პირად გვერდზე განათავსა წარწერით: „დუმის მთავარი მზარეული. ახლა დუმაში მეტი გემრიელობა და მხიარულება იქნება“.

მთავარი მზარეულის საკმაოდ „მადისაღმძვრელი“ ფოტოები დეპუტატმა ვოვკის პირადი გვერდიდან მოიპარა, შემდეგ კი ქალის სოციალურ ქსელს ინტერნეტმომხმარებლები შეესივნენ და პირად გვერდებზე გააზიარეს.

გულახდილ ფოტოებს ასობით კომენტარი მოჰყვა: „...და რუს დეპუტატებს რძის პროდუქტის მიღებაზე აღარ ექნებათ სადარდებელი“, „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დუმა ძუძუთი უნდა კვებოს“, „გოსდუმას გულახდილი დრესკოდი ჰქონია“, „ამას პირველს შეჭამენ. იმპორტის აკრძალვის პირობებში შიდა პროდუქტით „იკვებებიან“ ალბათ“, – წერენ რუსი ინტერნეტმომხმარებლები. ასეთმა მოულოდნელმა პოპულარობამ, როგორც ჩანს, ვოვკი შეაშინა: ქალმა პირადი პროფილი გააუქმა.

რაც შეეხება დეპუტატებს, ისინი ახალი საკვებით არც ისე კმაყოფილნი არიან და ამბობენ, რომ ვოვკის მოსვლა სამზარეულოს დაეტყო: სოუსებს აღარ ამზადებენ, სუპებში კი არაჟანს არ ამატებენ. საინტერესოა, რომ კვების ხარისხის გაუარესების საკითხი დეპუტატებმა სახელმწიფო დუმის საბჭოზეც კი გაიტანეს. ახალი ხელმძღვანელობა არც სასადილოს თანამშრომლებს ეხატებათ გულზე.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## არგენტინაში დამსვენებლებმა დელფინი მოფერებითა და სელფების გადაღებით მოკლეს



ფოტომანია სერიოზული პრობლემაა არა მხოლოდ ადამიანებისთვის, არამედ უკვე ცხოველებისთვისაც. სელფის მოყვარულებისთვის მთავარია, რამე ობიექტი შენიშნონ და მორჩა, მთელ დღეს მობილურს ხელიდან ვერ გამოგლეჯ. არგენტინაში, სანტა-ტერეზას სანაპიროზე დამსვენებელ, სელფმოყვარულთა ერთ-ერთი მსხვერპლი პატარა დელფინი გახდა. დამსვენებლები იმდენ ხანს იღებდნენ ფოტოებს და დელფინს აწვალებდნენ, სანამ პატარა არსება გაუწყლოებისგან არ მოკვდა. უსარგებლო ობიექტი კი ადგილზევე მიატოვეს.

მომხდარის შესახებ ცხოველთა დაცვის ადგილობრივმა ორგანიზაციამ გაიგო. მათი განცხადებით მკვდარი დელფინი ფრანცისკანული ჯიშისაა, რომელიც მხოლოდ არგენტინაში, ურუგვაისა და ბრაზილიაში გვხვდება. ძალიან მგრძნობიარენი არიან და დაცვას საჭიროებენ. მსოფლიო მასშტაბით დაახლოებით 30 ათასია დარჩენილი. ხშირად, სხვა თევზებისთვის განკუთვნილ ბადეში ხვდებიან და იღუპებიან.

„ეს დელფინები, როგორც სხვა დანარჩენები მშრალ ადგილას დიდხანს ვერ ძლებენ. მათ სქელი, ცხიმოვანი კანი აქვთ, რაც ზღვაში გაყინვისგან იცავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წყლის გარეშე, გაუწყლოება მარტივად ემართებათ და კვდებიან“, – განაცხადა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## „არასოდეს მინდოდა, შვილები მყოლოდა“ — ანჯელინა ჯოლის მოულოდნელი აღიარება



ჰოლივუდის ვარსკვლავმა და მსოფლიოს ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალმა, 40 წლის ანჯელინა ჯოლიმ ინტერვიუში გაკეთებული მოულოდნელი განცხადებით, მკითხველი გაოგნებული დატოვა. 6 შვილის დედამ განაცხადა, რომ მას არასოდეს სურდა, შვილები ჰყოლოდა.

„ძალიან უცნაურია, მაგრამ არასოდეს მინდოდა, შვილი მყოლოდა. არასოდეს მინდოდა, ორსულად ვყოფილიყავი. ვერასდროს აღვიქვამდი თავს მომავალ დედად“, – განაცხადა ჯოლიმ.

როგორც მსახიობმა ისაუბრა, 15 წლის წინათ მისი გეგმები და შეხედულებები რადიკალურად განსხვავებული იყო, რომელთა შეცვლა 2001 წელს კამბოჯაში პირველმა ვიზიტმა განაპირობა.

„კამბოჯაში ფილმის გადაღებებზე ვიმყოფებოდი, სადაც სკოლის მოსწავლეებს შევხვდი. უცებ ვიგრძენი, რომ ჩემი მომავალი შვილი ამ ქვეყანაში ცხოვრობდა“, – განაცხადა ჯოლიმ. სწორედ კამბოჯაში გადაწყვიტა მსახიობმა, გაეროს მშვიდობის ელჩი გამხდარიყო და 2012 წელს პირველი ბავშვი იშვილა.

ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი 6 შვილის მშობლები არიან, აქედან 3 – აყვანილი, 3 კი მათი ბიოლოგიური შვილია.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## გერმანელი ლიბერალი ქალი, რომელიც იმიგრანტებმა გააუპატიურეს, მოძალადეებს ბოდიშს უხდის



27 იანვარს გერმანიის ახალგაზრდა მემარცხენეების პარტიის წევრი 24 წლის გოგონა მანჰეიმში სამმა იმიგრანტმა გააუპატიურა.

საპასუხოდ ძალადობის მსხვერპლმა „გულისამაჩუყებელი“ წერილი გამოაქვეყნა, სადაც მასზე მოძალადეებს ბოდიშს უხდიდა იმ რასიზმის გამო, რომლის ატანაც მათ გერმანიაში უწევთ.

„ბედნიერი ვარ, რომ აქამდე მოაღწიეთ, რომ გამოექეცით „ისლამურ სახელმწიფოს“ და ომი უკან მოიტოვეთ, რომ არ დაიღუპეთ ხმელთაშუა ზღვაში, მაგრამ ვშიშობ, აქაც არ ხართ უსაფრთხოდ. ლტოლვილთა ცენტრების დაწვა, ძალადობრივი შეტევები ლტოლვილებზე, ყოველთვის ვებრძოდი ამ ყველაფერს.

მე მინდა ღია, მეგობრული ევროპა. ევროპა, სადაც ცხოვრება მინდა, სადაც ჩვენ ყველანი უსაფრთხოდ ვიქნებით.

თქვენ უსაფრთხოდ არ ხართ იმიტომ, რომ ჩვენ რასისტულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. მე უსაფრთხოდ არ ვარ იმიტომ, რომ ჩვენ სექსისტურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, მაგრამ ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ ჩემზე ძალადობის სექსისტური აქტი თქვენ მიმართ მეტ და მზარდ აგრესიულ რასიზმს გამოიწვევს.

მე არ გავჩერდები, არ ვიქნები უმოქმედოდ და არ მივცემ უფლებას რასისტებსა და შეშფოთებულ მოქალაქეებს, თქვენ პრობლემად წარმოგაჩინონ. თქვენ სულაც არ ხართ პრობლემა. თქვენ მშვენიერი ადამიანები ხართ, ვინც თავისუფლებასა და დაცულობას ისევე იმსახურებს, როგორც ყველა. მადლობა, რომ არსებობთ და სასიამოვნოა თქვენი აქ ყოფნა“, – წერს ლიბერალი ქალი.

***whitegenocideproject.com***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99



ანზორა ტროტუარზე ჩამომჯდარა და დაღონებულია. გვერდით კატა მიუცუცქდა:

– რა იყო, ანზორა, რამ დაგაღონა?

– ეჰ, გუშინ ჩემმა ცოლმა იმშობიარა და 5 ტყუპი გააჩინა, რა ვქნა, აღარ ვიცი.

– მაგაზე დარდობ, თუ კაცი ხარ? ზოგს გაყიდი, ზოგსაც გააჩუქებ, ჩემი პატრონი სულ ეგრე იქცევა...

*****

– ეეეჰ, ახალგაზრდობაში რა სულელი ვიყავი...

– ნუ წუწუნებ, მაყვალა, შენ ახლაც ახალგაზრდულად გამოიყურები!

*****



შუახნის ქალი სექსშოპში შევიდა:

– თუ შეიძლება, მომეცით აი, ის თეთრი, აი, ის შავი და აი, ის წითელი ვიბრატორი.

– ქალბატონო, ინებეთ ეს თეთრი და ესეც შავი ვიბრატორი და ის წითელი ცეცხლმაქრია, არ იყიდება!..

*****

თედო პაპა ორი წლის განმავლობაში სულ მარტო წამლიდა ბაღვენახს შხამ-ქიმიკატებით კოლორადოს ხოჭოებისგან დასაცავად. მესამე წელს კი უკვე კეთილი კოლორადოს კოჭოები ეხმარებიან მოხუც პაპას ბაღ-ვენახის შეწამვლაში...

*****

მასწავლებელი გრამატიკის გაკვეთილს ხსნის:

– აბა, კოტე, მისმინე: „მე ვიყავი მდიდარი“...

– წარსული დროა, მასწ.

– „მე ვარ ლამაზი და მშვენიერი“, ეს რა იქნება?

– ეს უკვე ფანტაზიის ნაყოფი იქნება, მაგული მასწავლებელო.

*****



ორი კურდღელი ხვდება ერთმანეთს. ერთს თათი აქვს მოტეხილი

– ნადირობის დროს?

– ჰო...

– მონადირემ?

– კი...

– გესროლა და მოგარტყა, არა?

– არა, ფეხი დამაბიჯა.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*



# მანანა გიორგაძეს!

ჩვენს უმშვენიერეს და უსაყვარლეს რედაქტორს ვულოცავთ დაბადების დღეს! ჩვენო მანა, სამყარო ბევრად მშვენიერი გახდა მას შემდეგ, რაც შენ დაიბადე! ძალიან გვიყვარხარ და გისურვებთ დიდ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულს, ჯანმრთელობასა და პროფესიულ წარმატებებს!

*ალიელები*

## ახლად აღმოჩენილი ნივთიერება ადამიანს აღარც გაასუქებს და აღაც დააბერებს



მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის პროფესორს, ლეოპარდ ჰარენტს აღმოუჩენია პროტეინი, სახელწოდებით „სირტლი“, რომელიც ადამიანის ორგანიზმს აძლევს ბრძანებებს, საჭიროების შემთხვევაში, შეინახოს მთელი ცხიმი, ან მის გახარჯვაზე იზრუნოს ისე, რომ წონაში მატება არ მოხდეს.

მეცნიერებისთვის დიდი ხნის მანძილზე ცნობილია, რომ ძუძუმწოვრები უსაზღვრო რაოდენობის საკვებს იღებენ და ამის მიუხედავად, არც წონაში იმატებენ და საშიში დაავადებებითაც, ფაქტობრივად, არასოდეს იტანჯებიან. როგორ და რა გზებით ხდებოდა ამის მიღწევა, უცნობი იყო იქამდე, ვიდრე ლეოპარდ ჰარენტმა და მისმა კოლეგებმა „სირტლი“ არ აღმოაჩინეს.

საქმე ისაა, რომ ძუძუმწოვრების ორგანიზმში ცილები და ნახშირწყლები, ფაქტობრივად, წამიერად იწვება, ცხიმი კი თეთრი ცხიმოვანი ქსოვილის უჯრედებში ინახება. როცა ცხოველი კალორიების ნაკლებობას განიცდის, ამ დროს საქმეში ცხიმების მარაგი ერთვება და ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარეგულირებას იწყებს. ამერიკელების აზრით, ეს ყველაფერი სწორედ „სირტლის“ ხარჯზე ხდება, რომელსაც შეუძლია რეცეპტორების იმგვარად კონტროლი, რომ ზედმეტმა კალორიებმა წონის მატება არ გამოიწვიოს.

მოკლედ, ამერიკელების დასკვნა მართლაც საიმედოა, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მათ კვლევები მხოლოდ ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს და რამდენად შეიძლება ამ ყველაფრის ადამიანებთან დაკავშირება, ჯერჯერობით დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**factroom.ru**


**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


*გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას*



### ციური ჭელიძის გახსენება

ჩემო დაიკო, ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დაგვტოვე.

ძალიან მიჭირს უშენობა. შენ ხომ ჩემი ჭკვიანი, კეთილი, მშრომელი, ლამაზი დაიკო იყავი.

უფალმა სულ ნათელში გამყოფოს, შენს ბონდოსთან ერთად.

*თამაზ ჭელიძე*

*გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას*

## ბავშვობაში ძილის გატეხას ასაკში ალკოჰოლიკობა და ნარკომანობა მოჰყვება?!



მეცნიერებმა დაასახელეს კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რატომ უნდა მიაქციონ მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება ჩვილებისა და მოზარდების ძილის ხარისხს.

საქმე ისაა, რომ ბავშვები, რომლებსაც ძილი არ უვარგათ, ექცევიან რისკის ისეთ არასასიამოვნო ჯგუფში, რომლის ბოლოც ალკოჰოლიკობა ან ნარკომანობაა.

ამ თემაზე კვლევა აიდაჰოს შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომლებიც 386 თინეიჯერზე დაკვირვებას რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებდნენ.

კვლევის ბოლოს, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოზარდები, რომლებიც ბავშვობის ასაკში ძილთან დაკავშირებულ პრობლემებს განიცდიდნენ, თინეიჯერობისას კიდევ უფრო რთულ სიტუაციაში ვარდებოდნენ: იწყებდნენ ალკოჰოლის დიდი რაოდენობით სმას, სიგარეტის მოწევას და რაც ყველაზე მეტად შემზარავია, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას. გარდა ამისა, ასეთ მოზარდებს მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემებიც უფრო ხშირად ექმნებათ, ვიდრე დანარჩენებს.



სპეციალისტების განმარტებით, ყველაზე ხშირად, შფოთვები ძილის დროს 3-დან 5 წლამდე ასაკის პატარებს უჩნდებათ და თუ ამ უსიამოვნების გამოსწორებაზე მშობლები თავის დროზევე არ იფიქრებენ, შედეგი უკიდურესად ნეგატიური იქნება. ამასთანავე, რისკის ჯგუფში შედიან არა მხოლოდ ვაჟები, არამედ გოგონებიც.

– ბავშვებს მინიმუმ 10 საათი მაინც უნდა ეძინოთ. ეს კანონია და ყველაზე მთავარია, რომ ძილი მშვიდი იყოს, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**mamindom.ru**


# განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

**555 125 770; 596 777 773**


გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

# სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

**577 435 553**

რედაქტორი მანანა გიორგაძე



– რაღაც ჩემი ძაღლი გაზარმაცდა ამ ბოლო დროს.

– რა შეატყვე ამისთანა?

– რა და ადრე სასეირნოდ მივდივართ-მეთქი, რომ ვიტყოდი, თავისი საყელური და ჯაჭვი მოჰქონდა

– და ახლა?

– ახლა რომ ვიტყვი, სასეირნოდ წავიდეთ-მეთქი, მანქანის გასაღებს მოაცუნცულებს...

*****

– აღარ ვიცი, რა ვქნა ყველაფერი გაძვირდა: სახამებელი, კარტოფილი, ფქვილი, წიწიბურა, სოიო... ალბათ, წარმოების შეჩერება მომიწევს

– კი მარა, რას აწარმოებ, ვასილიჩ?

– რას და ნატურალურ ძეხვს, სოსისსა და სარდელს.

*****



ახალგათხოვილი გოგო დედასთან წუწუნებს:

– ჩემს გაკეთებულს არაფერს მიირთმევს ვაჟბატონი! აი, გუშინ ნამცხვარი გამოვუცხვე და პირი არ დააკარა.

– სახე რატომ გაქვს დასიებული, რომ არ შეჭამა, გეწყინა და ბევრი იტირე, დედიკო?

– რატომ და იმ მხეცმა ახალგამომცხვარი ბისკვიტი პირდაპირ სახეში მლეწა. გონს რომ მოვედი, ასე მეგონა, თუჯის ქვაბი მირტყა.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*


**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.34